


მ მ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ქ უ წ ნ ა ლ ი

წელიწადი პირველი

№ VII

ი ვ ლ ი ს ი, 1894



ტფილისი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ტიპოგრაფია, თბილისი

1894

P6301

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 22 Юля 1894 года.

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | | |
|--|------|---|
| I ვინი გრალია?—მოთხრობა დ. ერისთავისა (დასასრული) | 37-1 | |
| II წარღვევა.—მოთხრობა ემილ ზოლასი, თარგმანი ი. მ.—სა | 51 | |
| III * * *. —ლექსი ნადსონისა, თარგმანი ი. ბაქრაძისა . | 82 | |
| IV აივნავო.—რომანი ვალტერ სკოტისა, თარგმანი . | 83 | |
| V ჩინებული სასიძონი.—ხუთ-მოქმედებიანი კომედია მალერასა, თარგმანი დ. ყიფიანისა | 130 | |
| VI საპართვალოს უკანასკნელი დედოფალი მარიაში.— როტიერისა, თარგმანი | | 1 |
| VII ემილ ლავიეს მოგზაურობა კავკასიაში.— თარგმანი ნ. ყ. (გაგრძელება) | 12 | |
| VIII სოფ. ლიკორფინდა. —წარწერანი.—ა. ქუთათელაძისა. | 45 | |
| IX ღვინის დაყენება.—V სსკა თვისების და სსკა რიგად დაყენებული ღვინოები.—პროფესორი ვ. ზეტრანსვილიასა (გაგრძელება) | 63 | |
| X სალიტერატურო შენიშვნები:—(აკაკი წერეთლის ორი სიტყვა ნ. ბართაშვილის დასაფლავებასა და ყაზიბეგის კუბოზე წარმოთქმული; მისივე „შავი ფიქრები“; ეკ. გაბაშვილის წერილი და სალიტერატურო ფონდი; ჩოხოსნის „ქრელი ფიქრები“). | | |
| ა. ნ.—ღისა | 109 | |
| ქრონიკა: | | |
| XI უცხოეთის მიმოხილვა.—ზულბარია. ნ. ნიკოლაძისა (დასასრული) | 124 | |
| XII განცხადებანი. | | |



შეცდომის გასწორება: მეორე განყოფილებაში მე-104 გვ. მე-7 სტრიქონში ქვემოდან დაბეჭდილია: „ბალ-ბულაზი“; უნდა იყოს: „ბალახ-ბულაზი“.

შისი გრალია?

მეთსწრობა

VI*)

მშვენიერი წყნარი ნათელი ღამე იყო. მოკრიალებულს მუქს ცის ლაქვარდზე მკირედი ღრუბელის ნაჭერიც არსად მოსჩანდა, და ზედ მედიდურად მიცურავდა პირ-გაბადრული მთვარე. ათასგვარ ყვავილების სურნელებით გაქენთილი ჰაერი, თითქო მოჯადოებული გაზაფხულის გრძნეულის ძალით, არ იძროდა, გაშეშებულიყო. სოფელს მთელის დღის შრომით დაქანცულს ტკბილად ეძინა. ყველგან მდუმარება გამეფებულიყო, მხოლოდ აქა-იქ ისმოდა ძაღლების ყეფა, და ჭაობებისა და თხრილების შეგუბებულს წყალში ამოეკიდათ ბაყაყებს დაუსრულებელი, აბეზარს მომყვანი სიმღერა.

მეგობრები ხელი-ხელს გაყრილნი ნელის ნაბიჯით მიდიოდნენ. ფარნა დაბალის ხმით ბაიათებს მიიმღეროდა, ნესტორი კი, რომელიც გრილს, ქორთა ჰაერს ცოტათი გამოეფხიზლებინა, გაჩუმებული იყო. მოხიზლოლი ბუნების სიმშვენიერით, გალალბებული და გახარებული უზრუნველის, თავისუფალის ცხოვრებით, რომლის დასაწყისიც ასე ჩინებულად იდღესასწაულა თავის მეგობართან, —ის ხმა-გაკმენდილი უგდებდა ყურს ახალგაზდა სისხლის დუღილს და რალაც გამოუტრკვეველს, მაგრამ ძლიერს გულის-თქმას, რომელსაც დაეპყრო მთელი მისი არ-

*) «მოამბე» № 6

სება... აღზნებული გონება ცხოვლად უყენებდა თვალ-წინ მშვენიერს კეკლუცს არსებას, რომელიც დილით შეჰყროდა, და გული როგორღაც ტკბილად, ტკბილად უცემდა!..

— ფარნა, ა ფარნა! — მიუბრუნდა ნესტორი მეგობარს წყნარის, თითქმის ჩურჩულის ხმით, თითქო ეშინოდა ხმა-მალლა ლაპარაკმა არ დააფრთხოს ის მომხიბლავი მოჩვენებაო.

ფარნამ ბაიათის მღერა შესწყვიტა.

— რა იყო?

— რა ექნა, კაცო?.. აგერ გავგიჟდები.... აჰ, ნინო, ნინო!...

— რას ბოლავ, რომელი ჭინოა?

— ნინო, დათიკას ცოლი... ო-ო-ოჰ! — მძიმედ ამოიოხრა ნესტორმა.

— მერე რა გაოხრებს? თუ ნინო არ იქნება, სხვა ქალები რამ დალია ქვიანეთში?

— სხვა რა ეშმაკად მინდა! მე იგი მომწონს...

— თუ მოგწონს, აგერ არ გყავს!

— შენ აგი ადვილი საქმე გგონია!

— მაგას მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა! მეც ბევრი ვსდიე, მარა სულ ბრაწები დამაყარა; რაცხა მიუკარებელია, ამაყი.

— აბა გლახად ყოფილა საქმე! მწუხარებით სთქვა ნესტორმა.

— მაინც სცადე: ცდა ბედის ნახვევარია. ვინ იცის, შენი ნაყმევის ცოლია და იქნება, რავარც ბატონს, ხათრი დაგდვას. — მარა აგი გახსოვდეს: გაბედული უნდა იყო, ერიშით მიხვალე და ციხეს მაშინ აიღებ.

ამ ლაპარაკში იმათ კაი მანძილი გაიხარეს. უეცრად ფარნა შესდგა: თითქოს რაღაც მოაგონდაო და თავში ხელი იტყვლიცა.

— დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი, კელამ არ დამავიწყდა!

— რა იყო?

— რაი და დღეს კესა მიმელის. მისი ქმარი შინ არ არის და შევპირდი სალამოს მოვალ-თქო. უნდა წვედე, უეჭველად.

— აბა მე შინ წავალ.— უთხრა ნესტორმა.

— რეიზა? შენც წამოდი, რა გიჭირს! სულ ათი მინუტი არ დამაყოფნდება, ერთს-ორს ჩავპროშტავ და გათავდა... შენ მანამდი პაპიროსი მოსწიე.

ნესტორი მაშინვე დასთანხმდა და გაჰყვა უკან ფარნას, რომელმაც ერთს ვიწრო ორ-ღობეში შეუხვია. რამდენისამე წამის უკან ისინი გაჩერდნენ ჭიშკრის წინ. ფარნამ შეალო და ფრთხილად ფეხ-აკრეფით პარველი შევიდა ეზოში. ერთბაშად სახლის წინ დაწოლილმა უშველებელმა ძაღლმა დაიღრინა, წამოვარდა და გაცხარებულის ყეფით ჭიშკრისკენ გაექანა. ფარნამ დაუწრუპუნა და სახელი დაუძახა. ძაღლი იმ ფეხზედვე შედგა და ლაქუცით ხტომა დაიწყო, ეტყობოდა, რომ ისინი ძველი ნაცნობები იყვნენ. ძაღლის ყეფაზე სახლის კარმა გაიჭრიალა და ახალგაზდა ქორფა ქალის ხმამ იკითხა:

— ვინ ხარ?

— მე ვარ, მე, ფარნა.— უპასუხა ჩვენმა ტარიელმა დაბალის ხმით და შემდეგ მიუბრუნდა ამხანაგს:

— შამოდი, ნესტორ.

— არა, მე აქანე მოგიცდი.

— შემოდი ჰო! მაქანე ვინმე დაგინახავს. აგერ ხულასთან გაჩერდი.

ფარნამ ნესტორი ხულასთან მიიყვანა, თვითონ კი თამაზად სახლის კარები შეალო და შევიდა.

ნესტორი რომ მარტო დარჩა, ხულის დერეფნის კიდეზე ჩამოჯდა და ბოხოხი გადიძრო. საიდამდაც უეცრად მოჭრილმა ნიავმა თავისი გრილი მსუბუქი ფრთები ჭაბუკის გახურებულს შუბლს შეახო. იფფფ! ვცხონდი... წარმოსთქვა მან და პაპიროსს მოუკიდა.

მთვარე შუაგულ კამარიდან დაჰყურებდა დედა-მიწას, რომელიც ვერცხლით დაფერილიყო. ნიავს მოჰქონდა თავ-

ბრუ დამხვევი ყვაილები სურნელება. ჯერ კიდევ გაუმართავის, მაგრამ მაინც საამო ხმით სულ ახლოს ბუჩქებში ბულბულს ამოეკიდა სატრფიალო სიმღერა. თექვსმეტი წლის ქაბუკის მკერდში გაისურსნა რაღაც უცნაურმა ძლიერმა გულის-თქმამ, რომელიც ერთბაშად აზვირთდა და მთლად შთანთქა მისი არსება... ნესტორმა პაპიროსი შორს გადისროლა და საფეთქლებში ხელი წაივლო... უეცრად სახლის მხრიდან, რომლამდისაც ხულიდან სულ რამდენიმე ნაბიჯი იყო, ნესტორის ყურამდე თავდაქერილმა ხითხითმა მოაღწია. „ქალის სიცილია...—იფიქრა მან. იგი სტკებმა იქინეთ და მე კი... ახ, რა კარგი იქნება, რომ ნინოც... მაგრამ მიუკარებელი, ამაყი რომ ყოფილა?...“ ამ აზრმა ნესტორი საგონებელში ჩააგდო. ცოტა ხნის ფიქრის უკან ამაყად აიღო თავი და დარწმუნების კილოთი წარმოსთქვა: „რაც უნდა იყოს, მაინც ჩემი იქნება!..“ მან გაითვალისწინა ყველა საშუალებანი, რომლებსთვისაც უნდა მიემართა თავის განზრახვის მისაღწევად. ჯერ გაეცნობა, მერე დაიწყებს მასთან სიარულს, საჩუქრების გზავენას, საარშიყო ბარათებისა და ლექსების წერას... ნუ თუ ყველა ეს არ კმარა, რომ აზნაურშიღმა გაიმარჯვოს ვიღაც „ყაზახის“ ქალზე? გაიმარჯვებს, რაღა თქმა უნდა, გაიმარჯვებს, და მაშინ—ოჰ, ბედნიერება!—რა ტკბილი გულის-ფანცქალით ფარნასებრ შეიპარება სწორედ ასეთს მშვენიერ ღამეში თავის სატრფოსთან, რომელსაც მაგრად ჩაიკრავს გულში და დაეკონება ლალისფერ ტუჩებზე! მაშინ თუნდაც მოკვდეს, არ ინაღვლებს.

ამ ფიქრების დენა უეცრად შესწყვიტა კარის კრიაღმა, რომლის შემდეგ მოისმა ფარნას ხმა:

— ნახვამდის, კესა!

— ნახვამდის, შენ გენაცვალე!—იყო შიგნიდან ნაზი პასუხი.

კარი ისევ კრიალით მიიხურა და ფარნა თავ-მომწონე ღიმილით, თითქო იგი მართლა ტარიელი ყოფილიყოს და მისი კესა ნესტან-დარეჯანი, მეგობართან მივიდა.

— აბა, გაესწიოთ, ნესტორ!—აგერ წვექცევი, ისე მეძინება.

— მეც ძალიანი დამტროვილი ვარ! — მტქნარებით მიუგო ნესტორმა.

მეგობრები კისერზედ ხელებ-გადადებულნი გაუდგნენ გზას. იმ ღამეს ფარნამ თავის ნათესავი აღარ გაუშვა სახლში და თავისას მოასვენა.

— სად იყავი, შვილო? შენის შიშით თვალი არ დამიღვია წუხელის!.. — უთხრა მეორე დღეს დილით თეკლემ, როდესაც უძილობისა და ლოთობისაგან თვალეზ-დასივებული ნესტორი შინ მივიდა. ამ სიტყვებში ისმოდა დედის დაკოდლის გულის დრტინვა-ჩივილი, რომლისთვისაც შვილს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

— ფარნასას, ლაპარაკს შევექეცი, ამასობაში დაღამდა და აღარ გამოვიშვა.

თეკლემ შეხედა შვილის დაქანცულს, ჩაწითლებულს ბვალებს და იფიქრა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“... ვინ იცის, სად იყო და რას აკეთებდა? ოჰ, ის ფარნა! რავარც თვითონ არის გატყუარებული, ისე უნდა ჩემი ბაღანაც გაატყუაროს და გადარიოს... ღმერთი მაგას არ მოასწრობს!..

ნესტორი ამ დროს ჩოხას იხდიდა ტახტის წინ, რომელზედაც გუშინ საღამოს თეკლეს საკუთარის ხელით სუფთა ქვესაგები დაეგო შვილისთვის.

— წოზი, ნენა, თუ რეიზა იხდი? — ჰკითხა თეკლემ.

— ჰო! იყო მოკლე პასუხი.

„გუშინ მთელი დღეი არ მინახავს... დღეს მოვიდა, მინდოდა მელაპარაკა, ერთხანს მეყურებია მისთვის და იგი ქე წოზა... რეიზა არ უნდა ჩემთან ყოფნა, რეიზა? აღარ ვუყვარვარ, ვთქვით? რა დავუშავე?...“ საბრალო დედას თვალეზი ცრემლებით აევსო, და რომ არ შეეშინებინებინა შვილისთვის, გულდინჯად უთხრა: „საბანი დეიხურე, არ გაცივდეო“ და გარედ გავიდა.

ნესტორმა ბევრი იტრიალა, მაგრამ არ იქნა, მისს თვალეზს ძილი არ მიეკარა, თუმცა ძალიან დაღალული და უძილარი იყო. დახუჭავდა თუ არა თვალეზს, მაშინვე წინ დაუდგებოდა

ყმაწვილი ქალის სახე, რომლის მომხიბლავი ამაყი სიმშვენიერე მოსვენებას არ აძლევდა მისს სულსა და გულს. სულ იმის ფიქრში იყო, როგორ შესდგომოდა საქმეს, რომ ეს „მიუკარებელი ციხე“ როგორმე აეღო...

შუადღისას, როცა სადილად დასხდნენ, დედა მიუბრუნდა და ჰკითხა:

— შეილო, დათქვა გორდელაძე ხომ არ შეგყრია სადმე?

— არა; რა იყო?

— გუშინ საღამოს მოვიდა ჩემთან და შენ გკითხულობდა.

— რაიო, რა უნდა?

— ბოვშის მონათვლას გეხვეწება..

ამ ამბავმა ცოტა არ იყოს ნესტორი დააღონა: ნათლია სოფელში ნათესავად მიაჩნიათ. ვაი თუ ამით საქმე დამიბრკოლდესო? მაგრამ შემდეგ ესეც იფიქრა: „მაშინ ხომ შინაური კაცი ვიქნები იმის ოჯახში, ყოველ დღე შემიძლია ვიარო... ექვს ვერავინ ეიღებს და თუ ქალი მართლა თლად მიუკარებელი არაა“...

— უნდა მოუნათლო, ნენა, აბა რას იქ? — უთხრა დედამ, რომელმაც შეილს სახეზე ყოყმანი შეამჩნია. — კარ. ყაზახია, ამას გარდა ჩვენი ნაყმევი და ნამსახურიცაა.

— მოვუნათლო, რა გაეწყობა, — მიუგო ნესტორმა იმ კილოთი, თითქო გულში არ უნდოდა და მხოლოდ დედის თხოვნას დასდვა ხათრიო.

— კას იზამ, შეილო! მერე რა ბაღანაა, რომ იცოდე? სწორედ სულში ჩასაძვრენიაო, რომ იტყვიან, იგია! თლად დედას გავს. ხომ გინახავს დათიკას ცოლი?

— ... არა... კი... ჰო... შემხვედრია... — აიბნა ნესტორი და ყურის ძირებიანა გაწითლდა.

— ძალიანი ლამაზია! გულ-წრფელის აღტაცებით წარმოსთქვა თეკლემ.

— ოჰმ... მართლა? — იკითხა შეილმა თავ-აუღლებლივ.

— ძალიანი... იმასთან, ქმარ-შვილის ერთგული, კეთილია...

„ჩემდა იგიც კმარა, რომ ლამაზია“... — იფიქრა ნესტორმა და იკითხა: — როდის უნდა მოვნათლო?

— როდესაც მას ნებადღესო, ასე თქვა.

ნესტორმა თითებით გამოუანგარიშა დედას, თუ რამდენი დღე მოუნდება ახლი ჩოხა-ახალუხის, მესტ-საცვეთის და ბოხოხის შეკერვას, — ძველს ტანისამოსში ხომ ვერ წავა, — და ბოლოს დაასკვნა: — ერთს კვირაზე აღრე მონათვლა არ შემიძლიაო.

— რაფარც შენ გსურდეს, შეილო! — დაეთანხმა დედა.

რამდენისამე დღის შემდეგ ნესტორ უქმიაშვილმა დათიკა გორდელაძის ოჯახი გააბედნიერა: მონათლა პატარა გოგი, რომელსაც ძვირფასი ოქროს ჯვარი დაჰკიდა გულზე, და დედას ცისფერი შალ-აბრეშუმის საკაბე მიართვა საჩუქრად. ნათლობა დათიკამ დიდის ამბით გადაიხადა: უშველებელ ვრძელ სუფრაზე ოც და ათამდე ქალი და კაცი იჯდა: წმინდა „ჩხავერი“ წყალივით იღვრებოდა და საქმელი ხომ იმდენი მოჰქონდათ, რომ ველარ ერეოდნენ: ინდოური „ჩასაცივებული“ და ინდოური შემწვარი, ქათამი „მოხრაკული“ და ქათამი შემწვარი, ბეჭი და ცვრიანი მწვადები, მთელად შემწვარი გოჭი და საუცხოო „ხაჭაპურები“ დაუსრულებლად ერთი-ერთმანეთს მოსდევდნენ. „დალუპულა კაციო“! — იძახოდნენ სტუმრები, — ეზოში აღარაფერი გაუშვია, სულ ერთიანად დაუხრიციაო! — დათიკას და მისს ცოლს არაფერი დაეზოგათ, რომ სტუმრებს ღირსეულად დახვედრიყვნენ. ბევრი ლეინო დაილია, მრავალი სადღევრძელოები წარმოითქვა და ლხინი მხოლოდ შუაღამისას გათავდა. შემდეგ გაისმა დოქრის და ჩონგურის ხმა და გაიმართა ცეკვა-სიმღერა. ახალგაზდა ქალ-ვაჟნი ჭრთმანეთს ეჯობებოდნენ — აბა ვინ უკედ იმღეროს ან იცეკვოსო. ნინო ამ დროს ქმარს ეხმარებოდა. სუფრის ალაგებაზედ; ორივე ცოლ-ქმარი დიდს ფაცა-ფუცში იყვნენ, რომ რაც შეიძლება მალე დაეცალათ ადგილი და მოცეკვართ მეტი ხალვათობა ჰქონოდათ. როცა ნინო სუფრის ალაგებას მორჩა, ზოგიერთებმა და სხვათა შორის თეკლემაც, სთხოვეს ლეკური ეთამაშა; ის პირველი ლეკურის მოთამაშედ ითვლებოდა ქვიანეთში: კმაწვილი ქალი აირია, სახეზე წამოაწითლდა და უარი სთქვა. ბევრს ეხვეწნენ,

მაგრამ არ იქნა, ვერ დაიყოლიეს; ბოლოს, მივიდა ნესტორი და სრულიად დარწმუნებულმა, რომ მის თხოვნას შეიწყნარებდა, უთხრა:

— ჩემო ნათლის-დედავ! გვეცე პატივი...

— თქვენი ხვეწნის ღირსი ვინაა, ბატონო, მარა არ შემოძლია...— მიუგო ნინომ.

— აბა, დავიჩოქებ და ისე გთხოვ!— სცადა ისევ ნესტორმა.

— ნუ გამირისხდები თუდა, რომ მომკლათ, არ შემოძლია!

ამ დროს დათიკამ, რომელიც შორი-ახლოს იდგა, უცერად მეზობელს ჩელიდან დაირა გამოსტაცა, ზედ ღონივრად ხელები შემოჰკრა და შესძახა ცოლს:

— აბა, ჩემო ცოლო, მასახელე!

დათიკას სახე ამბობდა: „ახლა შევიტყობ, გიყვარვარ თუ არაო“. ყმაწვილმა ქალმა გაუღიმა ქმარს, კეკლუცად გაშალა ხელები და გამოვიდა. გაისმა ტაშის ხმა. მაყურებელნი სულგანაბულნი აყოლებდნენ თვალს ამ ტურფა ქმნილებას, რომელიც შეუღარებელის სიკეკლუციტ ხან წრეს უვლიდა, ხან თვალვებ-დაშვებული კდებ-მოსილი შეჩერდებოდა ერთს წამს, ფეხებს გაათამაშებდა და მერე ისევ, თითქო გასაფრენად მოემზადაო, ხელებს გაშლიდა და შემოაუვლიდა.

ნესტორს თვალვები ფართოდ დაეღო და ისე, ხარბად მასტერებდა ამ მომხიბვლელს სურათს, თითქო ჩაყლაპვა უნდაო. ნინომ კიდევ რამდენჯერმე ჩამოიარა, ხალხს თავი დაუკრა და კუთხეში მიდგა.

— იცოცხლე!— აგაშენა ღმერთმა!— ცხონდა შენი გამხდელი დედა!— გაისმა აღტაცებული ხმა მაყურებლებში. სტუმრებმა მადლობა უთხრეს მასპინძელს, გამოეთხოვნენ და ნელ-ნელა დაიწყეს გარედ გასვლა. ნესტორი არ ჩქარობდა. როცა სახლი დაცარიელდა, ის მივიდა ნინოსთან, მაგრად ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— დღეს რომ არ გეცეკვა, ჩემო ნათლის-დედავ, ძალიანი გულ-ნაკლული წვიდოდი შინ, და ახლა უი...

— ჩემი ცეკვა რა სახსენებელია, ბატონო! — მიუგო ყმაწვილმა ქალმა. — დათიკას ბრალი იყო, თვარა არაფრის გული-ზა არ ვიცეკვებდი.

— ძალიან კი გყვარებია ქმარი, გეტყობა! ყველას უარბ უთხარი იმის მეტს. — უკმაყოფილო კილოთი შენიშნა ნესტორმა.

ყმაწვილმა ქალმა მხრები აიწია და იფიქრა: „ზომ არ გაგეჟდა, რას ამბობსო?“

— ასეა წესი, ბატონო: ცოლს ქმარი უნდა უყვარდეს და ქმარს ცოლი.

ნესტორი ამ სიტყვებზე როგორღაც სულელურად დაიღრიჯა და შემდეგ ჰკითხა:

— ჩემს ნათლულს სძინავს?

— დიალ, ერთხანს ითმინა საცოდავმა, მერე ჩიეძინა და იქე გაუზღელად დააწვინა ბებიამ.

— მინდოდა გამოვსთხოვებოდი. რა კარგი ბიჭია: უთხარი — ხვალ ბუდე მოვა „კაფეთს“ მოგიტანს-თქო. ნახვამდის; ნინო!

— ნახვამდის, ბატონო, ღმერთმა თქვენი კეთილი გული ნუ მოგვაკლოს!

ნესტორმა კიდევ ერთხელ მაგრად ჩამოართვა ხელი ყმაწვილს ქალს და გავიდა. ის მალე დაეწია დედა-მისს, რომელსაც ფარნა მაყაშვილი და დათიკა მიაკილებდნენ. ქიშკართან სტუმრები გამოეთხოვენ მასპინძელს.

შარაზე რომ გავიდნენ, ფარნამ მეგობარს იდაყვი ჰკრა გვერდში და ყურში ჩასჩუჩულა: „ძალიან კი უნებ მახეს, მარა ვაი თუ ჩემსავით ბრაწებბ დაგაყაროსო!“ და ხითხითით შინისკენ გასწია.

— შენ იმის ჯავრი ნუ გაქვს! მიაძახა მეგობარმა თავმჯობუნედ.

იმ ღამეს ნესტორს სანახევროდ არ სძინებია: გაშმაგებით ტრიალებდა ლოკინში, ოხრავდა, გმინავდა და სულ ნინოს სახე უდგა თვალ-წინ. „ახ რა მშვენიერი სანახავი იყო! ხელები

რომ გაშალა ჯა დაუარა, ასე მეგონა, ანგელოზი ჩამოსულა ზეციდან და თამაშობს-მეთქი“.... ნესტორმა სიამოვნებისაგან გაიღიმა, მაგრამ იმ წამსვე ღამილი გაუქრა და სახეზე ექვისა და ჯავრის ღრუბელმა გადურბინა: მას მოაგონდა, რომ ნინომ ყურადღება არ მიაქცია მისს მხურვალე თხოვნას, მაშინ როდესაც ქმრის ერთი სიტყვა საკმარისი იყო, რომ მხიარულის ღიმილით საცეკვაოდ გამოსულიყო. „ღვეიჯერო, ასე უყვარს ქმარი, ასე პატივს-სცემს?“ ეკითხებოდა თავისთავს, და თითქო ამ საკითხავის პასუხად, მოაგონდა ახალგაზდა ცოლ-ქმარის სახის გამომეტყველება, როცა იმათ ერთმანეთს შეხედეს და გაუღიმეს... ნესტორმა ჯავრით კბილები დაადრქიალა. იმ წუთს მას სძულდა დათიკა, რომელშიაც ხედავდა თავის გულის-თქმის მოწინააღმდეგე ძალას. „მურტალი ყაზახი!.. რა მისი საქმეა მაგისთანა ქალი? ის ჩემი უნდა იყოს!.. იქნება კიდევ...“ ნესტორი გადაბრუნდა მეორე გვერდზე და თითქო სანუგეშო აზრმა დაამშვიდაო, ბვალეები დახუჭა და ცოტა ხანს უკან ჩაეძინა. როცა ღილით გაეღვიძა, სიამოვნებით გააზმორა, რადგანაც წუხან დელი სიზმარი მოაგონდა: ვითომ ნინოს გულში იკრავდა და ვარდისფერ ტუჩებს უკოცნიდა...

VII

ნესტორმა დაიწყო ნინოსთან სიარული. არავის დათიკას ოჯახში არ მოსდიოდა თავში; თუ რა განზრახვით დადიოდა ნესტორი. აბა რას იფიქრებდნენ სხვას იმის მეტს, რომ მოყვარე კაცს როგორც გულუკეთილს ადამიანს არ შეეძლო ისე ჩაეველო იმათ ეზოს წინ, რომ არ შეეხვია, ამბავი არ ეკითხა და არ დაეყვავებინა თავისი მონათლული: კველანი პატივს-სცემდნენ „ნათლიას“ და განსაკუთრებით ნინო, რომელიც ყოველთვის მოღიშარის სახით გაეგებებოდა, სახლში შეიწვევდა და რითაც და როგორც შეეძლო გაუმასპინძლებოდა ხოლმე: მიართმევდა ხილს „ჯანჯუხას“, „ტკბილის კვერს“, არაყს და

თანაც ბოდის იხდიდა, თქვენი საკადრისი პატივისცემა ვის შეუძლიაო. დათქვა თუ სახლში იყო, მაშინ ისიც ალერსიანად შეეყრებოდა და ცოლს წაქეზებით ეტყოდა: „არიქა, აბა შენ იცი რაღა დაუხვდები ძვირფასს სტუმარსაო!“ დათქვას მოხუცი დედა თამარი კი ნესტორის მოსვლას ხომ ღვთის წყალობად სთვლიდა. და ისეთს სიხარულში შევიდოდა, რომ აღარ იცოდა, რითი ესამოვნებინა თავის „ბატონის შვილისთვის“. ასე გასინჯეთ, პატარა გოგონასაც არ უნდოდა სხვების უკან ჩამორჩენა, და დაინახავდა თუ არა შორიდან ნესტორს, ყვირილ-ყვირილით „ბუდუ მოდის, ბუდუ“ გაიქცევოდა მისკენ და გა: ბრწყინვალეების თვალებით მუხლებზედ ხელებს მოხვევდა. „ბუდუც“ აკოცებდა მას, პარკში გახვეულ ტბილეულობას ხელში მისცემდა და ეტყოდა: „თლად არ შექამო, ნენასაც მიუტანეო“.

თუმცა ამ რიგად ყველანი ერთნაირად პატავს-სცემდნენ და ქვეშ-ვეგბოდნენ ნესტორს, მაგრამ ის მარტო ნინოს აქცევდა ყურადღებას, მარტო მის კეთილ-განწყობილებას აფასებდა; და რადგანაც ეგონა ნინო იმიტომ მეველება ასე თავს, რომ მოვწონვარო, თან-და-თან მოუხშირა სიარულს და საჩუქრების ზიდვას. დრო ერთობ მოხერხებული იყო მისთვის, რადგანაც დათქვა ნესტორისგან საყანედ აღებულ მიწის წმენდასა და ხვნას შეუდგა და სანახევროდ შინ არ იყო.

მაგრამ გადიოდა დღეები, კვირები და ნინოს ნესტორთან დამოკიდებულებას იოტის ოდენა ცვლილებაც არ ეტყობოდა: ეს დამოკიდებულება ისევ ისე ჩვეულებრივი, გულწრფელი, წმინდა იყო, როგორც წინაზე. ყმაწვილი ქალის საქციელში ოდნადაც ვერ შეამჩნევდა კაცი რაიმე ორჭოფობას ან თვალთ-მაქცობას. ყოველს დროს, ყველა გარემოებაში ნინოს კეთილ-განწყობილება, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ერთს წერტილზე შეჩერებულიყო და გამოიხატებოდა გულ-კეთილს, ალერსიანს სტუმართ მოყვარეობასა და პატივისცემაში. ამის მიზეზი ის იყო, რომ ყმაწვილი ქალის გულში, რომელიც მთლად ერთიანად ქმარ-შვილის სიყვარულს აევსო, ადგილი აღარ ჰქონდა რაიმე დაბალს, ბინძურ-

ზრახვასა. ნესტორს ნინო უყურებდა, როგორც წათესავს, წათლიას, ოჯახის მოკეთეს, რომლისათვისაც ვალდებული იყო პატივი ეცა.

ამაოდ ცდილობდა ნესტორი თვალი მოეკრა ნინოს სახის მოძრაობასა, თუ თვალებში იმ გამომეტყველებისათვის, რომელსაც ასეთის გაშმაგებით ეძებდა იმისი პირუტყვული გულისთქმა. მართალია, ყმაწვილი ქალის შავი თვალები უწინდელის ალერსით ილიმებოდნენ, თეთრ-ყირმიზა ლამაზს სახეზე იგივე გულ-კეთილობა ეწერა და ვაჩდისფერ კოკობ ტუჩებიდან მუდამ ზრდილობიანი, ტკბილი სიტყვა-პასუხი სწყდებოდა, მაგრამ ყველა ეს მანც არ აკმაყოფილებდა ნესტორს, რომელსაც სულ სხვა რისამეს დანახვა და გაგონება სწყუროდა. ამ რისამეს დანახვას და გაგონებას დღითი-დღე ელოდებოდა და ამ მოლოდინში გადიოდნენ დღეები და კვირები. ბოლოს ნესტორი მწუხარებით უნდა გასტეხოდა თავის თავს, რომ საქმე ისე რიგად ვერ მიდიოდა, როგორც სასურველი იყო... უკმაყოფილების გრძობას ზედ ერაოდა კიდევ თავმოყვარეობის გრძობაც და ზუბედური მოტრფიალე თან-და-თან საძაგელს გუნებაზე ხდებოდა: იმას ვერა გზით ვერ მოენელებინა ის აზრი, რომ კეთილ-შობილმა კაცმა იკადრა თავისი ნაყმევის ქალის გაარშიყება, და ამან კი შორს დაიჭირა ეგ ამბავი, ყურიც კი არ ათხოვა მას... ამასთანავე ნესტორს საშინლად აბრაზებდა და კიდევ უფრო უმწვავებდა თავ-მოყვარეობას ფარნას მუდმივი დაცინვა:

— რა ჰქენი? გამოგავლეს პირში ჩალოა? — ჰკითხავდა ის თითქმის ყოველ დღე უქმიაშვილს, რომელსაც ჯავრისაგან სახე ქარხალივით გაუხდებოდა ხოლმე.

— შენი კესა ხომ არ გგონია, რომ მიმინოსავით დაუწროუბუნო და მაშინადვე საქნიელზე მოვიდესო! — უპასუხებდა ამაზე გაჯავრებული მეგობარი.

— კესა ახლა „ასტავკაშია“. — უთხრა ერთს დღეს უზრუნველის სახით ფარნამ. — ახლა სხვა ვარდი მოვწყვიტე, კილა უფრო სუნიანი... იმასთან შენი ნინო „ფასა“!...

„ფარნას აგერ მეორე აუჩენია და მე კი ჯერ ერთთანაც ვერაფერი გამიწყვილია“ — ფიქრობდა მეორე დღეს გულ-დაძმარებული და დაღვრემილი ნესტორი, რომელიც ბოლთას სცემდა თავის სახლის ბალკონზე. უეცრად სახე გაუწათლდა, თითქო რაღაც სასიამოვნო აზრმა გაუელვო თავშიო. „მოდი წიგნს მივსწერ“, — გაიფიქრა მან: — სიყვარულს გავუცხადებ! იქნება არ იყოს მიმხვდარი, რისთვისაც დაედივარ?... ამისთანა საქმეში პირდაპირობა სჯობია... იმან საჩქაროდ დასწერა ბარათი, რომელშიაც ზეცაცა და დედამაწაც მოჰყავდა მოწმედ იმისა, რომ გაგიჟებულია ნინოს სიყვარულით და თუ არ შეიბრალო და არ თანაუგრძნო, მაშინ გადაწყვეტილი აქვს შუბლში დამბაჩა იკრას; შემდეგ ჩასდვა ბარათი კონვერტში, ქუდი დაიხურა და დათიკას სახლისკენ გასწია...

ქიშკართან თავის ნათლულს შეხვდა, რომელიც შარაზე გამოსულიყო და ტოლ-ამხანაგებთან თამაშობდა.

— ნენაი შინაა? — ჰკითხა ნესტორმა.

— სინაა. — მიუგო ყმაწვილმა, რომელიც გაკვირვებით შეჰყურებდა „ბუღუს“, რატომ არ მეფერება და „კაუფეს“ არ მადღევსო.

— ბაბაი?

— ბაბა ალა, — კანასი.

— აბა აგი წიგნი ნენას მიუტანე. „ბუღუმ“ მომცა-თქვა, ასე უთხარი, სხვას არ მისცე!

— ალა!

გოგი ხტომა-ხტომით დედასთან გაიქცა, ნესტორმა კი იმედ-მოცემულმა, რომ ამას შემდეგ საქმე კარგად წავიდოდა, ფარნასას გასწია, რომლისთვისაც სიტყვა მიეცა — დღეს ერთად „დრო გავატაროთო“.

გოგომ მიირბინა დედასთან, წერილი მისცა და უთხრა:

— ბუღუმ მითხრა, ნენას მიეცია.

* ნინომ გამოართვა ბარათი, გახსნა და დაიწყო კითხვა. კითხვის დროს ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა, ბოლოს, როცა დაასრულა, ბავშვს გაჯავრებულის ხმით შესძახა:

— ვინ მოგცა აგი წიგნი?

— ვინ და ბუდუჟ, ბუდუმ!.. ველ გეიგონე, ყული ალ გაქ, ჰვი!

— არ გამოართვა აწი, თვარა ტყავს გაგაძრობ!—გაანჩხლებით უთხრა დედამ, რომელმაც წერილი ნაკუწ-ნაკუწად დახია და გადაყარა.

ბავშვმა გაკვირვებით შეხედა დედას, რადგანაც ვერ გაეგო ასეთი გულის მოსვლის მიზეზი, შემდეგ როგორღაც უცნაურად დაიღრიჭა და მიტოვებულ ამხანაგებთან გაიქცა.

— „უსვინიღისო, უსვინიღისო“!.. — იმეორებდა ყმაწვილი ქალი, რომელსაც ლოყები ჯავრისა და სირცხვილისაგან ცეცხლივით ანთებოდა, ხელები თავის-თავად ეკუმშებოდნენ და თვალები მრისხანებით უელავდნენ. „რაფა იფაქრა აგი საშინელი, იმ ღვთის პირიდან გადავარდნილმა, რაფა? მირონი აღარ სწამს იმ უსჯულოს მაინც, მირონი? მაგიც რომ არ იყოს, მე დათიკას ვუღალატებ? დათიკას, ჭეყანაზე რომ იმის ფასი აფერი მყავს! მანამღი გვერდები არ აუღგეს, ვინც მაგი იფაქრა! აბა, ამიზა დეთრევოდა ყოველდღე ჩვენსას!.. მე კისულელს მეგონა, მოყვარე კაცია, პატივს-გვცემს და ამიზა დაღის-მეთქი!.. რა პირით მეჩვენება აწი ნეტა, რა პირით?.. მაზა სირცხვილის დონი მჭადი არ უჭამია, მგონია, და რეიზა უნდა შერცხვეს!.. თავს მოვიკლავო... გინდა მოიკალი და გინდა ჩამოიჩრვე! შენი თავის გახეთქამ შავებს ჩავიცვამ შენი გულიზა მაშინადღე“!..

თამარი ამ დროს მეზობლისას იყო; როდესაც დაბრუნდა, შეამჩნია, რომ რძალი როგორღაც უგუნებოდ იყო და მიზეზი ჰკითხა.

— ისე რაცხა... არ ვარ კარგად.—მიუგო ნინომ.

მეორე დღეს დილით უწინდელზედ უფრო კიდევ კოხტად მორთულ-მოკაზმული ნესტორი პრანქვა-გრეხით დათიკა გორდელაძის ეზოში შედიოდა და ფაქრობდა: „ვნახოთ ერთი იმ წიგნზე რას იტყვისო“. ნინოს, რომელიც ამ დროს სახლის-წინ

იჯდა და რაღაც საკერავში იყო გართული, არ შეუმჩნევია, როგორ მივიდა მასთან ნესტორ?

— დილა მშვიდობის, ნინო! შეესალმა ის ხმა-მაღლა და მხიარულად.

ყმაწვილმა ქალმა აიღო თავი და შეხედა თავის დიდრონის შავის თვალებით, რომლებშიაც გამოიხატა უსახდერო ზიზღი და რისხვა, იმან თავის დაკვრაც არ აღიქმა, ერთი სიტყვა არ უთხრა და მხოლოდ გულში იფიქრა: „რაის შუბლი აქ ამ უსირცხველოს, რავა მევიდა ჩემთანა“?...“

— „ბუდუ, ბუდუ!“ — მოისმა საიდანღაც წკრიალა მხიარული ხმა და თვალის დახამხამების უმაღლეს ნესტორის წინ გაჩნდა გოგი, რომელმაც პაწაწა ხელები მუხლს ზემოდ ცალ ფეხზე მოჰხვია, ზედ ჩამოეკიდა და უკან თავგადაღებულმა თვალებში ცქერა დაუწყა.

— რას ებლაუქები? ვერ წახვალ შენდა და ვერ ითამაშებ! — შესძახა გაჯავრებით დედამ.

— რას ერჩი მაგ კაცს? — წაესარჩლა ნესტორი ყმაწვილს, რომელსაც თავზე ხელი გადაუსვა, და ამოიღო რა ჯიბიდან ფორთოხალი, ხელში ჩაუდგა.

„ქკუა რომ ჰქონდეს, ცხვირ-პირში უნდა მიარტყას!“ — იფიქრა ყმაწვილმა ქალმა, რომელსაც გულზედ ხეთქდა უქმიან შვილის ასეთი შეუპოვრობა და თავხედობა. იმას აღეძრა ძლიერი სურვილი დაეყვირა შვილისთვის, იქით გადაადგეო, მაგრამ თავი შეიმაგრა. გოგი ჯერ ფორთოხალს დააცქერდა, რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა ხელში, მერე როგორღაც გაუბედავად დედას შეხედა, თითქო არ იცის, რა უყოს საჩუქარსო და რა შეამჩნია, რომ დედა აღარ უყურებდა, ჯერ ნელა რამდენიმე ნაბიჯი წასდგა წინ და შემდეგ რაც ძალი და ღონე ჰქონდა სახლისკენ მოჰკურცხლა.

თამარი ამ დროს სახლში სადილს ამზადებდა და გაიგო თუ არა გოგიასაგან ნესტორის მოსვლა, მაშინვე გარედ გამოვდა და აღერსიანად მოლიმარის სახით სტუმარს მიესალმა:

— ჩემო რძალო! რაით გაუჟმასპინძლდეთ აწი ნესტორს? — დაფაცურდა ის ჩვეულებისამებრ.

— ჰაწაი სანთლის „ოტკა“ გვქონდა და ქე დელიია... ხილი კია მგონი?...

— არ ვიცი. — თავ-აუღებლად უკმაყოფილო ხმით მიუგო ნინომ.

— ნუ ირჯები, თამარ! ღმერას გეფიცები, არაფერი არ მინდა! — მიუგო ნესტორმა გულზე ხელის მიდებით, და ძალ-დატანებულმა ღიმილმა უსიამოვნოდ სახე დაუვრინა.

— დედა, რომ წახვიდოდე და დათიკას სადილს მალე მოუ-მზადებდე უკეთესი კი იქნება, აგერ-აგერ სადილობის ბორჯი მოაწვეს. — უთხრა რძალმა თამარს და ახედა მზეს, რომელიც კარგა მალა აწეულიყო.

დედამთილს როგორღაც ეუცხოვა რძლის კილო და გა-კვირვებით შეხედა ყმაწვალს ქალს; მერე თვალი ნესტორზე გადიტანა, რომელიც ამ დროს თავ-ჩაქინდრული ჰაპირასს გრებდა, წარბების აწევით რაღაც წაბუტბუტა და სახლში შე-ვიდა.

ნესტორი ატყობდა, რომ ნინო გაჯავრებული იყო, მაგ-რამ კარგად კი არ იცოდა წიგნის წაკითხვამ დააყენა ასეთს ცუდს გუნებაზედ, თუ სხვა რამემ: ცოტაოდენი გამარჯვების იმედი კიდევ ბუტავდა მის გულში. ის ახლოს მივიდა ყა-წვილ ქალთან და დაბალი ხმით ჰკითხა:

— რაცხა გაჯავრებული ხარ, ნინო? მე ხომ არ მიწყრე-ბი?..

ამ სიტყვებზედ ქალმა თავი აიღო, და ნესტორმა შეამ-ჩინა, რომ უკანასკნელს სახე საშინლად გაუჟუთრდა და ტუ-ჩებმა თრთოლა დაუწყეს. „ვაიჲ! რაღა გავაფუქე საქმე!.. რად მივსწერე იგი წყეული წიგნი?!“

— თქვენთან ლაპარაკი არ ღირს!.. თქვენ... თქვენ უსირ-ცხვილო ყაფილხარა!.. — ძღვეს წარმოსტევა სულ-შეგუბებულის ხმით. ყმაწვილმა ქალმა, რომელიც ფეხზე წამოდგა და ამაყად

ყელ მოღერებულმა კიდევ ერთხელ უკანასკნელად გადაავლო ზიზლით და მრისხანებით ავისილი თვალი და სახლში შევარდა.

ნესტორი, სახე გაქარხლებული, შეწუხებული და გაბრაზებული თავისთავზე, ნინოზე და მთელს ქვეყანაზედაც, გაშტერებით იღგა და არ იცოდა, რა ექნა. მრავალი სხვა-და-სხვა გრძობა იბრძოდა მის გულში და ჯერ ვერც ერთს ვერ გაემარჯვნა, რომ რომელსამე გარდაწყვეტილებაზე დაეყენებინა: აქ შელახული თავ-მოყვარეობაც კი იყო, სირცხვილიც, შურისძიებაც, სინანულიც დაკარგულის ბედნიერების გამო და წადილიც ქალის შერიგებისა... კარგა ხანს იღგა. აგრე ერთს ადგილას, ბოლოს ხელი გაიქნია, რაღაც წაიბუტბუტა და შინისკენ გამოსწია.

ამ დროს თეკლეს სუფრა გაეშალა და წუთით-წუთზე შვილის მოსვლას ელოდებოდა. ის დამჯდარიყო ბალკონზე და მწარე ფიქრებში გართული ვარდისფერ შალ-აბრეშუმის ახალუხს ლილებს უკეთებდა. ფიქრები დაჟინებით გარს უტრიალებდა ერთსა და იმავე საგანს, რომელიც ისეთი სამწუხარო, ისეთი უნუგეშო იყო, რომ საბრალო ქალს გული უღონდებოდა და თვალი ცხარე ცრემლებით ევსებოდა. ამ ბოლო დრომდე თეკლე ბევრ რასმეს მოელოდა შვილისაგან: მუშაობას! მოჰკიდებს ხელს, ოჯახს მოუვლის და უპატრონებსო, დაცოლ-შვილდება, პატიოსნად იცხოვრებს და მეც ტკბილად მოსვენებით გავატარებ ჩემი სიბერის უკანასკნელ დღეებსო. ახლა კი ხედავდა, რომ იმედები გაუტრუვდა. „აგერ ორი თვეა, რაც ჩამოსულა და არც ერთხელ არ მახსოვს, რომ მთელი დღე შინ გაეტარებინოს“, — ფიქრობდა თეკლე. — „გათენდება თუ არა, ქულს დაიხურავს და გასწევს... საღ დადის და რას აკეთებს, ღმერთის მეტკმ არაინ იცის... ხან სადილზე უნდა ვუცაღო, ხან ვახშამზე: ვუყურ-ყუტებ, ვუყურ-ყუტებ და რომ აღარ მოვა, დავჯდები მარტო-კა, მარა ყელში ლუქმა რაღა გადიარს!... აღარც სიბრალული აქ, ვთქვათ, გულში?... რომ ჰქონდეს, რაღა დამაგდებდა ასე უპატრონოდ, ასე საწყალად! . მეერ საწყალს დედას მოაგონდა შვილის ქუთაისიდან ჩამოსვლის პირველი დღე, — ოჰ, ეს დღე სიკვდილამდინ

არ დაავიწყდება, — როდესაც დედის ამდენი ხნის უნახავმა ფარ-
ნა მაყაშვილს მიაშურა და ლამეც იმისას გაათია, როგორ მო-
ვიდა მეორე დღეს დილით დაწითლებულის თვალებით და რა
საზიზღარი ღვინის სუნი ამოსდიოდა პირიდან... რამდენჯერ მას-
უკან ნესტორი მთვრალი მოსულა შინ!... ღმერთო დეილოცა
შენი სახელი: რამდენი უკეთურია დედა-მიწის ზურგზე, რომ
რიგიანი შვილები გამოუვიდათ, და ჩვენ კი... რა დავაშავეთ
ამის ფასი?..“ თეკლე მხურვალე გულით ევედრებოდა ცას, რომ
კეთილი აზრი ჩაენერგა შვილისთვის და სწორს, პატროსანს
გზაზე დაეყენებინა.

ხან-და ხან ის აიღებდა თავს და ცრემლით დანამულის
თვალებით გზისკენ გაიხედავდა. რამდენისამე ხნის უკან გამო-
ჩნდა ის, ვიზედაც ფიქრი ჭირსავით ღრღნიდა საბრალო დედის
გულს.

„აბა ერთი ტკბილი სიტყვა თუ მითხრას და დამწუხრე-
ბულ გულს ნუგეში სცეს?“ — იფიქრა თეკლემ.

— დედა ჩემო, სადილი ხომ არ შეგიჭამია? — ჰკითხა ნეს-
ტორმა მოხუშულის სახით კიბეზე ამოსვლის უმაღლ.

— როდის იყო, შვილო, რომ სადილი შეგიჭამე? რავარც
სხარმის, ახლაც ისე გიცდიდი... — მიუგო დედამ ათრთოლებუ-
ლის ხმით და ცრემლების ყლაპვით.

— ძალიან დიდი საქმეა, ნახევარი საათი თუ იცადე! ხომ
არ მოკვდებოდი?

ამ სიტყვებმა დანასავით დაუარა გულში თეკლეს და მწუ-
ხარების ფაღალა ერთბაშად აივსო: შეგუბებული ცრემლთა გუბე
გადმოსკდა თვალთაგან და ღაბა-ღუბით დაედინა მჯავრით მო-
კლულს სახეზედ...

— რა გატირებს, დედა-ჩემო? — ჰკითხა შვილმა ცოტა უფ-
რო რბილის ხმით.

— რა მატირებს? ვერ მიხვდი? თვითონ უნდა იცოდე...
ალარ გიყვარვარ, შვილო, აღარაფრად მიგაჩნევარ... — ქვითი-
ნით ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეუბნებოდა დედა.

— რაზე მამჩნევ, რომ აღარ მიყვარხარ?

— იმაზე, რომ ჩემთან ერძს წუთს მოცდა არ შეგძლია... სულ გარედ ხარ, სულ ტყისკენ გიჭირავს თვალი... მე კი მხოლოდ შენის იმედით ვცხოვრობ ქვეყანაზე... რეიზა არ გებეჭალები, რეიზა?

— დედის ტანჯულებს, სახემ, ცხარე ცრემლებმა და ამ დაკოვნილი გულის სიღრმიდან ამომხდარმა ნაღვლიანმა სიტყვებმა გაუღვიძეს ნესტორს მკერდში დიდის ხნის მიძინებული და მივიწყებული გრძობა, რომელიც სხვა წადილებს და უგრძობ ბებს დაეჩაგრათ და სადღაც გულის უკანა კუნჭულში მიეგადოთ. ეხლა უეცრად ეს გრძობა შეიძრა და ნესტორს გაუკვირდა, როგორ დაივიწყა ასე დედა, რომ ერთხელაც არ დაფიქრებულა იმის უნუგეშო მდგომარეობაზე, როცა მარტომ მარტო კარ-ჩაკეტილი იჯდა ხოლმე სახლში და ის კი სიძმობნებით გარედ ღროს ატარებდა!...

— კაი, დედა ჩემო! ნუ ტირი, შენი ჭირივე! — უუხრა და ყვავებით შეიღმა, რომელმაც ხელი კისერზედ მოჰხვია და შუბლზე აკოცა. — თუ საწყენად გექ, აწი სახლიდან ფეხსაც არ გადავაბიჯებ არსად.

საბრალო თეკლეს სახე გაუნათლდა.

— არა, მაგას რავე გეტყვი, არსად წახვიდე-მეთქი, — მიუგო მან თვალების წმენდით: — ყმაწვილკაცს მაგი რავე მოეშლება, მარა არც ოჯახი უნდა მოიძულო, ყოლიფუც დროზე უნდა.

— კარგი, კარგი! წვევიდეთ, სადილი ვჭამოთ, საშინლად შშია. — მხიარულად უთხრა ნესტორმა, ხელი მკლავში, სტაცა და სახლში შეიყვანა.

სადილმა მხიარულად ჩაიარა. ნესტორი ახალ-ახალ ამბებს ლაპარაკობდა, რომელიც ქალაქში გაეგონა, დედა კი სიამოვნებით გაღივებული სახით უსმენდა და სულ იმის ფიქრში იყო, იქნება ღმერთმა მომხედოს და გზა-დაბნეული შეილი უფნაზე მიაყვანოს.

მართლაც, ამას შემდეგ ნესტორმა, ოთხი დღე დაჰყო სახლში, მაგრამ ვაი იმისთანა ყოფნას! უსაქმობა და ჩვეულის ვერ

მოეფიქრებინა, როგორ მოეკლა დრო და მოწყენისაგან წამ-
და-უწყუმ ამოქნარებდა. უფრო ხშირად ეძინა, თუ არა და ახა-
ლუხის ამარა წელზე ხელებ-დაწყობილი ეზოში ან ბალკონზე
ბოლოას სცემდა. იმას თან და თან მოთმინება ეკარგებოდა,
და ერთი სული ჰქონდა, სინამ ქიშკარს ვაღებდა და გაიზა-
რებოდა.

ამ მდგომარეობაში ძყო ეს, როდესაც საღამოზე ფარნა-
საგან წერილი მოუვიდა, ძალიან საჭირო საქმე მაქვს შენთან
და მნახეთ. ნესტორსაც ეს უნდოდა: ზმ წამსვე ტანთ ჩაიცვა,
დედას მისძახა — ახლავე მოვალო, და გასწია.

ნესტორს დათიკას ეზოს წინ უნდა გაეწვლია და გზაში
იფიქრა, მოდი ერთი შევალო, მაგრამ მერე ისევ გამოიცვალა
აზრი: „დაქმუშდეს ჯერ გული, შემდეგ უფრო ადვილი იქ-
ნება შერიგება“ — იფიქრა მან.

იმას გარდაწყვიტილი ჰქონდა, აღარ ენახა დღეს ნათლის-
დედა, როდესაც უეცრად თვალი მოჰკრა შარაზე იმას, ვიზე-
დაც ფიქრობდა: ნინოს წყლით სავსე დოქი მხარზე გაედგა და
შინისკენ ნელის ნაბიჯით მიდიოდა. მარჯვენა ხელი დოქის-
თვის მოეკიდა, მარცხენა წერწეტ წელზე შემოედკა და ისე-
თის თავისუფალის სიკეკლუტით და სიამაყით მიაბიჯებდა, რომ
კაცს თვალს მოსტაცებდა.

ნესტორს აღარ მოუთმინა გულმა და დაეწია.

— ნინო! დაუძახა მან უკანიდან.

ქალმა ხმა არ გასცა და განაგრძო გზა.

— ნინო!... — განუთმეორა ისევ და გვერდით ამოუდგა.

— რა გნებავს? — ცივად ჰკითხა ბოლოს ქალმა.

— რა დავაშავე ამის ფასი, რომ ხმასაც აღარ მცემ? თუ
შევცდბ, მაპატივე... — უთხრა ნესტორმა, რომელმაც ცოტა წინ
წაასწრო და თვალბში ჩააცქერდა. იმან თითქო შეამჩნია,
რომ შექმუხენილი წარბები გაეშალა, მოკუმშული ტუჩები მო-
ეშვა და მკაცრმა სახემ თითქო აღერსიანი გამომეტყველება
მიიღო... დიად ყმაწვილი ქალი მზად იყო ეპატივებია, ყველა-
ფერი დაევიწყა...

— მაშ შემირიგდი? მე გატყობ; რომ შემირიგდი... — ნესტორი ისე ახლოს მიდიოდა ქალთან, რომ იმათი მხრები ერთმანეთს ეკვრებოდნენ და ეს სიახლოვე რაღაც ტკბილს ერუჯნებოდა ტელს უჩინდა სხეულში და გულს უზნებდა.

ყმაწვილმა ქალმა გაულიმა და უთხრა:

— შეგირიგდები, თუ პატიოსანს სიტყვას მომცემ, რომ დღეის იქით დასავით მიყურო.

დასავით! ესე იგი გამოეთხოვოს სამუდამოდ თავის გულის-თქმას, რომელიც დღე და დამ მოსვენებას არ აძლევს, სიახლოს უღუღებს, ხან შფოთვისა და განწირულებაში შეჰყავს და ხან ნეტარებითა და იმედით უვსებს გულს? ეს იმას ნიშნავს, რომ დღეის იქით ისე გულ გრილად უყუროს ამ მომხიბვლელ არსებას, თითქო ზგი სიცოცხლით სავსე, ვერცხლის წყალივით ცქრიალა, ყმაწვილი ქალი კი არა უსულო, მკვდარი სურათი იქოს?... არა, ეს შეუძლებელია! ძალიანაც რომ მაინდომოს, განა გულს შეუძლია დათმობა?... თვალებს ხომ ვერ დაიხრის?... ნესტორმა შეხედა ქალს: რა მშვენიერებაა! წერწეტი ტანი, უხვი გულ-მკერდი, ხშირი ნაწნავები... და ეს მალალი ამაყად მოღერებული კისერი, თოვლივით თეთრი, ზამბასავით რბილი...

ყმაწვილი კაცი ვნებით ანთებულის თვალებით დაშტერებოდა ამ კისერს და ისე ახლოს მიეტანა სახე, რომ ანათლად ამჩნევდა ზედ ძარღვების ძეგრას...

ქალი თუმცა ჰგრძნობდა ცხელს სუნთქვას, მაგრამ არასამბობდა და ჩუმად მიდიოდა წინ... ერთი წამიც კიდევ და გონება-დაბნეული ნესტორი წყნარად შეეხო ტუჩებით კისერზე... თითქო ნემსით მაგრად უჩხვლიტესო, ქალი შეკრთა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მარცხენა ხელი მატყლი აიჭნია და შიგ სახე შტ მოარტყა...

— ჯერ აგიც გეყოფა! — დაატანა მან და განაგრძო წხა.

ნესტორი ისე გააშეშა ამ მოულოდნელმა შემთხვევამ, რომ ენა ყელში ჩაუვარდა და დიდ ხანს ადგილიდან ფეხი ვერ დაეძრა. მხოლოდ რამდენისამე წამის უკან, როდესაც ყმაწვილი ქა-

ღი თავის ეზოს კიშკარში შევიდა და თვალთაგან მიიმალა, მხოლოდ მაშინ გამოირკვა გაშტერებისაგან და მიხვდა, რომ შეტრაცყოფხ. მიაყენეს.

— აბა ასე, ჰა! მე შენ ომს შიცხადებ? კარგი, ვნახოთ, ეინ. გაიმარჯვებს! — წარმოსთქვა მან გულში მჯილის ცემით და კბილებით კრაქუნით და ფარნასას გასწია.

VIII

ახლა დაეუბრუნდეთ ისევ ჩვენი ამბის დასაწყისს. მკითხველს უთუოდ ახსოვს, რომ მეორე დღეს ამ შემთხვევის შემდეგ ნინოსა და დედამთილ შორის ლაპარაკი ჩამოვარდა ნესტორზე, რომლის საზიზღარ განზრახვას იმ ზომამდე აღეშუოთებინა ყმაწვილი ქალი, რომ იძულებული შეიქნა ყველაფერი გაეძილა. ისიც გაიხსენოს, იქნება, მკითხველმა, რომ ამ საუბრის უკან ნინომ თავის ქმარს საღილი წაუღო ყანაში.

იმ დღეს დათიკა ჩვეულებრივზე გვიან დაბრუნდა. შინ თითქმის დღე და ღამე იყრებოდა, როდესაც დაქანცულმა და ოფლში გაწურულმა თოხი სახლის კუთხეში წაიყუდა, დაჯდა იქვე დაბალს სამფეხა სკამზე და ხელ-პირის და ტალახში მოსვრილ ფეხების ბანა დაიწყო წყაროს წყლით, რომელიც ყანიდან წამოიღო, ამდროს სახლიდან პატარა გოგი გამოხტა.

— ბაბა! ბაბა! — მხიარულად მიაჭახა მან, მიიჭრა მასთან და უკან დან ხელები მოხვია.

— გაიმარჯვობა, გოგი! რაგვა შენი საქმე? ხომ არ გშია, ბიჭო? — ეკითხებოდა დათიკა აღერსით ბავშვს, რომელიც ზურგზე შეჭჯდომი და ღიმილით დასცქეროდა მამის ბანჯვლიან მსხვილ-მსხვილ წვივებს.

— ა-ლა, ა-ლა, ა-ლა! — ღიღინით უპასუხა ზვიდან გოგინ და შემდეგ დაუმატა: — ლამხელო ფეხი გაქ, ბაბავ!

— კაი, ბიჭო, ჩამოდი ძირს! წელში ნუ გამტეხე უთხრა მამამ, როდესაც ფეხების ბანას მორჩა.— პაწაი გგონია შენი თავი, თუ რაფა ფიქრობ?

გოგიმ ხელები შეუშვა და ძირს ჩამოვიდა.

— პაწაი ვალ, აბა დიდი? სენი ფეხებია დიდი, ავალა მე კი ალა!

— დედა შენი სადაა, ბიჭო?

— ალაა შინ, წვიდა

— სად წვიდა?

— ალ ვიცო.— მიუგო გოგიმ ხელების შლით და მამის მუხლზე აცოცდა.

დათიკამ დაუწყო ბავშვს დაყვავება, ხან გულში ჩაიკრავდა, ხან ხუჭუჭ თმაზე ხელს გადუსვამდა, ხან ილლიაში უღიტინებდა. გოგი, სკდებოდა სიცილით და, ბედნიერი მამაც მთლად თვალებიანად იცინოდა, თითქო ამ პატარა არსებეს თავ-დაუქერელი მხიარულება იმასაც გადაედვაო.

ამ დროს თამარიც გამოვიდა სახლიდან და გულ-კეთილის ღიმილით დაუწყო ცქერა მამა-შვილის აღერსს.

— აწი აღარ მოკუორდება, მაგი ეშმაკი!— სთქვა მოხუცმა ქალმა და მერე მიუბრუნდა შვილის-შვილს: — „მართალი თქვი, ვინ უფრო გიყვარს, ბიჭო, ნენა, თუ ბაბაი?

გოგიმ, რომელიც ამ საკითხავს სრულიად არ მოელოდა, აღარ იცოდა, რა ეპასუხნა, მით უფრო, რომ ამ დროს მამის უღვაშების გრეხაში იყო ღრმად, გართული.

— ლაი თქვი, ლაი?

ბებიამ განუმეორა კითხვა.

— ნენაიც და ბაბაიც.— მიუგო გოგიმ ცოტა ხნის ჩაფიქრების შემდეგ.

ორთავე დედა-შვილს სიცილი შესკდათ.

— აბა რა ეთქვა ამ კაცს?— გაამართლა დედათიკამ.— არც მე მაწყენია, არც ნენას.

ქკუიანი ბიჭია, ქკუიანი, ჩემი გოგი!

— მართლა, ნინო სადაა, რომ არ ჩანა, დედა-ჩემო?

— იკითხა მან ბოლოს.

— რაცხაიზა დღეს ძროხამ დაიგვიანა მოსვლა და იმის საძებრად გადაიარა.— მიუგო დედამ.

— ყოლთვის დროზე მოდიოდა იგი სამგელე და დღეს რა ღმერთი გაუწყრა? აბა ვახშმის საქმეც გლახად ყოფილა!

— არა, მკადს აკლია ცოტა გამოცხოება, თვარა სხვა ყოველიფერი მზადაა.— მიუგო დედამ და თითქო იმის დასამტკიცებლად, რომ ვახშამი სრულიადაც ახლა საზრუნავად აღარ აქვს, სახლიდან სკამი გამოიტანა და შვილს გვერდით მოუჯდა.

— გეტყობა ძალიანი დაღალულო ხარ, შვილო?— ნაზის მზრუნველობით უთხრა იმან, რა დაინახა, რომ დათიკამ პერანგის ღილი გაიხსნა, გული გადიღელა და წყლიანი დოქი პირზე მოიყუდა.— რეიზა დეიგვიანე ასე? უფრო ადრე მევიდოდი, დევისვენებდი, თავი რომ მოიკლა მუშაობით, ვითამ რა მადლია?

— რა ვქნა, დედა-ჩემო! ხელ-მარტო კაცის საქმე ასეა: აგერ ღმერთი გოგის მოგვასწრებს, მაშინ მოვისვენოთ, წამოვწვეთ ლოგინზე და სულ ვიკატრიალოთ! მაგი იძუშავებს ჩვენ მაგიერად... არა, ბიჭო?

გოგინ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, თუმცა მაინცა და მაინც ნათლად არ ესმოდა, რაზედ ეკითხებოდნენ.

— ხვალ, რავარც იქნება, გავათავებ მარგვლას, — განაგრძო დათიკამ, — დიდი ნადი მყავს შეწეული. აბა თქვენ იცით და თქვენმა ქალობამ რავა მაინძელი დაგვიხვდებიო!

— რამდონი კაცი იქნება?

— ბარე თვრამეტი, სულ არჩეულ-არჩეული ბიჭები... ააშენა ღმერთმა იგინის ოჯახი: ერთი კაკალს ვარი არ უთქვამს.

— რეიზა გეტყოდნენ, შვილო, ვარს! — ყველას უყვარხარ და პატივის-გცემენ. — უთხრა დედამ, რომელიც სიყვარულით სავსე თვალებით უყურებდა შვილს და ცოტა ხანს უკან დაუმატა: — დღეს დილას ნიკო ლომიძემ გამოიარა ჩვენსას გზად, ქალაქში მიდიოდა...

— მერე?..

— მერე და შენზე დეიწყო ლაპარაკი...

— ლეიზა ალ მეილა, ბაბა, ბუდუ, ა? ლეიზა? ალ მუა აწი? ცემი ბაბაი, ა?—აუხირდა ამ საუბრის დროს გოგი.

— გაჩუმდი, ბიჭო, ყური ნუ წვილე ტიტინით!—გააწყვეტინა სიტყვა ბებია, რომელსაც „ბუდუს“ ხსენებაზე უსიამოვნების ღრუბელმა გადღურბინა სახეზე, წარბები შეიჭმუხვნა და როგორღაც ეჭვიანად შეხედა შეილს:—ჰო, იმას ვამბობდი, — განაგრძო მან, — ნიკო ლომიძეს საშინლად უკვირს, რომ შენ მამასახლისობაზე უარს ამბობ. პატროსანი თანამდებობაა და რეიზა არ უნდაო. იგიც თქვა, ახლანდელ მამასახლისს, სოკულის ქირი და ლხინი ფეხებზე ჰკიდია და ამასთან ისე გაგულდილდა ამ ბოლოს, რომ გინდა გლახს უთქვამს, რამე მისთვის და გინდა უკანასკნელს ძუნკალ ძალს დაუყეფიაო. დათიკამ ყურადღებით მოისმინა დედის ლაპარაკი და თავი გაიქნია.

— თუ იგი არ ვარგა, კაცი რამ დალია ქვეყანაში?—უთხრა მან დედას და ამოიღო რა ჩიბუხი და ქისა ჯიბიდან, თუთუნით გატენა. — გოგი, მაცალე, ერთი ჩიბუხი მოგწიო. — მიუბრუნდა ბავშვს და მუხლიდან ძირს ჩამოსვა.

— ცეცლი მოიტანო, ბაბა?—ჰკითხა გოგმი.

— მეიტანე, შეილო, მეიტანე!

გოგი შურდულივით გავარდა.

— სხვა ამას ვერ დასძლევსო, ასე თქვა ნიკომ:—განაგრძო ისევ თამარმა. — ძალიან მაგრად უის ადგილზე, დიდი „პარტია“ ჰყავს და ბოჭაულიც მისი მომხრეაო. იმისთანა ვინმე უნდა შევატეკოთ, სოფელში რომ პატროსან და მარჯვე კაცად ყველაი იცნობდესო. მაგისთანა სხვა არავინ მეგულება დათიკას მეტიო.

დათიკამ გამოართვა შეილს მუგუზალი, რომელიც იმან თვალის დახამხამების უმაღლ მოარბენინა, თუთუნით მაგრად გატენილს ჩიბუხს დაადვა და რამდენჯერმე ზედი-ზედ მოსწია.

— ჰა, წვილე და ცეცხლს შეურთე, სხვაგან არ დააგდო სადმე, არ დაგვწვა. — ამ სიტყვებით მუგუზალი ისევ გოგის გადასცა და შემდეგ დედას მიუბრუნდა:

— არა, დედაჩემო, მამასახლისობა ჩემი საქმე არ არის!

— რატომ, შვილო, მე კაი საქმე მგონია? — გაიკვირვა თამარმა, რომელსაც ძალიან ჰსურდა, რომ შვილს მამასახლისის ჯაჭვი გულზე ჩამოეკიდნა.

— იმიზა, რომ ხელ-მარტო კაცი ვარ, მე რომ მამასახლისად დავდგე, ოჯახს ვინ უნდა უპატრონოს? ახლაც მიჭირს საქმე, თვარა მაშინ რაღა იქნება? ათასი ბეგარა და გადასახადი გვაწევს კისერზე: აგი „ფოშტის“ ფულიო, აგი სკოლისო, აგი მწერლისო და რა ვიცი კიდო რამდენი სხვავი! ახლა თქვენი რჩენა, სტუმარი, მტერი, მოყვარე...

— კი, მარა აი რაფერაა, ნენა, რომ ჩვენი მამასახლისი სამსახურსაც კი არ ასრულებს და ოჯახშიც კარგადაა? — ჰკითხა თამარმა.

— ოჯახში იმიზაა კარგად, რომ იმან და მისმა მწერალმა მთელი სოფელი გაატყვეს: იმისანა მოსახლე არაა ჩვენში, რომ ქრთამი არ აეღლატოს. მე შენ გეტყვი, შერცხვება რა? მეისი!... თვალში რომ შეაფურთხო, ღვთის წყალობას გეტყვის. რაც კაცი იმისთანა საწყალს და უპატრონო ქერივს, ჩვენი მართა რომაა, ქრთამს გამოართუმს, იმას არც სვინიღისი აქვს, არც ღმერთი სწამს... იგი ჭოლისფერ სიავეს იქს, არაფერს არ ითაკილებს... ეჰ, რა უნდა ვთქვა იმ კაცზე, რომელიც ერთის „მენდალის“ მიღების გულობიზა ბოქაულს თავის ღვიძლ გოგოსაც კი ურიგებს! — დაასრულა მან და ზიზლით განზე გააფურთხა.

— მართალია, შვილო, მართალი! — დაფიქრებით უთხრა დედამ. — პატიოსანი სახელი ყოლიფერს სჯობია...

— ჰო და ასეა აგი. — განაგრძო შვილმა. — თუ იმსახურებ, პატიოსნად უნდა იმსახურო, სირცხვილი არ ქამო, სოფელს ქირში და ლხინში წაადგე; საღა გექნება მაშინ დრო ოჯახს თვალ-ყური უგდო? შვილი რომ მყავდეს მოსწრებული, ვინ ოხერი იტყოდა უარს!

ამას შემდეგ ჩამოვარდა ცოტა ხნით სიჩუმე. დათიკა იმის ფიქრში იყო, თუ რა კარგი იქნებოდა, გოგი რომ ახლა თექვს-

მეტი წლის ბიჭი იყოს! იგი მაშინვე შეასრულებდა სოფლის სურვილს, დადგებოდა მამასახლისად და მალე დაანახევებდა ქვეყანას, თუ რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლია ხალხის ნამდვილ გულშემატკივარს, პატიოსანს და გამრჯეულს კაცს! კაცი არ არის, კაცი ქვიანეთში! — ფიქრობდა ის: — თვარა ასე წამხდარი და ბოლო-მოღებული არ ვიქნებოდითო!...

კიდევ ბევრ რამეზე ილაპარაკეს დედა-შვილმა და ისე გაერთვნენ საუბარში, რომ ვერც კი შეამჩნიეს, როგორ გაჰქრათ ცის დასავალზე მზის უკანასკნელი მოწითალო სხივები; ღაღამის ბინდი თან და თან მოედვა არე-მარეს, არც ის შეუმჩნევიათ, რომ დასავლეთისკენ გამოჩნდა პატარა შავი ღრუბელი, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა, იშლებოდა და ჰმოსავდა შავის სუდარით ცის კამარას. ჰაერი გაშეშებულიყო, არ იძვროდა, მაგრამ უცბად შრიალითა შეთრთაოლდა მიჯაღემილირ ფრთილები, გაისისინა წყნარმა ნიაფმა და ცოტა ხანს უკან ამოჰკრა დასავლეთიდან გრილმა ნოტიო ქარმა, რომელიც მოხვდა დათიკას დაფიქრებულს მუბლს და გაღელილს ბანჯელიან გულ-მკერდს და უნებურად მიაპყრობინა თვალები ზღვის მხრისაკენ.

— დევილუბე კაცი! დამირჩა ყანა გაუმარგლოვი! — მწუხარებით წარმოსთქვა მან: — ავდარს აპირობს...

თამარმაც შეხედა ცას.

— რაცხა გლახად ჩხუფშება... — უკმაყოფილოდ თავის გაქნევით საქვა მოხუცმა ქალმა და შემდეგ დაუმატა:

— აგი ნინოც რომ დაიკარგა?... რეიზა დაავიანდა აწი, ვთქვათ?..

ამ დროს ტირილ-ტირილით მოირბინა გოგამ და ბებიას გულში ჩაეკრა.

— ნენა, სადაა, ბები, ნენა? ლეიზა აღ მოიდა? — ეკითხებოდა ის სლოკინით.

— მოვა, ბები, მოვა, ახლავე მოვა! — დაყვავებით უთხრა თამარმა და მეჩუე ჰკიოხა: — ხომ არ გშია, შეილო?

— კი.

— გეძინება?

— კი.

— წეიყვანე, დედა-ჩემო, წეიყვანე! აქამე რამე და დააწვინეთ. ცოდვა ბალანი! — უთხრა დათიკამ.

— წამოდი, შვილო, ვკამოთ „ქაქუტა“*), კვერი და დავწვეთ. ამ სიტყვებით თამარმა ბაჭშეს ხელი ხელში ჩაჭკიდა და სახლში წაიყვანა.

სწორედ ამ დროს ჰორიზონტზე თეთრად გამოჰკრთა ელვა, გველივით დაიკლანა ტყეის ფერ ღრუბლებშუა და შორს დასავლეთისკენ გაისმა ყრუ გრგვინვის ხმა. დათიკას სახეზე დაეცა რამდენიმე წვეთი, რომლებსაც სხვები მოჰყენენ და წამის უკან წამოვიდა. შხაპუნა გამაგრილებელი ზაფხულის წვიმა. ცაზედ ხელ-ახლა გაიწლა და მძლავრად დაიქექა. დათიკამ რამდენჯელმე განზე გააფურთხა და პარჯვარი გამოისახა.

— დამთარე, ღმერთო! რა დაემართა აწი ამ ქალს? — წარმოსთქვა მან თავისთვის შეწუხებულის ხმით. — სად დეიკარგა ამდონ ხანს? ნეტაი ავად არ გახდებოდეს, თვარა სხვას ვინ ჩივა! თლად დასოლებული მრევა შინ...

ამ სიტყვებით ფეხზე წამოდგა, წამოავლო ხელი ღოქსა და სკამს და სახლისკენ გაიქცა.

ღამდებოდა. ძლივ-ძლივს მართოლვარე დღის სინათლეს, რომელსაც უკანასკნელი ბრძოლა ჰქონდა წყვედიადთან, სულ რამდენსამე წამში უნდა დაეთმო ალაგი უკანასკნელისთვის... ელვამ მოაუხშირა, ქექა - ქუხილი თან და თან ძლიერდებოდა, ჩამობნელებულ და დაღვრემილ ციდან კოკიპირულად ასხამდა...

მანინდ ამ სიტყვებშინიანთ **IX** თობიტ-რობიტ ქალბე ნა

ახლა გამოვედგეთ უკან ყმაწვილ ქალს, რომელმაც ძროგ ხის საძებრად ეზოდან სწორედ იმ დროს გადიარა, როდესაც მისმა ქმარმა მხარზე თოხი გაიდგა და ყანიდან სახლში გამოს-

*) ყველი

წია. ნინო დაადგა შარას და ჩქარის ნაბიჯით გაეშურა იმ მხრისაკენ, სადაც საძოვარი ადგილები ევლულებოდა. გზაზე ბევრი მევზობლების საქონელი შემოხვდა, რომელნიც ბლავილით სახლისკენ დინჯად მოაბიჯებდნენ. ყველას, ვისაც კი შეეყრებოდა, ეკითხებოდა — ჩემი ძროხისთვის ხომ არ მოგიკრავს სადმე თხალიო, მაგრამ ვერავისგან სანუგეშო ამბავი ვერ გაეგონა.

ხან-და-ხან ყმაწვილი ქალი შეჩერდებოდა და თავის სსია-მოვნო ხმით ძახილს დაიწყებდა: „მოი, ნენა, მო-ო-ოი, მო-ო-ოი, მო-ო-ოი!“

მისი ძლიერე, ქორჭა ხმა ჭრბოლოვით იბნეოდა დაწყანა-რებულს საღამოს ჰაერში, სწვდებოდა მახლობელ ტყესა და გორაკებს, რომელნიც იმ წამსვე ხანს მოსძახებდნენ და შემდეგ ჩამოვარდებოდა ისევ სიჩუმე. „არც ბლავილი ისმის, არც თვითონ ჩანა!“ — იფიქრებდა ყმაწვილი ქალი და გაუღებოდა ისევ გზას. ცოტა ხანს უკან იმან გადაუხვია მარჯვნივ და გავიდა დიდს ფართო მინდორზე, რომელზედაც შორიდან დაინახა მისკენ მომავალი ძროხა. ნინოს იმედი მოეცა და დასძახა თავისი „მო-ო-ოი, ნენა, მო-ო-ოი, მო-ო-ოი!“ ძროხამ ხმა არ გასცა. ის მივიდა ახლოს და რა დაინახა, რომ სხვისი იყო. მწუხარებით წაილაპარაკა: „რა მეშველება, თუ ველარ ვნახე?“ და შეშინებულის თვალებით დაიწყო ირგვლივ ცქერა. არსად სულდგმულის ქაქანიც არ იყო ამ ხელისგულსავით გადაშლილ მწვანე ხავერდზე, რომელიც ათასფერ ყვავილებს სასიამოვნოდ მოეჭრელებინა და მოგაგონებდა კაცს ძვარფასს ხელოვნურად ნაქსოვს სპარსულს ხალიჩას. ხანდისხან გაიციმციმებდა ზედ საღამოს ნიავი, ალერსიანად გაეთამამებოდა აქა-იქ გაბნეულს ნორჩ გვიმრასა და ყვავილებს და გაირბენდა შრიალით ჰატარა მუხნარის წვერებზე, რომელიც მინდორს ერთის მხრით ეკრა. „იქნება იქ იყოს?“ — იფიქრა ყმაწვილმა ქალმა და გაეშურა ტყისკენ.

ამ დროს რომ ნინოს თავი მოგებრუნებინა და მარცხნით გზისკენ გაეხვდა, დაინახავდა ჩოხაში ჩაცმულ ყმაწვილ კაცს, რომელსაც ბოხობდა დარდიმანდულად კეფაზე მოჰქცეოდა და

ტორტმანით ნელა მოაბიჯებდა. ის წყნარის ხმით მიიმდგროდა და ხელებს ისე უცნაურად შლიდა, რომ შორიდან სწორედ გიყი ეგონებოდა კაცს. მაგრამ ის გიყი არ იყო: იმისი გაჭარბლებული, ძარღვებ-მოშოვებული სახე უაზროდ გამომზიარალი, ძალზედ მოვლვარე თვალები და უხერხული მოძრაობა აშკარად ამბობდნენ, რომ იმას დღეს უხვი მსხვერპლი შეეწირა ბახუსისთვის, რომელსაც წყალობის ნიშნად შხამიანის ორთქლით გაეყინებოდა იმისი გონება და ტკბილს-თაე-დავიწყებაში შეეყვანა. ეს განხლდათ ნესტორ უქმიაშვილი, რომელიც სადღაც ქაჩრწილში ყოფილიყო და აქლა შინ მიდიოდა, ვინ უკედ ვთქვებო? ფეხები მიათრევდნენ...

— მო-ო-ოი, ნენა, მო-ო-ოი, მო-ო-ოი! — მრესმა უეცრად იგი შეჩერდა, მაიბრუნა თავი იმ მჭრისაკენ, საიდანაც ხმა მოდიოდა და დაინახა ყმაწყვილი ქალი, რომელიც მაშინვე იცნო: არავის სხვას ქვიანეთში არ ჰქონია ასეთი შნოიანი და თან ამაყი სიარული, ასეთი მოხდენილი ტანადობა, ასეთი გრძელი ხშირი ნაწნავები! ნესტორს ნამთვრალევი თვალები როგორღაც უცნაურად გაუბრწყინდა და ღვინისაგან დაშუბებულს სახეზე რაღაც საჭიზღარმა ღიმილმა გადურბინა.

— ჰმ!.. ნინო... ნინო... სილა მაჭამა... შევი... მიყვარს ის ოხერი... — წაილულლულა მან და გამოუდგა ყმაწვილს ქალს, რომელიც ჩქარის ნაბიჯით ტყისკენ მიეშურებოდა. ნესტორს ჯერ კიდევ ათი ნაბიჯიც არ გაეგლო, როდესაც ქალი მუხზნარში შევიდა და თვალიდან მიეფარა.

— ტყეში... ტყეში... კიდო უკეთესი... წაიბუტბუტა ისევ ნესტორმა და მოუმატა ნაბიჯს. ყმაწვილმა ქალმა მალე მიიარმოიარა ტყე სიგრძე-სიგანეზე, მაგრამ ძროხა არსად აღმოჩნდა, ფითქო ქვესკნელი გამსკდარიყოს და შიგ ჩაეტანოს. ძირს ერთი სულდგმულიც არ ჰქანებდა, მხოლოდ სადღაც მალლა კოდალას გაცხარებით გაჭქანდა რაკა-რუკი, დრო-გამოშვებით შაშვი გაიკრიალებდა და უეცრად ჩამოჭრილი: ნიაფი მუქ-მწვანე ფოთლებს შრიალ-შრიალით გაეთამაშებოდა. გულ-დაწყვეტილი ნენო ის-იყო უკან გამოტრიალდა და ტყედან გამოსვ-

ლა დააპირა, როდესაც უცბად რამდენსამე ნაბიჯზე ნესტორი დაინახა.

ყმაწვილი ქალი შეკრთა და უკან დაიხია. მას მოაგონდა წინა-დღინდელი შემთხვევა და თავში ელვისავით გაუბრძინა აზრმა, რომ ეს კაცი უმიზნოდ არ შემოსულა აქ და სწორედ ჩემს შეურაცყოფა ან-და იქნება გაუპატიურებაც უნდაო? ნინო, რომელიც ტყეში მარტოდ-მარტო პირის-პირ ედგა სიმთვრალისაგან გონება-დაბნეულს კაცს, კარგად ხედავდა, თუ რა საშინლად მდგომარეობაში იყო და უნებურად ირგვლივ მზიხედ-მოიხედა, თითქო რაიმე შველას ეძებსო, და რომ მოჰკრა თვალმ ახლოს დაგდებულს ხმელს მომხბო ხის ბოლოს, ფაცხლად დასწვდა და ხელში აიღო. შემდეგ აჩქარებული გულის ცემით გზა ტრიალდა, რომ მეორე ბილიკით წასულიყო, მაგრამ ნესტორი გაიქცა, როგორც კი შეეძლო, წაუსწრო წინ და გზა გადუღობა. ყმაწვილმა ქალმა გადასდგა უკან რამდენიმე ნაბიჯი და გაფითრებულის სახით, რომელზედაც უსაზღვრო ზიზღი გამოეხატა, ჯოხი მაღლა ამართა და ათრთოლებულის ხმით შესძახა:

— გაჩერდი, თუ სიცოცხლე არ მოგძულდება!

მოპირდაპირენი რამდენსამე ხანს ერთმანეთს ჩუმიდ უყურებდნენ: ერთის მხრით იდგა უმწეო ქმნილება, მთლად ვერხვის ფოთოლივით მართოდარე, გაფითრებული, შიშისაგან ფართოდ გაღებულის თვალებით და შეორეს წხრით ძალღონით სავსე ახალგაზდა კაცი, რომლისათვისაც ღვინოს გონება დაეხშო, გამხედაობა და კადნიერება გაეორკეცებინა და ყოველივე მართებულების გრძნობა დაეჩაგრათ... მთლად შეპყრობილი თავ-დაუქერელ პირუტყველ გრძნობით, რომელიც ნათლად ეხატებოდა გაჭარბებულს სახესა და ცვეცხლივით აღზნებულს თვალებში, ის წინ-და-წინვე სტკებოდა მომხიბლავი არსების დაფლობის წამითა, და ეს არსება აქ იყო მის წინ მარტოდ-მარტო, სულ რამდენსამე ნაბიჯზე... საკმაო იყო ერთი ნახტომი, რომ ხელი მოეხვია, მაგრად გულში ჩაეკრა და გიჟურად დაჰკონებოდა ლალის-ფერ ტუჩებზე... ნესტორმა მოსახვევნად ხელები გაშალა და ყმაწვილი ქალისკენ გაუქანა.

— არ მოხვიდე-მეთქი, არ მოხვიდე!.. — შესძახა განწირულების ხმით ქალმა, რომელმაც უკან დაიხია და ჯოხი კიდევ უფრო მაღლა ამართა. მას მთელი სხეული უკანკალებდა და სახეზე მკვდრის ფერი გადასდებოდა.

— დამარტყი, დამარტყი, ჩემო მშვენიერო! უთხრა უქმი-აშვილმა. ენის ბორძიკით და მივარდა თავის მსხვერპლს. ქალმა შეპკივლა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუქნია ჯოხი, რომელიც მოხვდა კაცს თავში და ზედ შუაზედ გადაიმტვრა.

— ოჰ, უსვინიდიხო, უსვინ... — ენებისგან გონება-დაკარგულმა ნესტორმა მკლავები მოხვია და ისე მაგრად მიიკრა მკერდზე, რომ ქალს სული შეუგუბდა, და უკანასკნელი სიტყვა ვერაღარ დაასრულა...

ნინო წყვეა-კრულვას უგზავნიდა თავის გამაუბატიურებად ბელს, იბრძოდა, აქეთ-იქით ძალუმაღ იწვედა, რომ დაეღწია თავი როგორმე, მაგრამ ამაოდ: ის მაგრად ეჭირა ნესტორს მკლავებ შუა. საბრალო მსხვერპლი განწირულებით ფართქალებდა ამ პირუტყვად ქცეულ ადამიანის ძლიერს მოხვევენაში, როგორც მტრედი ქორის უღმობელ კლანკებში, ხსნის იმედი აღარ იყო... ქალმა უკანასკნელად კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიიწ-მოიწია, გამწარებით დაიგრიხა, მაგრამ მაზედ ღონიერმა მხეცმა ადამიანის სახით კიდევ უფრო მოსწურა თავისი მსხვერპლი, თითქო წელში გადამტვრევა უნდაო. ყმაწვილი ქალი ჰგრძნობდა, რომ ბრძოლა შეუძლებელი იყო: ხელები თან და თან უბუჯდებოდნენ, მუხლებში ღონე ეცლებოდა, გული ძაღვად უცემდა და იმ მდგომარეობამდინ მიედწია, რომ ერთი წამიც კიდევ და გონებასაც დაჰკარგავდა. იმან მოინდომა უკანასკნელი საშუალება ეხმარა, დაეკივლა, იქნება ვინმემ გაიგონოს და მომეშველოსო, მაგრამ ხმა ყელშივე ჩაუწყდა, თითქო რაღაცამ სასულე გადუკლიტაო, ის კი პირუტყვეული ენის მოკვლის წყურვილით გატაცებული ვერ ამჩნევდა თავის მსხვერპლის განწირულებას და სველის, საზიზღრად მოშვებულის ბაგეებით ულოშნიდა ფერწასულ ლოყებს. ქალი ჰგრძნობდა სახეზედ ცხელს, ღვინის სუ-

ნით გაქენთილ სუნთქვას, ხედავდა ვნებით ანთებულს მხეცურს თვალებს, და ამასთანავე აშკარად ატყობდა, რომ ღონემ უმუხთლა და მუხლები ჩაკეცას ღამოდნენ... ახლა მხოლოდ იმასლა ცდილობდა, როგორმე ტუჩები არ დაენებებინა საკოცნელად. „ღვეილუბე, ღვეილუბე!“ გაუელვა საცოდავს თავში და უნებურად მთრთოლარე ტუჩებიდან ქვეთინთან ერთად მოისმა მუდარის სიტყვები ისეთის უმწეო სასოწარკვეთის ხმით წარმოთქმული, რომ ქვის გულსაც კი დააღბობდა: — ნესტორ!... ნესტორ!... ნუ მღუბავ... ნუ ჩადგები ჩემი ქმარ-შვილის ცოდვაში... იწამე მირონობა... იწამე ღმერთი... — ნაწყეტ-ნაწყეტად ამბობდა ის და ნაკადულსავით ღვრიდა მღუღარე ცრემლებს... თმა-გაწეწილი, ფერ წასული, გულამოხკენით მტირალი და ათრთოლებული შესაბრალისს, გულისღამწველს სურათს წარმოადგენდა...

მაგრამ გაპრაუტყვებული აღამიანი ყველა მხეცზე უსაშინელესი მხეცია.. ამას არ გაეგება არც ცრემლების მნიშვნელობა, არც განწირული სულის კვნესა, არც მუდარა, არც წყევა... მასში გონებას მაგრად სძინავს და მთელს არსებაზედ ერთად-ერთ განუკითხველ ბატონად ხდება სტიქიონური ბრმა ძალა — ინსტიქტი, საერთო და უმდაბლესი გრძნობა ყველა სულდგმულთა.

ერთბაშად ყმაწვილი ქალი სდუმდა, თვალები დახუჭა და ტუჩებ - ჩალურჯებულს თავი უღონოდ ძირს ჩამოუყარდა და კაცის მხარს მიესვენა. ის გულ-შემოყრილი იყო...

ნესტორმა რა დარინახა, რომ ქალი წინააღმდეგობას აღარ უწევდა, სიხარულის კიჟინით მრზვია მკლავები, ბავშსავით ხელშეწიწიანა და ცოცხალ-მკვდარი ხის ძირთან დასდევ... იმას აღარათფერი ახსრვდა, სისხლი თავში შეუყვარდა, თვალები აემღვრა და მხეცივით დაეძგერა გონება-მჩხდილს, უძრავად მიწაზე გაშოტილს ქალს...



დიდი ხანი იყო, რაც ბუნება ავდრისთვის ემზადებოდა და ახლა შავის ღრუბლებით მოფენილს ცაზედ ერთბაშად გაივლია, შემდეგ დაიქექა და წამოვიდა წვრილი წვიმა, რომლის წვეთებიც შხაპუნით ეცემოდნენ ფოთლებს და ქარისაგან ატეხილს შრიალთან ერთად იწვევდნენ ტყეში რაღაც საიდუმლო ჩურჩულს.

გრძნობა-დაკარგულს ნინოს მოხვდა სახტში გრილი ჰაერი, ის შეინძრა, ღრმად ამოისუნთქა და თვალები გაახილა. რამდენსამე წამს ისევ ისე უძრავად იწვა და გაშტერებით შეჰყურებდა ტყის მწვანე გუმბათს; მხოლოდ მაშინ წამოიწია წელა და წამოჯდა, როდესაც ზედ მის თავზე ხელმეორედ ძლიერად დაიქექა და ელვის ცხარე სინათლემ თვალებში ჩააბქყვრიანა. ის ჯერ კიდევ გონზე ვერ მოსულიყო და უაზროდ იყურებოდა გარშემო.

„სად ვარ?... რა წამეკიდა?...“ ამბობდა იგრ და ცდილობდა ანგარიში მიეცა თავისთვის, თუ რად იყო ამგვარს მდგომარეობაში... უეცრად ყველაფერი მოაგონდა, ყველაფერი ნათლად, დაწვრილებით დაუდგა თვალ-წინ და სირცხვილის ფერმა გადაჰკრა...

— ვაი მე უბედურს, ვაი მე უბედურს!... საშინელის განწირულების ხმით დაიღრიალა მან და თავში ხელის წაშენით დაქრილი შევლივით, ზეზე წამოიჭრა, შავრამ დაბარებაც და იქვე ხეს მიეყუდა... „ვკიმე, ვაიმე!“ ამეორებდა წამ-და-უწუმ, ფითქო სხვა სიტყვები დავიწყებოდეს და იხოკდა ჯავრით მიქლულს მშვენიერს სახეს. „საღა გამოვიჩნე აწი?... რაღაფერ ვა-ვაქყირო თვალი ქვეყანაში თავ-მოჭრილმე, გაბახებულმა?... ღმერთო, რა შეგცოდნე ამის ფასი, რა?...“

განა დიდი ხანი იყო მას აქედ, რაც უბედნიერეს ქალად სთვლიდა თავის თავს ქვეყანაზე? სულ ერთის საათის წინად იგი ამაყად ლეჩაქს ატარებდა თავზე: იყო პატროსანი, ყველას-

თვის საყვარელი, ყველასგან პატივცემული... ჰყავდა მოყვარული ერთგული ქმარი და თმა-ხუჭუჭა ლამაზი ბიჭი, რომელიც თავადის ქალსაც კი ეყადრებოდა შვილად... ჰქონდა სახლ-კარი, რომელშიაც მუდამ ღვთის თვალი ტრიალებდა და დოვლათით სავსე იყო... და ახლა? ახლა ყველა ეს უნდა გაქრეს, როგორც კოშლი ერთის ქარის წამობერვით... იმან დაკარგა, რაც ყველაზედ უფრო ძვირფასია ქალისათვის, და დღეის იქით მკვდრებში უნდა ჩაირიცხოს თავი...

გულმა ველარ გაუძლო ლოდევით დაწოლილს მწუხარებას და ყმაწვილ ქალს წასკდა თავდაუქერელი ქეთიანი... „სიკვდილი! სიკვდილი!“ — გაუბრინა თავში აზრმა. „სიკვდილი, სიკვდილი!“ — მოესმა მას პასუხად ქარის ღრიალსა და ფოთლების შრიალში... იქვე ახლოს ჩამომრბენი მდინარის ხმაურობა ქარმა ყურამდე მიაწვდინა. ნინო კარგად იცნობს ამ მდინარეს: ბედნიერ ყმიწვილობის დროს ბევრი უცელქნია მისს ქალაქებზე, ბევრჯელ უჭყუმპალაენია მისს ბროლივით ანკარა ზვირთებში... ერთს ალაგას მორევს იკვთებს... ის გადაადგება მაღალ კოდმეს, თვალეზ-დახუჭული იშვერს ფეხს და გადაეარდება... გაისმის წყლის შხაპუნი, ერთს აღუღდება გაჯავრებისაგან, მყურდროება რად დამირღვეთო, და ყველაფერი გათავდება...

ქარი მძვინვარებით ღრიალებდა, ესმოდა განუწყვეტელი ქექა-ქუხილი, ცას ელვასაგან ცეცხლი ედებოდა და წვიმა ისეთი გაშმაგებით ასხამდა, თითქო დედა-მიწას წარღვნას ეხუქრებოდა. მაგრამ განრისხებულნი ბუნება სრულიად არ იპყრობდა ყმაწვილი ქალის ყურადღებას. ან კი როგორ შეემჩნია როდესაც თვით მისს გულში არა ნაკლები ქარიშხალი იყო, როდესაც მელსაც გაენადგურებინა ყველაფერი და დაეტოვებინა მხოლოდ ერთად-ერთი გრძნობა, — უიმედო სასოწარკვეთილებისა... „სიკვდილი, სიკვდილი!“ — მოესმა ისევ ქალს ყურებში და გაექანა თავის მოკვლის მტკიცე გარდაწყვეტილებით.

იმან გაიარა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ ერთბაშად შეჩერდა და მწუხარებით თავი ჩაჰკიდა. „გოგო?“ მოაგონდა იმას უეცრად და ტანში გააქრქოლა...

ღამდებოდა. წვიმა ისევ ისე განუწყვეტელად ასხამდა. ქარი პირდაპირ სცემდა. წვიმას სახეში შინ-მიმავალ ქალს და უფარფარებდა გაწეწილ თმებს. თავით-ფეხამდინ გაწეწული, მძლად მოსხლეტილ-დაქანცული და გულ-დამძიმებული მიეშურებოდა ის რალაც უაზროდ, უმიზნოდ, თავისთვის ანგარიშ-მიუცემლად. ერთი გარკვეული, ნათელი აზრი არ მოიპოვებოდა ამ დროს მის აფორიაქებულს გონებაში, რომელშიაც მრავალი ერთი-მეორეს საწინააღმდეგო ფიქრი, წარმოდგენები ბუზებივით ფუსფუსებდნენ, ირეოდნენ ერთმანეთში და გზა-კვალს უბნევდნენ ყმაწვილი ქალის აზროვნებას. რალაც გაუგებარი ძალა მისდა უნებურად მიეზიდებოდა შინისაკენ, ისე, როგორც ესევე ძალა გაშმაგებით მიარბენინებს ხოლმე დაჭრილ ნადირს ხშირ დაბურულ ტყისაკენ...

ნინო გავიდა შარაზე. მიღმა, ასიოდ საყენზე ცეცხლის შუქი ციმციმებდა. ეს იმისი სახლი იყო. ყმაწვილმა ქალმა მოუჩქარა ნაბიჯს... კიდევ რამდენიმე წამი და ის შინ იქნება... ერთბაშად ეღვამ ჩაანათა თვალებში და წუთს უკან გავარდა მენი. „რეიზა არ დამეცა და არ მომკლა?!“ — იფიქრა მან, როცა კიშკართან მივიდა და საგდულს ხელი სტაცა.

— ნინო-ო-ო! ნინო-ო-ო! — მოესმა ამ დროს ეზოდან ხმა. ის შეკრთა ამ ნაცნობი ხმის გაგონებაზე და კარებთან მიტანილი ხელი მსწრაფლად ძირს დაუშვა. „ვერა, ვერ შევალ!.. რაფერ ვეჩვენო, რა ვუთხრა?.. თავი მომჭრეს, გამაბახეს — მეთქი?.. ღმერთო, რას მოვესწარი ამას?..“ გაუელვა ფიქრმა, თუ როგორ მისცინდებოდნენ შინაურები და შეშინებულის ხმით შესძახებდნენ: რა დავმართია, რას გავხარ ქალოო? — და ისეთი შიშისა და სირცხვილის გრძობა აღუძრა საცოდავს, რომ მთელს სხეულში ცახცახი დააწყებინა. ის მიეყუდა კიშკრის სვეტს და გულზე ხელი მოიკირა:

— სად მიხვალ ამ ყიამეთში *), დედა-ჩემო? ვერ ხედავ, ქვეყანა იქცევა? — დაიძახა მეორე უფრო ბოხმა ხმამ.

*) ცული ტაროსი.

— აგერ ქიშკართან მივალ და გზას გავხედავ, — მიუგო ზრეველმა.

— დაბრუნდი, დაბრუნდი, მე მივდივარ.

„მოდიან“... იფიქრა ნინომ დი გულმა ისე მაგრამ დაუწყრა ცემა, რომ გარდასწყვიტა ახლავე გამოსკდება და აქვე მკვდრად დავეცემიო.

აი გაიღო ქიშკარი და გამოჩნდა დაბალი ტანის შალ-წამოსხმული მოხუცი დედა-კაცი.

— ღეთის-მშობელო დედაო, ნურაფერს გაუქირვებ იმ საცოდავ ქალს! — წყნარად წარმოსთქვა იმან და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. ვინ ხარ მაქანაი? — თამარი მიუახლოვდა ყმაწვილ ქალს, რომელიც სვეტს მიჰყუდებოდა. — ნინო? მადლობა ღმერთს! ჩვენ კი გული გავვისკდა შიშით...

— ნუ გეშინია, აგერაა, აგერ, შვილო! დაბრუნდი, ახლავე მოვალთ! — გასძახა გახარებულმა დათიკას.

ნინოს უნდოდა დაეყვირა: მომკალით, ჩამქოლეთ, ჩემი სიცოცხლე აღარ ღირსო, მაგრამ საშინელმა ქვეთინმა მოუსწრო ყელში, და სასოწარკვეთილი კივილის მაგიერ ერთი დაიკვნესა და ჩაეკრა გულში თავის დედამთილს.

— რა დაგემართა, შვილო? გაგაცივა? ვაი ჩემს ღღეს! — ეუბნებოდა შეშინებული დედაბერი და ახვევდა თავზე და მხრებზე მოსასხამს. — გვეიაროთ ჩქარა, გვეიაროთ, ცეცხლთან გათბები... თლათ გაწუნწყული ხარ, გაკანკალებს...

პასუხად ისმოდა მხოლოდ ცხარე გულ-ამოსკვნილი ტირილი.

ამ დროს დათიკა, რომელიც წინდაწინ გაიქცა სახლში, რომ წვიმისაგან დასველებულ კოლისთვის კარგი ცეცხლი დაეხვედრებინა, კერას მისჯდომოდა და უხვად აყრიდა ზედ შეშასა და ფიჩხს.

რძალ-დედამთალი რომ სახლში შემოვიდნენ და დათიკამ შეხედა ცოლს და ცეცხლის სინათლეზე დაინახა იმისი ჯავრით მოკლული, გაფითრებული სახე, გაწეწილი თმები, გადაღედილი გულ-მკერდი, თან გაიგონა ყრუ ქვითქვითი, გოყვივით წა-

მოვარდა ზეზე, მიიჭრა ცოლთან და შეშინებულის ხმით შეს-
დახა:

— ნინო!... შენ გენაცვალე... რას გავხარ, რა დაგმარ-
თია?...

ამ კითხვაზე ყმაწვილ ქალს კიდევ უფრო ამოუჯდა გული-
და პასუხის მაგიერ გაისმა ისევ თავდაუქერელი ქვითინი, რო-
მელიც აწვებოდა საბრალოს ყელში და სულთქმას უჩერებდა.

— ვერ ხედავ, რა აკანკალებს? გაცივდა სწორედ საცო-
დავი!... მიუგო დედამ, რომელსაც რძალი გულზე ჰყავდა მი-
სვენებული და მერე მიუბრუნდა უკანასკნელს და მზრუნველო-
ბით უთხრა:

— წამოდი, შვილო, ცეცხლთან დავჯდეთ!

— თუ გაცივდა, აგი ტირილი რაღაა?... ქვლები ხომ
არ მოუტია?... ან იქნება გზაში დიეცი და იტკინე რამე, კო-
ქი გადაგიბრუნდა უტბად, ძარღვი გაგესკვნა?... მითხარი, მი-
თხარი, რა გატირებს? — ეკითხებოდა შიშისაგან სახე-შემოლილი
ქმარი.

ისევ დუმილი...

— ამეილე ხმა, ქალო, თვარა აგია გავგიჟდი კაცი! — შესდა-
ხა დათიკამ ისეთი გულის გასაგმირის ხმით, რომ ნინომ უეც-
რად ტირილი შესწყვიტა, თავი მაღლა აიღო, შეხედა შიშისა-
გან გაფართოებულის თვალებით ქმარს და მოწყვეტით მუხლებ-
ზე დაეცა მის წინ.

— აჰა! მკარი ტყვია და ბარელმა გამათავე!... შეჰბლავლა
საცოდავმა და გაღვლილი მკერდი წინ გაიშვია: — რაღა სასი-
ცოცხლო ვარ ნამუს-ახლილი, გაუპატიურებული!... მომკალი,
მომკალი!

— რა თქვი, შე საცოდავო?! შესდახა ზარდაცემულმა ქმარმა
და ხელები თავში იტაცა.

თამარს განცვიფრებისა და შიშისაგან პირი გაეღო, ხელები
გაეშალა და დრო-გამოშვებით იძახდა: „აგი რა ამბავია ჩვენს
თავზე? აგი რა ამბავია ჩვენს თავზე?...“

— რა ვთქვი... რა ვთქვი... მომკალი!... შევედრა ისევ ნინო და პირქვე დაემხო. — მე აღარ ვარ შენი ღირსი... აღარ ვარ სასიცოცხლო... გამაუპატიურეს... ძალად... მხეცურად...

— ვი-ი-ინ?! — შეძრწუნებულის ხმით შეპყვირა დათიკამ, რომელსაც მკვდრის ფერი გადასდებოდა.

— იმ... იმ უნამუსომ... რჯულზე ზედ-აღებულმაჲ. ნესტორმა, ნესტორმა...

— ნესტორმა?!.. ნათლია-ნესტორმა?!.. თოფი, თოფი! — დაქრილ მხეცივით დაიღრიალა დათიკამ და მივარდა რა კედელზე ჩამოკიდებულ თოფს, ლურსმანიანა ძირს ჩამოვგლიჯა.

— მომკალით ვინცხამ... მომკალით... — იმეორებდა განწირულების ხმით პირქვე. დამხობილი ყმაწვილი ქალი და მდულად რედ ქვითინებდა.

— შენ? შენ არა, არ მოგკლავ! — უთხრა ქმარმა, რომელსაც სახეზე სიბრალულთან ერთად თითქო ზიზლიც გამოეხატა. — იმას კი ვინც თავს-ლაფთ დამასხა, ოჯახი გამიუპატიურა, ქვეყანაში თავი მომჭრა, — იმას კი ვუტირებ დედას! — და ამ სიტყვებით გიჟივით გაექანა კარებისკენ.

— რას შობი, შეილო?... არ დეიღუპო თავი; ყელი არ გამომჭრა! — მიადახა დედამ შეშინებულის ხმით და წინ გადაელობა.

— თავი დამანებე! მე ვიცი რასაც ვშობი! — გაჯავრებით მიუგო შეილმა და გავარდა გარედ.

— არ დაღუპო ოჯახი, ცოლშვილის ცოდვაში არ ჩადგე! დაბრუნდი, დაბრუნდი, ნენავ! გოგის რას უპირობ, გოგის?... — ყვიროდა და მისდევდა უკან გონება-დაფანტული მოხუცი ქალი შეილს, რომელიც წუჟს, უკან ღამის წყვლიადმა ჩანთქა...

— იმდენ იმ მცდომს ძიროვ აჲ — უთხრა შეილმა და მიუგო...
ძიროვ, არხიფე თხრსცვლ ციროვნილ, იფუთუ კიძაფიფ ხაბრე, ლე
ბიროვნილ იბოვ გვეთქმე ძიროვნილ თე ხიბრკონზე იწებოვებ შეცლ
ხლე ი... მსი...
— ხლე ი... მსი...
— ხლე ი... მსი...

თუმცა აღარ წვიმდა, და ჰეჰა-ქუხილიც შემდგარიყო, მაგრამ მოღრუბლულ ცაზე არსად ერთი ვარსკვლავიც არ ბეუ:

ტავდა. თითქო მეჭის-მეტი შფოთვისა და მღვლეარებასაგან დაღლილი ბუნება, ახლა დაწყნარებულიყო, ხმა გაეკმინდა და რაღაც საშიშარის იღუმალებით გარს-შემოეხვია სქელი ღამის წყვედიადი. ეს გულის დამხუთველი ჩუმი სიბნელე ერთობ ეხამებოდა დათიკას სულის მდგომარეობას, რომელშიაც ეგრედვე ბნელოდა, როგორც გარშემო. მხოლოდ ერთად-ერთი ძლიერი გრძობა შურის ძიებისა გამეფებულიყო იქ, თავისუფლად ნავარდობდა, სისინებდა გველივით და განუწყვეტლად ჩასძახოდა ყურში ერთსა და იმასვე: „სიკვდილი შენს შემრცხვენელს, სიკვდილი!...“

— თოფით ხელში, პერანგის ამარა, ფეხ-შიშველი და ანთებულის თვალებით მირბოდა დათიკა ნესტორ უქმიაშვილის სახლისკენ. სინათლე რომ ყოფილიყო და ვისმე ამ მდგომარეობაში დაენახა, მაშინვე შეამჩნევდა ამ კაცს — რაღაც უბედურება დასტეხია თავს და საშინელს რასმეს აპირობსო. ის უკვე ახლოს იყო უქმიაშვილის ეზოზედ, როდესაც უეცრად ცხენის ფეხის ხმა მოესმა. „იქნება აგია!“ — გაუზრბინა თავში, შესდგა და ჩახმახი ფეხზედ შეაყენა.

— ვინ ხარ? — შესძახა მან.

— მე ვარ, — უბასუხა მოახლოვებულმა მხედარმა, რომელიც დათიკამ მაშინვე იცნო ხმაზე. ეს იყო პავლე უქმიაშვილი, ნესტორის ბიძა. — შენ დათიკა ხომ არ ხარ? — იკითხა მან თავისის მხრით და ცხენი შეაჩყრა.

— მე ვახლოვარ, მე! — გამოსძახა შიშობიდან დათიკამ, რომელმაც იცნო თუ არა მხედარი, მაშინვე თოფი ძირს დაუშვა და გაუდგა გზას.

რამდენისამე წამის უკან ის ნესტორის ქიშკრის წინ იდგა. ფანჯრებში სინათლე მოსჩანდა და ერთს მათგანში დათიკამ გაარჩია ვიღასიც ლანდი, რომელიც უეცრად დაიძრა, წუთს უკან მეორეში გამოკრთა და შიიმალა, შემდეგ კარი ჭრიალით გაიღო და ვიღაც ბალკონზე გამოვიდა. დათიკას გული აუძგერდა... ყრუ დუმილში გაისმა შემართული ჩახმახის ტაკუნნი და ათრთოლებული ხმა:

— ნესტორი ბრძანდები?

— ნესტორი არ არის შინ.—გადმოსძახა ბალკონიდან ქალის ხმამ.—თქვენ ვინ ბრძანდებით? „თეკლე“.—წარმოსთქვა წყნარად დათიკამ, რომელსაც სიმწარის ოფლმა შუბლზე დაასხა, ტანში გააქრეოლა და პასუხის მიუცემლად ფიცხლავ უკან გამოტრიალდა: სინათლე რომ ყოფილიყო, ადვილად შეამჩნევდა კაცი, როგორ გაუფითრდა სახე, გაუფართოვდა თვალის გუგები და, თითქო ღრმა ძილიდან ერთბაშად გამოვიდაო, გახურებულს შუბლზე ხელი გადისვა: „რაფა დავლუბო აგი საცოდავი ქალი?—ეკითხებოდა ის თავის თავს გზაში.—ყოველთვის ჩემი მწყალობელი იყო, მათს ოჯახში ბალნობიანა გამოზდილი ვარ... იგი ყოლისფრის ღირსია, მარა დედა მეცოდება, დედა! იმის მეტი აფერი ყავს... არა და რა ვქნა? ასე შევარჩინო იმ ყაზილარს ჩემი თავის მოჭრა, თავს-ლათის დასხმა? ქვეყანაში რაღაფერ გავაჭყირო თვალი?..“

ასეთს ზნეობრივს ბრძოლაში იყო ის, როდესაც თავის ეზოს გაუსწორდა. უეცრად მოესმა გაცხარებული ძაღლის ყეფა, რომელმაც გამოიყვანა ღრმა ფიქრისაგან და უნებურად თავი სახლისაკენ მიაღებინა. მან დაინახა ცეცხლის მთრთოლვარე მოწითანო სინათლე, რა თვალ-წინ ცხოვლად დაუდგა ის შემადრწუნებელი, გულის ამღვრევი სურათი, რომელმაც ამ რამდენისამე წამის წინ გონება დაუკარგა და თოფი ხელში ააღებინა. აი ხედავს ის პირქვე დამხამილს ახალგაზდა ცოლს... ცხადად ესმის საზარელნი სასრწარტყევილობის კვილი: „მომკალი, მომკალი!..“ ესმის გულ-ამოსკენილი ტირილი და უეცრად წარმოუდგება, ვითომ საყვარელი ნინო აღარ ჰყავს, მოუკვდა, სხელ-კარი კი განადგურებულა, მიწასთან გასწორებულა... „არა, ვერ შევარჩენ, ვერ შევარჩენ“!..—წარმოსთქვა მან და უწინდულად ყურებში გველივით გაუსისინა ილუმინა ხმამ: „სიკვდილი შენს შემრცხვენელს, სიკვდილი“!..

დათიკამ იცოდა, რომ ნესტორი ფარნას განუყრებლი მეგობარი იყო და რადგანაც სახლში ვერ ნახა, იფიქრა, მისას იქნებო და პირდაპირ მაყაშვილისას მიიჭრა, მაგრამ არც მას-

პინძელი დაუხვდა და არც სტუმარი. მაშინ იმან გადასწყვიტა როხადის ღუქანში წასვლა, სადაც ეს ორი „უშიშარი და უძრახველი რაინდი“ ხშირად თავს იყრიდნენ ხოლმე. რამდენისა-მე წამის შემდეგ დათიკა უკვე იდგა ღუქანის წინ. უზარმაზარ ცაცხვს ქვეშ და გულის ფანქრალით გაფითრებული მისჩგრებოდა იმას, გისაც ლეჩაქი აეხადა იმის ცოლისთვის. ნესტორი, რომელსაც ჭერდიან ჩამოშვებული ლამპარის სინათლე პირდაპირ სახეში სცემდა, ფეხზე იდგა და გატაცებით რაღაცას ლაპარაკობდა, ფარნა დაზგაზედ ჩამომჯდარიყო და რამოდენადმე იქვენულის ღიმილით ყურს უგდებდა მეგობარს; იქვე შორი-ახლოს ფეხი-ფეხზედ გადადებული იჯდა სოფლის მწერალი მელაძე, რომელიც უღვაშების გრეხით ცბიერად შეჰყურებდა უქმიაშვილს; დაზგაზე იდგა ერთი ბოთლი ღვინო და სტაქნეზი, ზოგი დაკლილი და ზოგიც ღვინით.

დათიკამ ჩანხახი ფეხზე შეაყენა, თოფი მოიმარჯვა, მაგრამ ერძებაშად ძირს დაუშვა და ღრმა ამოოხერით წაიბუტბუტა:

— უ-უ-უჰ, რა ძნელი ყოფილა კაცის მოკვლა!.. — შუბლზე ცივმა ოფლმა ცვარ-ცვარად დაასხა.

— ხა, ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარა ამ ღროს ფარნამ. — უყურე ამ რაზბონიკს ერთი! მერე, მერე? — ჩაჰკრთხა იმან მეგობარს, რომელიც უთუოდ რაღაც საინტერესო ამბავს ელაპარაკებოდა.

ნესტორმა ღვინო დაისხა, ერძებაშად გადაჰკრა და შემდეგ ხმა-მაღლად თავ-მომწონედ განაგრძო.

— მერე-დღე რაღაი თვალი მოვკარი და გულში რაცხამ გამიხიციანა, მოვტრიალდი და უკან გამოვენთე. ხომ იცი ჩემი ამბავი? — ველარ მოვითმინე, ძმაო, არ იქნა! წახდენის დღე ის იყო, რომ ფეხებზე ცოტა სუსტად ვიდექი; დღეს, რომ ქორწილში ღვინო დავლიე, აბა რა ხეირს დამაყრიდა? აი წყველი ფეხები ხან აქედ მიდიოდა, ხან იქით, არ იქნა, სწორედ ვერ გავადგი...

— ხა, ხა, ხა! — შესკდა ისევ სიტყვილი ფარნას: — მერე? წახდა საქმეო, იფიქრე, ჰა?

— ვიფიქრე, კაცო, აბა რა? ისე მირბოდა ამ მიწოდორში, რავარც შევლი! სალა მივეწვევდი? მარა არ მომეხმარა ღმერთი და ტყეში არ შევიდა!..

— რა უნდოდა აწი ტყეში?— გააწყვეტინა მეგობარმა.

— მგონი საქონელს ეძებდა, სულ „მოი ნენას“ იძახოდა. ახლა კი გაკეთდა ჩემი საქმე-მეთქი, ვიფიქრე და შევევლიჯინდი მეც ტყეში...

— ო-ო-ოჰ! ძაღლო, ძაღლო!.. კბალებსი კრაჭუნით წაბჩურჩულა დათიკამ, რომელსაც თვითიული სიტყვა ესმოდა, და ისე მაგრა მოუჭირა ხელი თოფის ლულას, რომ ძვლებმა ღრაჭუნსი მოადინეს.

— არიქა, ბიჭო, თუ ივარგო!

— მეიცადე ერთი. შევედი და მივიხედ-მოვიხედე: ჩემი გვრიტი არსად ჩანა. წაფხდი კაცი, სწორედ მეორე მხრიდან გვეიდა-მეთქი, ვიფიქრე. გაეჩერდი ერთ ხესთან, ყურები ჩამოეყარე. აკი იპრიანა ღმერთმა და გამოანათა მზე და მთვარემ. გამოანათა, მარა რაფერ გამოანათა! რომ იცოდე!.. ისე ამაკანკალა ტანში, აგერ კაცს რომ ძალიან მაგრად გააცივებს... რა-ღა ბევრი გაგიგრძელო, გავვარდი და მოვსდევდი ხელები და ისე მაგრად ჩევიხუტე გულში, რომ შემეშინა, ხელში არ ჩამაკვდეს-მეთქი.

— მერე, მეტი აფერი?

— მერე და მერე! ყოლიფერი რაფერ გითხრა? მერე რაც მოხდებოდა, შენც თვითონ კარგად იცი. — დაასრულა ნესტორმა და თავ-მომწონედ გადახედა სოფლის მწერალს.

— არ შეიძლება, ვაში ბლაგოროდიე, შევიტყვოთ ვინაობა იმ... იმ... ტურფა, ესე იგი მშვენიერი მანდილონისა, რომელმაც... ან, უკედ ვთქვათ, რომელიც გააბედნიერეთ თქვენის ყურადღებითა?— იკითხა ეშმაკურის ღიმილით მწერალმა და რა დანიახა, რომ ნესტორმა უარის ნიშნად თავი გააქნია, დაუმატა:

— იმედული ბრძანდებოდეთ, რომ ვინაიდან ჩვენ პატიოსანი ხალხი ვახლავართ, ესე იგი ნებას არ მიცემთ თავის თავს, რომ ეს ჩვენ შორის დარჩება...

— არა, ქალის სახელს ტყუილა ნუ მკითხავთ, ვერ ვიტყვი: ეს ჩვენი საიდუმლოა! — ამაყად წარმოსთქვა ნესტორმა.

— შენ რომ არ თქვა, მე კი არ ვიცი საწყალი! — მიუგო ფარნამ, — შენ აგი მითხარი: ქალს აფერი უთქვამს? სულ? წინააღმდეგობა არ გაუწევია?

— სრულე-ე-ე-ებით! — მიუგო ნესტორმა ხელის გაქნევზა. — ის კი არა სუროსავით შემომეხვია, კილამ დამარჩო, კაცო, ერთი ბეწვი დამაკლდა.

— ცრუობ, ცრუობ, შე ძაღლო... შე უსვინიდიწო!.. ძლივს წარმოსთქვა სულ-შეგუბებულმა დათიკამ, რომელსაც თავში სისხლი შეუვარდა და ერთის ძვალის დახამხამებაში დაუმიზნა რა თოფი, ჩახმახს ფეხი გამოუშალა. გნისმა გრიალი და, როდესაც გადფანტა სქელი კომლის ღრუბელი, მან დაინახა, როგორ გაფითრდა სახეზე ნესტორი, გულზე ხელი მოიჭირა, დაბარბაცდა და მოჭრილ ხესავთ, ზაბანით დაეცა იატაკზედ. დუქანში შექნეს საშინელი ჩოჩქოლი და მისცივდნენ საბრალო ყმაწვილკაცს მისაშველებლად, მაგრამ გვიან იყო: ტყვია შიგ გულში მოხვედროდა და სამუდამოდ შეეწყვიტა მისთვის ცემა.

— გათავდა! წყნარად წარმოსთქვა დათიკამ და ტორტმანით დამთვრალი კაცივით შევიდა დუქანში, გაავლო ხელიდან თოფი, რომლის ლულა ჯერ კიდევ ჰბოლავდა და უღონოდ დაეშვა იქვე კართან მიდგმულ სკამზედ. მისს დატანჯულს სახეს ისეთივე ფერი გადასდებოდა, როგორც იატაკზე უძრავად გაშოტივლ ქაბუკს, რომლის სანახევროდ გაღებულნი და ჩამქრალი თვალები, თითქო ყვედრებით, მიშტერებოდნენ მკვლელს.

— რა ჰქენი, შე საცოდავო, აგი? შესძახა ფერ-წასულმა მელუქნემ.

— აგი ახალგაზდა კაციც დალუპე და შენც ციმბირში უნდა წახვიდე! — უთხრა თვალ-ცრემლიანმა ფარნამ.

— ციმბირში რას ჰქვია, კატორღაში, კატორღაში!... სისხლის სამართლის წესდების ძალით, — გაუსწორა მწერალმა და შემდეგ დაუმატა: — მე წავალ და მამასახლას შევატყობიებ, თქვენ

ხელი არ ახლოთ მკვდარს, — ისე უნდა დახედეს გამოძიებელს, რაეარც ახლაა. — ამ სიტყვებით მწერალი გარედ გავიდა.

დათიკას არა ესმოდა-რა იმისაგან, რასაც ეუბნებოდნენ და რაც მის გარშემო ხდებოდა. უძრავად, გაქვავებულივით იჯდა ის და ფართოდ დაქცეტილის თვალებით უზაროდ იყურებოდა წინ. მხოლოდ იმისი ჩატეტილი მთრთოლარე ტუჩები დრო-გამოშვებით ჩურჩულებდნენ: „ღმერთო, შემინდევო, ღმერთო შემინდევო!..“ იმას მაშინაც არ აუღია თავი, როდესაც რამდენისამე ხნის შემდეგ ბრახუნით და ხმა-მაღლა ლაპარაკით დუქანში შემოვიდა ადგილობრივი ბოქაული, რომელმაც მოწმეებს საქმის გარემოება გამოჰკითხა, საჩქაროდ ჩვენება დასწერა და შემდეგ მბრძანებელის ხმით მიუბრუნდა კარებთან გაჩერებულს თოფიან ყაზახებს:

— Возьмите его.

ყაზახები მისცივიდნენ და მკლავში ხელი სტაცეს დათიკას, რომელიც ოდნადაც არ განძრეულა ამათ მოახლოვებაზე.

— ადექი ზედ! — არ გესმის? ამათ უნდა წაჰყვე! ჩასძახა ბოქაულმა, რომელმაც მხარში ხელი ჩასჭიდა და რამდენჯელმე მაგრად შეანჯღრია.

დათიკამ მხოლოდ ახლა აიღო თავი და გაუშტერა. ამდერეული თვალები იმას, ვინც ელაპარაკებოდა.

— ჰა? — იკითხა მან ისე, თითქო სიზმარში ყოფილიყოს.

— წამოდი, წამოდი!

— წამოვიდე?

— ჰო, ჰო, ადექი ჩქარა! — კიდევ უფრო ხმა-მაღლა დასძახა ბოქაულმა.

დათიკა წამოდგა ხმა-ამოუღებლად და ბარბაცით პერანგის ამარა, ფეხ-შიშველი გაჰყვა უკან ბოქაულს, რომელსაც თან აედევნენ თოფიანი ყაზახები და მამასახლისი.

ახლა დაუბრუნდეთ ისევ დათიკას სახლობას.

როდესაც ბევრის დახილის შემდეგ თამარი დარწმუნდა, რომ იმისი შვილი აღარ დაბრუნდებოდა, გამოტრიალდა და მჯიღების განწარებულად გულში ცეპით, სახლში შევიდა.

— ვაიმე, ვაიმე, რაღა დევილუპეთ, რაღა ამოვარდით!... რა მომესწრო ამ სიბერის დღეს აგი, რა მომესწრო!.. — მოსთქვამდა მოხუცი ქალი და ლოყებ-ჩაცვინულს დაღმეჭილ სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები.

რძალი იმ დროს მიწაზე დამჯდარიყო, მიჰყუდებოდა კედელს და მუხლებზე იდაყვ-დაყრდნობილი და ხელებში თავჩარგული გამოუთქმელს მწუხარებასა და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა..

გული ერთობ დამძიმებული და ავსებული ჰქონდა ნადველით, რომ ყურადღება მიექცია დედამთილის წუწუნისთვის: „მოკლავს... ცოცხალს არ გოუშობს...“

— მე ვიცი მისი ხასიათი... ციმბირში დაჰკარგვენი და მაშინ რაღა ვქნათ, საღა წყალში გადავარდეთ? — ამბობდა თამარი სახლში მოუსვენრად აქეთ-იქით სიარულით და გულში მჯილის ცემით.

სიტყვებმა „ციმბირში დაჰკარგვენი“ ლახვარივით დაუარეს გულში ყმაწვილ ქალს, რომელმაც მსწრაფლად თავი მაღლა აიღო და შემკრთალის ხმით იკითხა:

— ვის დაჰკარგვენი?

— დათიკაზე ვამბობ, შეილო, დათიკაზე!.. იმის მოკვლა უნდა... თოფი ჩამეილო და გეიქცა... ვაიმე, ვაიმე, შეილო!..

— დათიკას? ციმბირში? — შესძახა შიშისაგან თვალეზგაფართოვებულმა რძალმა და გაჟივივით წამოიქრა.

პირველი აზრი, რომელმაც გაურბინა თავში, ის იყო, რომ გამოჰკიდებოდა ქმარს და როგორმე უკან დაებრუნებინა. ის მივარდა დედამთილთან, ხელა მაჯაში სტაცა და მთრთოლარე ხმით უთხრა:

— წვევიდეთ ჩქარა! იქნება მივეწიოთ... დავაბრუნოთ!..

— რაღარი, შეილო, ახლა გვიანა! — მწუხარებით მიუგო მოხუცმა ქალმა. — ბევრი ვეხვეწე, ბევრი ვიტირე, მარა არც ჩემი ხვეწნა შეისმინა არც ჩემს ცრემლებს შეხედია!.. საღ უნდა წახვიდე ამისთანა ღამეში, თვალში თითი არ იკვრება!..

— აბა რა ექნათ, რა ექნათ?... — ხელების მტკრევით შე-
სძახა რძალმა.

— ღმერთი თუ მოხედავს ჩვენს სისაწყლეს და აგვაცდენს
ფათერაკს, თვარა ჩვენ რა შეგვიძლიან, შვილო?

„ღმერთი?.. ვერ ხედავ, რომ ღმერთმა აგვადო ხელი?“ —
იფიქრა ყმაწვილმა ქალმა, რომელსაც ცრემლებისაგან დაწით-
ლებული თვალები ცეცხლის ალისთვის მიეშტერებინა.

ერთი უბედურებაც საკმაო აყო მისთვის, — თავის მოჭრა!
შეორეს რაღაფერ გაუძლოს? რაღაფერ აიტანოს? ის უეჭველ-
ლად მოიყვანს სისრულეში თავის განზრახვას, მოჰკლავს იმას,
და კაცის-მკვლელს ხომ ციმბირში გზავნიან სამუდამოდ... არა,
რაც უნდა მოუფიდეს, ის გამოუდგება უკან ქმარს! თუ შეხვ-
და და დაიყოლია, ხომ კარგი, თუ არა და წყალი ახლოა, გზა
კარგად იცის და ვინ დაუშლის ამ ბნელს ღამეში შოულღოს
ბოლო თავის გაწბილებულ სიცოცხლეს?..

ყმაწვილი ქალი მტკიცე გარდაწყვეტილებით გაექანა, კა-
რებისკენ და ის-იყო ცალი ფენი ზღრუბლებზე დადგა,
როდესაც უეცრად მოესმა გულის გამკშირავი ბავშვის კვილი:

— ვაი, ვაი, ვაი!.. ნენა, ნენა!

ამ ნაცნობი ხმის კვანძებზე, ყველაფერი დაავიწყდა: ნი-
წოს, თავისი თავიც, დათიკაც და გიჟივით მიიჭრა ლოგინთან,
რომელზედაც პატარა გოგი გაჩერებულიყო, ხელები გაშალა
და შეშინებულ თვალებს ირგვლივ არაონინებდა, თითქო ვი-
ლაცას ეძებსო.

— მოტვა, ნენა... მოტვა... ტუღამ სეწამა... ტუღამ!.. —
ამბობდა ის გულ-ამოსკენილი ტირილიდან.

— არა, შვილო! აგერაჲ შენი, სასიკვდილო დედა! — უთხ-
რა ტახტზე ჩამომჯდარმა ნინომ ბავშვს, რომელიც მუხლებზე
დაისვა და გულში ჩაიხუტა.

— ნუ ტირი, ნენავ, ნუ ტირი, შენ გენაცვალოს ჩემი
თავი,

— ტულა... ტულა... სლოკინებდა გოგი, რომელიც ჯერ
ჭიდევ სიზმრისაგან მთლიან არ გამოორკვეულყო.

— ტურას რა უნდა, ნენავ, აქნანი? სიზმარი იყო...— ამ-
 შვიდებდა დედა და ალერსით უსვამდა ხელს ოფლით გაწუწულ
 შუბლსა და ქოჩორზე.

ბავშვმა თავისი პაწაწინა ხელები კისერზედ მოჭხვია და უთ-
 ხრა:

— ალ წახვიდე, ნენა, ძვალა ტულა სეგწამავს... ცემი ნე-
 ნა, ალ წახვიდე!..

— არა, ნენავ, არ წავალ, შენ შემოგველოს დედა-შენი!
 შენ რაფა დაგტიებ?

გოგომ შეხედა დედას თავის წყლიანის დიდრონის თვალე-
 ბით და გაულიმა. ოჰ, რანაირად ჰგავდნენ ეს თვალეები მამის
 თვალებს, რომელნიც კინ იცის რამდენჯერ შეჩერებულან სი-
 ყვარულით ცოლის მშვენიერ სახეზედ და გამოუცდევინებიათ
 მისთვის უნეტარესი წამები! დაბრუნდება კიდევ ოდესმე ეს ბე-
 დნიერი დრო? ყმაწვილ ქალს გული აუღუღდა და ტირილმა
 ყელში მოუსწრო, მაგრამ თავი შეიმაგრა, რომ ძლივს დაწყნა-
 რებული შეილი ისევ არ აღელვებულიყო.

— ბაბა სადაა?— იკითხა ბავშვმა, რომელსაც თვალეების
 ხშირ ხუჭვაზე ეტყობოდა, რომ ძილი ერეოდა.

— ქია აგერ, ნენა...— ცრემლების ყლაპვით მიუგო დედამ —
 დეიძინე, დეიძინე, ჩემო თმა-ხუჭუჭა ბიჭო!— დაუმატა მან და
 დაუწყო რწევა.

— თამარი ამ დროს სახლის ერთს კუთხეში დაჩოქილიყო და
 ხელ-აპყრობილი ცხარე ცრემლების ღვრით თავის ერთად-ერთი
 შვილის გადარჩენას მხურვალედ ღმერთს ევედრებოდა...

გავიდა ამ შემთხვევას შემდეგ ექვსი წელი, გოგი ეხლა
 ცხრა წლის მშვენიერი შესახედავი ყმაწვილია და სოფლის
 სკოლაში დადის. მაწაველებელი აღტაცებაშია იმისი სწავლის

ნიკიტა და ხალისით, ის საუცხოოდ სწერს და ვრთხულობს, და ორბმდენჯულმე ბარათიც გაუგზავნა თავის მამას, ციმბირში, მაგრამ არც ერთხელ პასუხი არ მოსვლია; იკარგებოდა ეს წერილები, თუ ცოცხალი არ იყო დათიკა, ეს არავინ იცოდა. ნინო, რომელიც ვერაზე გზით ვერ შეგთვისა იმ აზრს, რომ საყვარელი ქმარი სამუდამოდ დაუკარგეს, ხშირად ცრემლებს ღვრის და მწუხარებას ეძლევა, მაგრამ შეხედავს თუ არა თავის ლამაზს და ჰკვიან ბიჭს, ისევ მხნევდება და წინანდელზედ უფრო თავ-გამოდებით ტრიალებს ოჯახში, რომ მტრის ჯინაზე ქმრისაგან კერაზე გაჩაღებული ცეცხლი არ ჩაუქრეს. ნინოს კი ქალობის წყალობით დათიკას ოჯახს ისევ ის პატივისცემა აქვს მეზობლებისგან, როგორც წინად ჰქონდა. „ღმერთმა აკურთხოს შენი მარჯვენა და შენი ქალობაო!“ ამბობენ ისინი დათიკას ცოლზე, რომელიც შრომის და პატიოსნების მაგალითად მიაჩნიათ... თამარი მოხუცებულობისა და უფრო ჯავრისაგან ცოტა წელში მოტყდა, რამოდენადმე თვალს დააკლდა, მაგრამ თავისი წვლილი მაინც შეაქვს შვილის ოჯახის მოვლასა და პატრონობაში და შეძლებისა დავარად ეხმარება რძალს. რაც შეეხება ჩვენი ამბის დანარჩენ პირების ბედს, ეს ორიოდე სიტყვით მოიჭრება: გულ-კეთილი თეკლე საშინელ უნუგეშო მდგომარეობაშია. ტირილსა და მოაქმაში ატარებს დღე და ღამეს თავის ნესტორის დაკარგვის გამო და სულ ამას წუწუნებს: „ჩემი მაზლის სიტყვა რომ დამეჯერებია, ასე არ დავიღუპოდიო!“ ფარნა მაყაშვილი, რომელზედაც ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ექვი შეიტანა ავაზაკებს ხელს აფარებს და მათთან დამოკიდებულება აქვსო, შორეულ რუსეთის გუბერნიაში ათის წლის ვადით გაიგზავნა. იმის განძევების ვადა ამ ოთხს წელში გათავდება, მაგრამ არავის ქვიანეთში იმის ჩამოსვლა სასიამოვნოდ არა აქვს. ან კი რა უნდა? მამული იმას აღარ აბადია და დედული: თუ რამ გააჩნდა, ყველაფერი მედუქნე გაბრიელ როხაძემ ჩაიგდო ხელში. ამ ვაჟბატონს ეხლა კარგა შემომრგვალებული სამფლობელო აქვს და ფულითაც ისე მდიდარია, რომ სოფლის დუქანს აღარ დასჯერდა და სამი

წ ა რ ლ ჰ ნ ა

მოთხრობა ემილ ზოლასი

(ფრანგულით)

I

ჩემი სასული—ფუი რუბიოა. სამოც და ათის წლისა ვარ, სენ-უორელი. ტულუზიდან სულ რამდენისამე ვერსის მანძილზედ მდებარებს ჩვენი სოფელი, გარონის ნაპირზედ. ბუერი ქირი და ვაება გამოძივლია სიუმსწვილეში, ბუერი ტანჯვა-წვალება: დღე და ღამ დაუსვენებელი ვებრძოდი დედა-მიწას, წელეზედ ივეს კიდვამდი, რომ ლეგმა პური მეშოვნა როგორმე. ბოლოს, ოჯახი ივესზედ წამოდგა და ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენ სოფელში ვატი არავინა მჯობდა.

ღვთის თვალი ტრიალებდა ჩვენს ოჯახში; სიმდიდრე და ბარაქა საკმარი გეჭონდა, მზე მმასავით გვესმარებოდა და ვარჯა სანია, ცუდი მოსავალი აღარ მასსოვს. ათი სულა მეტა ვაყავით: ვერ მე, მოსუტეული ვარ, მაგრამ სამუშაოდ წინ მანც მე მიუძღვოდი ყმაწვადებს. ჩემი მომდგენო იყო პეტრე; უცოლშვილოდ დაბერდა საწყალი; სემწიფის სამსახურს შეაღია თავისი სიუმსწვილე; მერე ჩვენი და აღათი; დაჭერივდა თუ არა, მასინე ჩვენს დაბრუნდა; მუშა დედა-ვატი იყო, ვაყვაც არ ჩამოუვარდებოდა; იმისი სიცილი სოფლის ბოლოს ისმოდა; შემდეგ წერილ-ივესობა: ჩემა იაკობა, იმის ცოლი როზა და ამათი ქალები: ღიზა, ვერონიკა და მარიამი. ღიზის სიბრინ ბუისონსა ჭყავდა—ისიც ვარჯი მუშა ვატი იყო; ორი პატარა ბიჭი ჭყავდათ: ერთი ორი წლისა იყო, მეორე ათი თვისა. ვერონიკა

წარსულ კვირას დაწინაშეთ, გასპარ რაბუტოს კადლეკდით. მესამე—
მარიაში... თაკადიშვილის ქალი გეგონებოდათ, რომ გენსათ: თე-
თრი, ნახი, თითქო ქალაქში დაბადებულა და იქ აღზრდილა. სწორედ
ათნი ვიყავით. ჰმანხედ მეტი ვიყავ: შვილის-შვილის-შვილები მიყავდა.
სუფრასკედ რომ დასსდებოდით,—მარჯვნივ ჩემი და აღათია მო-
მიჯდებოდა, მარცხსნივ ჩემი მძა ჰეტრე, მერე სსჯანი მისდევდნენ,
ჟერ უმფროსნი, მერე უმცროსნი; ირგედივ ეუსხედით სუფრას
თავში თაქლივით გათეთრებული ჰმან და ბოლოში ათი თვის ბა-
ღასა, რომელიც ჰმანხედ უკეთესად შეეჭკოდა თავის შექმანდას.
რა წკარუნი გაჭქონდათ ეოვზებს! მედგარი მუშაობა ვიცოდით დი-
დით-შატარამდე და ქამასაც მედგრად შეუდგებოდით სოღმი. მერე
რა მისარული სუფრა გეჭონდა სოღმი! რა ოხუნჯობა და სიცილი!
სეტარებით მეკსებოდა გული, როდესაც შატარები ხელს გამომი-
კერდნენ და:

— ჰმან! ჰური მომიტყე! დიდი, დიდი-ო! შემომსსებდნენ.
საღდა ეს ნეტარება! დდე დაუსკენებლივ ვმუშაობდით. საღამოხედ
ჰეტრე ბავშვებში ჩაუკეოდა, აწეებოდა და თამაშობას დაიწებ-
და, ან არა-და თავის ჟანონობას მოიგონებდა, თავის თავკადასა-
ვალს და ომების ამბებს გვიამბობდა. კვირობით აღათია ნახუქს
გამოაცნობდა, დასსდებოდით და გალობას დაიწებდით. რა
ლოცვას იტყვიით, რომ მარიაშს არა სცოდნოდა! მერე რა სმა ჭქონ-
და! ქერ თიები რომ ჩამოშლებოდა და თვალ-აზრობილი დასმა-
სებდა «წმინდაო მარიაშო», სწორედ ცით მოკლებილი ანკელოზი
გეგონებოდათ.

სიპრიანშს რომ ჩემი ღიზა შეირთო, გადაწყვიტე, სასლს ერთ
სართულს კიდევ დაჯადგამ-მეთქი. მერე გასპარმა კერონივა დასიშ-
ნა და ვიციოდა: ჟვარს რომ დაიწერთ, ერთ სართულსაც თქვენ-
თვის დაუქმებ-მეთქი; ასე რომ გაველოდით, მონი ცამდე აგე-
მდლებინა ჩემი სასლი... მაგრამ ყოვლად შემძლებულმა ღმერთმა
სსჯანური განსაჯა... რას იზამთ, არ გინდოდა ერთმანეთს დაჭო-
რებოდით, არ გეკეტებოდა... სასლს უკან, საბაღასეში მთელს სო-
ფელს გაგაშენებდით და ცალ-ცალკე კი არ გაეიდოდით. ოჯახში რომ
თანსობა, სიცოცხლეც და სიკვდილიც ერთად უფრო ტებილი!

საკვირველი დარები დაიჭირა წლეულს მისმა. ჩემს დღეში არ მასსოკის, ასეთი ჟუჯილები ყოფილიყოს. სწორედ იმ უბედურ დღეს დავიარეთ მე და ჩემმა იაკობმა ჩვენი ყანები. სამი საათი იქ ნებოდა, რომ წაგედით; გარონის პირას ამწკანბეული ყანები დავათვალიერეთ; მწკანბე ბიბინებდა პური; შარშან შემოდგომას ღობის წილ ხარიგებულ ბუქნარს სულ ადღის სიგძე ყლორტები გამოელა. მერე კენახები და წვრილ-წვრილი მიწები დავიარეთ; ეს მიწები სულ ჩვენივე ოფლით შევიბინეთ, სელ-ნელა ვყიდულობდით... ვუკვილს კარგი პირი უჩინდა, კახი ყვარდა და კარგ რთველს გვპირდებოდა. იაკობი გამყოფილებით ფეხზედ აღარ იდგა.

— რას იტყვი, მამა-ჩემო, არც პურა დაგვაგლდებ; არც ღვინო, ჭა? წლეულს, ღვთის მადლით, რამდენისამე წლის სასრხო-სახადებულს შევიძინეთ. აღბად რამე მადლი მიგვიძღვის ღმერთთან, რომ ასე უჩადა ბერტყავს ჩვენზედ თავის დალოცვილ კალთას!

წარსულის დროს სიღარიბეს და სიღატაკეს სწინად მოვიგონებდით სოღმე. იაკობი მართლს ამბობდა: აღბად რითიმე მოვიმადლიერე რომელიმე წმინდანი, ან თვით ყოვლად-შემძლებელი ღმერთი, რომ ასე კარგად მიდიოდა ჩვენი საქმე. სეტყვას რომ მოსულიყო, ჩვენ კენახებს და ყანებს გვერდსედ აუვლიდა. მთელს სოფელში რომ ხაცარს გაფეტქებინა კენახება, ჩვენსას ჟვარი ეწერა, თითქო გარს შელოცვილი გაღავანი ავლიაო. ღმერთი გვწყალობდა... მე მეგონა, სამართლიანად გვწყალობს-მეთქი: ჩემს დღეში ავიარა ჩამიდენია რა და განა დირსი არ ვიყავ ამ წყალობის?

მერე სოფლის ბოლოს გავედით. თუთას მშვენვირად ქსარნა. ნუშისად ბუერს: გავეიდდით წლეულს. რა მსიარულად ვლახავანკობდით, სამერძიოდ ახალ საქმეებს ვაწყობდით: ცოტა თელი რომ კიდევ მოგიბტროვა, რამდენსამე მიწას ვიყიდდით და სულ მთლად შეკავრებდით ჩვენ მამულს. მოსავლს კარგი პირი უჩინდა, და, ღვთის მადლით, შეიძლებოდა წლეულსვე აგვესრულებინა ეს დიდი ხნის წადილი.

სახლს რომ დაუქსლოვდით, როცამ შორიდხვე ყვრილი დავიწყო:

— წამოდით რაღა! ჩქარა, ჩქარა!

ძროხას სბო მოეგო. მთელი ოჯახი ფეხზედ იდგა. ჩემი და ალათის მთასაკით მოჩანდა შორიდან. ქალები სბოს დაჭეულებდნენ. ეს ღვთის წყალობა იყო ჩვენი ოჯახისთვის, ამ ცოტა ხნის წინად ბოსელი გადაჯაკეთთ: ძველში აღარ ეტეოდა საქონელი: ას სულზედ მეტი გეუჯდა ძროხა, ცხენი და ცხვარი.

— ღმერთმა დალოცოს დღეკანდელი დღე! ეუთხარი ჩვენებს გულ-მხარულად. თითო ჯამი ღვინო შეგვერგება, ჭა, ხალსნო?!

ამ დროს როხამ იქით გამიყვანა და მითხრა—გასპარი მოვიდა, კერონიკას საქმეო, და გთხოვთ ქორწინების დღე დაუნინათო. სადილად აღარ გაეშვათ. გასპარი ერთი მარნეტელი კანის უმფროსი შვილი იყო; ასე, ოცის წლისა იქნებოდა და მთელ მახარში განოქმული იყო თავის საკვირველი ძალ-ღონით. ტულუზში, ერთ დღეობას, მარსილასაც კი აჯობა თურმე და მარსილადი სომ ვეკლგან ღომად ითვლებოდა. ამასთან კარგი ბიჭი იყო, გულ-კეთილი, მშვიდი, მორიდებული; ასეთი მორცხვი რამ იყო, რომ კერონიკა შესედადა თუ არა, ყაყაროსაკით გაწითლდებოდა სოღმე იმოდენა მთა-კანდი.

როხას ეუთხარ, შემოიყვანე-მეთქი.

ესოში გაჩერებულიყო და მოსამსახურეებს სარცხის იყენას შეელოდა; სსადილო ოთახში რომ შემოვიდა—მთელი ოჯახი იქ კიეხით—იაკობი მომიბრუნდა და მითხრა:

— ბრძანე, მამა-ჩემო.

— მამ იმატომ გარჯილხარ, რომ ქორწინების დღე დაგინინათო? ჭა, შე სულ-სწრაფო, შენა!

— დიად, შენიჭირიმე, წაილუღლულა სსწყაღმა ბიჭმა და ტარხლკით გაწითლდა.

— რისა გრცხეხინა, შე კაი კაცო, შენა. ასე გაწითლდა, თეიქო... ათ მკათათეეს იეოს, თუ შენც იტევი. დღეს თიბათვის 23-ა, ოცი დღეც აღარ არის. განსვენებული ბებია თქვენი ფელისიტე ათ მკათათეეს დღესასწაულად სოღმე თავის დღეობას და, მოდი, ქორწილაც იმ დღეს იეოს. სომ იცით ფელისიტე ბედნიერებას ნინავს და თქვენც ბედნიერებას მოგანატეგო. ჭა, რას იტევი?

— აგრე, შენიჭირიმე! მკათათვის ათს იეოს.

და გასარბულმა მე და იაკობს ისეთი ძალით ჩამოგვართვა სე-
ლი, ხარისთვის რომ დაეკრა, მეონი წაქოჩებინა. მერე როზას გა-
დაესვია და კოცნა დაუწყო — დედა-ჩემი ხარო. მდეკვით ბიჭი იყო,
და ისე უყვარდა კერონიკა, რომ ბავშვივითა თრთოდა, აღარცა სჭა-
მდა, აღარცა სვამდა. ჩასადილეეს გამოგვიტყდა — ე გოგო რომ არ
მოგეტათ, თავს მოვიკლავდიო.

— სადილად ჩვენსა დაჩხები, ახლა თქმა უნდა... აბა, შეჭამადი,
ჭალებო! დასხედით! ისე მშინა, ღმერთმანი, თითქო ერთი კვირა ხა-
წილი არ ჩასულიყოს ჩემს შინში.

ამ საღამოს სუფრასზე თერთმეტნი ვიყავით. გასვენა კერონ-
იკას გვერდით იჯდა. იჯდა და შესცქეროდა თავის დანიშნულს;
საჭმელიც დაავიწყდა, სასმელიც! მთელგარება ეტყობოდა; ბუნებურ-
ბისაგან თავში ცრემლს ძლივს-ღა იმაგრებდა. სიპრინი და ლიზა
სამი წლის ცოლ-ქმანნი იყვნენ და გასვენს რომ შესედავდნენ, ღი-
მილი მოსდიხდათ, იაკობი და როზა — ამ ორ და ათი წლის წი-
ჩად დაიწერეს ჯვარი — უფრო სიბრალულით უყურებდნენ, და თან კი
ჩემ-ჩემად ისეთი სიყვარულით გადასედავდნენ სოფლე ერთმანეთს,
თითქო უმარვილური ტრფობის ალი ჯვარც არ გაჭჭრობინათო. მე კი,
შეკვტვროდი შეყვარებულთ, ჩემი სიყმაწვილის დღენი მუდგა თვალ-
წინ და ასე მტკონა, სელ-მეორედ ვიწყო ცსოვრებას-მეთქი. სამოთ-
ხეში მეგონა ჩემი ხაჯი, — ისე ბუნებური და უმარფილი ვიყავ ჩე-
მი ბედისა. რა შეჭამადი გვექონდა იმ საღამოს! აღათის სომ სოფ-
ლას დაეწია: გამხინჯულად თავისებურად, ოხუნჯობას მოჭყვბ, ახლა
ჩემი მძა ბეტრე! დაიწყო ძველი ამბები! ლიონში თურმე ერთ გო-
გოს ეარბიებოდა... სიცილით დაგვსოცა, ისე ლამაზად გვიამბო-
ხაჯის სიყვარულია ამბავი. კიდევ კარგი, რომ სადღელი გათავკე-
ბული გვექონდა, ხილს გაასლებოდიო, თორემ იქსება სულაც მძიე-
რები დაგჩხინილიყავითო. მარსიდან ორი ბოთლი ძველი ღვინო ამო-
ვიტანე და დანიშნულები გადავტოვე. მერე სიმღერა დავიწყეთ.
გასვენას საარბიყო ლექსები გვიბეურა, კარგადან მღეროდა, ღვთის
წინაშე. მარსიმ კიდევ რამდენიმე საეკლესიო გალობა სთქვა. რა ხმა
ჭქონდა, რომ კერ წარმოიდგენთ! გვეგონებოდათ, აქ კი არა, ცაში
ანგელოზი გალობს და იმისი ხმა მომდისო.

მე ფანჯარასთან ვიდექ და უურს ისე ვუგებდი. გასპარტი ჩემკენ წამოვიდა.

— სასლი ხომ არაფერია თქვენსკენ?

— არაო, მივასუსა. ამბობენ, მთაში საშინელი თაჯ-სსმა იყო და წყალი მოკარდებოა. დიდი წვიმები ყოფილა. ძალთან ვშირნიანთ...

მართლაც-და, წინა-დღით გამოიდაჩა, თორემ რი დღე და სა-მძ დაძე სულ კოკის-პირულად ასსამდა. გარონა წუხელისეე მოკარ-და, მაგრამ ჩვენ არაფერისა გვეშინოდა, ნდობით ვუჭურებდით ამ მდინარეს. ან როგორ არა ვნდობოდიო? ჩვენს ჯაფაში მჩეხედ ნა-კლებად არც ისა გვშელოდა. ეგეტ რამ არ იყოს, ადვილი ვი სუ გგონიათ მამაშენეულ სასლს გლესმა-კანმა თავი დაანებოს— წყალხ არ მოკარდეს და არ დავიღუპოვა! კაჟია გლეხი-კაცი: ჭერი რომ თავზედ ენგრუადეს, მამა-შენეულს მინც არსად გაქცევა.

— ეშინიანთო! შეუუტეე გასპარს:— კარგი ერთი-და! ე წყალის ყოველწლივ ასე იცის და ჯერ არავინ უხარალებია. უტბად წამოუკ-ლის ცოფი, ჭექა-ჭუსილით გამოქანდება, თითქო ქვეყანას წაღვეს უშირებდესო და მეორე დღეს ისე დამშვიდება, ისე დაწყნარდება, რომ სოსავით შენებელია სოლმეა აი ნასაჟი, თუ ასე არ იყოს... მოკარდება, შენისთანა ჯონგა ბიჭებს შეაშინებს და ჩემის-თანა ბებრებს ვი სიცილადაც არ ეყოფა. ცას შეხედე, როგორი მო-წმენდილია!

შეიდაო საათი იქნებოდა, მზე ჩადიოდა. რა მშენიერი იყო იმ დროს ცის კამარს! ხეულ-მიუწვედელი უსაზღვრო სივრცე ცისა ღურჯად კამკამებდა! ჩამაძალი მზე თავის შუქით უფრო ამკობდა მოწმენდილ ცის სიმშენიერეს. გგონებოდათ, ოქროს მტკერს აყრის ზედაო. შემოდაჩა რაღაც ცაური სისარული და ბენიერება ეფინე-ბოდა ქვეყანას და ჩემს დღეში არ მასსოვს ისეთი ტკბილი სიმ-შვიდე, როგორიც იმ საღამოს ჩვენს სოფელს დასტრიალებდა.

მეზობლიანთგან სიცილი მოისმოდა, ელოში ბავშვების ყრია-მული იდგა. შორიდან საქონლის ხმა მოდიოდა, მინდურიდან მომა-კალი ნახირისა. წყალის არა ჩვეულებრივი შხელი ეკვლას გვესმო-და, მაგრამ ისე მიჩვეულნი ვიყავით მის ჯავრებას და მის ცოფიან

დმუილს, ყური ასე შეჩვეული გვქონდა, რომ უჭრადღებდასაც ადარ კაჭრედიო.

სოფელი იძინებდა, მშვენიერი საღამო იყო. შევეურებდი წას და გოეჭრობდი, სულ შენგან მაჭკვ, რაცა მაჭკვ — ეს საწხო-საზადე ბელი, კარგი მოსავალი, ბედნიერი ოჯახი, კერონიკას გათსოკება — სულ შენგან მაჭკვ მონიჭებული, წვიმად და შუქად მონიჭებული-მეთქი. ბინდდებოდა. მზის უგანსცხელი სსიკები გურთსეკას ჭიენდენ დაღაღულ და უკვე დასასვენებლად მიძინებულ ქვეყანას.

ქალები რადსაც ღამზარკობდენ და ჩვენ ღიმილით უერს გუგ-დებდით მათ ბასს; უცხად შორიდან, საშინელი, შიშის ზარის დამცრემი ყვირილი შემოგვესმა: — წყალი მოკარდა! წყალი-ო!

II

ვეკლასი გარედ გავკარდიო.

სეკში დეკს ჩვენი სოფელი, მდინარედან კარგა მოძოკებით. წყალსა და სოფელ შუა იძენი ბადები და სეკობა, რომ მდინარე არც კი ჩანს ჩვენი სასლიდან. მართლაც კერაიერს გსუდაკდით: გულის გამხეთქი სმა კი სულ ასლო და ასლო ისმოდა:

— წყალი მოკარდა! წყალი-ო!

და უცხად ორი კაცი გამოჩნდა გზაზე და სამი ქალი, ერთს ბავუკი ეჭირა სელში. თურმე ისინი ყვიროდენ: გაუებავით მორბოდენ, შიშისაგან თავბუდისა ადარა გაეკებოდათ-რა. ხანდახან ერთ წამს შეჩერდებოდენ, გულ-გასეთქილები უგან მიისუდაკდენ, თითქო დამშეული მგლები მოსდეკდენო და ასეე სირბილს იწყებდენ.

— რა ეჭნა! რა დამართენიათ ამ უბედურებს?! — იკითხა სიპრიანმა: — სედავთ რასმე, ზაზა?

— არა, კერაიერს გსუდაკ... ფოთოლიც კი არსად იძვრის.

მართლა-და, იმისთანა მეუდრო საღამო ჩემს დღეში არ მასსოკს. ისეე ამ ღამზარკაში ვიყავით, რომ უცხად, მოულოდნელად შორს მთასავით რადაც დაეინასეთ და ჩვენი საშიში მდგომარეობა ვიგრძენით. იმ საწულებს კვალ და კვალ მოსდეკა წყალი! სეებსა და ღობებს შუა მოჩანდა ამღვრეული, აჭაფებული ზვირთი და სა-

კვირეული სისწრაფით მოიწევდა ჩვენი სოფლისკენ. ტალღა ტალღასა
სტეპიდა, აწებოდა, და ამსხვრევდა, რაც კი გზაში შეხვდებოდა, და-
დაძიწას არეევდა თავისი განჭარბებული დენით.

შიში მოგვეკრია. ასლან ჩვენ შევიპირეთ:

— წყალი მოკარდა! წყალი!

ის საბრალდონი კი ისევე მოზოდნენ. უკანინდან უფრო და უფრო
ასლო ჰტრძნობდნენ გააფთრებულ წყლის დენას; უბედურები სწო-
რედ იმ გზას ადგნენ, სადაც უოკელ მსრიდგან მოკარდნილი ტალღები
ერთ ზღვად უნდა შეერთებულაყენენ. ზანზარი გაჰქონდა იჭურ-
ბას; საშინელი ქუსილით, მთასავით მოაქანებდა კარონს თავის ზვი-
რთებს. ერთი კი დაჰქარა წყალმა და ბალსივით გადათელა სამი
უშველებელი კერავი და ხეროს ფიცრული; ურმებს ხუმბულივით
მოაქანებდა. ფეს-და-ფეს მოსდევდა ხუთიკეს და აღმართს რომ მი-
უახლოვდნენ, როგორღაც უყვდა, გზა შეუკრა და წინ მთელი მო-
რევი დაუქანა. ისინი მაინც კარბოდნენ, სტოდნენ, რაც კი ძალ-ლო-
ნე შეინჩინადათ. შიშისაგან გულ-გასეთქილებს ენა ჩაუყარდათ, სმას
გულარ იღებდნენ. წყალი მუხლებსუდ ადგათ. ერთმა უზარ-მზარმა
ტალღამ ბავშვიანი დედეკაცი წააქცია... ფესსუდ კულარ წამოდგა
საწყალი.

— ახა, ჩქარა! — შეკვივრე ასლან მე: — შინ შედით .. სახლი მჭი-
დრფად არის ატებული და... ნუ გეშინიანთ!

სიფრთხილით სულ მეორე სართულში აკავრებენით. ჭერ ქა-
ლები აკვსავენთ. დაეიფინე — მე ვეკლასუდ უკან ამოვალ-მეთქი. სას-
ლი ძალღობსუდ გვედგა, გზას სემოდ.

ეზოში წყალი შემოგვიკარდა.

ცოტა გულდი მოვიბრუნეთ.

— ნეტავი თქვენს! იძახდა აკობი და ეტობოდა შეშინებულთ
გულს უძვარებდა: — რისა გეშინიანთ? განსოკის, მანა-ჩემო, რაწმოდ და
თხუთმეტში რომ შემოგვიკარდა წყალი? ეზოში კი გაბედა შემო-
სვლა, ერთი მტკაველი, მეტი არა უოფილა, და მერე ისე გაიპარა,
თითქო შერცხვა, ეს რა სისულელე მომივიდაო.

— ე მოსავალი კი დაგველუშა-და! სთქვა სიპრინამა.

ქალები შეშველდნენ: ისეთი თვალით შემომცქეროდნენ, თითქო ერთი სიტყვით შემქმლელ მათი შაშის გაჭრობა. ნუ გეშინიანთ-მეთქი, შეკმახე:—იაკობისა არ იყო, ისე განზარება, კერძ კი გაიგებთ. წყაღია, სუძრობს, თორემ კნებით კი არას გვავენებს.

ღიზას თავისი ბიჭები ლოგინში ჩაეწვინა და თითონ თავით მოსჯდომოდა, კერონიკა და მარინიც იქვე ისხდნენ. ღლათია იძახდა: ღვინო ამოვიტანე და რაკი აგრე გეშინიანთ, შეკათობო—ცოტა სიმამაცე და გულადობა მანაც გამოგასწავლებათ. იაკობი და როზა ფანჯარაში იუყურებოდნენ. მე და ჩემი ძმა, სიპრიანი და გასპარი მეორე ფანჯარასთან ვიდექით.

— თქვენ რატომ აღარ ამოხვალთ? დაუყუერე მოსამსახურე გოგოებს. დაებარძეუბინათ კაბები და ტოპავდნენ ეზოში!—ამოდით რაღა, ახა რაზუდ სველდებით?

— საქონელი?! შემომძახეს ჩარივეკ ერთად:—ეშინიანთ, ღამის ბოსკელი დანჯრობნ.

— თავი დანებეთ! ამოდით... ჩვენ მოუყვლით.

საქონლის გადაჩენა შეუძლებელი იყო, თუ წყაღია არ იკლუბდა, მაგრამ როგორ ვიტყვოდი, თავად ისეც გულგასკოქილები იყვნენ ეველანი. ჩემს თავს ძალას კატანდი, ვსუძრობდი, თითქო საშიში არა იყო-რა. ფანჯარასთან ვიდექ გადაყუდებული და კარგად ვსედავდი, რა სისწრაფით მატულობდა წყაღია. მთელი სოფელი წყაღიში იყო, წელანდელივით ზვირთებს აღარა გვტკიმა, მაგრამ ქვეყანა ზღვას წაქაღეს და სასლები—ისიც მხოლოდ რ-სართულისა სასლები—კუნძულებივით-ღა მოჩანდნენ. სოფლის ქვემოდა სვეში უფოსკრული წყაღი დაგუბებულიყო.

ჩვენს ეზოში წყაღი ერთ ადგილად იდგა, ვსედავდი, რომ შეუყენებლივ მატულობდა, გული მისკდებოდა და მანაც სულ იმას ვა-ვიძახოდი—შედა, აღარა მატულობს, ვიდექ იკლო-მეთქი.

— გასპარს მგონი ვიდექ უსარიან ეს ამბავი, ჰე, გასპარ? ძმა-ღამ ჩვენს სტუმარი ხარ. თუმცა შეიძლება ერთ-ორ საათსუდ ისე იკლოს წყაღმა, რომ სასკირნოდაც გავიდეთ!

ზასუხა არ გამცა, მაგრამ ისეთი თვალით დამცქერდა საწყა-ლი ბიჭი, რომ ზასუხი მეტი იქნებოდა. სამარადან ამოდებულსა

ჭკაუდა უბედური. მერე ისევე კერძინიკას დაუწყო უურება და ვინ იცის, რა შიში და რა იმედი უკვლიდა გულში?

ცხრის სახეკარი იყო. გოგონები ამოვიდნენ და თან სასთელი ამოიტანეს. ავანთეთ, გვეგონა ეს სინათლე ცოტა იმედს გაგვიღვიძებს და შიშს გაგვიკრთობსო. აღათიას შიგ შუა ოთახში გაემართა სტოლი და ბანქოს თამაშს ავირებდა—განა თუ თავის გართობას იფიქრობდა? კარგადა ჭკრძნობდა, რა განსაცდელში იყო მთელი ოჯახი: სასდასან ისე გადმომსედავდა, რომ გულს მომიკლავდა სოლმი, მაგრამ არც ის იმსწევდა; იმისა ცდილობდა, შეშინებულნი გაერთო როგორმე. მე ის მიკვირს, ერთსეულ როგორ არ უმტყუენა გულში? ისე უსრუნველად იცინოდა, ისე სუფრობდა, თითქო ამ სინათლისარულით უნდა დასჯახნოს ასე მოულოდნელად ავარდნილი შიში და სასოწარკვეთილებაო.

სათამაშოდ თითქმის ძალად დასხა ლიზა, კერძინიკა და მარიამი; აურია, გადააჭრეკინა, და დაურეკა... ისეთი განქარებით არიკებდა, გვერთხდათ აქ სახანდეკოდ მართლად დიდი რამ განძი უნდა იყოსო. თანაც ვირი არ მოუეკმავს, ხან რას უამბობდა, ხან რას! მოუღადავად ლაპარაკობდა, სმა-მალდა, ისე რომ წყლის სმა აღარც კი ისმოდა. მანც კერა გააწყო-რა... ფერ-მისდილები ისინდნენ საწყალი ქალები და გული კერ მოებრუნებინათ. მომიბრუნდებოდა რომელიმე და მკითხავდა:

— ვაჰა, წყალი ისევე მატულობს?

და სიცილით კუზასუხებდი:

— მატულობს კი არა-და! შენ კარგად იტამაშე, არ წაავო! რა მშიშარები ხართ ქალები!

ასეთი მწუნარება ჩემს დღეში არა მასსოკს-რა. ვაუკაცები სოულ ფანჯრებს ავეუფდეთ, რომ ქალებს წყლის დანახვა არ შესძლებოდათ. ვცდილობდით სასეხედ არაფერი შეკვეთებოდა, მაგრამ კაი ამ ცდას, გული მიკვებოდა, ვიცოდი, ცოტა რომ კიდეკ მოჭმატებოდა, სოულ დავიდუშებოდი დიდით ვატარამდე. გადავხედე ჩვენებს და ზამთრის ღამე მომაგონდა, როდესაც გარედ საშინელი ვინგაა და შინ კი, თბილ ოთახში, ამავე სტოლს ირგვლივ შემოკრუსდებოდიო სოლმე ყველანი და მხიარულად ლაპარაკობდით. შინ ესლან

იგივე მუუდროება იდგა, მაგრამ გარუდნს წარღვნის სმს ისმოდა და ჩვენს გულში სიმშვიდის მავიერ, ყოფილსეთი ტრიალებდა. წყალი კი სულ წვეთით და წვეთით იწვედა.

— ლეო, წამოხრჩულა ჩემმა ძმამ პეტრემ:— წყალი ფანჯარას მობადვ. სამი გოჯი-ღა ავლია... უნდა ვიფიქროთ რაში.

პირსედ სელი წაკაფარე და ისე დაჯახე, მაგრამ დამაღვა შეუძლებლებ იყო: ჩვენ რომ განუძებულეფიფიფიფი სუქონელი არა სემდებოდა. ბოსლიდან ისეთი გულ-საკლავი ბლავილი გამოდირდა, თითქო შიშისაგან გაცოფებულნი დარეიან და ერთმანეთს უღეტყვენო. სამინული ბლავილი გამოდირდა გატიეებული სარებისა! ცხენის ჭისკინი!... არ გაეგონათ, როგორა ჭისკინებს განსაღდეღში მყოფი ცხენი!

ღისა ფესსედ წამოსტა. ორივე სელები საფეთქლებსედ მივიღო. აკანკალებდა და— ღმერთო! ღმერთო! გაიძისოდა.

ეკლანი წამოვარდნენ და ფანჯრებს ეცნენ. გაქვავებულეფით, დღეგნენ ფანჯარასთან, გულ-გასუთქილნი, დამუნეებულნი, თითქო საკუთარ სამარეს დასტქერიანო. თმა აქშლათ. სადაც კი თვალი მიწვადებოდა— ეკლან წყალი მოხანდა, სმაც კი აღარა ისმოდა-რა, მ წარღვნის სმის, და სუქონლის ბლავილის გარდა.

— ღმერთო! ღმერთო! ჩუმად გაიძისოდა ღისა, თითქო ეშინიან სმა-მღლა რომ ეთქვა, ვაი თუ უფრო მოკისწინაფო საკვადილო.

უცხად რაღაცამ იჭეჭა. ბოსლის კარი გაეტუნა სუქონელი. სარები, ცხენები, ცხვარი სულ დაბრძვებულეფით გადურიენენ ზვირთებს და ზოგს აქედ მიჰქანებდა წყალი, ზოგს იქით. ცხვრებს ფოთოლეფით ათამაშებდა, ხან დასმინავდა, ხან ისე ამოისკრიდა, ხან ერთ ალაგას ატრიალებდა. სარები და ცხენები ყურ ისე იბრძოდნენ, ცურავდნენ; მეტადრე ჩემი ლურჯა— ეზარებოდა სიგედილი, უალსედ დგებოდა, იქნება მიწას ფესი შეკასოვო, გამწარებული ჭისკინებდა, მაგრამ იმანც კერა გაწყო-რა ამ ღუთის რისკასთან. მე კი... გლესი ვაცი ვარ— სუქონელი სულ შეილებიფითა მეკვდა დაზრდილი... ჩემი თვალით დაეცქეროდი, რომ ირისობოდნენ, და შეკვდა კი არ შექედლო.

მამის ჩვენს უვირილი დავიწყეთ. ძალად ამოგორდა გუელიდან ეს უვირილი, ეელს მოჭბჭენოდა და შემადგრება კელარ შეიძლებოდა. რაღაცა საჭაროებსა კვრისობლით, რაღაცა გვაუვირებდა, და კვიროდით. სელები საქონლისკენ გაგვეშვირბა, ვტიროდით და მოგსთქვამდით. ერთმანეთისა ღარს გვეუთრებოდა-რა. აჭამდე შემადგრებულნი სეება სლვასავით გადმოგვდიოდა გუელიდან. წარღვნა იყო და მთელი ოჯახის დაღუბვა. მოსავალი წაღეკა, საქონელი დაარსო! ამოღენა სნის ტანჯვა-წვალებით მოგროვილი სარსო-საბადებელი დაჭცია და დაღუბა! ოჯახი მეჭცეოდა და არ მეტირნა?! სამართლიანი არა ყოფილა ღმერთი, თორემ რა შეგცოდე ისეთი, რომ თავის მოსწებული ასე უცბად წამართვა?

მუშტს ვუქსეკვი მთიდან მომავალ წყალს, წელანდელი ნანასი კენასები და ფანები მაკონდებოდა და უფრო ბრახი მეტეოდა. მამ მამატეუეს? მამ წელან ნაგომბობმა ნეტარებამ მიმტეუეს? ბედიც მატეუარს ყოფილა და მხეც, რომ ისე მშვიდად, მეგობრულად ჩადიოდა და საწყალ მუშს ხალსს კი ამისთანა უბედურებას უჭამდა?!

წყალი კი მატეულობდა.

— გაუფრთხილდე, ლეი, — შემომყვირა პეტრემ: — თანჯარას მოადგა წყალი!

ნუ გაიკვირებთ: მიშმა მიში გაკვიფრთხო, გონებასჯელ მოგვიყვანა.

— საქონელი დაიღუბა, სსვა სომ არაფერი-მეთქი, — ვუთხარი: — ჩვენ კარგად ვიუენეთ, თორემ მაგასჯელ მეტს შევიძენთ, ღმერთი მოწყალეა!

— მართალს ამოხ, მამ-ჩემო, — სთქვა იაკობმა: — ღვთის მადლით, ჩვენ არა გვიჭირს-რა, კედლებისა ნუ გეუიჭრებათ: ამას კი არა, ათი ამოდენას გაუძლებენ... ბანსჯელ ავიდეთ.

სსვა თავ-შესაფარი ღარს მოგვეპოებოდა-რა. ქვემო სართული წყალს ეჭირა და გველივით თურმე გვეპნებოდა კიბიდან.*) კარებთან წყალის სმს მოისმს, ცოტა სანს უგან ოთახშიაგ შემოვიდა.

*) კიბე ფრანგებს შიგ სახლში აქვთ და არა გარედან.

ყველანი ბანის კიბეს ვეცით, ერთმანეთს აღარ ვშორდებოდნოთ, იმას ვეწდილობდით, ერთმანეთის ასჯელს ვეყოფილიყავით ამ განსაცდელში. საბრძანაო არსადა სჩანდა, დავიძახე და მუორე ოთახიდან გამოვიდა: სასე არეკოდა, საშინელი ფერი ედო. უკან ვიდექ— მოსამსახურე გოგოებს ველოდი; აღბად მისკდა, დამცქერდა და წამჩურჩულა:

— დამჩრვალან... გოგოების ოთახი დანგრეულა. საწყალი ქალები! აღბად თავის ოთახში გავიდნენ, შენასული ექნებოდათ რამე — გამოვიტანათო!

ჭირის ოფელი დამსსხა — სიკვდილი სასლში შედგა და თვალს დამჩხაოდა.

ბოლოს მე და სიპრინი ვიყავით. ფესი კოჭამდე წყალში გვიდგა, სანთელი არ გავაქრეთ, სტოლზედ ბანქო გაშლილი დარჩა, თითქო ესლგა ჩამოვადღო და ისევ თამაშობას დაიწყოთო.

III

ბანზედ ავედით, მაგრამ შეშინებულნი სულ ზევით ვიწვედით და კრამიტებზე ავძვერით. ჩვენდა საბედნიეროდ ბანი ძალიან არ იყო დაქანებული, ფესის მომაგრება შეიძლებოდა. ქალები დასსდნენ. კაცები აჭეფ-აჭით გაიფანტნენ და სსნის სასსარს ეძებდნენ. მე ვიცას შევცქეროდი.

— უდაბლოში ხომ არა ვართ, რავქნა! ქვემოდან საშველად დაიძვრის ხალხი. ქრისტიანები არიან, სსგა არა იყო. რა. ნუ გეშინიანთ, მგონი იმდენი ნაკი მოკვადგეს, ჩვენ ვი არა, მთელი სოფელიც გადააჩინონ. აბა გასუდეთ. ქვეით, ქვეით! სინათლეს სედავთ? ზედ წყალზედ იპურის!

შასუსი არავის მომცა. პეტრეს ჩაბუსი გაეტუნა და ისეთი გაბრანებით სწევდა, რომ კბილით ტარს ამტვრევდა. იაკობი და სიპრინი შოკს გააფურებოდნენ. გასპაში ვი ისევ კრამიტზედ დავდიოდა — იქნება გზა გავიგნო რამეო. და იქვე ჩვენ ფესით ქალები ისსდნენ, ზირისსხე კალთაში ჩაქმალათ, აღარა დავისასოთ-რაო; კანკალებდნენ და სძმის ამოღებას ვერ ასეუბნებდნენ, ბოლოს, რაოხამ

წამოიწია, მიისეღ-მოისედა და—გოგოები სადღა არიანო? გვეითსა. რატომ არ ამოკუნენო? რა ზას-უსს გაკსტედი? თვალი თვალში გამბედა ყარა, თითქო შიგ გულში მიძურება ზას-უსის გასაგებადაო.

— რა იქნენ?..

— თვალი მოკარიდუ, ტუფილი როგორ მეტქვა? სუამარის სიცივემ გადასკრა და თან გერძნობდი, რომ ქალებს თავისი დამართა ამ სიცივემ და სიკვდილის სიასლოკემ: მისვდნენ საწყლები. მარიაში ზეზედ წამოსტა, ერთი ამოიკენესა, გული ამოჩვედა და ცხარე ცრემლით დავიწყო ტირილი. ლისას თავის კაბაში გაეხვია თავის ზატარა ბიჭები და გულში ჩაკეცა, თითქო წყალს კმეჭებდა—ვერა, ვერ წამართმეო. ვერონიკა უძრავად იყო. აღათიასაც კი ვეღარ შეკმაგრებინა გული: გაყვითლებულიყო, აჩქარებით შინკვანს იწერდა და «მამა-ჩვენსა» და «მღვთის-მშობელსო» იძახდა.

ზღვა კი ისრდებოდა, საზარელი და თან საკვირველი სანასავი იყო. მშენიერი ღამე იყო, როგორც კი გაზაფხულზედ იცის ხოლმე. ვარსკვლავებით მოტედილი ცა საკმარ სინათლეს ჭებენდა დედამიწას, რომ ეს უცბად მოკარდნილი ზღვა დაგვეჩხა. ვარშემო წყალის მეტი აღარ ჩანდა-რაც ჭკვეანა წაელეკა და მანინ სულ ისრდებოდა, სულ მატულობდა და ზევით იწედა. ერთხელ მარსელში ვიყავ, ზღვა ენასე... აქაც, კრამიტზედ—გადამავიწეებოდა ხოლმე ხანდახან, რა განწირულებაში ვიყავით და ამ ზღვას, სემ დამღუპველ ზღვას გავტყუროდი მის ძლიერებით გატაცებული...

— წყალი იწეეს! იწეეს! იძახდა ჩემო მამა ზეტრე და თან კბილით სიბუხის ტარს ამტკრედა.

ერთი ადლიც და ვაკარს შეესებოდა. აქამდე წყალი იდგა თავისთვის, ზევით იწედა, მაგრამ მღვლეობდა არა ეტუობოდა-რა. ახლა კი უცბად ღელავ დავიწყო, ტალღები წამოისროლა, აქაფდა და თავის ზვირთებს გაკეციებით ასლიდა ხან აქედ და ხან იქით. ეტუობა, წყალს გზას უკრამდა რამე, ატუბებდა; ახლა გადმოკლიჯა, გადმოლასა და ისეე ჩვენს სოფელს მოკლა. აქამდე იმედი მანინ იყო—იქნება ივლოს და ჩვენ ზანზედ შეკრებით. ახლა ეს იმედიც გაკვიტრედა: ზვირთებს ისროდა, ხან ერთს, ხანს ღვა დაჯახებოდა, ხან მეორეს თან ურმებს მოაქნებო.

და, ძირიანად ამოგლეჯილ ხეებს, სამხერხაოდან მოტაცებულ ბოძებს. ეცემოდა რომელსამე შენობას, შეუტეკდა, წარბაწინივით დახლდის ხეს ან ბოძს და ღაწი-ღაწი გაუდგოდა იჭურობას. ინგრეოდა ჩვენი სოფელი.

ველერ გაუძლო იავობის ქალების ჭკითისს და მე შემომიტია:

— ჩვენი აქ ყოფიან შეუძლებელი! უნდა კეტადნეთ რასმე!.. მამხეძო, შეგვიბრძე!.. მოკავგაროთ რამე... რა შემეძლო მე უბედურს? იმათი დარდი მკლავდა, თორემ... მეც ჩაგილუღლუღე:

— დიაღ! დიაღ! უნდა კეტადნეთ რასმე!

რას უნდა ვცდილიყავით, ის კი არაგინ ვიცოდით.

გა:პარე იძხდა:— კერონიკას წამოვიკიდებ და საყდრის გუმბათამდე ცურვით მივადწივეო. პეტრე იძხდა:— ტიგი შეკვრათო. ტყუარად შეიშლენ მგონი. სიპრინის აზრი უფრო ჭკუაში დატვიჯდა: იჭნება ბანიდან ბანსკედ გადასვლითაც მივადწივით ეკლესიამდე.

ეკლესიას და მისი მძალი გუმბათი თუ გვისხინდა, თორემ ჩვენ სახლსკედ დაჩვენა შეუძლებელი იყო. სულ შვიდი სახლი გიჭონდა გადასვლელი. ჟურ ჩვენი სახლი იყო, გასაპირა, მეტე ერთი ჩვენსაკედ უფრო მძალი, მეტე სსკა. იჭნება მართლა — ბანიდან ბანსკედ ისე გვეტონა, რომ საყდრამდე მიგვეღწია როგორმე, მეტე სომ შიგ საყდარშიაც ადგედა ჩაგიდოდით. ვინ იცის, იჭნება მთელმა სოფელმა საყდარს შეაფარა თავი!—თორემ რატომ სსკა ბანსკედ არაგინ ჩანდა? ადამიანის ხმა გვესმოდა... საიდან იჭნებოდა, თუ არ საყდრიდან? მაგრამ საქმე ის იყო, მივადწივით იმ წმინდა ადგილამდე, თუ ვერა?

— შეუძლებელია! სთქვა პეტრემ:— რეშოს სახლი ძლიან მძალია; ვერ ავალთ, თუ ვიბე არ ვიშოკვთ.

— ცდა ბედის მონახეკრეაო, — სთქვა სიპრინამ:— წავალ, ვნახავ თუ შეუძლებელია, აქვე დაბრუნდები. თუ არადა, ყველანი გაკალთ, ქალებს გავიყვანთ როგორმე.

მართლს აზობდა— შეუძლებელიც კი უნდა გვიცნა, რომ ცოცხალი გადავჩენილიყავით. ის-იყო მეზობლიანთ ბანსკედ აცოცდა, რომ ღრისამ მიისკედ-მიისკედ და თავისა ქმარი ველარსად დაინახა.

რა იქნა? შეჭყვირა სანყალმა ქალმა: — თავს ნუ დამხეუბებს!.. ერთად გვიცხოვრობა და ერთად უნდა დავიხოცნიეთ!

მეორე ბანხედ რომ დანახა, თან გამოუდგა — სულში თავის ზატარას ბიჭები ეჭირა, და შესტირა:

— სიპირიანი, დამიცადე! მეც წამიყვანე!.. შენთან მინდა სიცოცხლეც და სიკვდილიც!

გაკეზვდა, გელარა შეკასმინეთ-რა. ის კი იკემოდან ეხვეწებოდა, მანდ იყავი, ახლაკი მოკალ, გზას დაკათკალიერებო. ტირილით თავის იქნეკდა, სულ ერთს გაიძისოდა:

— მეც წამიყვანე! მეც წამიყვანე! რა გინაღვლება, მეც შენთან გაეო?!

ჟურ ბაკშეები ააწოდა. მერე თგიოთინაც აცოცდა. მანამ ბანს გადაიკლიდნენ, კსედაკლით, თკალს კადგენებლით. სელ-ხელა მიდიოდნენ, წინ სიპირიანი და წამ-და-უწეუმი უკან იეუტრებოდა, უკან ლიზა. მტირალი ბაკშეები ისეკ გამოართკა და გულში ჩაკერა. ჩვენც კადმოკიდეთ? დაუქმსე სიპირიანს:

სელით რაღასიც მანსინებდა, მაგრამ ისეოთ ქეხაღოთ იძიქლ და წყალი, რომ ზისუნი კელარ გაიკოკნეთ. მერე მესამე სასლზედ რომ გადავიდნენ, აღარა ჩანდნენ, უფროს დაბალა იეო, კიდრე ჩვენა. ცოტა ხანს შემდეგ ისეკ გამჩნდნენ, მეოთსე სასლზედ! აღბად ძალიან დაქსახული ბანი ქქანდა, რომ თოსზედ მიცოცკვდნენ. უცხად რაღაცა შიში ამიკარდა, სელები პირსედ მიკიდე, უფროს გაიკონებენ-მეთქი და უკირილი დაუწეუე:

— დაბრუნდიოთ! დაბრუნდიოთ!

ეკელანნი დაბრუნებანს კესკეწებოდიოთ, ზეტრეტ, აეკობიც, ცას ზარიც. აღბად ხმა კანკოკნეს, ცოტა ხანი შენერდნენ, მაგრამ მანინ ისეკ თავის გზას გაუდგნენ. რემბოს სასლს მიადგნენ. ეს სასლს სამი ადლით მანინ უფროს ძალია იქნებოდა, კიდრე ის, რომელზედაც სიპირიანი იეო. ერთს წამს შედგნენ, ყოყმანი დაეტეოთ. მერე სიპირიანი წვიმის მიღს მოკებდა-უჭა და კატასკოთ მარდად აცოცდა იმ სიძალეუ ბანხედ, ლიზა ქეკოდ კელოდა. ცხადად უსედაკლით სანყალს, კედელს მაჭეულებოდა, ბაკშეები ისეკ გულში ჰეკუდა ჩაკრული. შორიდან მთკარის შექზედ უფროს დიდად გეკეკნებოდა.

აქედან დაიწყო ჩვენს უბედურებას.

რუმბოს სასული რაღაცა ქარხანის გასამართლად ააშენეს და არც სამიწველი უკარგოდა, არც თვითონ შენობა იყო მჭიდრო და მაკარი. ამას გარდა პირდაპირ ქუჩას ჰქონდა და თავისუფლად დიოდან შიგ წყალი. ზვირთი ზვირთზედ მოდიოდა, თან ნანგრევი სკები მოჭქონდა და სულ ამ შენობას ასლიდა; ისეთი ძალით ეჯახებოდა წყალი, რომ მე, იმ სიმორხედ მეფეს, — მეგონა სასული ირყევა-მეთქი. მეგონა და თურმე მართლაც კი ირყეოდა. სიზარიათი ნელ-ნელა, თერთხილად მიდიოდა.

სამისხელი გრილი გაისმა... სწორედ ამ დროს ამოყო მთავარემ თავი და შექვი მოჭფინა თვალ-გადუწვდენელ ზღვას. დღეც კერძაინახადით ყველაფერს ისე ნათლად, როგორც მთავრის მუქსედ დაჯინასკეთ. რუმბოს სასული დაინგრა... სიზარიათი ქვეშ დაიტანა... ერთი კი შეევირეთ ყველამ და გაქვანებულვით დაკრინით. დაინგრა და იმ გრილის და ნანგრევებისაგან აღელვებულა წყლის გარდა აღარა ჩანდა-რა. მეც კარგა ხანს უკან წყალი ისეკ შედგა, თითქო დამშვიდდა, და რუმბოს სასლის ბანისა მხოლოდ ბოძები-ღა მოჩანდნენ აქა-იქ. არეულ დაჩუქულიყო ფიტრება, კრამიტი, ბოძები. და ამ ბოძებში... რაღაცა შესვენებოდა, აღმინის სასისა, თითქო შიგ მოჭყოლია და განთავისუფლებას ცდილობს, იძვრის, მაგრამ კერას ახერხებსო.

— იქ არის-მეთქი, შეევირეთ გასაჩუქლამა. აგერა, შესედეო! ცოცხალია! ცოცხალია!!

გიჟური სიტყვი აგვივარდა. სინარულისაგან გაგვიქუბულნი ტანს უგერადით და ცოცხალია! ცოცხალია! კვიროდით, თითქო ისიც გადაჩნა და ჩვენც საშიში აღარა გავჭირდარა.

— უკან დაბრუნდება, სთქვა პეტრემ.

— აგერ! აგერა! უეუროთ, — იმასდა გასმარი: — აგერა ცდილობს, ზემო ბოძს სტაცოს სელი, მარცხნივ...

შესწვდა გიჟური სიტყვი. ისეკ შიში აგვივარდა, კრინტს კელარა უძრავდით. ახლა კი მივხვდით, რა ყოფაში იყო სიზარიათი: სასული რომ დაინგრა, ფესვებით რა ბოძ შეეს მოჭყოლიყო და თავდაყირა ეკიდა, თმის უსველებდა წყალი. სიკვდილი და ამისთანა! და აქოა სასულზედ კი

ისე ისე უძრავად იდგა მისი ცოლი თავის შვილებით, კანკალებდა, თავის თვალთ უუერებდა სავარულ მეუღლის ტანჯვას... სმს რომი აღარს ჭქონდა, გულსაკლავად ღმუროდა სავარული... შიშისაგან გაგიჟებული პირუტყვის ხმით ღმუროდა, მის ხმასი აღმისნისა აღარს იყო-რა.

— ასე უღმერთოდ სომ არ მოკვლავთ, — სთქვა იაკობმა: — წავადეთ, მივეშველოთ!

— წავადეთ! იქნება ბოძებზედ ჩავიდეთ როგორმე. კუშველოთ. რამე, თორემ მე მეტი აღარ შემიძლიან, — უშასუსა პეტრემ.

ის-იყო გზას გაუდგნენ, რომ ჩვენ გვერდზედ სხელი დაინკრა. შეელა შეუძლებელი-და იყო, გზა აღარს გვეჭინდა. შიშის წასრი მისინ დაგვეტა, სიკვდილი და უიმედობა მისინ ვიგრძენით ვეღარი. ერთმანეთის ხელები გვეჭინა, რაც ძალი და ღონე გვეჭინდა ერთმანეთს გვეჭინებოდათ და უბედურ სიზრანს მისინ თვალს ვერ ვაშორებდით: თავს წყალი უსველებდა, მოკუნტულიყო, თავი სვეით აწვია. მაგრამ მალე დაიღალა და თავი დაუშვა, მერე ერთხელ კიდევ მიიჭინ-მოიჭინა ხელები, იქნება რამეს დაკვებულყო; რომ ვერა იშორავარა, ისევე ჩემო ბოძისკენ აიწია; ბერის ეწვალა, ბერი იტანჯა, — მაგრამ ვერას გასდა. დაღალულ-დაჭინებულმა იმედი ვადიწვიებთა და თავი წყალს მიანება. ხელ-ხელს ეშორებოდა სიკვდილი, თითქმის მის ტანჯვით სტებებოდა. ჯერ მხოლოდ თავის ქალას უგრძობდა წყალი, მერე შუბლი დაუსვედა. მერე ერთმა ტალღამ თვალი დაუხურა, მორემე პირი მოუგუნა... ვათავდა...

ქალები ხელებს იმტორევენენ, სასეს იკაწრიდენენ. ჩვენც კი, დავიწრქეთ და ცხარე ცრემლით შეკვლავდებოდათ უთვალს. და იტანჯებოდეს ღონე ისევე ისე გაშეშებული იდგა, ბავშვები გულში ჩაკვარა და მწარედ ღმუროდა.

IV

არ ვიცი, რამდენი ხანი ვიყავ უგრძობობადა. გონებაზედ რომ მოკვდი წყალს კიდევ ეძახტა; ვარის სიძი წილი წყალში იყო. რა

მხრივ წყალი გვემდინა, აქეთ-იქით სისხლები დანგრეულიყენენ. გონებანსედა როზას კიკილმა მომიყვანა.

— ვაიე, წყალმა წაგვიღო! — წამოიძისა როზამ და ორივე სელეებით კრამიტს წაეჭიდა.

და მართლაც, ასე გვეტონა ეკელას — წყალმა წაგვიღო სისხლიანბანიანდალა. გარძეძო წყალს გარდა აღარა იყო-რანა, რომ თვალი ორედ გაგვეჩურობინა; ჩვენდა უნებურად ამ მოძრავე წყალს დაეუწრებდით და თვალები აგვიტრედა. კიდევ კარგი რომ ძალდა აეზიდნა სიყვარს თავისი გუძით... შევხედავდით თუ არა უძრავ სიყვარს და მის სამრეკლოს, მამინე დაგვწმუნებოდით ხოლმე, რომ სანლიც და ჩვენც უძრავად ვიმყოფებით და წყალს არსად წაუუღივართ.

ქვეყანა წაღება, ჩვენ-ღა გადაჯრით და ახლა ჩვენ შემოგვიდგა, თითქო გაგვივიბრდა, თქვენც ჩემი უნდა იყვნითო. აქამდინ უძრავრესი ტალდა ქუჩას მისდედა, მაგრამ ქუჩაში იმდენა სანგრევი მოგროვილიყო, რომ გზა შეეკრა წყლისთვის, და ახლა ჩვენს სისხლს მოაწვა, სწორედ იერიშით წამოვიდა ჩვენკენ. რაც კი ჩვენს სისხლს ახლო ან ბარგი მოჭქონდა რამე, ან ფიცარი, ან ბოძი, სულ ჩვენკენ მოაქანებდა, ცოტა სანს ჩვენ წინ ატრიალებდა და მერე შურდულივით გამოსტყორცნიდა და შიგ კრამიტში ახლიდა. განამერე კი თავს ანებებდა? უკანვე წაილებდა, ატრიალებდა, თითქო სელში იმარჯვებო და ისევე ჩვენვე გვასხლიდა. ცოტა სანს უკან ათი თუ არ ვატი თორმეტი ბოძითა გვემდინა, ორივე მხრიდან. გაათვრებული, გაცოფიანებული მგონი ჩვენს დარწმობას-ღა ელოდა, რომ დამშვიდებულყო. ქაფი ჩვენ ფესთანდე ამოდიოდა. წყალით გატკედილი სისხლი წანწანებდა, ქვემოდან ცუდი სმა გვესმოდა — სისხლის წაწილები ჩელ-ნელა სკდებოდნენ, შიდა-კედლები ინგრეოდნენ. სანდასან, როცა რამდენიმე ბოძი ურთად წამოვიდოდა, იმედს გადავაწყუტდით — ახლა კი დავიღუშენით, კედლები კვლავ გაუძლებენო და შიშისაგან თვალებს ეხუჭავდით.

— მანინ ნიკვლები, — სთქვა გასჰარმა: — ერთი სანთით ადრე იქნება თუ გვიან, სულ ერთიაო. მერე წყალში ჩაცოცდა, ერთ ბოძს დაუბლაუჭა და სევით ამოათრია. მერე ჩვენ შემოგვიტია:

— ხალსო, ე უუძმარება მანინ მოკტაცო!

იაკობიც ცდილობდა ერთი ომთაყვირი დაეჭირა, მაგრამ ვერ ასერსებდა, მასამ ჰეტრე არ მიეშველა. მე გი ვიდექ გულ-სელ დაგრევილი და ჩემს სიბერეს გწვევლიდი, რომ ასე უსუსურ ბავშვივით უძალად უსარგებლო გამსადა.

სამინელი, თავ-განწირული ბრძოლა ატუდა. ერთ მსრივ მოსდგა-გებული წყალი და მეორე მსრივ სანო გაქვარი. გასწასს ერთი კეტი დაეჭირა, იღვა და ეღობდა. როგორც გი მოგვიასლოვებოდა გა-მოქანებული რამ ბოიო, ან კუნძი, ის თავის კეტსა ჭკრანდა და ბანამდის აღარ მიაწვევინებდა. სმინად ისეთი ძალით დაჭკრანდა სოლ-ში წყალი, რომ თავს კელარ შეიმტკუნებდა და შირაღის გადიქვევოდა იმოდენს მდევი ბიჭი. იაკობი და ჰეტრე ომთაყვირით იბრძოდნენ, მაგრამ თითონაც გერა სძრავენენ და ბეერს გერას გასდენენ. ერთი საათი მეტი ეწვალენ ასე უსარგებლოდ. შიშის, დაღაღვამ, უიმედობამ მთლად გადარია სწულეები. აღარ იცოდნენ, რას სჩადიოდნენ, ყვიროდნენ, გაბრახებულნი წყალსა სცემდნენ და აგინებდნენ. გასწასი სომ სოულ გავიქვდა: ისე წაუშინა წყალს თავისი კეტი, თითქო მტერს შესტადებდა და ცდილობს სანჯლოთ გული გაუშოსო. წყალი გი თავისას არ იშლიდა, გერმად, უფითად გვეტმდა თავის ტალღებს, სსსაცილოდ არა ჭყოფნიდა ჩვენი შიში და გასწასის გაბრახება. იაკობს და ჰეტრემ კელარ შესილეს და დაქანტულეები იქვე მიეყარნენ — რაც მოგვივა, მოგვივაო. გასწასი გი თავისას არ იშლიდა; ბოლოს, იასსაც უმქსთლა ბეღმა, კეტი წყალმა წაართვა და, თითქო ჯარისა ყრილობსო, ის კეტიც ჩვენვე დაგვიშინა. შეუძლებელი იყო ბრძოლა. მარაში და გერონავა ერთმანეთს მოჭსკვოდნენ, მწარედ ქვითიხებდნენ და ერთს-ლა მოსთქვამდნენ:

— არ მინდა სიკვდილი! არ მინდა!...

ასლაც ყურში მიდგას ეს სიტყვები, ასლაც ყურში მთდგას და გულის მივლავს! ან სეტავი რისთვის გადამარწინის ღმერთმა? რა უნდოდა ჩემგან? რას შემართლებოდა?

როსა უფრო გულმკერდ იყო — სწყალი იმათ დამშვიდებას ცდილობდა, უნდოდა ენუგემებინა როგორმე; მაგრამ სული ტებილიაო, ნათქვამია, თვითონაც წამოსცდებოდა სოლივ:

— არ მინდა სიკვდილი! არ მინდა!

მარტო აღათვა იყო განუშებელი. აღარც პირველს იწვიდა, აღარც ღორეულობდა. გონება-მისდღეობით აბრიალებდა თვალებს და რომ შეისწავლა— მიუჭრებს: ვინმეა, მწარედ, უიმედოდ იღიმებოდა.

წყალი კი ხელ-ხელა ახმრედა კრამიტს. იმედი აღარა გეჭმინდა— წყალს სავდრადან. ხმები ისმოდა; შორს, შორს. სულაც შეუქრე გამო-ხნდა, თითქო ნაკით დადინა და შიგ სანთელი უწითათო. მაგრამ ხმებიც მიწყდა, შორეული სისათლევ გაჭრა და ჩვენს ვარშემო მსო-ლოდ ჩვენი დამღუპელი წყლის გრიალი და ჩვირთები-ღა ტრია-ლებდა.

გასპარი მანც თავისას არ იშლიდა, მიდი-მოდიოდა, კუნძებს იკერებდა.

— გეჭრებათ? შემოგვძახა ურბად და უკვლავთ ეგვსხედ წამო-ჭბით. — მოქმედელოთ! მოდით, გამაძგროთ!

წყალს რაღაც შენობისთვის ფიცრის ბანი მოკვლიჯა და ისე მთლდა, შეკრულს ჩვენსენ მოაქრებდა. ტასტი გეგონებოდათ, ოღონდ კარგა მოხრდილი ოთხ-კუთხი ტასტი იყო. მოაქრებდა ჩვენსენ და გასპარიც თავის კეტით. მზად იყო კარგად დასკვდროდა. ჯერ შე-ყენა, ცდილობდა ხელ-ხელა მოეზადნა, მაგრამ წყალმა უგან გასწია და სისინელი ხმით შემოგვძახა: დამიჭირეთ, თორემ მეც თან გამო-თრეკსო! უკვლანი იმას კეჭიდებოდათ, ისე გეყავდა გაგვებულოა, რომ მეშინოდა წყალმა შეუსუდ არ გაგვლიჯოს-მოქეი. ბოლოს მოი-ზიდა, როგორც იყო, და ჩვენს ბანს მოაკურა.

თუ გვისხინდა, ისევე ეს ტივივით შეკრული ფიცრები გვის-ხნდა. გასპარი მისინევე უედ ავიდა, მიიარ-მოიარა, სიხარვე გაუსინ-ჯა. ამ დროს იაკობი და პეტრე იმას ცდილობდნენ, წყალმა არ წა-გვართოს ჩვენს სისხნელად მოკვლილი ფიცრებით.

— გადავრჩით, ვაჰა, გადავრჩით! შემოგვძახა გასპარმა: — სუ ტი-ვივით, ქაღალქო.. ესეც თქვენი ნაჟი! შესედეო, ფეხიც არ დამსგვლე-ბია! უკვლანი დავეტეოთ! მერე რა კარგად არის შეკრული! უგეთე-ლი არ იქნება!

მაგრამ მისიც გაძმაგრა. პეტრეს თოკი ამოქრინა, ბოძები დანი-ჭირეს, შებეს, შეკრეს. ბოძს რომ აკრავდა, წყალში გადავარდა და ჩვენ რომ უგირილი ვაკვებით, იმას სიცელი დამწყეო: სუ გეშინებთ,

წყალი კარგად მიდინობს და არას მერჩისო. მისინ მოგვკოცონდა, რომ კარგი ცურვა იცოდა, მაგრამ ცურვით რას გააწყობდა ამოდენა ნანგრევები? ან ამოდენა ხალხს რას უსამდა? შეიძლება თავისთვის კი შეეღობა, მაგრამ... მარად ამოსტა თავის ნახსენად და დაგვიყვირა:

— ახა, მობრძანდით! დროს ნულარ კვარკვავთ! ქალები კეტე-ბივით იყენენ, მეტადრე მარაში და კერონიკა; ორიგენი გასპარმა აიუვანა სელმა და ისე გადაიყვანა. რთა და ალთაა თვითონ გადავიდნენ. მე კი ეკლესიისკენ მიუყრებოდი: ღის ისე იქ იდგა. კედელს მიჰკრთა, ბავშვებს ძლივს-ღა იმაგრებდა სელში. სარტულამდე წყალში იდგა და ისე ისე გულსაკლავად ღმუროდა.

— ნუ გეშინიანთ, შავა! ნუ სწუხართ! — შემომტინა გასპარმა: — გავუაროთ და ღისაც თან წავიყვანოთ. მე მიუყრეთ თქვენა!

ჩვენც გადავიდით. მართლაც მაგრად იყო შეკრული, შიში არა ვიქონდა, — დაგვიმაგრებდა. ნაბიხის მაგივრად სამივემ კეტები დაიჭარქა. გასპარის სიტყვისამებრ კეტები ჩვენი სახლის ბანს მიაბვიინეს, რომ მოკლივრებოდი, მაგრამ გერც კი შეანძობეს, მიღუქსმულივით იდგა და არ იძროდა. ხან და ხან, დააწკებოდნენ სამივენი, მე და ქალე-ბიც კი ვიშვებოდი, დაგმრადით ცოტათი, მაგრამ მოგვანწებოდა ტალღა და ისევე ჩვენი ბანს მავკავრავდა. ჩვენ ჩვენსას არ ვამლი-დით, წყალი მანც სელიდან არ ვიშვებდა და რამდენსაც მეტს ძალას ვსმარებდით, იმდენად ძალაან ვაგვისუაროდა სოფელე უკანვე და ჩვენი მსსნელის ტასტის დაღეწვას ვკეუქვრებოდა.

ერთსელ ვიდევ ვიგრძენით ჩვენი სისუსტე. რა სისარულით, რა იმედით მივეკებეთ ამ ფიცრებს და ასე ძალე კი დავაწმუნდით, რომ წყლისა იყვავით და თავს ვერსად დავასწევით. ახლა კნანობ-დი ვიდევ, რომ ისევე ჩვენი ბანსუად არ იყვავით. სულ ის მელანდებოდა — ფიცრები დაიშლებიან და ეს ქალები წყალში ჩაცვივიან-მეთქი. ეთქვი ვიდევ — ისევე ბანსუად ავიდეთ-მეთქი, მაგრამ გასპარე არ დამეთანხმა:

— რასა ბრძანებთ, შავა? ვიდევ ვცადოთ! მანდ ლოდინს აქ სიკედილა მიჩვენია!

სადღა იყო წელანდელი გულანის სიცილი? დავაწმუნით კეტებს, მაგრამ ვერას ვაგსდით. მანცინ ვეტრე ისევე ბანსუად გადავიდა, თო-

კის წიერი დაიჭირა სულში და როგორც იყო ჩვენი სახლისი კუნ-
ჭულამდე გაგვიყენა. იქ ტალღა ასე მედგრად აჯარა გაცემდა. მარ-
დად გადმოხსტა ისევე ფიცრებსედა და ახლა კი ადვილად გაკედით
წყალში. საქმე ის იყო, რომ ლიზასთვისაც გვეჩვენა. ღმერთო,
როგორაა ღმერთა! სწორედ ის ქუჩა უნდა გადაგვეკოლო, რომელშიაც
საშინელი ტალღა სცემდა. ეს ტალღა იყო, რომ არ გვიშვებდა,
ახლა ისევე სულში ჩაგვივადებდა და ვინ იცის, გადაჯიშებოდათ, თუ
არა? ალბად გასაზარებელი ამასვე ფიცრობდა, რომ დამაწყურდა — თვალთ
დამკეითხს. იმისთანა ტაჭრავ სულთან, რაც იმ წმის ვივრძენ, ჩემს
დღეში არსად მიგრძენია: ლიზა გამეწირნა თავის შვალეებით, თუ რვა
სულის ბედ-იღბალი ისევე იმ საშინელ ტალღისთვის მამენდო? რო-
მელი მერწივნა — სულ ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი სიბერას ნუ-
გეში იყენენ?! და კიდევ ისე, გერც ჭო მეოქვავ, გერც არა... ბოლოს
როგორღაც წაგილუღლუღა:

— არა, გასაზარ, შექმლებულია, ლიზას თავის გერ დაჯანებებო...

თავი დაღუნა, სხა არ ამოიღო, ხელ-ხელა ფრთხილად გზას
გაუდგა. დანგრეულ სახლების გერდით მივტურავდით. ის იყო შე-
კედით ქუჩაში და ელდა გვეცა: ერთი კი შეუვირეთ და მეჩე აჯარა
გაგვიგია-რა, — საშინელი ძალით წამოგვიარა ტალღამ და ისევე ჩვენი
სასლისკენ გაგვაჭანა. თვალის დასამსამებავედ უხელ მოხდა ყოვე-
ლიფერი, ისე სწრაფად, რომ ვერ ისევე ჭებრში იდგა ჩვენი ყვირი-
ლი. ჩვენს ბანს გასაჯალა, ფიცრები დააშლენენ, ეგელანი წყალში ჩა-
ცვივდით. აღარ გიცე მეჩე რა მოხდა. ის კი მასსოკის, წყა-
ლში რომ ჩაკვარდი, ჩემი და აჯათია დაჯინასე, კაბა გადაშლდა
წყალს, ის კი არც სულს იქნეკდა, არც სმას იკუბდა.

რღაც ტვივილამ მომასულაერა. თვალები გაჯანალე. ვეტრეს მავ-
რად ჩაებლუჯა ჩემი ჭალარ თმები და სეკით მიმთრეკდა. ამიყანეს,
დამაწვიეს. გონებასედა კვლარ მოკედი, გაშტერებული რუქრუბდი
იჭურბლას. კხედავდი, რომ ვეტრემ კიდევ ჩაიფურეუმელავა, ცოტა სახს
უგან გასაზარი ამოკარდა წყალიდან და გულ-წას-ელი ვერონიკა ამო-
ყვანა; მეჩე ისევე წყალს ეცა და დაიღუნა. ბეჭის ეკება, ეტყობა,
რომ ამოსვლაც კი გელარ მოახერსა და ისევე ვეტრე ჩაეშველა. ამო-

კინენ, ლაზარაკობდენ, ერთმანეთს რაღასაც ანიშებდნენ; მკ სრულად აღარ შეუერთბოდა-რა.

— აღათა სედღა არის?! — შევეჩვიე გავიყუბულმა: — იაკობი?! რაზა?!

ზასუსედ თავი გმიჭნის. ცრემლი სდოდათ ორივეს. მამინ მოკედი გონებაჲედ; მიამბეს— ბანს რომ დავეყვასეთ, იაკობს თავი გაუტყდა და წყალმა დასძირათ; რაზა თურმე თავის ქმარს მოკესნა და ისიც თან ჩაჭყვა. აღათა კედარ ეპოვნათ. იჭნება სავყალი ჩვენსაკე სასლში შეიტანა წყალმა? ზემო საკრთულის ფანჯრები ღია იყო.

წამოგვექ როგორც იყო და ღიხას გადავხედე. წყალი უფრო მოკარდნილიყო. დიუილი აღარ იმოდდა. ორი ხელი დავინასე მართო, წყლიდან ამოყოფილი ხელები, რომ შეილები მანისე გადავარბინოვო. მერე, აღბედ წააჭტია წყალმა...

მივარე კი მშვიდად, წყნარად მიცურავდა მოწმენდილ ცასკედ, თითქო ჭკეენის წასალკვად მოკარდნილ წყალს გზას უნათებსო.

სუთინი-ღა დავრჩით. ბასიკედ ერთი ბეწვა კიწრო ადგილი-ღა იყო მშრალი და ჩვენც გამწვრცებულნი ვისხედით და ჩვენს აღსასრულს მოკედოდით. ცოტა ხანს უკან წყალმა ფეხსკედ წამოგავყენა: ფეხებს გვიკვებდა, ჯდომა შეუძლებელი იყო. კერონიკა და მარიაში გულ-წასულები იყვნენ; წამოკავნეთ და ისე გვეჭირა, მანამ მოკასულებიერებდით. გონსკედ მოკიდენს სავწლები და აღდა სსკაჭირი აგვიკარდა: როსადებოდათ თუ არა ფეხში წყალი, მამინეე კანკალს დაიწებდნენ, ათროლდებოდნენ და

— არ გვინდა! არ გვინდა სიკდილით! შეჭკივლებდნენ.

კითომ ნუგემის ტემს კდდილობდით! რას კეტუოდით სანუგეშოს? ვატუებდით, როგორც ატირებულ ბავშვს ატუებენ სოლმე, ხე გეშინიანთ, სიკვდილს ჩვენთან რა ხელი აქვს, აქ არა ვართ, კერ გიშკელიდო? რას დავგვიკვებდნენ! კარგად იცოდნენ, რომ

სიკვდილი როგორღადა ვეკლას, რომ ჩვენი სიცოცხლე ბეწვრედ-ღა კვიდა. ვცდილობდით ეს დაწვეკლილი სიტყვა «სიკვდილი» აღარ გვეთქვა და წაშ-და-უწვი კი წამოგვცდებოდა სოფლე. და როგორც კი ამ სიტყვას გაიგონებდნენ, გიჟივით შეჭკვილებდნენ, გაფითრდებოდნენ და ერთმანეთს ესპეოდნენ.

გათავდა! ჩვეს გარშემო ნანგრევები-ღა ჩანდა სასლები-ღა. მართო საუდარი იდგა უნებლად და სამრეკლოდან სმს ისმოდა. ღამის სიმშვიდეს წყლის ღრიალი-ღა არღვიდა: ვიდექ და სულ ის მეგონა, ჩემს სახლსკედ კი არა, ზღვაში ვარ, ხმელეთიდან დიდ მანძილსკედ, სომხლდი დაიღუპა და ერთ ფიცარს შეკრწინილვარო, რღვაში ამ სიშორესკედ ვინ მოგვიშველება-მეთქი?

ერთ სახლ რღვაც სმს მოგვისმს, მარჯუნადან, თითქო ნაკით მოდის ვინმე და განქარებით ნიხაბს უსვამსო. ოჲ, რა ვარგი ყოფილბა იმედი, თუნდა სულ ცრუ და მატყუარა იყოს? როგორ გავაცოცხლბა, რა ნეტარებით აგვიკსო გული! სულ-განაბული შევცდებოდით—იქნება მართლბა ნაკი გამოხსიდესო, მაგრამ ვერაფერსა ვსებადით. ამღვრეულ მოძველო წყლის გარდა არა ჩანდა-რა, ტალღებს გარდა არა იმვროდა-რა. ნანგრევს რომ დავინსვადით, ფიცარს რასმე, სისარულით ცას ვეწეოდით—აგურა ნაკით მოდიხსო! ხელსახოცებს ვაფრიალებდით, იქნება უფრო ადრე დაგვინახოსო! ვუწვიროდით—აქეთ! აქეთაო! და რომ დავრწმუნებოდით—უბრალო ფიცარი იყოვო, ისეკ სასოწარკვეთილებას ვეძლეოდით. სმს კი მანრტ გვესმოდა, ნიხაბს უსვამდნენ,—გვეუწვებოდა... ან გვეღანდებოდა, ვინ იცის!

— აგურა, აგურა! — შეჭვივინა ვასპარმა: — შესედეთ! ჭხედავთ რამოდენა ნაკია?

სელი გავვიშვირბა და შორს, შორს რღვაცა ვკითითებდა. მე ვერაფერს ვსებადდი, ვერც ჰეტრე, მაგრამ ვასპარი თავისას არ იშლიდა. ნიხაბის ცემა გვეუწვებოდა, წყლის შხაშუნი. რღვაცა გამო ჩნდა მართლბა. ხელ-სულა იმროდა, ეტყობოდა ჩვენი სახლის გარშემოვლას ცდილობდა. ჩვენ კი სულ ბიყებივით ვიყვირით, ხელებს ვუჭნივდით, ვუწვიროდით, სმს რომ აღარა გვექონდა, ვრამიტს ვუბრახუნებდით და თან სრინწინი სმით ვლანძვადით და ვავინებდით, რატომ ჩვე-

ნკენ არ მოდიხართო. ვინ იცის, რა იყო? რაღაც შაკა მოხანდა შორიდან, ნელ-ნელ იძროდა და სასლს გარშემოუარა. მართლა ნაკი იყო? არ კიცი, ღვთის წინაშე! ეს კი კიცი, მიაძალა რაღაცა იყო და ჩე უნი უგანასკნელი იმედიც თან წაიღო.

კიდევით და სულ-განახულნი კულოდით—ანი ან ახლა ჩანგ-რეკა სასლი, ან ახლა და ჩვენც თან ჩატკიცასო. კადეკაც კარგა ხანი გაუძლეს კედლებმა; ძველი შენობა იყო-და, მამა-პაპეული. ბანის ბოძები იძროდნენ, ამას ყველანი ვტრძინობდით. სასლი მთელი ღამეც რომ არ დანგრეულიყო, ბანი ინგრეოდან, ჩატკიები იძლებოდნენ. მარცხსაც გაქრდით, იქ უფრო მაცარი ბოძები გვეტყუებოდა, და აქ უარესი იყო—სუძრობა, სუთი კაცის სიმძიმე! რას დაგვიმაგრებდა! და ცალ-ცალკე, შორი შორის დგომას კი ვერ ვახერხებდით, ერთად გვინდოდა სიკვდილი.

პეტრეს რაღაცა მღუჯვარება დაეტყო. თათქო თვითონაც არ იცის, რას სჩადისო, ჩიბუხი ამოიღო, და თუმცა ცუცსელი არა ჰქონდა, წვეკა დაუწყო. მერე ისევე ჯობში ჩაიღო, ქაღალა უღვასშს კვებტა დაუწყო, თან ჩუმაღ რაღასაც იღანძლებოდა. იქნება ნანობდა, ღმერთმა ისე რად გამწირა, რომ ჩემი გაკაცობა ვერ ვახერხებო მტერსაო. ორჯულ, სამჯერ ისეთი წიხლით შეაფურთხა წყალს, თითქო მასხარად იგდებო. მერე უცხად კრამიტებსეგ ჩატკურდა და წელამდე წინაში ჩადგა...

მაშინ კი მივსვდი, რასაც ავირებდა!

— პეტრე! პეტრე! — შევუვირე, რაც ძალი და ღონე მქონდა:

მობრუნდა და მიჭიდაღ მიპასუხა:

— მივიდობით, ლუი! რა კჭნა, — მეტი აღარ შემიძლიან... მინც აღავი აღარ იყო-და!

ჯერ თაგის ჩიბუხი გადასროლა და მერე თითონაც თან გადაჭყა... ის კი დაგვიძინა:

— მივიდობით! მეტს კვლარ გაუძლებდით!

მაშინვე ჩასძირა. ცურვა იცოდა, მაგრამ ეტყობა სელაც არ გაუშენკია. ან რიღასთვის? რუახნი დაგვეღუპა, დიდით-პატარამდე ამოგწვდით და ამას კიდევ სიცოცხლე ნდომოდა? რისთვის? ან ვისთვის!

საყდრის სსათმს ორი დაჭკრა. ძლივს! იქნება როგორმე გაი-
როს ამ სსშინულმა ცრემლით და გაებით სავსე ღამემ? ნეტავი კი-
დეგ გველიწისება ამოძაგალი მზას დანახვა? წყალი კი სულ მსტუ-
ლობდა და უფრო და უფრო ავიწროებდა ჩვენს ბინას. ასლა კი
დაწყნარდა, ისეთი ნახვად, ისეთი აღერსით გვეცმდა თვსებში, თი-
თქო გვეთამაშება, სუმრობით გვაშინებს და თან ტბილ ნანას და-
გვიღერსო.

ურბად გადირო გასხარმა ტანსაცმელი, შალვარი მაგრამ მოი-
ჭირა, მუხლ ზეგით აიწია, წაღები გაიხდა. განა არა სულ თითებს
იმტვრეკდა საწყალი ბიჭი.

— რას სხადი-მეთქი? კვითხე.

— იცით, ჰმამა?.. მე მეტს ველარ მოვითქენ! ლოდინი მელავს!
აღარ შემოდიან, მე აქ ველარ დავრჩები... ჰმამა, ოღონდ კი გამი-
შვით... მე გიცი და ვერონიკამ...

როგორ შეიძლება ვერონიკა საყდრამდე მიეყვანა? ცურვა
კარგი იცოდა, მაგრამ ბუმბულსავით ათამაშებდა წყალი ხეებს და
ბოძებს... რომ დასჯასობდნენ რასმეს?.. მაგრამ გაკერზდა, აღარ
ეუწრებოდა-რა, ყურსაც არ მიგდებდა.

— მივიყვან! მივიყვან! ამ მელაკებს სედავთ?! ნახვით თუ არ
გადაკარჩენ!

ქსლაკე წავალო, იძხდა, თორემ ეს ლოდინი მელავს, მსუს-
ტებს, ღონეს მცლისო. რა ვქნა ე სახლა რომ ინძრეკა, მე ჩემი
მემართება, ზავშვივით მსუსტებს და მამბუნებსო.

— მიყვარს და გიდეც გადაკარჩენო! ახინარა და სულ ამას გაი-
ძხლოდა.

ცრემლი მომერია, გულში ჩავიკარ მარიაში. გასხარ კი ეკონა
ამით კუსყვედურებდი, მარტო ვერონიკასედა რად ზრუნვა-მეთქი, და
წაილულულა:

— ღმერთმანი, ისეკ დავბრუნდები! დავბრუნდები და მერე მარია-
ში წავიყვან. იქ სვლსია, მოვასერებთ რასმე. იქნება ნაკი. კიშო-
კოთ. დამიჯერეთ ჰმამა, აქ ყოფნას, წასვლა სკობია!

ვერონიკას მიუბრუნდა და დარეგება დაუწყო.—არ შეგეძინდეს,
ისე მომეკე, ხელი არ გაანძრიოკო. ისიც დიდალს უზსუსებდა, თუმი-

ცა სასწებედ ეტყობოდა — თკათონაც არ იცოდა, რას ამბობდა, ან თაკის საქმრო რას ეუბნებოდა. თოკა მოახა, პირველარი გადაწერა და შეცურდა. ერთი კი შეჭკავულა საწყაღმა ქაღმა და გულა წაუვიდა.

— ეს უკეთესი — შემომევირს გასპარმა: — ცურვასში უფრო თაკის უფლად კიძნები.

თკალები კელარ მოკაშორე. თოკი უფლებედ გადაგდო, კერონიკა მარჯვენა მხარხედ გადაისკენა და ისეოა ძალათ და სასწრაფით მოუჩივს, თითქო ადამიანი კი არა, მდეკა მიცურავსო. კარგა მანძილი გაიარა ასე... უცბად ორივენი დაიდუშნენ... ცოტა ხანს უკან მარტო გასპარი-ლა ამოკარდა. თოკი გაწვეკტილიყო. ეტყობა წყალში დამალულს კედელს ეკახსა რასძეს და ტყვიელმა ძალა წაართვა. ხაფურეუმიელაჲ, კარგა ხანი იყო წყალში — ბოლოს ისეკ გამოჩნდა და და თან ვერონიკა ამოიყვან. თოკი აღარა ჰქონდა; ხატკენი ჰქონდა რამე, რომ ასე სელა, სუსტად-ლა იქნედა სელეს. მაინც მიცურავდა. საშინელს კანკაღმა ამიტანა. და უცბად... მინდოდა დამეუარა მაგრამ სმა ჩამიწყდა: უჩანდახარ სეს მოაქანებდა წყალა... ზედ დასალა და ჩასიძირა ორივენი.

ამას შემდეკ კარგად აღარა მასსოკს-რა. კიცი, ადამიანური გომნობა აღარა მქონდა-რა. ერთად-ერთი წადალი-ლა მქონდა — თავს ეუშველო-მეთქი. სსკა აღარა მასსოკდა-რა, სსკა აღარავინ მწუხებდა. წყალი რომ ჩვენგენ წამოკიდოდა, მე უკან კიწკვი რამდენაც კი შეიძლებოდა. მსეცივით ვიყავ, პირუტყვივით! — რაღაც სიცილი მესმოდა, გულანა, მსიარული სიცილა, და არ კიცოდი კი კან იყო ჩემთან, ვინ იცინოდა ასე ტვბილად? თენდებოდა. მშენიერი დღე თენდებოდა და მე მსეცს გათენება მსიაროკნებდა. ის კი, კიღაც იყო, ისეკ ისე იცინოდა. მოკასედე — მარიამი იყო: თავით ფესამდე სიკელი! იღვა და იცინოდა.

დემართო, რა ლამაზი, რა ანგელაზივით ლამაზი იყო იმ დილას! დაიკუნა, პირხედ წყალი შეისსა, მერე თმები გაიშალა: იქნება ეკონა, ჩემ პატარა ოთახში ვარ, საჩუკში ვაუფრები, და დღეს კვირას, საცა დაჩეკის, წირვასედ წავალ? თან კი იცინოდა! იმისთანა ცაუ-

რის სტრუქტურა იხსტებოდა მის თვალში, იმისთანა ბედნიერება და სტუობოდა მის სახეს, რომ ციდან მოკლენილ სტუელსა გაკადა.

ჟერ გამტერებული შეგტქროდა, მერე მერ სიცილი დაიწყო! გიჟური სიცილი! შიშს ჭკუასუდ შეეშელა და, მადლობა ღმერთს, რომ ეს წყალობა მანც მოიღო ჩემსუდ—შემლილი საკვდილს აღარ შეუშინდებოდა.

რის ვიცოდი რას აზირობდა, ავი კამბ მხეცსა კაკადი-მეთქი.

სქარებით დაიწნა თმა, კახა გაისწორა! მერე, როცა დარწმუნდა—მზადა კარ, დრო არის წასკლისაო. თვალები ზეკით ახვერო და თავის საზი სიით გალობა დაიწყო. რის ლოცვას გალობდა აღარ მახსოვს. ურბად გაჩუმიდა და, თითქო ეძსადეს კანზე, თითქო უზირს ვისმეს მახსოვს აძლეკდისო, კილასაც დაუყვირა:

— მოკდივარ! მოკდივარ!

გალობა დაიწყო, სულ-სულ ჩაფურდა კრამიტისკად და წყალობა ჩავიდა... მე კი ვიციროდი... ვუყურებდი იმ აღაგს, სადაც ჩემი მარამი დაიღუპა და ვიციროდი.

მეც კი აღარა მახსოვს-რის. მარტოდ-მარტო ვიყავ ბანსუდ, წყალობი სულ ჩემკენ იწვედა. ერთი საკომლე შეჩენოდა ჩვენს სახლს, ავღაჭი და ზედ ავკერი. განს ვიცოდი, რას კმერებოდა! მხეცს სიკვდილისა ეშინოდა და მალა საკომლესუდ აფოფსებუელიყო... აღარა მახსოვს-რის მეტი:

VI

ნეტაც მე რაღად გადავჩინი?! რის შევცოდა ვოკლად შემძლებულს, რომ მე, მარტო მე ამაყდინა თავისი სასჯელი?! დილის ექვს საათ-ზედ ამოსულიყენენ ხავით და ერთ საკომლესუდ თურმე მიპოვნეს გულ-შეწუნებული. რის ენაღვლებოდა, მანამ ასე უგრძობობლად ვიკდი, მერ წყალობა წაკვლე?! რის ენაღვლებოდა, მერ იქ ჩაკეთიყო. სადაც ჩემი რჯასი ჩაღუპა?

მე გადავჩინი, მე, ბებერი! კეჩვი, უჯათი ბებერი! ისინი კი დაიღუპნენ! მუდი-მწოვარა ბავშვები, კასათხარი ქალები, ცოლ-

შვილიანი ბიჭები! — ოჯახი ამომიწედა! მე კი ისევე აქა ვარ, ცოცხალი ვარ, თითქო კანისი ცოცხა მიმიძლოდაც რამე ღმერთთან, რომ სიკვდილიც კი არ მეკარება! ცოტადენი ვაყვანობა რომ მქონდა მეც ჰეტრესავით კიზანიდი: «მშვიდობით, მეტი აღარ შემიძლიან-მეთქი», დავიძახებდი და გარონაში ჩაკვარდებოდი. იქნება დამრჩავს მანინ მდინარეებდა ხემ შვილებთან უოფისა. შვილი მე აღარა მყავს, სასლი მე აღარა მაქვს...

რომ მომავლდება, რა ბედნიერება წამართვა ღმერთმა!... სადღა უწინდელი მსიარული სუფობა, უწინდელი მკა და რთველი? ნეტარებით საკსე შრომა და განცხრობით საკსე დღესასწაული? სადღა ხემი ოჯახი, ხემი საქონელი, კენახები, ვახები?! გაქვს! კომლივით გაქვს და მე კი ცოცხალი ვარ! მთელი ხემი სიტყვა-უკე მიუშობაში და წა-დაგვაში დაგლიე, მეტონა, მომსუდა ღმერთის, იმადენსა შრომის ვილდო ამ საბურის დროს. მომანტა-მეთქი, ხემსუდ ბედნიერი, ხემსუდ დიდი აღარავინ მეგულებოდა და უცბად წამომიანა ღვთის რისხვამ და მიწასთან გამასწორა. დმერთო, თუ კი ოჯახი დამიმსე, მე რაღად შემარხინე ე ტანჯული სული? რაში გინდა ხემი სიცოცხლე, რომ ასე მამაქებ?

ანა, სუტემის ცემა არ მინდა! არც ვისიმე შეველა მინდა! ხემს კენახებს და მიწებს მეზობლებს ვახუქებ, ვისაც შეილება შეარხინა, იმას ვახუქებ. დეე გაისარონ! წარღვრისაგან ხარეუ ქებებს გადაჭურის და სენა-თესვას დაუწეებენ. მე რაღად მინდა? ვისაც შვილი აღარა ჰყავს, იმას აღარც მამული უნდა!

ერთი სურვილი კიდევა მქონდა, ერთად-ერთი, უკანასკნელი სურვილი: მინდოდა ხეხები მეზონა, ხეხეს სასაფლავო-უდ დამესაფლავებისა და ხემთვისაც იქვე, მათ შორის ერთი ადლი ორმო გაშეთსურვინებისა. ამბობდენს, ტულუ-სი. ასობით იქერდენს დამრჩავლებსაო.

ტულუ-სიც წაკედი.

წარღვრა იყო, წარღვრა! სამდელი ღვთის რისხვა! ორი საასი მეტი სასლი დაენგრა, შვიდასამდე კაცი დაერხო, სიდები სულ თან წაღო. ქადაქში ერთი უბანი ღამით აკვსო. სსვა წარაღს ვინ მოსთელის? კინ ცნის, რამდენი დარჩა ობლად, უნუგემოდა, ულუკმა-პუ-

როდ? ქუჩებში გუბოს მეტს კელარას დაინახავდით, ყველგან ტირილი ისმოდა, ყველგან მგლოვიარენი მოჩანდნენ.

მაგრამ რა დროს სსვის უბედურება იყო, მე ჩემი მკვდრები მინდოდა, ჩემი დარდი მაწყუხებდა! ჩემსედ უბედური, ჩემსედ მეტად მგლოვიარე არ მგონი კიდევ ყოფილიყოს გინმე.

მართალია, დამრჩავლი ბუკრი დაიჭირეს, მგრამ მაშინვე ასაფლავებდნენო. ოღონდ ჟერ თურმე სატაკდნენ უცნობებს და მერე მიწას ახარებდნენ. მე უბედურმა ამ დასატულებში გიპოვე ჩემი კერონიკა და გასაზარი. გადასკეკოდნენ ერთმანეთს, საწყალი დანიშნულება, პირველი კოცნა სიკვდილის დროს გაუბედნათ და ისე ჩასწებობდნენ, ისე მიჭკოდნენ ერთმანეთს, რომ მათი განშორება კელარ მოახერხეს თურმე, მანამ ცხედარს სელები არ დაჭრეს, ერთად იყვნენ დასატულნი, უფლის წინაშე ერთადვე წარსდებოდნენ.

ამ საშინელი სურათის მეტი აღაზრა მბადა-რამ! კნავარ და შუკნქერი წყალისაგან გასიკებულ დამსინჯებულ საწარულ სასეს... შუკნქერი და წარსული მკვანდება.

ეს სურათი-ღა შემარჩინა ღმერთმა და ცხარე ცრემლი.

დასრულდა მესამე თავი
მარტო უბედურ ბიჭს
მეტი ბიჭი უბედურს ჩემს
დასრულდა მესამე თავი
დასრულდა მესამე თავი

მ-ნი

დასრულდა მესამე თავი
დასრულდა მესამე თავი
დასრულდა მესამე თავი
დასრულდა მესამე თავი
დასრულდა მესამე თავი
დასრულდა მესამე თავი
დასრულდა მესამე თავი
დასრულდა მესამე თავი
დასრულდა მესამე თავი
დასრულდა მესამე თავი

იხილეთ მსგავსი...
 მუცლის...
 ანუ...
 * * *

მძაკ-მეგობარო, მამკალ-ტანჯულო,
 ვინც გინდა იყო, — ნუ გაიტყვებ გულს:
 და მეფობდეს უსამართლობა
 ჭკუყანაზედა ცრემლითა მოწვეულს,
 და მწიკვლს სცხებდნენ წმინდა იდეალს,
 უმანგო სისხლის სდიოდეს ღვარი: —
 მერწმუნე, — ვნასავთ დაცემულს კაალს,
 კვლავ სიყვარული მოკა მდიმარი!

იგი არ მოკა ბორკილებითა,
 არც თან მოიტანს გვირგვინს წამების; —
 ის მოკა ჭკუყნად თვის დიდებითა,
 სელთ ეპყრობა შტო ბედნიერების.
 მასინ ამ ჭკუყნად აღარ იქნება
 არც შური, მტრობა, არცა საწყალი,
 თვით მონებაცა შეიმუსრება
 და მოისპობა სმლისა ტრიალი.

ჭე, მეგობარო! ეს სომ არ არის
 ფუჭი ოცნება, ფუჭი იმედი:
 მიმოიხედენ, — ბნელია ყველგან
 და ბორბლებს კაცის წამწემადი!
 როდარ გაიძღვებს ჭკუყანა ტანჯვას,
 შეუგუბდება სული სისხლითა, —
 და სიყვარულსა აღთქმულს მიმართავს
 თვალს სასოებით და კედრებით!...

ი. ბაქრაძე

ს ი ვ ე ნ გ ლ

რომანო ვალტერ სკოტისა

თავი პირველი

ასე მუსაიფობდნენ იგინი, როდესაც გამაძლარი ღორები ერთის ამბითა და ჩოჩქოლით ბრუნდებოდნენ სალამოზედ მათი ღარიბი ქონისაკენ და ჯოხის ყოველს დარტყმაზედ უსიამოვნოდ ქუვრიოდნენ და ღრუტუნებდნენ.

ოდისეა, წიგ. 21.

ამ რომანში აწერილი ამბები მოხდა ინგლისის მშენებელს მხარეში, რომელიც მდინარე დონნით ირწყვის და დაბურული ტყეებით არის შემოსილი.

რიჩარდ I ანუ რიჩარდ ლომ-გულის უკანასკნელ მეფობის დროს, აზნაურობა ამაგრებდა თავის ციხე-დარბაზებს, ხალხს საშინლად სტანჯავდა, ხახლხი სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, რაკი მთავრობა მფარველობას ვერ უწევდა; მას თუმცა სძულდა თავის დამპყრობი ნორმანები, მაგრამ მაინც დიდის იმედით მოელოდა რიჩარდის დაბრუნებას, რომელიც იმ დროს ტყვედ ჰყავდათ ავსტრიელებს.

1194 წელს ინგლისის უმაღლეს წოდების ხალხში გავრცელებული იყო დამახინჯებული ფრანგული ენა, რომელიც ბევრად განირჩეოდა ნამდვილი ფრანგული ენისაგან; პატარ-პატარა მემამულენი, გლეხები და ყმები კი ინგლის-საქსონურს ენაზედ ლაპარაკობდნენ.

მზე უკვე დასავლეთისკენ იწურებოდა და მუხის ტყეში გაკაფულს გზას აშუქებდა; აქ პატარა მდინარის ნაპირზედ ორი კაცი იჯდა და რალაცნაირი უცნაური ტანისამოსი ეცვათ. ერთი მათგანი უფრო წარბ-შეკრული და მოქრუსებულა სახისა იყო, მის ტანისამოსს გადაბრუნებული ტყავი შეადგენდა. ფეხებზედ ქალამნები ეცვა და მისი თასმები წვევებზედ ჰქონდა შემოხვეული. ერთ გვერდზედ თასმის სარტყელზედ ტოპრაკი ეკიდა, მეორეზედ ცხვრის რქის ყანწი და გრძელი დანა. ქერა თმა ისეთი სქელი და მფათელილი ჰქონდა, რომ ქუდის მაგიერობას უწევდა, წვერიც თმის ფერი ჰქონდა. ამ კაცს ყელზედ თითბრის რკალი ჰქონდა გაკეთებული, რომელსაც, თუ არ გახერხვით, ვერ მოაშორებდით. რკალზედ საქსონურის ასოებით ეწერა: „გურტა, შვილი ბეოფულფისა, ყმა როტერვუდელის ცედრიკისა“.

ამ გურტის გვერდით იჯდა მისი ამხანაგი, ბევრით იმაზედ უფრო ახალგაზდა. იმასაც ისეთივე შეკერილობის ტანისამოსი ეცვა, როგორიც გურტს, მხოლოდ უფრო კარგის ღირსებისა და ღია ფერისა. მაჯებზედ ვერცხლის სამაჯურები ჰქონდა, ყელზედ კი ვერცხლის რკალი, რომელზედაც ეწერა: „ვამბა, შვილი ვიტლერისა, ყმა როტერვუდელის ცედრიკისა“. ვამბას თავზედ ეფენებიანი ყალფაკი ეხურა, რომელიც ყოველს მოძრაობაზედ ქლარუნობდა. ტყავის გვირგვინი, რომელსაც ყალფაკთან ერთად იხურავდა, და ცბიერ-სულელური გამომეტყველება სახისა, ცხადად ამტკიცებდნენ, რომ ამ კაცს მასხარის თანამდებობა ეჭირა. დანის მაგივრად ვამბას სარტყელში ხას ხმალი ჰქონდა გარქობილი.

— აი დაგწყევლათ წმინდა ვიტოლდმა! სთქვა მეღორემ და საყვირი დაუკრა, რომ აქეთ-იქით გაფანტული ღორის ფარა მოეგროვებინა, ღორებიც თუმცა ბანს აძლევდნენ საყვირს, მაგრამ მაინც ვერ მოაშორებოდნენ მუხის რკოს და მდინარის ნაპირს, სადაც ზოგნი ტალახში იწვნენ არხეინად და მეღორეს ყურადღებას არ აქცევდნენ. — აი დაგწყევლათ წმინდა ვიტოლდმა და თქვენთან ერთად მეცა! განაგრძო გურტმა: თუ სალა-

მომდინ ერთ-ერთი მათგანი ორფეხიანმა მგელმა არ დაიქიროს, მაშინ, რაც უარესი იყოს, ის დამიძახეთ. ფანგს! ფანგს! დაუძახა ძაღლს, რომელიც ღორებს დასდევდა მოსაგროვებლად, მაგრამ მოგროვების მაგივრად უფრო ჰფანტავდა.—ვაჰა, ადგე, ძაო, მიშველე; გადადი იმ ფერდობზედ და აქედ გამოაფრთხე ის ვერანები; როგორც კი უკანდან მოუვლი, მაშინვე ცხვრებივით წამოვლენ აქეთკენ.

— მართლა? — უთხრა ვაჰამ და ადგილიდან კი არ დაიძრა: — მე მაგის შესახებ ჩემს ფეხებს დავეკითხე, და ისინიც ჩემი აზრისანი არიან, რომ ჩემის შშვენის ტანისამოსით ჩემს მაღალ კეთილშობილებას არ შეშვენის ჰაობებში სიარული. მე გირჩევ, გურტო, ფანგს დაუძახო და ღორები ბედის ანაბარა დასტოვო; დარწმუნებული ვარ, რომ ღორები ვისაც უნდა შეხვდნენ: მაწანწალა ხალხს, გამვლელ ჯარის კაცებს, თუ ყარის მოგზაურებს, ყოველს შემთხვევაში ისინი მაინც დილაზედ ნორმანებად იქცევიან შენდა გასაკვირველად.

— ჩემდა გასაკვირველად ღორები ნორმანებად გადაიქცევიან! — სთქვა გურტმა: — ჩემი თავი ისე ცარიელია და გონება ისე მაქვს მოქანცული, რომ ამ გამოცანას თავის დღეში ვერ მივხვდები; აბა თვითონ შენ ამიხსენი.

— ბატონი ხარ! რას ეძახი ამ ღრუტუნა ცხოველებს, რომელნიც აქ ოთხ-ფეხზედ დარბიან? — ჰკითხა ვაჰამ.

— ღორებს, ხუმარავ, ღორებს, — მიუგო მეღორემ, — ეს ვინ არ იცის.

— ღორი ხომ საქსონური ჩამომავლობისაა. — მიუგო ხვმარამ: — მაშინ რაღას ეძახიან ღორს, როდესაც ტყავს გააძრობენ, გამოსწელავენ, ოთხად გასჭრიან და დამნაშავესავეთ ფეხებიდან დაჰკიდებენ?

— ღორის ხორცს, — მიუგო გურტმა.

— ძალიან მიხარიათ, რომ ესეც იცის ყოველმა სულელმა, — უთხრა ვაჰამ, — და ღორის ხორცი ხომ სწორედ ფრანკ-ნორმანული ჩამომავლობისაა; მაშასადამე, ვიდრე ღორი ცოცხალია და ყურს საქსონელი მონა უგდებს, იგი თავის საქსო-

ნურს სახელს ატარებს, მაგრამ როგორც კი დაიკვლება და დიდებულით მიერთმევით მეჯლისში, იგი ნორმანელი ხდება და ღორის ხორცს ეძახიან. რას იტყვი ამაზედ ჩემო მეგობარო გურტო? ჰა?

— სრულიად მართალია, ჩემო ვაჰა, თუმცა შენი სულელიური თავის ნაყოფი კი არის.

— ყური დამიდევ კიდევ, რა გითხრა, — განაგრძო ვაჰამ: — აღდგომან ოქსს საქსონური სახელი ჰქვია, ვიდრე იგი ისეთ მონას აბარია, როგორც შენა ხარ; მაგრამ მაშინვე ფრანგულ ბიფად*) იქცევა ხოლმე, როგორც კი დიდებულით პირში ჩაუფარდებათ შესაქმელად. ერთი სიტყვით, როცა მოვლა უნდა — საქსონელია, როცა სასიამოვნო შესაქმელია — ნორმანელი.

— მართალია, — მიუგო გურტმა, — მაგრამ წმინდა დუნასტანს გეფიცები, სამწუხარო სიმართლეა! ჩვენ სასუნთქი ჰაერის მეტი აღარა დაგვრჩენია — რა და ისიც ისე მცირე, რომ გეგონება ესეც იმისთვის არ წაურთმევიათ, რომ შეგვეძლოს ჩვენი მოვალეობის ასრულება. რაც კი კარგია და გემრიელი, იმათ ერთმევათ სუფრაზედ; ყოველივე მშვენიერი რამ ნორმანების სასიამოვნოდ არის; მათი ჯარი ჩვენი გმირი ხალხით არის სავსე და უცხო ქვეყნებში იხოცება; აქ თითქმის არაფერ აღარა რჩება, რომ უბედურს საქსს მფარველობა გაუწიოს. ღმერთმა დიდ ხანს აცოცხლოს ჩვენი ბატონი ცედრიკი: მარტო ის არის ჩვენი მოსარჩლე; მაგრამ აგერა რეჯინალდ ფრონ დე ბეფი მოდის ჩვენკენ და ვნახავთ, რომ იმის მეცადინეობა ცედრიკს არაფერს უშველის. — აქედ! დაუყვირა კვალად გურტმა: — ოჰო, ჰო, ჰო! კარგია, ფრანგს, კარგი! აი მთელი ფარა უკვე მოგროვდა; რა კარგად მოაგროვედა, ჩემო მეგობარო!

— გურტო! — დაუწყო ხუმარამ: — მე ვიცი შენ მე სულელიად მთელი; თორემ თითს პირში აგრე ადვილად არ ჩამიდებდი. საკმაოა ერთი სიტყვა ვთქვა იმის შესახებ, რაც შენ ნორმანებზედ სთქვი, რომ ერთ-ერთ ამ ხეზედ ჩამოგაკონწიალონ.

*) ოქს ხარია, ბიფ — ხორცი.

— ძაღლო! — დაუყვირა გურტმა: — მაშ შენ ჩემი გაცემა გინდა, როდესაც ეს ლაპარაკი თვითონ შენ ჩამოაგდეს?

— შენი გაცემა? — მიუგო ხუმარამ: — არა, ეგ ძაღლიან ქვეყანური იქნებოდა; სულელი მაგას ნახევრადაც ვერ მოახერხებს. მაგრამ მოიცა, ჩვენთან ვილაც მოდის! განაგრძო მან და ყური მიუგდო ცხენების ფეხის ხმას.

— ჩვენ იმათთან რა საქმე გვაქვს! — მიუგო გურტმა და თავის ფანგის წყალობით შეგროვილი ლორები ტყის ბილიკხედ მიუღლიდა.

— მე კი ძაღლიან მინდა გავიგო ამ ცხენოსნების ვინაობა, — უთხრა ვამბამ, — იქნება იგინი ფერიების ქვეყნიდან მოდიან და მეფე ობერონის ამბავი მოაქვთ.

— კორძი მაგ შენს ენას! — დაუყვირა გურტმა: — ეგ რა სალაპარაკოა მაშინ, როდესაც რამდენსამე მანძილზედ საშინელი ავდარია. გესმის, რანაირადა ჰქუხს და ელავს! მე ზაფხულობით ასეთი მსხვილი წვიმა არ მინახავს; პუხის ტრატები კრიალობენ და იმტვრევიან; სჩანს, ავდარი ახლოს არის სადმე. თუ მოინდომებ, შეგიძლიან არ ისულელდო; ერთხელაც არის მე გამაგონე; ვიდრე ქარიშხალი არ ამტყდარა და წვიმას არ მოუსწვწვრია — სახლში წავიდეთ. საშინელი ღამე იქნება!

ვამბამ თითქო რჩევა შეისმინა და უკან გაჰყვა თავის ამხანაგს, რომელიც გრძელის ჯოხით მიერეყებოდა ღორებს.

თავი მეორე

იყო ერთი ბერი, რომელიც ბატონურად ცხოვრობდა; იგი იყო საუცხოვო მხედარი, ნადირობის ტრფილი, გამბედავი, — და აბა ბერობა რა იმის საქმე იყო თავლაში ბევრი კარგი ცხენი ება და როდესაც მიდიოდა, აღვირი ისე წკარუნობდა ხოლმე, როგორც მისი საშლოცველოს ხარი.

გლსრე.

ცხენების ფეხის ხმა თანდათან ახლოვდებოდა. თუმცა გურტი ხან ურჩევდა და ხან ლანძღავდა ვამბას ფეხი აეჩქარებინა,

მაგრამ ის მაინც უზა-გზა იგვიანებდა: ხან მოუსვლელს დახილსა ჰკრეფავდა, ხან გზაზედ შეხვედრილს გლეხის გოგოებს აცქერებდებოდა. ცხენოსნები მათ მალე დაეწივნენ.

ცხენოსნები სულ ათნი იყვნენ და წინ ორი დიდი გვაშ ჩუქულობის კაცი მიუძღოდა. ერთი წინამძღოლთაგანი გარეგნობით სასულიერო წოდებისა იყო და უმაღლესი ადგილი უნდა სჭეროდა. მისი ამხანაგი ახოვანი და მაღალი ტანის კაცი იყო, წითელი მანტია ესხა და მხარზედ თეთრი ჯვარი ეკერა. ტანისამოსზედ ეტყობოდა, რომ ის სასულიერო წოდებას არ ეკუთვნოდა. ეს მხედარი თავის ამხანაგივით ჯორზედ კი არა, მშვენიერს ცხენზედ იჯდა. საჭურველის მტვირთველს უკან საომარი ცხენი მიჰყავდა, რომელიც იარაღით იყო აღჭურვილი, საჭურველის მტვირთველს ორი მხედარი მისდევდა, რომელთაც შავს პირისახეზედ და ყაუხზედ ეტყობოდათ, რომ აღმოსავლეთის შორეული ქვეყნიდან უნდა ყოფილიყვნენ.

გურტმა და ვამბამ დანახვის უმაღლვე იცნეს, რომ ის სასულიერო პირი ჟორვოსის სამრევლოს წინამძღვარი იყო, ცნო, ბილი მოსიყვარულე ნადირობისა, მეჯლისებისა და ყოველგვარი ამოვნებისა, რაიცა იმის წოდებას არ შეეფერებოდა.

— არ შეიძლება გვასწავლოთ, ჩემო შვილებო, — უთხრა წინამძღვარმა საქსებისათვის საზიზღარს ნორმანულს ენაზედ: — აქ ახლო ხომ არავენ არის ისეთი, რომელსაც შეეძლოს ამჟამად ეკლესიის ორი მოსამსახურე ღვთის გულისათვის სახლში მიგვიღოს.

— თუ თქვენ კარგად დახვედრას და მყუდრო ბინას ეძებთ, შეგიძლიანთ მიმართათ ბრინგსგორტის სამრევლოს; ხოლო თუ ღამე ლოცვა-ვედრებაში ვინდათ გაატაროთ, მაშინ კომანდურსის უდაბნოს მიმართეთ, რომელიც აქვე ახლოა და სადაც კეთილმსახური განდევილი ღიდის სიხარულით მიგიღებთ და ღამეს ლოცვა-ვედრებაში გაგატარებინებთ.

წინამძღვარმა ამის გაგონებაზედ თავი გაიქნია.

— თუ რომ ღღარუნების ხმას შენთვის გონება სრულიად არ დაუბნუვია, უნდა იცოდე, რომ სასულიერო პირნი საერო

პირთ უნდა ეწვივნენ და ამით შემთხვევა მისცენ პატრვი-სცენ ღვთის მოსამსახურე პირთ.

— თუმცა მე ვირი ვარ, — მიუგო ვამბამ, — მაგრამ ისეთივე ღლარუნები მაქვს, როგორც შენს ჯორს. ეს ხომ ასეა, მაგრამ მე მაინც ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მოწყალება ეკლესიისა და მისთა მსახურთა, როგორც ყოველი სხვა მოწყალება, თვით იმათგანვე უნდა იწყებოდეს.

— დააყენებ თუ არა შენს გესლიანს ენას? — დაუყვირა შეიარაღებულმა მხედარმა და ხმა ჩააწყვეტანა: — თუ რცი გვსწავლავს, რა გზით უნდა წავიდეთ... რა ჰქვიან იმას, მოძღვარო აიშერ?

— ცედრიკი, — მიუგო მოძღვარმა, — ცედრიკი საქსონელი.

— მითხარ, ჩემო მეგობარო, ვხლოვ იმის ციხე-დარბაზი და ან საეფო უნდა წავიდეთ?

— გზის პოვნა ადვილი არ არის, — უთხრა აქამდინ გაჩუმიებულმა გურტმა; — ამასთანავე ცედრიკის სახლობა ძალიან ადრე იძინებს.

— ხმა გაიკმინდე, შე უსაქმურო! მაგის თქმა აღარ გამოიბეღო! — უთხრა რაინდმა: — იმისთვის დიდი რამ არ იქნება გაიღვიძოს და ყოველისფრით დააკმაყოფილოს ის სტუმრები, რომელთაც ძალითაც შეუძლიანთ ყოველივე ამის მოთხოვნა.

— მე არ ვიცი, — მიუგო გურტმა, — ვალდებული ვარ ვუჩვენო ჩემი ბატონის სახლი იმათ, რომელთაც ძალითაც შეუძლიანთ თავშესაფარი ბინა მოითხოვონ? მაშინ როდესაც ყველა სხვა კაცი ამას მოწყალებასავით ითხოვს ხოლმე.

— განა კიდევ მიხირდები, მონავ! — დაუყვირა მხედარმა და მიიწია გურტზედ საცემრად.

მაგრამ გურტი მრისხანედ დააცქერდა და დანაზედ ხელი წაივლო; წინამძღვარი აიშერი ჩადგა მათ შუა თავის ჯორით და ჩხუბი აღარ მოხდა.

— გაფიცებ წმ. მარკაშს, ჩემო ძმაო ბრიან, ხელი არ ახლო! მოიგონე, რომ შენ პალესტინაში არა ხარ, სადაც ურწმუნო ოსმალებს და სარკინოსებს თავზარს სცემდი, ეკლესია

თვით დასჯის თავის ურჩ შვილებს. — მითხარ, მეგობარო, — მიუბრუნდა იგი ვამბას და ვერცხლის მანეთიანი გადაუგდო, — საქსონელი ცედრიკის სახლის გზა საით არის? შენ ეს არ იქნება არ იცოდე. ვალდებული ხარ უჩვენო გზა მოგზაურს, თუ გინდ რომ იგი ჩვენსავით წმინდა წოდებასაც არ ეკუთვნოდეს.

— შენმა ამხანაგმა ისე დამიბნია ქკუა-გონება, — მიუგო ხუმარამ, — რომ მე თვითონაც ვეღარ გავიგნობ გზასა.

— კმარა! — მიუგო მამა აიმერმა: — თუ მოინდომებ გზის ჩვენება ადვილად შეგიძლიან. ამ ჩემმა ამხანაგმა მთელი თავისი სიცოცხლე სარკინოსებთან ბრძოლაში გაატარა ქრისტეს საულაღის გასანთავისუფლებლად. იგი ეკუთვნის ტაძართა რაინდების დასს; ნახევრად ბერია, ნახევრად მეომარი.

— თუ იგი ბერიც არის, — შენიშნა ხუმარამ, — მაშ უზღველად რად უნდა მოექცეს გზაში შეხვედრილ კაცებს, რომელნიც პასუხს არ აძლევენ იმაზედ, რაც იმათ არ შეეხებათ.

— მე შენ გაპატივებ ხუმრობას, — უთხრა აიმერმა, — იმ პირობით, თუ რომ ცედრიკის სახლის გზას გვასწავლი.

— თუ აგრეა, — მიუგო ვამბამ, — მაშ წადით ამ გზაზედ და მიწაში ჩარკმულ ჯვრამდინ იარეთ; ჯვართან ოთხი გზა შეგხვდებათ; თქვენ მარცხნივ გაბრუნდით; მე დარწმუნებული ვარ, რომ წვიმის მოსვლამდინ თქვენ უკვე სახლში იქნებით.

მამა აიმერმა მადლობა გადაუხადა ვამბას და მხედრებმა საჩქაროდ გაქუსლეს ცხენები, რომ წვიმას გზაში არ მოესწრო. როდესაც ცხენების ფეხის ხმა მისწყდა, გურტჟა უთხრა თავის ამხანაგს:

— ვამბა! ღირსი მამები ისე რომ წავიდნენ, როგორც შენ ასწავლე, არა მგონია ამაღამ რატერვულამდინ მივიდნენ.

— რასაკვირველია, — მიუგო სიცილით ხუმარამ: — თუ ბედმა არ უმუხბოდა, შეფილდში ხომ მივლენ და იმათთვის ესეც ურიგო თავშესაფარი არ იქნება. მე უხეირო მონადირე ვიქნებოდი, ძაღლისთვის რომ ირმის ბინა მეჩვენებინა და არ მდომეუბოდა კი დაექირა.

— მართალს ამბობ, — უთხრა გურტმა: — ძლიან ცუდი იქნებოდა მამა აიმერს რომ ქალბატონი როენა ენახა, მაკრამ უფრო ცუდი იქნებოდა, თუ რომ ცედრიკი იმ მეომარს ბერს წაეჩხუბებოდა. როგორც შეშვენის ერთგულ მსახურებს, ჩვენ ყველაფერი გავიგონათ, დავინახათ და ჩუმად კი ვიყენეთ.

ახლა გავყვეთ უკან ცხენოსნებს, რომელთაც მონები შორს დასტოვეს და გზა-და-გზა ნორმანულ ფრანგულს ლაპარაკობდნენ; დიდკაცობა თითქმის სულ ამ ენაზედ ლაპარაკობდა, საქსონურს ენა კი ხალხის მცირე ნაწილი ხმარობდა და ამით ამპარტავენობდა.

— რას ნიშნავს იმ ხალხის ასეთი თავხედობა? — ჰკითხა აიმერს ტაძართა რაინდმა: — რატომ არ გამიშვი, ერთი კარგად დამესაჯა იგინი?

— ეჰ, კმარა, ძმაო ბრიან! — მიუგო აიმერმა: — რაც შეეხება ერთს იმათგანს, იგი მტკნარი სულელია, მაშასადამე, ქვიანური სიტყვა-პასუხი არც მოეთხოვება; მეორე კი ეკუთვნოდა იმ გამძვინვარებულს, მოურჯულებელ ველურ ხალხს, როგორსაც დღესაც კიდევ შეხვდები საქსთა შორის და თავიანთ დამმარცხებლებს ზილით უყურებენ.

— მე იმას მალე ვასწავლიდა ზრდილობას! — უთხრა ბრიანმა: — მე მაგნაირ კაცებთან ხშირად მქონია საქმე: ოსმალოს ტყვეები უფრო მძვინვარენი და მოურჯულებელნი იყვნენ, მაგრამ ორი თვის განმავლობაში ჩემს სახლში თავაზიანობას და ზრდილობას სწავლობდნენ ხოლმე. რასაკვირველია, შხამსა და ხანჯალს უნდა უფრთხილდეს კაცი: როგორც კი გარემოება ნებას მისცემს, ამ ორივე საშუალებას კარგად ხმარობენ ხოლმე.

— მე მაგის თანახმა ვარ, — მიუგო აიმერმა: — მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ ყოველს მხარეს თავის ზნე და ჩვეულება აქვს! ამასთანავე ცეზით იგინი ცედრიკის სახლის გზას არ გვასწავლიდნენ; და თუ გინდ რომ კიდევ მივსულიყავთ იმასთან, უეჭველია თქვენ და იმას დიდი ჩხუბი მოგიხდებოდათ. მოიგონეთ ცედრიკზედ რა გითხარით. იგი ამპარტაენია, მრისხანე,

თავმოყვარული და ბრაზიანი, მტერია ბარონებისა და თვით თავის მეზობლებისა, რეჯინალდ ფრონ დე ბეფისა და ფილიპე მალვოაზენისა. იგი ისე მტკიცედ იცავს თავის ეროვნებას და ისე ამპარტავენობს საქსონურის ჩამომავლობით, რომ იმას ყველგან ცედრიკ-საქსონელს ეძახიან; მომატებულნი კი თავიანთ საქსონურს ჩამომავლობას მალავენ, რომ ამით აიცილინონ ის სატანჯველი, რომელიც დამარცხებულთ მოელოთ ხოლმე.

— თქვენ, მამაო აიმერ, — უთხრა რაინდმა, — ქალების საყვარელი კაცი ხარა, მშვენიერების მეცნიერება კარგად გაქვთ შესწავლული და სიყვარულის სასჯელს ერიდებით ხოლმე; მაგრამ ეს როენა აღბად ძალიან ლამაზი უნდა იყოს, რომ ჰბედავ და მიგყვარ იმისთანა მემბოხესთან, როგორც იმის მამა ცედრიკია.

— ცედრიკი იმის მამა არ არის, — მიუჯო აიმერმა, — შორეული ნათესავია. როენა უფრო დიდი ჩამომავლობისაა, ვიდრე ცედრიკი; მაგრამ იგი მაინც როენას მფარველია და ისე უყვარს, როგორც თავისი ნამდვილი შვილი. იმის სიმშვენიერეს შენ თვითონ მალე დააფასებ და თუ იმისმა ტურფა სახემ და დიდებულმა ნაზმა ლურჯმა თვალებმა სრულიად არ დაგავიწყოს პალესტინის შავთვალა ქელები, ანუ მაჰმადის სამოთხის ჰურები, დე მე მაშინ წარმართი ვიყო და არა ერთგული შვილი ეკლესიისა.

— მაგრამ, — უთხრა რაინდმა, — თუ შენი ნაქები ქალი ისეთი ლამაზი არ გამოდგა, როგორსაც ამბობ, მაშინ სანაძლეოს ნუ დაივიწყებ.

— სანაძლეოდ ჩემი ოქროს ძეწვეი იყოს, — უთხრა აიმერმა, — და შენი ათი ბოჩკა ხიოსკის ღვინო; მაგრამ ეხლავე ვაცი, რომ შენი ღვინოები მე დამრჩება, ეს ისე ნამდვილია, ასე მგონია ბოჩკები ეხლავე მონასტრის სარდაფში აწყვია-მეთქი.

— იმ პირობით კი, რომ იმისი სილამაზე მე თვითონ დავაფასო, — განაგრძო რაინდმა, — და მხოლოდ ჩემის გონებით დავრწმუნდე, რომ ერთი წლის განმავლობაში იმაზე ლამაზი არავინ მინახავს. ჩვენი პირობა ხომ ასეთი არის?... მამაო აიმერ, შენ

ძეწკვს განსაცდელი მოეღოს; აშბის ასპარეზობაში იგი ჩემს გულს დაამშვენებს და არა შენსას.

— ოლონდ მოიგეთ, — უთხრა აიმერმა, — და როგორც გინდათ, ისე ატარეთ; მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს აზრს როვენას მშვენიერებაზედ ისე სვინდისიერად გამოსთქვამთ, როგორც შეშვენის ჭეშმარიტს რაინდსა. მაგრამ დაუჯერე ჩემს რჩევას, თქვენს ენას თავისუფლებას ნუ მისცემთ, თუმცა ურწმუნოებზედ ბრძანებას დაჩვეული ხართ. თუ რომ ცედრიკ საქსონელს ეწყინება რამ, იკი არ მიხედავს თქვენს რაინდობას, ჩემს უმაღლეს წოდებას და ერთისა და მეორის სიწმინდეს, მაშინვე კარებს გვიჩვენებს და ღამის გატარება ტოროლოებთან მოგვახდება. ნურც როენას დაუწყებ ცქერას, რომელსაც იგი მეტის-მეტად უფრთხილდება. ამბობენ, იმან თავის ერთად-ერთი შვილი იმისთვის გააგდო სახლიდან, რომ როენას შეყვარება გაბედაო. იმის ფიქრით, როენასთან ყველა იმ აზრით უნდა მივიდეს, რა აზრითაც ღვთისმშობელთან მიდიან ხოლმე.

— კმარა! თქვენ მეტის-მეტად აზვიადებთ, — ძიუგო რაინდმა: — მე მთელი ღამის განმავლობაში ზრდილობიანობას დავიცავ და ისე მოვიტყევი, როგორც ახალგაზდა მორცხვი ქალი; მაგრამ იმისი კი ნუ გეშინიანთ, რომ ცედრიკმა გარედ გამოგვადლოს; მე და ჩემი საჭურველის მტვირთველნი ამ შეურაცხყოფამდინ არ მიგიყვანთ; დამიჯერე, ჩვენ ისე ღონივრები ვართ, რომ არავის არ შეუძლიან მყუდრო ბინა არ მოგვცეს.

— ჩვენ ძალადობამდინ არ უნდა მივიდეთ — მიუგო აიმერმა: — აი ის ჯვარიც, რომელიც სულელმა გვანიშნა, მაგრამ ისეთი ბნელი ღამეა, რომ ვერ გავარჩევთ რომელ გზას დავადგეთ. მე მგონია, იმან მარცხნივ შეხვევა გვითხრა.

— არა, მარჯვნივ, — უთხრა ბრიანმა, — ძალიან კარგად მახსოვს.

— მარცხნივ, სწორედ მარცხნივ; კარგად მახსოვს, რომ თავის ხის ხმლით გვანიშნა.

— დიად, იმას ხმალი მარცხენა ხელში ეჭირა და მარჯვნივ გვანიშნა, — უთხრა რაინდმა.

აიმერი თავისას ამბობდა, რაინდი თავისას, როგორც ჩვეულებრივ მოხდება ხოლმე ამისთანა შემთხვევის დროს; მხლებლებს ჰკითხეს, მაგრამ იმათაც არაფერი იცოდნენ, რადგანაც იმ დროს მოშორებით მდგარიყვნენ და ვამბას სწავლება ვერ გაეგონათ. ამ დროს ბრიანმა ჯვართან ვილაც დაინახა და დაიძახა:—აქ ან ვისმეს სძინავს და ან ვინმე მკვლარი გლია. გუგო, აბა შენი შუბის ბოლო წაჰკარი.

გუგომ რაინდის ბრძანება შეასრულა და წამომდგარმა კაცმა წმინდა ფრანგულის ენით უთხრა:—ვინა ხართ? რა გინდათ? რად დაარღვიეთ ჩემი მყურობა?

— ჩვენ მხოლოდ გვინდოდა გვეკითხა, — მიუგო მამა აიმერმა, — რა გზით უნდა წავიღეთ როტერფულში, სადაც ცედრიკი საქსონელი ცხოვრობს?

— თვითონ შეც იქ მივდივარ, — მიუგო უცნობმა კაცმა, — და ცხენი რომ მყავდეს, თან გამოგყვებოდით: გზა ცოტა არ არის ძნელი გასაგნობია, თუმც მე კარგად ვიცი.

— ჩვენ მადლობას გადაგიხდით და დაგასაჩუქრებთ, ჩემო მეგობარო, — უთხრა აიმერმა, — თუ ცედრიკის ციხე-დარბაზამდინ კარგად მიგიყვან.

აიმერმა ერთს თავის მხლებელს უბრძანა გადამჯდარიყო იმ ცხენზედ, რომელიც იმის უკან მიჰყავდათ და თავის ცხენი უცნობი კაცისათვის დაეთმო.

გზის მაჩვენებელმა სრულიად სხვა გზაზედ წაიყვანა და არა იმ გზაზედ, რომელიც ვამბამ განგებ ასწავლა. დიდი ხნის უგზო-უკვლოდ სიარულის შემდეგ, მოგზაურნი სწორე გზაზედ გავიდნენ. გზის მაჩვენებელმა დიდი ციხე-დარბაზი დაინახა და უთხრა აიმერს:—აი ის არის როტერფული, საცხოვრებელი ადგილი ცედრიკ საქსონელისა.

ამ ამბავმა ყველაზედ ძლიერ აიმერი გაახარა, საშიშარ ალაგებში სიარულით ისე შეშინდა, რომ აქამდინ ხმაც არ გაუჟღერა თავის გზის მაჩვენებლისთვის. მაგრამ ეხლა კი, როდესაც განსაცდელი აღარ მოელოდა და სადგომის ახლო იმყოფებო-

ლა, კვალად აღეძრა ცნობის-მოყვარეობა და ჰკითხა მას—ვინა ხარ და ან სადაური ხარო.

— მე შწირი ვარ და წმინდა ადგილებიდან ამ ცოტა ხანში დაებრუნდი, — მიუგო უცნობმა კაცმა.

— უმჯობესო იყო, იქვე დარჩენილიყავ და ქრისტეს საფლავის განთავისუფლებისათვის გელეაწნა, — უთხრა რაინდმა.

— თქვენ მართალს ამბობთ, პატიცემულო რაინდო, — მიუგო მოგზაურმა, რომელსაც ეტყობოდა ტაძართა რაინდს კარგად იცნობდა: — მაგრამ თუ რომ ისინი მოგზაურობენ აქა, რომელთაც აღთქმა დასდეს ქრისტეს საფლავის გასანთავისუფლებლად, რა გასაკვირველია, რომ ისეთს უბრალო კაცს, როგორც მე ვარ, ჩემი ნამდვილი მოვალეობა დამეტოვებინოს?

რაინდი მზად იყო მივარდნოდა თავხედს მოგზაურს, მაგრამ აიშრმა დაამშვიდა და ძალიან უკვირდა, რომ მწირმა ასე კარგად იცოდა აქაური გზები.

— მე ამ მხარეში დავიბადე, — უთხრა გზის მაჩვენებელმა, და ამ დროს შესდგა ცედრიკის სახლის წინ. შენობები დაბალი იყო და რამდენიმე ეზო ჰქონდა, გარშემო დიდი ბაღები იყო გაშენებული. თუმცა სხვების ციხე დარბაზივით არ იყო მოწყობილი, მაგრამ ეტყობოდა კი, რომ ამის პატრონი მდიდარი კაცი იყო.

როტერვუდი გამაგრებული იყო: უამისოდ ვერც ერთი ციხე-დარბაზი იოლად ვერ წავიდოდა და ყოველ დღე ან გადაწვას და ან გაძარცვას უნდა მოჰლოდებოდა. მთელს შენობას გარშემო წყლით სავსე თხრილი ევლო და თხრილის ორსავე ნაპირებზე ძეძვის ლობე იყო შემოვლებული.

რაინდმა საყვირი დაუკრა და საქაროდ კარების გაღება მოითხოვა, რადგანაც წვიმა საშინლად მოდიოდა და მოგზაურებს ასველებდა.

თავი მესამე

ოდესღაც (სამწუხარო სუგეზია!) უდაბურ ადგილი-
 დან, რომელიც ყურს უგდებს გერმანულ ზღვის ღრიალს,
 მოვიდა ჯანსაღი, ღონიერი, ქერა და ქროლა თვალქ
 ბიანი საქსი.

სტომონი. - თავისუფლება.

დარბაზო-თუმცა ძალიან დაბალი იყო, შაგრამ სიგრძე-სიგ
 ვანე კი საკმაო ჰქონდა, შავ მუხის უბრალო გრძელი სტოლი
 იდგა და ზედ სუფრა ეყარა ვახშმის საქმელად. დარბაზს ორო
 ვე მხარეს დიდი ბუხარი ჰქონდა და რადგანაც კარგად არ იყო
 გაკეთებული ბოლი ხშირად დგებოდა ხოლმე. კედლებზედ სხვა-
 და-სხვა ჯურის იარაღი ეკიდა, დანარჩენი ოთახებიც ზალასა-
 ვთ უბრალონი იყვნენ. ოთახის სიგანეზედ იატაკი ამაღლებუ-
 ლი იყო და ამას ტახტს ეძახდნენ. აქ დასხდებოდნენ ხოლმე
 ოჯახის უმთავრესნი წევრნი და გამოჩენილნი სტუმარნი. ამ ია-
 ტაკის გარდი-გარდმო სდგამდნენ სტოლს, წითელი მაუდით
 გადაფარებულს. შუა დარბაზიდან ბოლომდინ გრძელი სტოლი
 იდგა ხოლმე მოსამსახურე და უბრალო პირთათვის.

წითელი მაუდით გადაფარებული სტოლი თავის ორი სა-
 ვარძელით ბალდახინის ქვეშ იდგა, რომ სტუმრებს წვიმა არ
 დასდენოდათ, რადგანაც უხეიროდ გაკეთებულ ბანიდან ადვი-
 ლად შეიძლებოდა ჩამოსულიყო.

ერთს მაღალს სავარძელზედ ცეცხრიკ საქსონელი იჯდა;
 თუმცა იგი შუბლ-გახსნილი კაცი იყო, მაგრამ ქროლა თვა-
 ლებში ეტყობოდა, რომ ბრძანანი და ფიცხი ხასიათისა იქნე-
 ბოდა.

მის მწვანე ფერის ტანისამოსს გარშემო თეთრი სინჯაფის
 ქობა ედო. მუხლები ტიტველა ჰქონდა და გლეხ-კაცივით
 ფეხებზედ ქალამანი ეცვა. ხელებზედ ოქროს სამკლაურები გა-
 ეკეთებინა და ყელზედ ოქროს ძეწკვი ჰქონდა ჩამოგდებული.
 პატარა მჭრელი ხმალიც გვერდზედ ეკიდა. სავარძლის უკან ბეწვ-

დადებული წითელი მანტია და ასეთივე მშვენივრად ნაკერი ქული იღო. რკინის-თავიანი პატარა ჯოხი სავარძელზედ იყო მიყუდებული.

რამდენიმე მოსამსახურე შესტყუროდა თავის ბატონს და მის ბრძანებას ელოდა. ცედრძეს რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდა. ქალბატონი როენა ეს-იყო ეხლა დაბრუნებულიყო ლოცვიდან და წვიმისგან დასველებულს ტანისამოსს იცვლიდა. ამას გარდა, გურტის შესახებაც არაფერი იცოდა, რომელიც აქამდინ უნდა მოსულიყო და იმაზედ სწუხდა—ვამ თუ ღორები წაართვესო. უმთავრესი სიმძიდრე საქონელი მებატონის საღორების ფარა იყო და მისი დაკარგვა დადს დანაკლისს შეადგენდა. მეღვინეთ-უხუცესი თავის ბატონის გართობას ცდილობდა და ღვინოს მალ-მალ უსხამდა.

— როენა ასე რად იგვიანებს? — იკითხა ცედრიკმა.

— მარტო თავი-ღა აქვს მოსახდელი, — მოახსენა მოახლემ: — თქვენ თვითონაც არ მოიწონებდით, რომ სუფრაზედ ჩაუტყელო დამჯდარიყო. მთელს საგრაფოში არც ერთი ქალი ისე მალე არ ჩაიცვამს ხოლმე ტანისამოსს, როგორც ჩემი ქალბატონი.

— ნეტავი გურტი რაღად იგვიანებს? ვამ თუ გაძარცვეს. ეხლანდელს დროში გასაკვირველი არაფერია. ჩემი ვამბა სადღა არის?

მოახსენეს — გურტი და ის ერთად წავიდნენო.

— თან და თან უფრო ცული ამბავი მესმის. ვინ იცის საქონელი ხუმარაც წაბყვანეს, რომ ნორმანელს ბრონს ემსახუროს. სწორედ სულელები ვართ, რომ ნორმანებს ვემორჩილებით, ჩვენ უფრო ღირსნი ვართ მასხარად ავდებისა და ზიზღისა, ვიდრე ბუნებით უქკუო ხალხი; მაგრამ სამაგიეროს გადავუხდით, უდიდეს რჩევაში საჩივარს შევიტან; მე მყავს მეგობრები და მომხრენი, ნორმანს მარტო-მარტო გამოვიწვევ საბრძოლველად; დაე გამოვიდეს იგი თავის ფართთა, ხმლითა, ერთის სიტყვათ, ყოველნაირი იარაღით, რაც კი მას გულადობას მოუშობებს. აი ამ პატარა შუბით მათეჩიჩანზედ უფრო სქე

ლი კედელი გამიხვრეტია! იქნება იმათ ჰგონიათ; რომ მე მოხუცებული ვარ? დაე ეგონათ! მე უშვილო ვარ, მარტო ხელი, მაგრამ ცედრიკის ძარღვებში გერვარდის სისხლი ტრიალებს... ოხ, ვილფრედო! ვილფრედო! — წარმოსთქვა მან ხმა მალდა, — შენ რომ შენი გულისთქმის დათრგუნვა შევძლებოდა, შენი მოხუცებული მამა აღარ ეგვანებოდა ობოლს მუხას, რომ მელიც აქეთ-იქით ხრის თავის ტატებს ქარიშხლის დასაქერად!

მოხუცებულმა შუბი თავის ადგილას მიხყუდა და ჩამოჯდა, თვალები დალულა და მწარედ ჩაფიქრდა. ამ დროს საყვირის ხმა მოისმა და მოხუცებული ფიქრიდან გამოეჩვენა. ზალაში და გარედ ძაღლებმა ისეთი საშინელი ყვივა ასტეხეს, რომ ძლივს დააჩუმეს.

— ეხოს კარებისკენ წადით! — დაიყვირა საქსმა: — გაიგეთ რა ამბავია. უსაუოდ ქურდობა ან ყაჩაღობა მომხდარა ჩემს სამფლობელოში.

რამდენიმე წამის შემდეგ მოსამსახურეები შემოვიდნენ და მოახსენეს, რომ ჟორჯონის მონასტრის წინამძღვარი აიმერი და რაინდი ბრიან დე ბოა გილბერი თავიანთის აძალით აშბის ახლო საბარეზოში მიტვიან და ამაღამ სტუმრად მიღებას გთხოვენო.

— წინამძღვარი აიმერი! რაინდი ბრიან დე ბოა გილბერი! — წაიბუტბუტა ცედრიკმა: ორივე ნორმანები არიან. მაგრამ ნორმანია, თუ საქსი — სულ ერთია, როტგრვუდულს სტუმრის მოყვარულობას არ უნდა ვუღალატოთ; ჩვენ სტუმრის მიღება არ გვეჯავრება, თუმცა უმჯობესი კი იქნებოდა აქ არ მოსულიყვნენ; მაგრამ ვინც ბინასა და ვახშამს თხოულობს, იმაზედ ჯავრობა აღარ შეიძლება... წადი, გუნდებერგო, — უთხრა ერთს მოსამსახურეს, — თან ექვსი კაცი წაიყვანე და სტუმრები სასტუმრო ოთახებში შეიყვანე. მათი ცხენებისა და ჯორებისათვისაც იზრუნე, ეცადე მათ ამაღას არაფერი დააკლდეს. რაც მოითხოვონ, ნურათყვინ დაუქერ; მზაოეულსაც, უთხარი ვახშამი მალე მოამზადოს და, როცა დრო, იყოს მიარავი, იმის თქმაც არ

დაგავიწყდეს, რომ ცედრიკი ხვითონ გამოვიდნოდა თქვენს მისაღებადა-თქო, მაგრამ ალექსმა აქვს დადებული თავისი ადგილიდან არ დაიძრას, თუ არა საქსონის ხელმწიფისათვისა-თქო; აბა ჩქარა, ეცადე! ვინძლო არ ათქვეფინო, რომ ჩვენს საქსებზე ღარიბულად და ძუნწად დავუხვდით.

გუნდებერგი ბატონის ბრძანების ასასრულებლად გაეშურა.

— წინამძღვარი! ამერი, — ფზნაგროძო ცედრიკმა და ოსვალდს მიუბრუნდა: — თუ არა ვცდები, ძმა უნდა იყოს მიდღლამის ეხლანდელის ლორდისა?

ოსვალდმა თავაზიანად თავი დაუქნია.

— იმის ძმამ უკანონოდ დაიჩემა ერთი კარგი გვარეულობის მამული; მაგრამ რომელი ნორმანელი ბარონი არ იტყვია ასე? ამბობენ ეს წინამძღვარი, მხიარული, ხასიათის ბეჭიო და ერთი თასი ღვინო წიგნებსაც ურჩევნიან და ზარბესაცო. კარგი! მშვიდობა მათს მობრძანებს! სტუმრების მოსვლა მიხარია. რაინდს რაღა ჰქვიან?

— ბრიან დე ბოა გილბერი.

— ბოა გილბერი! — სთქვა ცედრიკმა ჩუმის ხმით: — ბოა გილბერი! მე ამ გვარზედ კარგიც ბევრი გამოიგონია და ავიც. ამბობენ, იგი თავის ორდენის რაინდთა შორის მეტის-მეტად გულადიაო, მაგრამ ბიწიერი თვისებანიც ბევრი აქვსო; იგი ისეთი ამპარტავანი, მედიდური და გულ-გაქვავებული კაცია თურმე, რომ არც ქვეყნიური სასჯელისა ეშინიან და არც უხეციურისა. ესეც ერთი იმათგანია, რომელნიც პალესტინიდან დაბრუნდნენო. რაც არის — არის! ერთი ღამის მეტს ხომ არ დარჩება. ოსვალდო, ძველი ღვინო და სხვა კარგი სასმელები მიართვი. ტაძრის რაინდებს და ბერებს კარგი ღვინო უჭვრათ. ელჯიტა! მოახსენე ქალბატონს როენას, რომ, თუ არ უნდა, ამაღამ დარბაზში ნუ გამოვა.

— არა, ბატონო, იგი უსათუოდ მოისურვებს გამოსვლას, — მოახსენა ელჯიტამ, — ძალიან უყვარს პალესტინის ამბების გაგონება.

ცედრიკმა მოსამსახურე ქალს მრისხანედ შეხედა და უთხრა: — გთხოვ, ჩუმაღ იყო: შენი ენა შენს წყნარს ქცევას არ შეეფერება. ჩემი სიტყვები შენს ქალბატონს გადაეცი და დაელოვარე უნდა ისე მოიქცეს.

ელჯიტა დარბაზიდან გავიდა:

— პალესტინა! პალესტინა! — იმეორებდა საქსი: — რამდენი გარყვნილი რაინდი იპყრობს სხვის ყურადღებას ამ ბედკრული ქვეყნის ამბებით. მეც მეტი რა ღონე მაქვს, ამ ძაწანწალა ხალხის ზღაპრებს ყურად უნდა დავუგდო... მაგრამ, არა! შვილი, რომელიც მე არ დამემორჩილა, — ჩემი შვილი აღარ არის: მე იმის ბედზედ იმდენადვე ვზრუნავ, რამდენადაც უკანასკნელს მხედარზედ, რომელიც აღიღებს ჯვარსა და უკანონო სისხლის ღვრაში მიიღებს მონაწილეობას და ასე კი ჰგონია, ამით ღეთის ნებას ვასრულებო...

შის თქმაზედ ცედრიკმა წარბები შეიჭმუხნა და ერთს წამს თვალები ჩაბლიტა; როდესაც თვალები გაახილა, ამ დროს კარები ყურთამდინ გაიღო და მოსამსახურეებმა სტუმრები დარბაზში შემოიყვანეს.

თავი მეოთხე

სისხლი ცხარსაც გამოსდის, თხასაც და ღორსაც: მპარტავანი ხარი მარმარილოზედ წამოაქციეს: ყველაფე შემწეარს ნაჭერს მიართმევვენ: თასები კია-ფერი-ღვინით აივსო: მეჯლისში ულისიც იმყოფება, მაგრამ სხვებზედ მოშორებით კე. ზის: თუთ მეფემ უჩვენა მას ადგილი სამ-ფეხა სტოლიან.

ოღისეია, წიგ. XXI.

აიმერმა შემთხვევითი ისარგებლა და საგზაო ტანბამოსი გამოიცვალა, იმის ნაცვლად მშვენიერი მდიდრული ტანისამოსი ჩაიცვა. თითებზე ძვირფას-თვლებიანი ბეჭდები გაიკეთა, თუმცა ეს იმის წოდებას არ შეშქენოდა; მისი ფეხსაცმელი ისპანური საუკეთესო ტყავისა იყო; წვერი მოკლულ ჰქონდა გაკრეჭილი და თავზე მშვენიერად ნაკერი ქუდი ეხურა.

რაინდმაც გამოიკვალა ტანისამოსი; მისი მორბულოობა აი-
შერის ტანისამოსზედ ნაკლებად მდიდრული არ იყო; მას თა-
ვის ამხანაგზედ უფრო კარგი შეხედულობა ჰქონდა. მხარ-
ზედ შავი ხავერდის რვა-კუთხიანი ჯვარი ეყვრა. მალალი
ქული წარბებს აღარ უმალოავდა და ისეთი შავი ხუჭუჭი თმა
ჰქონდა, როგორც კუნაპეტი. იმის სიარულსა და მიხვრა-მოხვ-
რაზედ დიდებულს ვერას ნახავდა კაცი, თუ რომ მეტის-მეტო-
ზეფი შეხედულობა არა ჰქონდა.

ამ ორ წარჩინებულ პირთ ამაღა მოსდევდა უკანდა ამა-
ლაზედ ცოტა მოშორებით მოდიოდა გზის მაჩვენებელი მწირი
რომელიც თავის შეხედულობით არაფრით განირჩეოდა ჩვეუ-
ლებრივის მწირისაგან. ტანზედ უბრალო შავი-მანტია ესხა-
უხეირო ტყავის ქალამნები ეცვა და ხელში რკინით შექედლილი
ვრძელი ჯოხი ეჭირა; რომელსაც თავზედ ბზის ტოტო ჰქონდა
მიკრული. იგი წყნარად შემოვიდა დარბაზში და როცა დაინა-
ხა, რომ სტოლთან ყველა ადგილი დაჭერილი იყო, წავიდა და
ბუხრის გვერდით პატარა სტოლთან დაჯდნა.

ცედრიკი სტუმრების მისაღებად წამოდგა, დარბაზის ანა-
ღლებული ადგილიდან ძირს ჩამოვიდა, სამი ნაბიჯი წინ გად-
მოდგა და სტუმრების მიახლოვებას დაუწყო მოცდა:

— ძალიან ვწუხარ, პატივცემულო ჩამაო, წაუთხრა მან, — რომ
აღთქმა ნებას არ მაძლევს ამაზედ მეტად კიდევ წინ წამოვიდე
იმისთანა სტუმრების მისაღებადაც კი, როგორც თქვენა და
ეს ტაძრის გულადი რაინდი ბრძანდებით. იმედი მაქვს ამაზედ
ჩემი სახლთ-უხუცესი გუნდებერგი ყველაფერს მოგახსენებდათ
და ასეთს ქცევას უზღველობაში არ ჩამომართმევთ. სამსთანავე
ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ ჩემს ზუნებრივს ენაზედ გელა-
პარაკებით; თუ იცით, გთხოვთ თქვენც ენაზედ ქელაპარა-
კოთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, მგონია ნორმანული ენა იმდენ-
ნად ვიცი, რომ რასაც იტყვით, ყველანაირს გავიგებ.

— აღთქმა, — მიუგო აიმერმა, — არასოდეს არ უნდა დაირ-
ღვეს, ჩემო პატივცემულო მასპინძელო, აღთქმა გვაკავშირებს
ჩვენ ზეცასთან; იგი არის საბელი, რომლითაც მიბმულია მსხვერპ-

ლი, საკურთხეველზედ; ამისათვის, როგორცა ვთქვო, აღთქ-
მა არასოდეს არ უნდა დაირღვეს, თუ რომ იგი წმინდა ეკლე-
სიის წინააღმდეგი არ იქნება. რაც შეეხება მეორე გარემოე-
ბას, მე დიდის სიხარულით გელაპარაკებით იმ ენაზედ, რა ენი-
თაც ლაპარაკობდა ჩემი ღირსი დედათ-მთავარი ჯილდა მიდლ-
ლამელი; იგი გადაიცვალა ისეთივე წმინდა, როგორც მისი მო-
სახელი წმინდა ჯილდა ვიტბელი; განუსვენე, უფალო, სკელსა-
მისსა!

როდესაც აიძერმა გაათავა ლაზარის სიტყვა; ამხანაგმა მოკ-
ლედ და ამაყად უთხრა: — მე ჩხოლოდ ფრანგულად ვლაპარაკობ,
მეფე რიჩარდის და იმის აზნაურთა ენაზედ; მაგრამ აქაურებს შე-
მიძლიან ინგლისურად ველაპარაკო.

ცედრიკი ისე დააშტერდა ჭაინდს, რომ ამ დაშტერებაში
სრულიად გამოიხატა მძულვარება ორ ერთად: შორის, მაგრამ,
როგორც, მასპინძელმა, თავი დაიჭირა და სტუმრებს მძულვა-
რება არ აგრძობინა; მან სტუმრებს ხელით ანიშნა დაეჭირათ.
თავთავიანთი ადგილი და მისამსახურეებს ვახშმის მოტანა უბრ-
ძანა.

როდესაც მოსამსახურეებო ცედრიკის ბრძანების აღსრულებ-
ბას შეუდგნენ, მან დავინახა მულორე გურტი, რომელიც ისიცო-
შემოვიდა დარბაზში თავის ამხანაგი ვაშათი შე მითუას —

— აქ დაუძახეთ მე გაუთლელ უსაქმურებს! — დაიძახა ცედ-
რიკმა მოუთმენლად: — ამ დრომდინ ტყეში რას დაეხეტებით?
შინ მორეკე ლორები, გურტო, თუ ყაჩაღებს ჩაუვადე ხელში?

— ნუ გამიწყურებით, ჩემო მოწყალევე, და ლორები შინ უკ-
ნებლად მოვრეკე — მოახსენა გურტმა.

— ჩემი მოწყალეობა კარგად არ იყო, — უთხრა ცედრიკმა, —
როდესაც ამ ორი საათის წინად ლორების ფაქრი მქონდა და
არ ვიცოდი, როგორ ამომეყარა მეზობლების ჯავრი იმ შეურაცხ-
ყოფისთვის, რომელიც მათ ჩემთვის არ მოუყენებიათ. იცოდე
ბორკილი და ციხეუარ აგცდება, თუ კიდევ ასე დაიგვიფნა რო-
დისმეც.

გურტმა იცოდა თავის ბატონის ბრაზიანი ხასიათი და თავი აღარ გაიმართლა; მაგრამ ხუმარამ კვლავ თავისი და თავის ამხანაგის გურტის მაგივრად გასცა პასუხი, რადგან იცოდა, რომ მას ცედრიკი ყველაფერს ხუმრობაში ჩამოართმევდა ხოლმე.

— მართალი რომეოთხრა, ბიძიავ, დღეს შენ ჭკვიანურად და გონივრულად სჯი!

— რაო, რაო? — დაეკითხა ბატონი: — მე შენ კარის ყარაულად დაგაყენებ და მაშინ ნახავ მორჩილებას როგორ გასწავლი; თუ შენ თავს სისულელის ნებას კიდევ მისცემ.

— ჯერ ყური დამიგდეთ, რას გეტყვით თქვენი სიბრძნის შესახებ, — მოახსენა ვამბამ: — განა სწამართალი იქნება სხვის დანაშაულობისთვის ვინმე დასაჯოთ?

— რასაკვირველია არა, სულელო, — მიუგო ცედრიკმა.

— მაშ საწყალ გურტს ბორკილები რად უნდა შეუყარო, ბიძიავ, როდესაც ყოველისფერში დამნაშავე მისი ძალღლი ფანგსია? ნუღდ ვარ დავიფიცო, რომ ჩვენ ერთ წამსაც არ დავიგვიანია გზახედ, როგორც კი ღორები შევვარდოვით, მაგრამ ფანგსმა კი რა არ ჩაიდინა ღორის დარეკამდინ.

— მაშ ფანგსი ჩამოარჩე, თუ ის არის დანაშაული, — უთხრა ცედრიკმა და საჩქაროდ მიუბრუნდა მელორეს: — შენ კიდევ სხვა ძალღლი იშოვნე.

— უკაცრავად, ბიძიოვ-და, — განაგრძო ხუმარამ: — არც ეგ არის სამართლიანი: ფანგსი რა დანაშაულია, რომ დასახიჩრებულია და ღორების მოგროვება აღარ შეუძლიან, დანაშაულის არის, ვინც მას წინაფეხების ფრჩხილები დაჰჭრა; არა მგონია: ფანგსი ამ ოპერაციაზედ დათანხმებულიყო, თუ კი ამაზედ ჰკითხავდა ვინმე რასმე.

— მერე ვინ გაბედა ჩემი მონის ძალღლის ასე დასახიჩრება? — დაიყვირა გაბრაზებულმა ცედრიკმა.

— ვინა? მოხუცმა გუბერტმა, — მიუგო ვამბამ, — ფილიპე მალვოაზენის დაგეშილმა კაცმა. მან ფანგსი ტყეში დაიჭირა და ამტკიცებდა, რომ ირემს დასდევდა და ამით ტყის პატრონს ხარალს აძლევდა.

— ჯანაბას მალგოაზენიც და იმის დაგეშილი კაციც! — მიუგო ცედრიკმა: — მაგრამ კმარა ამაზედ ლაპარაკი. სულელო, შენს ადგილას წადი! შენ კი, გურტო, სხვა ძალი იშოვნე, და თუ ტყის ზედამხედველმა კიდევ ხელი ახლო, მაშინ მე მას ვასწავლი ისარს როგორ ისვრიან; მშიშარა დამიძახე, თუ მე იმას მარჯვენა ხელის ცერი არ მოვაქრა: იგი მეისრის კანაფის უაქიმვას დაივიწყებს. მომიტევეთ, პატივცემულო სტუმრებო. მე აქ ისეთი მეზობლები მახვებიან, რომ წმინდა ადგილის მტერი იმათთან შედარებით ანგელოზები არიან. ვახშამი წინა გაქვე გაშლილი და დაე მასპინძლის გულუხვობა სანელებელი იყო. ჩემი უხვირო მზარეულისათვის.

ვახშამი კი ისეთი კარგი იყო, რომ მასპინძელისაგან ბოდიშის მოხდა საჭირო აღარ იყო. ღორისა, ნადირისა და ფრინველის ხორცი სუფრაზედ უხვად იყო, არც თევზეული იყო ნაკლებად, ტკბილეული და მურაბები ხომ აუარებელი; ყველა წარჩინებული სტუმრის წინ ვერცხლის თასით სავსე ღვინო იდგა, ამაღა და მოსამსახურეები კი ყანწებით სვამდნენ ღვინოს.

დაიწყეს თუ არა ვახშამის ჭამა, სახლა-უხუცესმა თეთრი კვერთხი აღმართა და ხმა-მალლა წარმოთქვა: „ჩამოდექით; ქალბატონს როენას გზა მიქცით გაიაროს“. როენა ოთხის მოახლით შემოვიდა. თუმცა ცედრიკს არ იამა ამ დროს მისი შემოსვლა, მაგრამ მაინც წამოდგა, სუფრაზედ მოიყვანა და თავის გვერდით მალაღს სავარძელზე დასვა. ყველა იქ მყოფნი ფეხზედ წამოდგნენ და სალამი მისცეს. რაინდმა რომ როენა დაინახა, მამა აიშერს წასჩურჩულა:

— მე არ მეღირსება ასპარეზობის დროს გულზედ შენი ძეწკვის ჩამოგდება; ათი ბოჩკა ხიოსის ღვინო თქვენ გეკუთვნით.

— აკი გითხარ, აგრე იქნება-მეთქი, — მიუგო აიშერმა: — მაგრამ თქვენ აღტაცებას ნუ გამოამყლავნებთ; მასპინძელი თვალყურს გაღვენებს.

ბრიან დე ბოა გილბერმა ყური არ უგდო ამ გაფრთხილებას და მშვენიერს როენას თვალს არ აშორებდა, რომელიც იქნება მით უფრო ატყვევებდა იმის გონებას, რომ მი-

სი სიტურფე სრულიად განარჩევოდა სულთანის ცოლების სიტურფისაჲან.

როენას არა-ჩვეულებრივ სილამაზესთან ერთად ტანიც მაღალი და მოხდენილი ჰქონდა, მაგრამ არც ისე მაღალი, რომ მარტო ამით ვისიმე ყურადღება მიექცია. მის საოცარ მშვენიერს სახეს კაცი ვერავითარ ნაკლს ვერ უპოვიდა; ისეთი ნაზი-ნარნარი აგებულებისა იყო და ისეთი მოხდენილი თავი ჰქონდა, რომ ამავის წყალობით აღარ ემჩნეოდა ის უსიცოცხლობა, რომელიც განუყრელი თანამოგზაურია ხოლმე არა-ჩვეულებრივი სილამაზის მექანე ქალისა. მისი ბრწყინვალე გრძელ-წამწამიანი ლურჯი თვალები რომელ კაცს არ დაიმორჩილებდა, და სრულიად არ დაატყვევებდა ჯმის გულსა? წაბლის ფერი გრძელი თმა ურიცხვ კულულებად ეყარა და შიგ ძვირფასი თვლები ჰქონდა დატანებული. ყელზედ ოქროს ძეწკვი ეგდო და მჯეზზედ ბრასლეტები ჰქონდა. მწვანე ფერის ფარჩის ტანისამოსი ეცვა და ზევიდან წითელი ფერის მანტი ჰქონდა წამოსხმული, ოქრომკედით ნაკერი ფარჩის რიდე მანტიზედ იყო დამაგრებული და როდესაც უნდოდა პირისახეს და გულს იფარავდა.

როდესაც როენამ დაინახა, რომ რაინდი მას აღზნებულის თვალებით აშტერდებოდა, მაშინვე რიდე მოიფარა სახეზედ და ამით თითქო აგრძნობინა, რომ ასე კადნიერად ცქერა მას არ უამებოდა. როენას ამ მოძრაობას ცედრიკმაც მიაქცია ყურადღება.

— ბატონო რაინდო, — უთხრა მან: — დაწვეები ჩვენი საქსონელი ქალებისა მზის სხივებს ისე ნაკლებად არიან შეჩვეულნი რომ არა მგონია ჯვაროსანის დაშტერებას გაუძლონ.

— თუ მე ვისმე რამ ვაწყვიენე, — უთხრა ბრიანმა, — ვახოვ მაპატიოს... მე მინდა ვთქვა, რომ ქალბატონ როენასაგან პატიუბას ვითხზვ; ამაზედ მეტად თავის დამცირება აღარ შემძლიან.

— ქალბატონმა როენამ ჩვენ ყველანი დაგვსაჯა, — სთქვა მამა აიმერმა: — მაგრამ იმედი მაქვს, მომავალ ასპარეზობაში თქვენ აგრე სასტიკი არ იქნებით.

— ჯერ გადაწყვეტილი არა გვაქვს, დავესწრებით ასპარეზობას თუ არა, — უთხრა ცედრიკმა: — მე არ მიყვარს ასპარეზობა, რომელიც ჩემმა წინაპრებმა ინგლისის თავისუფლების დროს არც კი იცოდნენ, რა იყო.

— იმის იმედს მაინც ნუ დავგიკარგავ, — უთხრა აიმერმა: — რომ თქვენ ასპარეზობაში წასვლაზედ უარს არ იტყვიან და ჩვენც თან გავვიყოლებ; მით უმეტეს, რომ გზებში შიშინანობაა და რაინდის ბრიანის დახმარება საჭირო იქნება.

— მამაო აიმერ, — მიუგო ცედრიკმა, — დღემდინ სადაც კი მიგზაურონია ამ ქვეყანაში, ჩემს ხმლით და ერთგულ თანამოგზაურთა დახმარებით ყველგან გზა გამოკვლევიან და უცხო კაცის დახმარება ჩემთვის საჭირო არა ყოფილა. ამ ეამად კი თუ აშშ-ში წავალთ, ჩემს კეთილშობილს თანამემამულეს და მეზობელს ატელსტენს კონისბურგელს თან წავიყვან და ისეთ ამალასაც გავიყოლებთ, რომ ადვილად შეგვეძლება ყაჩაღების მოგვრება. შენს სადღეგრძელოს ესვამ, მამაო აიმერ, იმედი მაქვს ღირსებისამებრ დააფასებთ ამ ჩემს ღვინოს და თავაზიანობისათვის მაღლობელი დაგრჩებით. თუ რომ თქვენ, — დაუმატა მან: — არ გაბედავთ მონასტრის წესის დარღვევას და ღვინის მაგივრად მთავე რძეს დაღევთ, მე ძალას არ დაგატანთ, რომ თქვენც ღვინოდ მადღეგრძელოთ.

— მერწმუნეთ არა, — უთხრა სიცილით აიმერმა: — ჩვენ მონასტრებში მარტალია სხვა სასმელებსა ვხმარობთ, მაგრამ როდესაც ხალხში გამოვდივართ, ჩვენც იმას ვსვამთ ხოლმე, რასაც სხვანი; მაშ მერც ამ კარგის ღვინით ესვამ თქვენს სადღეგრძელოს, ხოლო უღონო სასმელები მონასტრის ბერებისათვის დამითმია.

— მე კი — სთქვა რაინდმა და თასი აივსო — ესვამ სადღეგრძელოს მშვენიერ როენასას, რომლის ბადალიც მთელს ინგლისში სხვა ქალი აღარ მოიპოვება.

— თქვენი ალერსი თქვენთვის შეინახეთ, ბატონო რაინდო, — უთხრა როენამ თავდაჭერილად და რიდე აუხდელად, — ჩვენ კი, თუ შეიძლება, პალესტინის უკანასკნელი ამბები გვი

ამბეთ; ეს წაგანი უფრო ასიამოვნებს ინგლისელს, ვიდრე თქვენი ტრანგული აღერსი.

— საყურადღებო რა უნდა გითხრათ პალესტინაზედ, ქალბატონო, — მიუგო ბატონმა დეებო გილბერმა, — იმეს მეტი, რომ ქალადინთან დროებით შერიგება მომხდარა.

ბრიანს ვამბამ სიტყვა გააწყვეტინა. ჩვეულებრივ იგი თავის ბატონის უკან იჯდა და მის სავარძელს ვირის ყურები ჰქონდა გაკეთებული; ბატონი მას ხან-და-ხან თავის კერძიდან აძლევდა საქმელს. ამ მოწყალებას ხუმარა იქვე მყოფ ძაღლებს გაუყოფდა ხოლმე. ვამბა ყუველი შემოხვევით სარგებლობდა, რომ ოხუნჯი სიტყვა ეთქვა.

— ურწმუნოებთან შერიგებამ დამაბერა! — წამოიძახა იმან და ყურადღებაც არ მიაქცია იმას, რომ რაინდს სიტყვას აწყვეტინებდა.

— რას რო შავ, სულელიო? — უთხრა ცედრიკმა კმაყოფილებით.

— ჩემს სიცოცხლეში, — მიუგო ვამბამ, — სამჯერ მახსოვს შერიგება ორმოც და ათ-ათი წლით, ასე რომ ანგარიშით მე ეხლა ის ჩარმოც და ათი წლისა ვარ.

— მე მაინც პირობას გაძლევ, რომ შენ სიბერით არ მოკვდები, — უთხრა რაინდმა, რომელმაც მხოლოდ ეხლა უცნო ვამბა: — თუ რომ აგრე იცი გზის ჩვენება, როგორც ჩვენ გვასწავლე, მერწმუნე შემოაკვდები ვისმე.

— როგორ, მეგობარო? — უთხრა ცედრიკმა: — განამგზავრის მოტყუება შეიძლება! შენ საცემარი ხარ მაგისთვის! როგორც ვხედავ, შენ იმდენადვე მატყუარა ყოფილხარ, რამდენადაც ხუმარა.

— თქვენი ნება იქნას, ბიძიავ, — მიუგო ხუმარამ: — მხოლოდ ერთხელ მაინც ნება-მომეცი ჩენს სულელობას გამოვსარჩლო. მე იმის მეტი დანაშაული არა მაქვს, რომ შეცდომით მარჯვენა ხელი მარცხენად მივიღე, ამას ისიც მაპატივებს, ვინც მე, სულელი ხელ-მძღვანელად და მოთათბირედ ამომირჩია.

ამ დროს დარბაზში ბიჭი შემოვიდა და მოახსენა, რომ ვი-
ლაც უცნობი კაცი ამაღამ თავშესაფარს ადგოდა თხოულობსო.

— შემოიყვანე, ვინც უნდა იყოს, — უახრა ცედრიკმა, — ამის-
თანა ჯოჯოხეთი ღამე ნადირსაც კი გააბედვინებს თავი შეა-
ფაროს კაცს, რომელიც მისი დაუძინებელი მტერია. ეცადე
სტუმრის ყოველივე მოთხოვნილება დააკმაყოფილო.

ოსვალდი გავიდა დარბაზიდან ბატონის ბრძანებებს, აქასრუ-
ლებლად.

თავი მესამე

განა ურიას კი არა აქვს თვალები? განა ურიას კი
არა აქვს ხელები, სხეული, გრძობანი, გული, გულის-
თქმანი? განა ისიც იმავე საქმლით არ იკვებება? განა
იმის ბლაგვი ხმალი კი იარაღი არ არის? განა ისიც
იმავე სწეულებით არა ხდება ავიღ და იმავე წამლებით
არ ირჩენს თავს? განა იმასაც არა სცივა ზამთარში და
არა სცხელა ზაფხულში, როგორც ქრისტიანსა?

სტეპანოვი — შექსპირი — ვენეციელი ვაჟარი.

ოსვალდი დაბრუნდა, აუკან და თავის ბატონს ყურში
უჩუჩრჩულა.

— ურიაა, სახელად ესა კი ჰქვიან; საძრახისი ხომ არ იქნება.
დარბაზში შემოვიყვანო?

— ოსვალდო! შენი თანამდებობა გურტს ჩააბარე, — დაუ-
ყვირა ცედრიკმა, — ურიას მეღორეც შემოიყვანს.

— ღვთის-მშობელო დედაო! — წამოიძახა აიმერმა და პირ-
ჯვარი. გაღიწვია: — ურწმუნო ურია ჩვენს საზოგადოებაში უნდა
იყოს!

— ძაღლი ურია ქრისტეს საფლავის დამცველს როგორ
უნდა მაუჯღდეს გვერდით? — სთქვა რაინდმა.

— მართალია, — შენიშნა ვამბამ, — სუყველაფრიდან ჩანს,
რომ ტაძრის რაინდებს ურიების სარჩო უფრო უყვართ, ვიდრე
თვითონ ისინი.

— იგი — დამშვიდდით, პატივცემულნო სტუმარნო, — უთხრა ცედრიკმა: — ჩემი სტუმრის მოყვარეობა თქვენმა გულის წყრომამ არ უნდა შეზღუდოს. თუ რომ ღმერთი ამდენს ხანს იწყნარებდა ურწმუნო ხალხს, რატომ ჩვენ აღარ შეგვიძლიან ერთი ებრაელი რამდენიმე საათით შევიწყნაროთ? მე არავის ძალას ჰქვია ვატან, იმასთან სვას დო ქამოს. ცალკე გაუშალეთ სუფრა, — დასძინა ღიმილით, — თუ რომ ეს უცხოელნი თავიანთ საზოგადოებაში არ მიიღებენ.

— ბატონო მასპინძელო, — მიუგო რანდმა, — ჩემი სარკინოსელი ტყვენი ნამდვილი მუსულმანები არიან, მაგრამ ურიები ისევე სძულთ, როგორც ქრისტიანებს.

— მე არ მესმის, — ჩაერია ვამბა ლაპარაკში, — მალუნდისა და ტერმალუნტას თაყვანის მცემლებს რად უნდა ჰქონდეთ იმ ხალხზედ მეტი უპირატესობა, რომელიც ერთს დროს თვით ღმერთმა ამოიჩინა თავის ხალხად.

— იგი შენთან დაჯდება, ვამბა, — უთხრა ცედრიკმა, — სულელი და ცბიერი ერთად კარგად შორიდგებიან.

— სულელი, — მიუგო ვამბამ და მალლა ასწია ღორის ხორცს, — ცბიერს ურიას ამით გაუწვევს წინააღმდეგობას.

— ხმა გაკმინდე, — უთხრა ცედრიკმა: — აგერ მოდის.

ურია დარბაზში შემოვიდა და ყველას უმდაბლესად თავი დაუკრა. იგი იყო მალალი და ჩამომხმარი მოხუცი, დაკავებული ცხვირი, შავი გამჭვრავალი თვალები, მალალი მონაოკებული შუბლი და გრძელი ქალარა თმა და წვერი უმშვენებდნენ სახეს და სასიამოვნო შეხედულობაც ექნებოდა, თუ რომ იგი ანაყოფილიყო ჩამომავალი იმ ხალხისა, რომელიც მაშინ მეტისმეტად სძულდა ურუ-მოწმუნე დაბალ ხალხს და სასტიკად დევნებოდა ანგარების მოყვარე აზნაურობისაგან.

იგი ისე მიიღეს ცედრიკის სახლში, რომ ისრაელის ხალხის ფეით დაუძინებელი მტერიც კი დაკმაყოფილდებოდა. თვითონ ცედრიკმა სალამის მიცემაზედ ცივად თავი დაუქნია და ანიშნა, იქიპკენ წასულიყო, სადაც ამაღა და მოსამსახურეები ისხდნენ. იქ მას ალაგი არავინ დაუთმო, პირიქით, ყველანი ზიზ-

ღით უყურებდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ. ურის მისვლაზედ აიმერის მოსამსახურებმა პირჯვარი გადაიწერეს; თვით სარკინოსებმაც კი უღვაშების გრეხას, მოუხშირეს და ხანჯლებზედ ხელი წაივლეს, რომ სისხლით მოებანათ ის ბიწიერება, რომლის მიზეზიც ურია იყო.

რა გრძობამაც აიძულა ცედრიკე გაეღო თავიმსახურის კარი ამ დევნული ხალხის შვილისათვის, ალბად იმავე გრძობამ აიძულა ეთქვა მოსამსახურებისათვის, რომ ისაკს ზრდილობიანად მოჰქცეოდნენ; მაგრამ ამ დროს აიმერმა დაიწყო ლაპარაკი თავის საყვარელ ძაღლების ჭიშხა და თვისებაზედ და ეს საგანი ისეთი სასიამოვნო იყო ცედრიკისათვის, რომ ურის გულისათვის ამაზედ ლაპარაკს არ გასწყვეტამდა და იმის ვახშმის ქმევაზედ არ დაიწყებდა ზრუნვას. მხოლოდ მარტო მწირმა შეებრალა ურია, ბუხართან დაუთმო თავის ალაგი და უთხრა.

— მე ტანისამოსი უკვე გავიშრე და აღარცა მშაზ, შენ კი სველიცა ხარ და მშიერიცა. ესა სთქვა და ბუხარს შეშა მიუმატა, მერე სტოლიდან წვნით სავსე ჯამი და შემწვარი ცხვრის ხორცი ნიღო და ურიას წინ დაუდგა, თვითონ კი იქითკენ წავიდა, სადაც დიდებულნი სტუმარნი ისხდნენ.

მამა აიმერი ისევ ცედრიკს ებაასებოდა ნადირობაზედ; როგონაც ერთს თავის მხლებელს ქალს ელაპარაკებოდა; დიდგულა რაინდი კი ხან ებრაელს აცქერდებოდა; ხან, საქსონელს ტურფას და ეტყობოდა რაღაზედაც ფიქრობდა.

— რასაკვრევლია, თქვენი სამშობლო ზნა უფროსი უნდა გიყვარდეთ, — უთხრა აიმერმა ცედრიკს: — მაგრამ მე ასე მაკვირვებს, რომ ნორმანულ-ფრანგული ენა არ გინდათ შეიყვართ იმდენად მაინც, რამდენადც იგი შეეხება ნადირობასა და მეტყუობას. მერწმუნეთ, არც ერთს ენაზედ არ მოიპოვება ისეთი მდიდარი სიტყვები და გამოხატულებანი, რამდენიც ამ ენაზედ და ვერც ერთი მეტყვევ თავის სასიამოვნო თანამდებობის ამრულებების დროს უამენოდ იოლად ვერ წავა.

— კეთილი მამაო! აიმერ! — უთხრა ცედრიკმა, — გუბოვთ, იცოდეთ, რომ მე ძალიან ცოტას ვფიქრობ უცხო ენის სატყვებზედ, ურომლებოდაც ძალიან ადვილად შემიძლიან ტყეში სიამოვნება. მე ვინადირებ კიდევ და ნადირსაც გავატყავებ და ყველა ამეების დროს რა საჭიროა ფრანგული ენა ვიხმარო, როდესაც ჩემი სამშობლო ენაც საკმაო ამისათვის.

— ფრანგული ენა, — მიუგო რაინდმა ამაყად და დაბეჯითებით, — რომელსაც მე ყოველს შემდგომში ვხმარებ, — არის არამც თუ ერთად-ერთი სანადირო ენა, არამედ იგი არის ენა საარსიყო და სამხედრო, რომელიც ანიჭებს კაცს ქალებზედ გამარჯვებას და მტრის დამარცხებას.

— შრომა მიიღეთ, ბატონო რაინდო, და ღვინით აავსებთ თქვენი და აიმერის თასი; მე კი გიამბობთ იმას, რაც ამ ოც და ათი წლის წინად მომხდარა. როგორც უნდა ყოფილიყო მაშინ ცედრიკ-საქსონელი, ინგლისური ენისთვის მიანც საჭირო არ იყო ფრანგული სატყვები, რომ იგი ლამაზ ქალთა ყურებისთვის სასიამოვნო გასაგონი ყოფილიყო, ხალხი ნორტალერტონის ბრძოლის ველი გიამბობთ, რომ შოტლანდიის ჯარში მყოფ საქსების ომის ყიჟინი ისევე შორს გაიხმოდა, როგორც ნორმანელი გმირი ბარონებისა. მაშ მოვიხსენოთ იგინი, რომელნიც მაშინ გმირულად იბრძოდნენ. აბა თქვენც მიირთვით, ჩემო სტუმრებო!

ცედრიკმა დაცალა თასი და უფრო აღტაცებით განაგრძო: — დიად, იგი იყო დღე ფარების შეღწევისა: ათასობით დროშა ფრიალობდა მამაც მეომართა თავზედ, სისხლი რუგებად შიდიოდა, გაქცევას სიკვდილი ერჩინათ! საქსონელი მგოსანი ამ დღეს ხმალით მეგლისის დღეს დაარქმევდა და ბრძოლის ყიჟინას ქორწილის ყიჟინას დაუძახებდა, მაგრამ ენა მგოსნები აღარ არიან, — ჩვენი ღვაწლი სხვა ხალხის საქმეებმა დასრულილეს; ჩვენი ენა და ჩვენი სახელი სასწრაფოდ იგვებადედა მიწის ზურგიდან და მხოლოდ ობოლი მოხუცი სწუხს წარსულზედ. მერიქიფევ, თასები გააყეს! ახლა, ბატონო რაინდო, დავლიოთ ომში გამოჩენილ ვაჟკაცთა სადღეგრძელო, რა ხალხ-

საც უნდა ეკუთვნოდნენ ივინი! დაუღიოთ სადღეგრძელო საუკეთესო მხედართა, რომელნიც პალესტინაში იღვწიან ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად!

— მაგის პასუხის მოცემა უზღველობა იქნებოდა იმისაგან, ვინც ამ ნიშანს ატარებს, — უთხრა ბატონმა ბრიან დე ბოა გილბერმა: — მაგრამ აბა მითხარით, ჯვარის გულისთვის მებრძოლთა შორის, ვის ეკუთვნის პირველობა, თუ არა წმინდა საფლავისათვის ერთგულს მეომრებს?

— ვისა, ვის, თუ არა იოანე იერუსალიმელის რაინდებს, — მიუგო მამა დიმერმა: — ჩემი ძმაც იმათს რიცხვში იმყოფება.

— მე იმათ დიდებას არ ვეცილები, — მიუგო რაინდმა, — მაგრამ მაინც...

— მე მგონია, მგობარო ცედრიკო, — ჩაერია ვამბა ლაპარაკში, — რიჩარდ ლომის-გული რომ ჭკვიანი ყოფილიყო, ჩემს სულელურს რჩევას შეისმენდა: თვითონ თავის კეთილ ინგლისელებთან დარჩებოდა და იერუსალიმის დაპყრობას კი იმ რაინდებს დაუთმობდა, რომელნიც ასე ძალიან სწუხან ამ ქალაქის დაკარგვაზედ.

— ნუ თუ მთლად ინგლისის ჯარში არ მოიპოვება არც ერთი რაინდი, რომლის სახელიც შეიძლებოდეს ვახსენოთ ტაძრის დაწმ: იოანე იერუსალიმელის რაინდებთან ერთად? — ჰკითხა ქალბატონმა როენამ.

— არა, არ მოიპოვება, ქალბატონო, — მიუგო ბრიან დე ბოა გილბერმა: — ინგლისის მეფემ მთელი ჯარი მოიყვანა რაინდებისა პალესტინაში, მაგრამ ივინი ყოველთვის დაბლა იდგნენ წმინდა ადგილის ნამდვილს დამცველებზედ.

— არაფრითაც არ იდგნენ დაბლა, — მიუგო სტოლთან მიასულმა მწირმა ისე-ხმამაღლა, რომ ყველამ იმისკენ მიიხედეს: — დიად, ინგლისის რაინდები აჯავიზებდნენ ნაკლებნი არ იყვნენ. მე თვითონ ჩემის ძვალთ ვნახე, როდესაც ერთს ასპარეზობაში მეფე რიჩარდმა და იმის ხუთმა რაინდმა, ვისაც უნდოდა, ყველანი ბრძოლაში გამოიწვიეს. მე თვითონ ვნახე, იმ დღეს როგორც დაამარცხეს ინგლისის რაინდებმა თავიანთი მოწინააღმ-

დევნი. ამასთანავე არ შემძლიან არა ვთქვა, რომ დამარცხებულია რიცხვში ტაძრის შვიდი რაინდიც იყო. ბატონმა ბრიან დე ბოა გილბერმაც კარგად იცის, რომ მე მართალს ვამბობ.

შეუძლებელია აღწერა იმ სიბრაზისა, რომლისგანაც ისედაც მზავვრემანს რაინდს სახე უფრო ძალიან გაუშავდა. სიბრაზისაგან იგი ზალ-ზალე ივლებდა ხმაღვდ ხელს, მაგრამ ამოკლებით კი არ იღებდა, რადგანაც იცოდა, რომ აქ ძალიან არ შეიძლებოდა, მეტადრე რაკი საქსებიც იქ იყვნენ. გულუბრყვილი ცვერიკი სიამოვნებით ყურს უგდებდა თავის თანა-მემამულეთა ქებას და თავის სტუმრის გაბრაზებას ვერა ხედავდა. —

— მე შენ ოქროს სამაჯურს გაჩუქებ, — უთხრა ტრინდმა, — თუ იმ რაინდების გვარებს ჩამოსთვლი, რომელთაც ინგლისი ასახელებს.

— უსაჩუქროდაც ღიდის სიამოვნებით გეტყვი მათს გვარებს, — მიუგო მწირმა: — ჯერ-ჯერობით კი აღთქმა ნებას არ მძლევს ოქროს ხელი შევახო.

— თუ გინდა, ჩემო მეგობარო მწირო, შენს მაგივრად სამაჯურს მე გაიციეთებ, — უთხრა ვამბამ.

— გმირობაში პირველი ადგილი უჭირავს ჭიჩარდს, ინგლისის მეფეს.

— მიპატივებია მისთვის, რადგანაც იგი მტარვალის გერცოგ ვილგელმის ჩამომავალი არის, — შენიშნა ცვერიკმა.

— მეორე ადგილი უჭირავს გრაფს ლენსტერს, — განაგრძო მოგზაურმა, — მესამე — ბატონს ტომას მულტონს.

— ეგ რაინდი საქსონელია! — წამოიძახა ცვერიკმა სიხარულით.

— მეოთხე — ფოლკ ღოილის...

— ეგეც დედით საქსონელია! — დაიძახა მასპინძელმა: — მეხუთე ვინა არის?

— ბატონი ედვინ ტურნეგამი.

— ნამდვილი საქსია! მეექვსე ვინა იყო?

მწირი ჩაფიქრდა, თითქო მისი გვარის მოგონება უნდაოდა შემდეგ სთქვა, რომ მეექვსეს გვარი აღარ მახსოვსო.

— ტყუილად იძახი აღარ მახსოვსო, — უთხრა მძულვარებით ბატონმა ბრიანმა: — მე თვითონ დავასახელებ იმ რაინდს, რომელმაც შემთხვევით დამამარცხა. იგი იყო რაინდი აივენგო, და უნდა გამოგიტყდეთ, რომ თუმცა იგი ახალგაზდაა, მაგრამ ომში ძალიან გაითქვა სახელი. ისიც კი უნდა ვთქვა, აივენგო რომ ინგლისში იყოს და მომავალს ასპარეზობაში ბრძოლაში გაწვევა გამიზღოს, დიდის სიამოვნებით დავთანხმდებოდი აი თუნდა ამ იარაღით, რომელიც ეხლა მაქვს.

— შენი მოწინააღმდეგე რომ ინგლისში იყოს, თვითონ ის მოგცემდათ პასუხს, — მიუგო მწირმა: — მე ვდგები თავდებად, რომ, როცა აივენგო პალესტინიდან დაბრუნდება, თქვენს გამოწვევას დიდის სიხარულით მიიღებს.

— კარგი თავდებობაა, — უთხრა ტაძრის რაინდმა, — მაგრამ სანაძლეოს რასა სდებთ?

— აი ამ კოლოფს წმინდა ჯვრის ნაწილით, — უთხრა მწირმა და უბიდან სპილოს ძეგლის კოლოფი ამოიღო და სტოლზედ დადო.

მამა აიმერმა პირჯვარი გაღიწერა და ლოცვა წარმოხატვა; ყველა იქ მყოფთაც წარმოხატვეს ლოცვა, გარდა ურისა, მუსულმანისა და რაინდისა; უკანასკნელმა არც ქული მოიხადა და არც თაყვანი-სცა წმინდა ნაწილებს, გულიდან ოქროს ძეწკვი აიხსნა, სტოლზედ დააგდო და სთქვა:

— დაე მამა აიმერმა შეინახოს ეს ჩემი სანაძლეო... ამ უცნობ მაწანწალას სანაძლეოსთან ერთად იმის დასამტკიცებლად, რომ რაინდი აივენგო ჩემთან საბრძოლველად გამოვა. თუ რომ არ გამოვა, მაშინ მთელს ქვეყანას შევატყობინებ, რომ იგი მხდალი არის.

— ტყუილი შრომაა! — ჩაერია როენა ლაპარაკში: — თუ რომ აქ აივენგოს მაგივრად ხმას არაეინ ამოიღებს, მაშინ იმის მაგივრად მე გიღვებით თავდებად. მე ვამტკიცებ, რომ იგი დიდის სიხარულით გამოვა თქვენთან საბრძოლველად, თუ რომ პატიოსნების წინააღმდეგი არ იქნება. თუ ჩემი სუსტი თავდებობა რამეს მოუმატებს მწირის ძვირფასს სანაძლეოს, პატიო-

სანს სიტყვას გაძღვევთ, რომ აივენგო უსათუოდ შეებრძოლება ამ თავხელ რაინდსა.

ამ ამბავმა სრულიად შეიპყრო ცედრიკის გონება და ამ საგანზედ ლაპარაკის დროს არც ერთხელ ხმა არ ამოუღია. მაგრამ ესლა კი როენას ლაპარაკს გაგონებაზედ თითქო ძილიდან გამოფხიზლდა.

— ეგ თქვენ არ შეგეხებათ, როენა, — უთხრა ცედრიკმა: — მაგრამ თუ თავდებობა კიდევ საჭიროა, მე მზადა ვარ დავუდგე აივენგოს. სანაძლეო სრულიად საკმაოა. არა, მამაო აიმერ?

— სრულიად საკმაოა, — მიუგო აიმერმა: — წმინდა ნაწილებს და ოქროს ძეწკვს ჩვენი მონასტრის სალაროში შევიწინახე, ვიდრე ბრძოლა გადასწყდება.

ეს რომ სთქვა, პირჯვარი გადწერა და ლოცვები წარმო-სთქვა, მერე აიღო ნაწილების კოლოფი და ჩააბარა ბერს ამბროსისს, რომელიც თან ახლდა, ოქროს ძეწკვი კი თვითონ ჩაიღო ჯიბეში.

— ბატონო ცედრიკ, — უთხრა აიმერმა, — თქვენი ღვინის სიმაგრე ჩვენს ყურებში უკვე ზარებს რეკავს: ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ დავლიო როენას სადღევრძელო და შემდეგ, მოსასვენებლად წავიდეთ.

— გეფიცებით ბრომგოლის ჯვარს, — მიუგო საქსმა, — რომ თქვენ მხიარულობის სახელი ტყუილად გქონიათ დავარდნილი. თქვენზედ ამბობდნენ, გათენებამდარნ შეუძლიან ილხინოსო და მეშინოდა არ შეგხვედროდით. მაგრამ, როგორც ესლავ ხედავ, ეს ხმა ტყუილი ყოფილა.

მამა აიმერს მიზეზი ჰქონდა არ დამთვრალიყო. იგი არამც თუ მშვიდობის მოყვარული იყო, არამედ ყოველივე უთანხმოებაც კი ეჯავრებოდა. ეს ან მოყვასის სიყვარულით მოსდიოდა, ან თავის თავის სიყვარულით და ან ორივესათვის ერთად. ამჟამად ერთის მხრივ საქსის ფიცხი ხასიათისა ეშინოდა, მეორეს მხრივ თავის თავხედი ამხანაგის საქციელისა. ამისათვის იგი თავს იმით მართლულობდა, რომ ღვინის სმაში საქსებს ვერა ხალხი ვერ შეედრებოდა და სთხოვდა მოსვენების ნება მიეცა.

ამას შემდეგ სტუმრებმა თითო თასი კიდევ დაცალეს, მასპინძელსა და როენას თავი დაუკრეს და ზალაში გაიფანტნენ. მასპინძლები სხვა-და-სხვა ოთახში შევიდნენ თავიანთის მოსამსახურეებით.

— შენცა, ურწმუნო ძაღლო!—უთხრა რაინდმა ებრაელს ისაკს, როდესაც გვერდზედ გაუარა:—შენც ასპარეზობაში მოღიხარ?

— დიად, გიახლებით, თქვენო მაღალ-ღირსებავ, — მიუგო ისაკმა და თავმდაბლად თავი დაუკრა.

— რასაკვირველია, იმისთვის, — განაგრძო რაინდმა, — რომ ჩვენს ზნაურობას გულ-ღვიძლი გამოსჭამო და ჩვენი ქალები და ბავშვები ფალას-ფულასით და სათამაშოებით მოატყუო? ვისაც უნდა დავენადღევები, რომ შენი ურიული ჯიბე ოქროებით იქნება სავსე.

— ჩემს ჯიბეში არც ოქროა და არც ვერცხლი! აბრამის ღმერთი ხომ მოწამეა! — მიუგო ურიამ: — მე მივდივარ შემწეობა ვთხოვო ჩემს მოძმეთ იმ ხარჯის გადასახდელად, რომელიც იუდიელთა გამგეობამ დამადო. მამა-მთავარი იაკობი იყოს ჩემი მფარველი! მე სულ ერთიანად დავიღუპე; ეს მანტია რომ მასხნია, ესეც კი რუვიმს გამოვართვი.

რაინდმა მრისხანედ გაიღიმა. — წყევლიმც იყავ, შე სულბრულედ მატყუარავ! — უთხრა რაინდმა ურიას. შემდეგ მიუახლოვდა თავის მუსულმან მოსამსახურეებს და რალაც უთხრა იმ ენაზედ, რომელიც იქ მყოფთ არ ესმოდათ. საწყალი ისრაელი ისე შეძრწუნდა, რომ დიდ ხანს გაშტერებული იდგა და რაინდის წასვლა ვერ გაიგო. რაინდი და აიშერი ცალკე წავიდნენ მოსასვენებლად და მოსამსახურეები ცალკე.

თავი მეთხუთსე

მე ამ მეგობრობას იმისთვის ვუწვევ, რომ იმის გული მოვინადირო. თუ ღამთაღმდეგა—ნომ ქარგი, თუ არა—და შორს და მშვიდობით,—ეთხოვ ჩემზედ აღარ იჯავროს.

შექსპირი.—ვენეციელი ვაჰარი.

როდესაც მწირი მეფარნითურთ ოთახიდან ოთახში გადიოდა, მერიქიფე მოეწია და ყურში უჩუტრჩუტოდა, რომ მოსამსახურეებს ჩემს ოთახში სუფრა აქეთ გაშლილი და გთხოვენ ეწვიაო და ახალგაზდა ბატონს აივანგოზედ უამბოთ რამეო.

აქვე შეხვდა ვამბაც და იმანაც ესევე სთხოვა. მაგრამ მწირმა მადლობა გადაუხადა და უთხრა, რომ აღთქმა მაქვს დადებული ის არ ვთქვა სამზარეულოში, რის თქმაც პური საჭმელ ოთახში არ შეიძლებაო.

მეღვინემ უკმაყოფილოდ აიწია მხრები. —მე მინდოდა ის საკუთარს ოთახში დამეძინებინა, —წაილულლულა იმან, —მაგრამ რაკი ქრისტიანებს ასე ერიდება, დაე ურიასთან ერთად დაიძინოს. —ანვოლდ, —განააგრძო მან და ფარნიან მოსამსახურეს მიუბრუნდა: —სამზრეთისაკენ რომ ოთახია, მწირი იქ წაიყვანე, —ღამე მშვიდობისა, მწირო! თავაზიანობისათვის მადლობელი გახლავართ.

—ღამე მშვიდობისა და კურთხევა ღვთის-მშობლისა იყო. თქვენზედა! მიუგო მშვიდად მწირმა და მოსამსახურეს უკან გაჰყვა.

ერთს პატარა ტალანში როენას მოახლე დახვდა და უთხრა, რომ ჩემს ქალბატონს თქვენთან ლაპარაკი უნდაო, მოსამსახურეს ფარანი გამოართვა და მწირს უთხრა უკან გაჰყოლოდა. თუმცამას არ უნდოდა წასვლა, მაგრამ რადგანაც ეს უზღველობა იქნებოდა, ამისათვის გაჰყვა მოახლეს.

მწირი როენას ოთახში შევიდა. ოთახი მდიდრულად იყო მორთული, თუმცა აქეთ-იქიდან კი ქარი შემოდებოდა და

კელღლებზედ ჩამოფარებულს მდიდრულად ნაკერ ფარდებს აფრიალებდა. როენა მაღალს სავარძელზედ იჯდა და ოთხი მოახლე თმას უსალამურებდა. მწირმა მის წინაშე დაიჩოქა და პატივი-სცა.

— ზეზე ადექით, მწირო! — უთხრა მან ალერსიანად: — შორს მყოფი კაცის მოსარჩლე ღირსია კარგად მიაღოს იმან, რომელიც სიმართლეს აფასებს და ვაქაცობას პატივსა-სცემს. ელჯიტას მეტი ყველანი მამშორდით: მე მსურს ამ წმინდა მწირს ველაპარაკო.

მოახლეები მხოლოდ ოთახის ბოლოში მივიდნენ და იქ დასხდნენ. მათი ჩურჩული მათს ქაღბატონს არაფერს დაუშლიდა.

— მწირო! — დაიწყო როენამ ერთი წამის სიჩუმის შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ არ იცოდა, საიდან დაეწყო ლაპარაკი: — ამალამ თქვენ ახსენეთ რაინდი... აივენგო, — წარმოსთქვა მან მღელვარებით, — რომლის ხსენებითაც, ბუნების კანონით, ყველა უნდა დამტკბარიყო. მაგრამ ასეთია მუხთალი ბედი, რომ მხოლოდ მე უნდა გკათხოთ ამბავი იმისი, ვიზედაც ილაპარაკეთ. ჩვენ შევიტყეთ, რომ როდესაც ინგლისის ჯარი წამოვიდა, ავადმყოფობის გამო იგი პალესტიანში დარჩა და საფრანგეთის რაინდებისაგან თურმე იღვენებოდა, რომელთაც, როგორც იცით, ტაძრის რაინდებიც ეკუთვნიან.

— რაინდ აივენგოზედ მე თითქმის არაფერი ვიცი, — მაუგო მწირმა მკრთოლვარე ხმით, — და ძალიანაც ვწუხარ, რადგანაც ვხედავ, რომ თქვენ იმის ბედში ღიდს მონაწილეობას იღებთ. როგორც ვიცი, მან დასძლია თავის მტრები პალესტინაში და სურვილი ჰქონდა დაბრუნებულიყო ინგლისში, სადაც იმის ამბავს თქვენ უფრო კარგად შეიტყობთ.

როენამ ღრმად ამოიოხრა და ჰკითხა, როდის დაბრუნდება. აივენგო სამშობლოში და ან გზაზედ განსაცდელი ხომ არაფერი მოეღისო. პირველი კითხვის პასუხად ვერაფერი უთხრა, ხოლო მეორე კითხვის პასუხად მიუგო, რომ გზაში არაფერი განსაცდელი არ მოეღის, თუ ვენეციაზედ და გენუაზედ წამო-

ვა, მერე საფრანგეთზედ გამოივლის და ინგლისში დაბრუნდება. — აივენგომ, — დაუმატა მან, — ისე კარგად იცის ფრანგული ენა და ფრანგების ხასიათი, რომ იქ იმას არაფრის შიში არა აქვსო.

— ღმერთმა ქნას, — სთქვა როენამ, — იგი მშვიდობით დაბრუნდეს და შეეძლოს იარაღის ხმარება მომავალს ასპარეზობაში, სადაც ჩვენი რაინდები აპირობენ თავის მოყრას, რომ ხალხს თავიანთი ღონე და ხერხი აჩვენონ. თუ რომ საჩუქარს ატელსტენი მიიღებს, აივენგო დაბრუნების უმაღვე ვერაფერს სასიამოვნო ამბავს შეიტყობს... მითხარი, როგორ იყო იგი, როდესაც უკანასკნელად ნახე? ავადმყოფობამ იმის ღონეს და შეხედულობას ხომ არა დააკლორა?

— არა, იგი დაეაჯაკცა და მზე მოეკიდა, მხოლოდ კიპროსიდან ცოტა გამხდარი დაბრუნდა და რიჩარდ ლომ-გულის ამალაში შევიდა. ეს კი ეტყობოდა, რომ რაღაც დარდი აწუხებდა; მე იმას არ დავუახლოვდი, რადგანაც სრულიად არ ვიცნობდი.

— თავის სამშობლოში სანუგეშოს ვერაფერს გაიგებს და დარდიც არ მოშორდება. გმადლობთ, კეთილო მწირო, რომ ჩემი ყმაწვილობის ამხანაგის ამბავი შემატყობინე. მოართვით ამ წმინდა კაცს ერთი თასი ღვინო; მე აღარ მინდა შევაწუხო იგი მომეტებულის ლაპარაკით.

ერთმა მოახლემ ღვინით სავსე ვერცხლის თასი მოიტანა, როენამ ოდნავ დააკარა ტუჩები და მერე მწირს უთავაზა, რომელმაც მდაბლად თავი დაუკრა და რამდენიმე ყლუბი მოსწვა.

— მიიღეთ ჩემგან ეს მოწყალება, ჩემო მეგობარო, — უთხრა როენამ და ოქროს ფული მისცა; — ნიშნად ჩემის პატივისცემისა თქვენი სამძიმო მოგზაურობისადმი წმინდა ადგილებში.

მოგზაურმა მოწიწებით მიიღო საჩუქარი და ელჯიტასთან ერთად გამოვიდა ოთახიდან.

ტალანში ანვოლდი დახვდა, რომელმაც ელჯიტას ფარანგ გამოართვა და მწირი დასაძინებელ ოთახში წაიყვანა. ეს ოთახი დანიშნული იყო უბრალო მოსამსახურეების დასაძინებლად.

— ურჩის სადღა სძინავს? — ჰკითხა მწირმა.

— ურწმუნო ძაღლს, — მიუგო ანველდმა, — თქვენი უწმინდესობის ოთახის გვერდით სძინავს. ოხ, წმინდაო ღუნსტან! რამდენი უნდა გავხეხოთ და გავფხიკოთ ეს ოთახი, რომ ქრისტიანს კიდევ შეეცლებოდეს იქა.

— მელორე გურტს სადლა სძინავს? — ჰკითხა მოგზაურმა.

— გურტს; — მიუგო მოსამსახურემ, — თქვენს მარჯვენ ივ სძინავს, ურიას კი მარცხნივ. თქვენ ამ ერთმანეთის მოძულე კაცებს შუაში იწვებით. უფრო კარგს ადგილას დააძინებდით, ოსვალდის მიწვევაზედ რომ დათანხმებულიყავით.

— მე აქაც კარგად დავიძინებ, — მიუგო მწირმა: — ურიასთან ახლო წოლით მე არ შევიმწიკვლები.

ეს რომ სთქვა, მოსამსახურეს ფარანი გამოართვა, მადლობა გადაუხადა და ოთახში შევიდა. კარები რომ ჩაკეტა, ოთახის მოწყობილობა დაათვალიერა: იქ იდგა ხის გრძელი სკამი და ხისავე საწოლი, რომელზედაც თივა ეშალა და საბნის მაგივრად ტყავი ეგდო.

მწირმა ფარანი ჩააქრო, გაუხდელი დაწვა კრაოტზედ და ისე იყო, ვიდრე მზის პირველმა სხივმა იმის ოთახის პატარა ფანჯარაში არ შეაშუქა. მაშინ წამოდგა იგი და ილოცა, ტანისამოსი გაისწორა და ისაკისკენ წავიდა.

ისაკს სახეზედ ეტყობოდა, რომ გულ-დამშვიდებული არ ეძინა. მას ტანისამოსი გაეხადა და თავის ახლო წყობისად დაეწყო, ზღბად იმისთვის, რომ ღამე არავინ მომპაროსო. ისაკის სახეზედ რაღაც მოუსვენრობა და ტანჯვა იხატებოდა. ხელები და ფეხები უპართოდა, თითქო სულსა ლევსო. იგი ძილში ებრაულად ლაპარაკობდა, მხოლოდ შემდეგ სიტყვები წარმოესთქვა ნორმანულ-ინგლისურ ენაზედ: „აბრამის ღვთის გულისათვის, საწყალი მოხუცებული შეიბრალეთ! მე საწყალი ვარ, არც ერთი გროში არა მაქვს; თუნდაც-ასო-ასო ამკუწოთ, ვერაფერს მოგცემთ.“

მწირმა აღარ დაუტყდა ისაკის სიზმრის დამთავრებას და ჯოხის წაკერით გააღვიძა. მოხუცი საჩქაროდ ფეხზედ წამოდგა; შიშისგან თმები ყირაზედ შეუდგა და ათრთოლებუ-

ლი დააშტერდა მწირს. თავის ტანისამოსი ხელში ჰქონდა და ბლუჯულო.

— ნურათრისა გეშინიან, ისაკ! — უთხრა მწირმა: — მე შენთან კეთილის განზრახვით მოვედი.

— ღმერთმა ისრაელისამ სამაგიერო გადაგიხადოს! — უთხრა ებრაელმა: — მე დამესიხმრა... მაგრამ დიდება მამა აბრამს, ეს მხოლოდ სიზმარი იყო. შემდეგ გონება მოიკრიბა და ჩვეულებრივის კილოთი უთხრა: — ამ დილა აღრიან რა გინდა საბრალო ებრაელისგან?

— მე მოვედი შეგატყობინო, — მიუგო მწირმა, — რომ, თუ ამ წამსვე არ დაუტოვებ ამ ციხე-დარბაზს, გზაში უსათუოდ ხიფათი რამ დაგეძარტება.

— წმინდაო მამაო! — ღაღადჰყო ურამი: — ვინ მოჰკლავს ისეთს საბრალო კაცს, როგორც მე ვარ?

— ეგ შენ ჩემზედ უფრო კარგად უნდა იცოდე, — უთხრა მწირმა: — ნუ დაივიწყებ, რომ გუშინ, როდესაც რაინდი დარბაზში დადიოდა, თავის მუსულმან მონებს ერთი რამ უთხრა სარკინოსულ ენაზედ, რომელიც მე კარგად მესმის! მან უთხრა ამ სახლზე მოშორებით თავს დაგესხნენ, დაგიჭირონ და ან ფილიპე მალგოაზენის და ან რეჯინალდ ფრონ დე ბეფის ციხე-დარბაზში წაგიყვანონ.

ებრაელი ისე საშინლად შეაწუხა ამ ამბავმა, რომ შაშისაგან მთლად ტანმა კანკალი დაუწყო, ხელეზი და ფეხები დაუდუნდა, იგი ჩაუვარდა მოგზაურს ფეხებში და მფარველობას სთხოვდა.

— ღმერთო წმინდა აბრამისავე! — ღაღად ჰყო მან და ხელები განაპყრო, თუმცა თავს კი იატაკიდან არ იღებდა: — ოხ, წმინდაო მოსკე! მართალო არონ! ტყუილად არა ვნახე ასეთი სიზმარი! მე უკვე ვგრძნობ, როგორც მტანჯავენ!

— ადექი, ისაკ, და ყური დამიგდე! — უთხრა მწირმა, რომელიც ურის განწირულებას ისე გულ-მტკივნეულად არ უყურებდა, როგორც ზიზღით. შენი შეძრწუნება უმიზეზო არ არის, მეტადრე როცა იცი, როგორც ექცევიან შენს მოძმეებს

მეფე და დიდებულნი ფულის გულისათვის; მაგრამ ადექი! მე თქვენ თავის დასახსნელს საშუალებას გასწავლით. ეს დარბაზი ამ წამშივე დაუტევე, ვიდრე წუხანდელი მეჯლისის შემდეგ ყველას ღრმა ძილით სძინავს. მე შენ ტყეში ბილიკ-ბილიკ წაგიყვან, და იქამდინ არ დაგანებებ თავს, ვიდრე რომელსამე ბარონს თავს არ შეაფარებ, და ბარონის გულის მოგების წამალი ხომ შენ თვითონ გექნება.

ისაკს თანდათან თავის დახსნის იმედი ეძლეოდა და წელში იმართებოდა, ბოლოს სულ ერთიან გასწორდა, ქალარა თმები უკან გადაიწია და დააშტერა მოგზაურს შავი თვალები, რომლებშიაც ერთსა და იმავე დროს შიშიც იხატებოდა და იმედიც. მაგრამ როდესაც მოგზაურის უკანასკნელი სიტყვები გაიგონა, იგი კვალად შიშმა აიტანა და ძირს დაეცა.— გულის მოგების წამალი მე თვითონ მექნება! ვაი რომ ქრისტიანის გულის მოსაგებად მხოლოდ ერთად-ერთი წამილია, და როგორ ვიშოვო იგი მე ღარიბმა ებრაელმა, დიდი ხარჯისგან ლაზარესავით გასაწყლებულმა! — შემდეგ თითქო ექვმა დასძლია ყველა მისი გრძნობანი და დაიყვირა: — თუ უფალი გიყვარს, ყმაწვილო კაცო, ნუ მამატყუებ ღვთის გულისათვის, რომელმაც შექმნა ყოველივე, ურიაც და ქრისტიანიც, ისრაელიც და იზმაილტიანიელიც, — ნუ მიღალატებ! მე იმდენი შეძლებაც კი არა მაქვს, რომ ქრისტიანი გლაზა დავაკმაყოფილო. როდესაც უკანასკნელს სიტყვებს ამბობდა, ისაკი მანტიანედ მიეჭიდა მოგზაურს და ევედრებოდა, მაგრამ მოგზაურმა საჩქაროდ ხელი გააშვებინა, თითქო ებრაელის ხელი მას მწიკვლს მოსცხობდა.

— შენ რომ მოლაღ შენი ხალხის სიმდიდრეცა გქონდეს, — უთხრა მან, — მე მაინც არაფერს გაუნებ. ეს ტანისამოსი ცხადად ამტკიცებს, რომ მე აღთქმა მაქვს დადებული მარად გლაზად დავრჩე, და ამ აღთქმას მხოლოდ ცხენის ზე ჩაქანის გულისათვის თუ გავტეხავ. ასე, არ გეგონოს კი, რომ შენთან რაიმე სარგებლობისათვის დაახლოვება მსურდეს; თუ გინდა, აქ დარჩი. ცედრიკ საქსონელი შენი მფარველი იქნება.

— არა! — უთხრა ებრაელმა: — ის თავის ამაღლასთან ერთად წასვლის ნებას არ მომცემს; საქსი და ნორმანი ერთნაირად იუკადრისებენ საწყალს ისრაელს, ხოლო ფილიპე მალეგაზენის და რეჯინალდ ფრონ დე ბეფის საბრძანებელში გავლა კი... კეთილო ჭაბუკო! მე შენთან წამოვალ... დავეშუროთ... გავიქცეთ!.. აი შენი ყავარჯენი. რას ყოყმობ?

— მე სრულიადაც არა ყოყმობ, — მიუგო მწირმა, — მე მხოლოდ ამ სახლიდან გასვლის ხერხი უნდა მოვიგონო... გამომეყე უკან...

მწირმა იქითკენ გაატარა, სადაც მელიორე გურტს ეძინა.

— ადექ, გურტო! — დაუძახა მწირმა: — ჩქარა ადექი! უკანა ეზოს კარები გააღე და მე და ებრაელი გაგვიშვი.

თუმცა მელიორობა ჩვენ ღროში დამამცირებელი თანამდებობაა, მაგრამ ინგლისის საქსონიაში იმდენად პატივ-საცემი იყო მაშინ, რომ მელიორემ მწირის უზრდელი ბრძანება იწყინა.

— ურია უტევეებს როტერფუდს, — მიუგო მან და დააშტერდა, თუმცა ადგილიდან კი არ დაიძრა: — და ამასთან უტევეებს მოგზაურთან ერთად...

— მე უფრო იმას დავიჯერებდი, რომ ურიას ღორის ხორცის მოტაცება უნდოდა! — უთხრა ამდროს შემოსულმა ვამბამ.

— არ შეიძლება ურიამაც და ქრისტიანმაც მოიცადოს, ვიდრე ეზოს დიდი კარები გაიღებოდეს? — განაგრძო გურტმა: — ჩვენ წესად არა გვაქვს, ამისთანა ღროს სტუმარი ჩუმად წავიდეს.

— როგორც უნდა იყოს, — მიუგო მწირმა ბრძანების კოლოთი, — მაგრამ მე კი იმედი მაქვს, ამაზედ უარს არ მეტყვი.

ეს რომ უთხრა, თავი ძირს დახარა და საქსონურს ენაზედ რაღაც უთხრა ჩუმად. გურტი მაშინვე ზეზედ წამოხტა, მწირმა ტუჩებზედ თითები დაიდო, თითქო ანიშნებდა ჩუმად იყავო და განაგრძო: — გურტო, ფრთხილად იყავ, შენ ყოველთვის გონივრულად იქცევი ხოლმე. გეუბნები, ეზოს უკანა კარი გაგვიღე, მალე უფრო ბევრს რამეს გაიგებ.

გახარებული გურტი მწირის ბრძანებას დაემორჩილა, ვამბასა და ებრაელს ძალიან უკვირდათ მელორის ასე უეცრად დაყაბულება.

— ჩემი ჯორი, ჩემი ჯორი სად არის! — წამოიძახი ებრაელმა, როდესაც ყველანი ეზოს კარებს გასცდნენ.

— ამას თავის ჯორი მოუყვანე, — უთხრა მწირმა, — და მე სხვა ჯორი, რომ ამასთან ერთად აქედან წავიდე. ჯორს ცედრიკის რომელსამე ამაღის კაცს მიეცემ აშშში. ჰა, ვინძლო... — დანარჩენი გურტს ყურში უჩურჩულა.

— დიდის სიხარულით, დიდის სიხარულით შევასრულებ ყველაფერს, — წარმოსთქვა გურტმა და ბრძანების ასასრულებლად წავიდა.

— ახ, რანაირი გულით მინდა ვისწავლო ის, რასაც თქვენ მოგზაურები წმინდა ადგილებში სწავლობთ ხოლმე, — უთხრა ვამბამ, როდესაც გურტი გარედ გავიდა.

— ესე იგი ლოცვების კითხვა, სულელლო, ცოდვების მონანიება და მარხულობა? — მიუგო მწირმა.

— არა, უფრო დიდი რამ, — განაგრძო ხუმარამ, — რადგანაც ლოცვასა და სინანულს გურტი ასეთი მორჩილი არასდროს არ გაუხდია; რაც შეეხება მარხულობას, ეს არასდროს არ აიძულებდა მას თქვენთვის ჯორი მოეცა. მე დარწმუნებული ვარ, იმის საყვარელ ქოსმანა ღორისთვისაც რომ იგივე აგეთქვათ, რაც იმას აუთქვიო, ისიც აგრე თავაზიანად მოგექცეოდათ.

— გაჩუმდი, — დაუყვირა მწირმა, — ნუ დაგავიწყდება, რომ შენ საქსონელი სულელი ხარ.

— ნამდვილად! — მიუგო ხუმარამ: — მეც რომ შენსავით ნორმანად დავბადებულიყავ, ბედი ყოველთვის ჩემთან იქნებოდა და და ჭკვიანებში ჩავითვლებოდი.

ამ დროს გურტი ხევს იქით გამოჩნდა ჯორებით. ებრაელი და მწირი ხიდს მალე გავიდნენ. როგორც კი მივიდნენ ჯორებთან, ურია მაშინვე შეჯდა, ჰარკი უნაგირის უკან ჩააკრა და ზედ მანტია გადააფარა; როგორც ის ამბობდა, ჰარკში მხოლოდ გამოსაცვლელი ტანისამოსი ედო.

მწირიც შეგდა ჯორზედ და გურტს ხელი ჩამოართვა, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა და ხელზედ აკოცა. მელორე იქამდინ უყურებდა მოგზაურებს, ვიდრე ტყეში არ დაიმაღნენ. გურტის ოცნება ვამბამ დაარღვია.

— იცი, მეგობარო გურტო, — უთხრა ვამბამ, — შენ დღეს დილით ძლიერ ზრდილობიანი და ღვათისნიერი კაცი იყავ. ნეტავი მეც ან მამა აიმერი ვიყო და ან მწირი: მაშინ რა პატივცემული ვიქნებოდი შენგან.

— შენ მთლად სულელი არა ხარ, ვამბა! — მიუგო გურტმა: — თუმცა ყველაფერზედ კი ოხუნჯობ; ქვეიანი კაცებიც ამასვე არ სჩადიან?.. მაგრამ დროა ღორებზედ ვიზრუნო.

ეს რომ სიტყვა, სახლისკენ გატრიალდა და ხუმარაც თან გაჰყვა.

მოგზაურები გაჩქარებულნი მიდიოდნენ, ეს იმას ამტკიცებდა, რომ ებრაელს ძალიან ეშინოდა, თორემ ამის ხნის კაცს იშვიათად უყვარს ჩქარი სიარული. ეტყობოდა მწირმა ტყის ყველა ბილიკები კარგად იცოდა, რადგან უფრო ყრუ ადგილებს ეტანებოდა, ებრაელი კი შიშობდა და ფიქრობდა, ვაი თუ გაუვალს ადგილში შემიტყუოსო.

არც დასაძრახისი იყო, რომ ისაკს ასე მადლიან ეშინოდა: ღამურას გარდა, მთელს ქვეყანაზედ არ იყო ისეთი არსება არც ძირსა და არც მაღლა, არც ჰაერში და არც წყალში, რომ იმ დროის ებრაელისავით წამებული და დევნილი ყოფილიყო. ცოტა რამ მიზეზი იყო საჭირო, რომ ებრაელების ქონება სულ ერთიან აეკლო გამძვინვარებულს ხალხს; ნორმანები, საქსები და ბრიტანლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმაში, თუ რომელს მათგანს უფრო ძალიან სძულდა ებრაელი. მათ მისი გაძარცვა, დევნა და შეურაცხყოფა საღმრთო მოვალეობად მიაჩნდათ. ყველამ იცის ერთი მდიდარი ებრაელის ამბავი, რომელიც მეფე იოანემ დააპატიმრა და ყოველ დღე თითო კბილს აძრობინებდა, ვიდრე საბრალო ებრაელს ნახევარად არ დააძრეს კბილები და ამ საშუალებით დიდძალი ფული არ გამოართვეს. აი ასეთს მდგომარეობაში იყო მაშინ ყოველი ებრაელი და რა

გასაკვირველია, რომ ამის გამო იგი შეიქნა ფხიზელი, ექვიანი, მშაშარა და ამასთანავე უჯიათი, მომთმინო და ცბიერი.

როდესაც მუხასთან მივიდნენ, მწირმა უთხრა ებრაელს: — ეს მუხა საზღვარია ფრონ დე ბეფის სამფლობელოში; მალ-ვოაზენის სამფლობელო კი დიდი ხანია გამოვიარეთ. ეხლა ჩვენ მდევარი ვეღარ მოგვეწევა.

— ისე დამტკრათ მათს ეტლებს თვლები, — უთხრა ისაკმა, — როგორც ფარაონის ჯარის ეტლებს! მაგრამ, კეთილო მწირო, მარტოკა ნუ დამტოვებ, აბა მოიგონე ის დამთხვეული და გიჟი ტაძრის რაინდი და მისი სარკინოსელი მონები: იგინი არც არავის უფლებას დაგვიდევნენ და არც არავის სამფლობელოს საზღვარს.

— ჩვენ აქ უნდა გავიყარნეთ, — მიუგო მწირმა: — ისეთი სხვა-და სხვა წოდების ხალხი, როგორც მე და შენა ვართ, არას დროს ერთად არ უნდა იარებოდნენ, თუ საჭიროება არ მოითხოვს. ამასთანავე, რა შევლას გაგიწევს ორი შეიარაღებული კაცის წინააღმდეგ.

— ოხ, არა, არა, კეთილო ქაბუკო! — მიუგო ებრაელმა, — შენ ჩემი მფარველობა შეგიძლიან, უარს ნუ მეტყვი. თუმცა საწყალი ვარ, მაგრამ პატივისცემას გადაგიხდი, — არა ფულითა, — არა, — მამა-აბრაშა ვფიცავ, ფული არა მაქვს...

— მე აკი გითხარ, — მიუგო მწირმა, — რომ არც ფულს ავიღებ და არც საჩუქარს-მეთქი. შენი გაცილება ჯერ კიდევ შემიძლიან; იქნება შენი მფარველობის გაწევაც შევიძლო. სარკინოსებისაგან რომ ებრაელი დაიცვა კაცმა, არა მგონია ქრისტიანის დასამკირებელი იყოს. შემდეგ ვინმე მოგზაურებს ჩაებარებ. შეფილდი აქედან შორს აღარ აჩის; იქ შენი სჯულის ხალხს ბევრსა ნახავ და იმათთან ერთად აღარა ვიშავს-რა.

— კურთხევა იაკობისა იყოს შენზედა, კეთილო ქაბუკო, — დალაძყო ებრაელმა: — შეფილდში ჩემს ნათესავ ზარეტთან დაედგები და რამე ღონისძიებას ვიპოვი. ყვნებლად მოგზაურობისათვის.

— ძალიან კარგი, — უთხრა მწირმა, — შეფილდამდინ მიგაცილებ: ნახევარ საათის სავალი გზა-ლა გვაქვს.

ამ ნახევარ საათის განმავლობაში ორივენი გაჩუმებულნი მიდოდნენ. ივინი ავიდნენ ერთს მაღლობზედ, საიდანაც მწირმა ებრაელს შეფილდი დაანახვა და უთხრა:

— აი აქ კა უნდა გავშორდეთ ერთმანეთს.

— მაგრამ იქამდინ კი არა, ვიდრე საწყალი ებრაელი მაღლობას არ გადაგიხდის, — მიუგო ისაკმა: — მინდა გთხოვო და ვერ გამიბედნია, რომ ჩემს ნათესავ ზარეტთან წამოხვიდე; ის მე საშუალებას მომცემს პატივისცემა გადაგიხადოთ.

— მე აკი გითხარი, — მიუგო მწირმა, — რომ შენგან არავითარს საჩუქარს არ მივიღებ-მეთქი. თუ ერთ-ერთს შენს მოვალე ქრისტიანს ვალისაგან გაანთავისუფლებ, მე სრულიად დაჯილდოვებრილი ვიქნება დღევანდელი სამსახურისათვის.

— მოიცა! მოიცა! — შეჰყვირა ებრაილმა და კალთები დაუჭირა: — მე მაგაზედ უფრო კარგს საქმეს ვიზამ, მხოლოდ შენს სასარგებლოს კი. ღმერთია მოწამე, რომ მე ღარიბი ებრაელი ვარ. დიად, თავის ხალხში ისაკი ყველაზედ ღარიბია, — მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ ეხლავე გამოვიცნობ, რაც ამ წამში გსურს შენა.

— თუ გინდ მართლადაც გამოიცნო, — მიუგო მწირმა, — ჩემს სურვილს მაინც ვერ შეასრულებდი, თუ გინდ რომ კიდევ იმდენად მდიდარი იყო, რამდენადაც სიღარიბეს ძალად ჩემულობ.

— როგორ? სიღარიბეს ძალად ვჩემულობ? — გაიმეორა ებრაელმა: — ოხ; მერწმუნე, მართალს ვამბობ; გაძარცული, დავალიანებული, დაქცეული ვარ. ამ სოფლის ძლიერთ წარიტაცეს ჩემი ქონება, ჩემი გემები, ერთის სიტყვით, ყოველისფერი, რაც კი მქონდა. მაგრამ მე ვაცი, რაც გინდა და იქნება შევიძლო დახმარება. შენი სურვილი ის არის, რომ ცხენი გაყავდეს და იარაღი გქონდეს.

მწირი შეკრთა და საჩქაროდ ებრაელს მიუბრუნდა.

— რა ეშმაკმა გაგაგებინა ეგა? — ჰკითხა მან,

— ვინც გამაგებინა, შენთვის სულ ერთია, — მიუგო ებრაელმა ღიმილით, — ოღონდ კი მართალი იყოს და შენს სურვილს ისევე ავასრულებ, როგორც გამოვიცან. ოხ, მე, თქვენ, ქრისტიანებს კარგად გიცნობთ, — ვიცი, რომ თვით ყოველი კეთილშობილიც კი მზად არის აღიღოს ყვარჯენი და ქალამნები ჩაიცივას ცრუ-მორწმუნებით გამოწვეულ მოგზაურობისათვის, ზოგიერთნი ფეხითაც კი წაველენ ხოლმე მკედართა საფლავების თაყვის-საცემლად.

— ურიავე, ღმერთს ნუ ჰგმობ! — შეუტია გაჯავრებით მწირმა.

— მაპატივეთ, — მიუგო ებრაელმა: — მე ძალიან წინ დაუხედავად მოვიქეცი. წუხელისა და დღეს ღილით თქვენ ისეთი სიტყვები სთქვით, რომელთაც გულის ხმიერებაში ჩამაგდეს; ამასთანავე თქვენს მწირულ ტანისამოს ქვეშ მე დავინახე რაინდული ძეწვე და ოქროს ღებები.

მწირმა ღიმილი ველარ შეიმაგრა.

— შენი ტანისამოსიც რომ გულმოდგინებით გაისინჯოს, ისაკ, იმის ქვეშაც რას არ იპოვნოდა კაცი.

— მაგაზედ ხმა აღარ ამოიღო, — გააწყვეტინა სიტყვა ებრაელმა, მერე ამოიღო საწერ-კალამი და ჯორზედ მჯდომარემ დაიწყო წერა; წერა რომ გაათავა, ისაკმა მწირს ებრაულად დაწერილი წერილი მისცა და უთხრა: — ქალაქ ლეისტერში ყველა იცნობს მდიდარს ებრაელს კირხატ ხაირამს ლომბარდელს; ეს წერილი იმას მიეცი. მას ექვსი მილანური ჩაჩქანი აქვს გასასყიდი და ათიც ცხენი, ერთიცა და მეორეც ისეფები არიან, რომ თვით მეფესაც კი ეკადრებიან; ის შენ ჩაჩქანსაც მოგცემს და ცხენსაც და ყოველსავე სხვასაც, რაც კი საჭიროა ასპარეზობისათვის; ასპარეზობის შემდეგ კი ისევ უკან დაუბრუნეთ, თუ ვინიცობა იმათი ყიდვა არ შეგეძლოს.

— მაგრამ, ისაკ, — უთხრა მწირმა ღიმილით, — განა არ იცი, რომ დამარცხებული რაანდის ცხენი და აბჯარი გამარჯვებულს ერგება ხოლმე. მერე, ბედმა რომ მიმუხთლოს და დავკარგო ის, რისაც ყიდვა არ შემეძლება?

ებრაელი გაკვირვებით დააკვირდა და გუნებაში და-
მარცხებამ გაუარა, მაგრამ გული მალე გაიმაგრა და აჩქარე-
ბით წარმოსთქვა:— არა, არა, არა... ეგ არ შეიძლება. კურთ-
ხევა უფლისა იყოს შენზედა. დაე ისე ძლიერი იყოს შენი შუ-
ბი, როგორც მოსეს კვერთხი!

ეს უთხრა და ჯორი შეაბრუნა; მაგრამ ეხლა მწირმა წაავ-
ლო ხელი ებრაელს მანტიანდა.

— როგორც გეტყობა, შენ ყოველივე განსაცდელი არ
იცი, — შეიძლება ცხენი მომიკლან, აბჯარი გამოფუქონ, ამისთვის
რომ მე არც ცხენს დავზოგავ და არც აბჯარს. ამასთანავე შე-
ნი მოძმენი მუქთად არაფერს იძლევიან; ყოველივე ეს ხომ უნ-
და გადავიხადო რითიმე.

ებრაელმა სახე დაიღმიჭა და თითქო რაღაც აწუხებდა;
მაგრამ საუკეთესო გრძობამ მალე დასძლია მისი ჩვეულებრი-
ვი დაბალი გრძობანი.

— არაფერი საქირო არ არის, — უთხრა მან, — გამიწვი! თუ
რამ გაფუქდება, არ გაზღვევინებ. კირხატ ხაირამი ყველაფერს გა-
პატივებს თავის ნათესავი ისაკის გულისათვის. მშვიდობით! მაგრამ
ყური დამიგდე, კეთილო კაბუკო, — მიუბრუნდა იგი მწირს: —
ასპარეზობაში დიდს მონაწილეობასაც ნუ მიიღებ. ამას იმის-
თვის კი არ გეუბნები, რომ ცხენზედ ან ჩაჩქანზედ ვფიქრობდე,
არა, ამას შენი თავისთვის გეუბნები.

— გმადლობ დარიგებისათვის, — უთხრა მწირმა ღიმილით: —
შენის დარიგებით ვისარგებლებ და თუმცა საძნელო იქნება,
მაგრამ ვეცდები ყოველისფერში გაგისწორდე.

მოგზაურები გამორდნენ ერთმანეთს და შეფილდისაკენ
სხვა-და-სხვა გზით წავიდნენ.

(გაგრძელება იქნება)

რიწებული სასიძონი

(LES AMANTS MAGNIFIQUES)

ხუთ-მოქმედებიანი კომედია

მოღიერისა

ნამდვილიდან გადმოთარგმნილი

მოქმედი პირნი:

ურისტონე, დედოფალი, ერიფილეს დედა.
ერიფილე, ბატონიშვილი, დედოფლის ასული, გასათხოვარი.
იფიკრატ, მთავარი, ერიფილეს მთხოველი.
ტიმოქლე, მთავარი, ერიფილეს მთხოვნელი.
სოსტრატ, ჯარის თავი გენერალი, ერიფილეს ტრფიალი.

კლეონისა, ერიფილეს მზღებელი, ქალი.
ანაქსარხ, ასტროლოგი, ე. ი. მეთასტროლაბე.
კლეონ, ანაქსარხის შვილი.
სოზეზ, დედოფლის მზღებელი.
კლიტიდას, სასახლის კაცი, ერიფილეს ბატონიშვილის მზღებელი.
კრუგენერა, ანაქსარხის თანამზრახვი.

საქმე სწარმოებს თესსჯაჲში, საბერძნეთში.

პირველი მოქმედება

გამოსვლა პირველი

სოსტრატ, კლიტიდას.

კლიტიდას. (თავისათვის ცალკე) თავის ფიქრებს ვეღარ მოჰშეკობას!

სოფელი აგანა მდებარეობს ლიკორწმინდიდან ორ ვერს ნახევარზედ. აქარის წმიდა გიორგის პატარა უფუმბათო ქვის საყდარი გამოჩინებულს ალაგზედ. შესანიშნავია აქ წმიდა გიორგის ხატი ვერცხლისა, ოქროში დაფერილი. წმიდა გიორგი მთელის ტანით არის, ერთს ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში ფარა, როგორც ხონის წმიდა გიორგის ხატს. სიგრძე ამ ხატის იქნება არშინზედ ცოტა მეტი, სიგანით არშინზედ ნაკლებია. ხატს გარშემო აშიაზედ ჰქონია 14 პატარა ხატი ამობერვით ნაქედი, რომელთაგან მარტოკა რვა დარჩენილა. ამათ რიცხვში მარჯვენე არის ღვთის მშობელი, იოანე და ორი ვერ გავარჩიეთ. მარცხნივ: წმიდა ნიკოლაოზ, იოანე ნათლის-მცემელი მარკოზ და ერთი ც ვერ გავარჩიეთ. ხატი ყოფილა შემკული ორმოც და თხუთხმეტი თვლით, რომელთაგან ორმოც და ექვსი გამქრალა და მხოლოდ ცხრა-ლა დარჩენილა. ქვემო აშიაზედ წარწერა თავიდან ბოლომდინ აგლეჯილია, დარჩენილა სათაურის მარტოკა ორი სიტყვა: „წმიდაო გიორგი“. სხვაურიც ხატი სრულია. ხატის ფეხებთან არის განახლებულს ნაწილზედ შემდეგი უწნო წარწერა ასომთავრულით: „წმიდაო გიორგი

შეიწყალე ევენუქიძე მოძღვრის ზა მისი შვილი გავშელ. წმი-
დაო გიორგი უშველე მამა მათს დავითსა. ეს ხატი ჩამოსვენე-
ბულია, როგორც ამბობენ, წმიდა გის მთიდან და, გოლვის
დროს, რაჭველებს ჩვეულება აქვთ იქ გაასვენონ და ჰარაკლი-
სი გარდხადონ, რომ წვიმა მოვიდეს. ამავე ეკლესიაში არის
ბევრი ნივთი მერაბ წულუკიძისაგან შეწირული წარწერებით;
წარწერის ხელი ყველა ნივთზედ ერთგვარია.

1) კალის ჯვარი ფეხ-მომტვრეული. უკანა გვერდზედ წარ-
წერა-მხედრული: „ცხოველს მყოფელო ჯვარო წულუკიძე მე-
რაბ აცოცხლე და აცხონე“.

2) ჯამი ვერცხლისა, მხედრულის წარწერით: „მე მერაბ წუ-
ლუკიძეს შემომიწირას წმიდის გოგისათვინ აგრისათვინ“.

3) ვერცხლის კოვზი მხედრულის წარწერით: „ეს კოვზი
შემომიწირავს მე წულუკიძეს მერაბს წმინდის აგარისთვინ“.

4) ვერცხლის კამარა მხედრულის წარწერით: „წმინდაო
გიორგი აგარისაო შემომიწირავს ეს კამარა მე წულუკიძეს მე-
რაბს ჩემთვინს ჯერ სადღეგრძელოთ მერე სულის სახათ ამინ“.

5) ვერცხლის ფეშხუმი მხედრულის წარწერით უკან: „ქ. ონი
წმინდაო გიორგი მხნეო და მხედარო აგარისაო შემომიწირავს
მე წულუკიძეს მერაბს ჯერ სადღეგრძელოთა მერე სულის საო-
ხოთ ორი ფეშხუმი: ერთი: კამარა: ერთი: ვერცხლის: კოვ-
ზი ორი ვერცხლის ნიტრა: ერთი სამღელარო და ერთი სახე-
დაშე: მე დამიპირავს წულუკიძეს მერაბს ჯინბეროლსა და
იწართას⁹⁾ შუა გაღმა: კრებლო და ზოგისი¹⁰⁾: მათს გრდღმა
ოკარიბა (ოკრიბა) და ტყილბური (ტყიბული) და ძმა ნიკორ-
წმინდათ დამასვამს და მეორე ძმა ხოფს¹¹⁾ ხოფლოთ ნსუჯუნევას
(სუჯუნა) გორგას¹²⁾ სასახლე მისი შემავლის კაცინათ და ხონი
კიდე ხულათ (სულათ):

⁹⁾ ადგილების სახელია რაჭაში.

¹⁰⁾ ადგილების სახელია რაჭაშივე.

¹¹⁾ სამეგრელოშია.

¹²⁾ სამეგრელოშივე.

ზედა პირზედ არის იმავე ხელით წარწერა: „ამას გარდა სხვა რაც მიქნია, ამაზე რომ დამეწერა ხნ გრძლათ მოვიდოდა და ნიკორწმინდას ეს სასაფულო ამიშენებია და ჩემს ამბავს, ვინც წიკითხა, იმაზე დამიწერა და იქ შეიტყობს სხვა სამს წელიწადს გამოთულით ვიყავ ოდიშს გურიას და იმერეტს. სამი ბატონი ხელმწიფე გადმეკიდა. ღლით ვერა მაწყინ რა. ან სვანზედ რა გვარად გავიმარჯვე, ვინ იცს, ან სხვა მტერზე რა ექენი. ან უყურე მუხნთს სოფელს, თუ მისი ბეგარა არ მომიღოს, ვინ შენდობა ბრძანო“. აქ მოხსენებული სასაფულო ლიკორწმინდას არის ლიკორწმინდას ეკლესიის ჩრდილოეთის კარებთან შიგნით. აქ ასაფლავია გიორგი წულუკიძე, რომელიც გარდაცვლილა ჩყე-სა წელსა რვა აპრილსა. ამას აწერია: „აჰა ადგილი, რომელი მთნდა და დავემკვიდრე დიდებულმან თავადმან წულუკიძე მან გიორგი სარდალმან ჩყე-სა წელსა აპრილის 13“. ამ გიორგის მემკვიდრე იყო მერაბ, რომელიც რუსეთს წაიყვანეს ნაგარევის ისტორიის გამო. მერაბის შვილი იყო პაატა, რომლის მემკვიდრენი არიან არჩილ, ასლან და სოლომონ ს. ნაშაშვეს იმერეთში. იმერეთში გადმოსულან რაჭიდან გიორგი სარდლის სიკვდილის შემდეგ. ამ გიორგი სარდლის საფლავის ზემოდ კარების აღმოსავლეთ-დასავლეთის მხარეზედ დახატულნი არიან წულუკიძეები მათის სახლობით და მხატვრობის ზევით სწერია რალაც მხედრულად, მაგრამ ეს წარწერა ორჯელ გაუთეთრებიათ კირით და ვერ გავარჩიეთ. მხოლოდ ერთი სიტყვა ძლივს ამოვიკითხეთ კირში: „ხოვრი“. შეიძლება ეს იყოს ის წარწერა, რომელსაც მოიხსენებს მერაბ წულუკიძე. ვინ იყო ეს მერაბი? ხოტევის წარწერა მოიხსენებს ამავე მერაბს, მის მეუღლეს ჩიჯავაძის ქალს და მათ ძეთა გიორგის და ქაიხოსროს ქორონიკონსა 364-სა ანუ 1676 წელსა (ბროსისეს არხეოლოგიური მოგზაურობა). ვინ იყენენ მაშინ იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში. მეფედ და მთავრებად, ასე თამამად რომ ლაპარაკობს თავის თავზედ მერაბ წულუკიძე? ამ დროს, 1676 წელსა, უჩვენებს „ქართლის ცხოვრება“ ბაგრატ IV დროს

იმერეთში, მაგრამ მერაბ წულუკიძე და საზოგადოდ წულუკიძე 1712 წლამდინ არ იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“. 1712 წელს იყო გიორგი წულუკიძე, რომელიც მოკლა იმერეთის მეფემ გიორგი ალექსანდრეს ძემ ღალატობისთვის („ქართლის ცხოვრება“ გვ. 226). ამავე დროს უჩვენებს „ქართლის ცხოვრება“ (გვ. 226) მერაბ წულუკიძეს, მაგრამ რაღაც ბნელად: მერაბს მეორე ცოლად ჰყავდა „აბაშიძის ასული ნიჯარაძის ნაცოლარი“, თუმცა პირველი ცოლიც ცოცხალი ჰყავდა; ეს ასეა, მაგრამ ხოტევის წარწერა პირდაპირ უჩვენებს მის მეუღლედ ჩიჯავაძის ქალს. შეიძლება, გაშვებული პირველი ცოლი ჩიჯავაძის ქალი იყო ან —მესამე¹²⁾). სხვა არავითარს ცნობას არ იძლევა ამ პირზედ „ქართლის ცხოვრება“ არც ადრე, არც შემდეგ. შეიძლება მომავალში აღმოჩნდეს რამე ამ აგნის შესახებ;

ს. ქუთათელაძე

ნოემბერი 1893 წ.

სტენოგრაფიული იმერეთის იმერეთის

¹²⁾ უშუალოდ ღმრთის მშობლისთვის შეუწირავს ყანწი, რომლის წარწერა მოიხსენებს მერაბ წულუკიძეს, მაგრამ დროს არც აქ უჩვენებს. (Сваниძე, Бакрадзе, გვ. 107).

ღვინის დაყენება



სხვა თვისებებს და სხვა რიგად დაყენებული ღვინოები

წინა ზეგნით გავარჩიეთ წითელი და თეთრი ღვინოების დაყენება; ესე იგი ნორმალური ღვინოებისა, რომლებიც პირდაპირ ყურძნიდან არიან დადუღებულნი. ამათ გარდა არიან იმისთანა ღვინოებიც, რომლებიც განირჩევიან ან თავიანთი შედგენილებით და ხასიათით და ან დაყენების რიგით, ესე იგი არიან იმისთანა ღვინოები, რომლებიც ნორმალურ ღვინოებს არა ჰგვანან. ამ ღვინოებს ეკუთვნიან: 1) ლიქორიანი ღვინო, 2) ხმელი ყურძნის ღვინო და 3) შამპანური ღვინო. ამათ დაყენებას ახლა მოკლედ გავარჩიეთ:

1) ლიქორიანი ღვინის დაყენება

ლიქორიანი ღვინო ის ღვინოა, რომელშიაც შაქარიც და ალკოგოლიც სხვა ღვინოებზე გადაჭარბებულია; ეს ღვინო ტკბილი და მაგარია, თუმცა კი ზოგიერთ შემთხვევაში ლიქორიან ღვინოს იმისთანა ღვინოსაც ეძახიან, რომელსაც სიტკბოც კოტა აქვს და ალკოგოლი კი ბევრი; ეს ალკოგოლი ხშირად მიმატებულია დუღილის შემდეგ. ამგვარ ღვინოებს ეკუთვნიან: პორტო (Porto), მადერა (Madere sec), ხერესი (Xeres sec) და

*) «მოამბე» № 1—6.

სხვანი. ხანდისხან ამგვარ ღვინოებს ალკოგოლითან შაქარსაც უმატებენ, რომ ღვინო ცოტაოდენად დაწეულდეს.

საჭიროა საზოგადოდ ვიცოდეთ, რომ თუ ლიქორიან ღვინოში 16⁰ ალკოგოლზე (ტანით) ნაკლებია, მაშინ იმას ისეთივე მოვლა და დადუღება დასჭირდება, როგორც ყოველ ნორმალურ ღვინოს; თუ ალკოგოლის რაოდენობა 18⁰ ან 20⁰-ია და ამასთან სიტკბოცა აქვს, მაშინ ღვინის დადუღება მალალ ტემპერატურაზე უნდა დამთავრდეს და ან ალკოგოლი მიემატოს. ლიქორიან ღვინის მოსამზადებლად საჭიროა, რომ ტკბილში 26⁰/o შაქარი იყოს და უფრო მეტიც; ეს რაოდენობა შაქრისა დუღილის დროს კარგად განაწილდება და თუ 26⁰/o-ზე მეტია, მაშინ ის ნამეტი ღვინოში დარჩება და სიტკბოს მისცემს. რასაკვირველია, ამოდენა შაქრიანი ტკბილი მხოლოდ თბილ და მზიან ქვეყნების ყურძნიდან არის მოსალოდნელი, იმისთანა ქვეყნებში, სადაც ყურძენი კარგად მწიფდება; ეს თვითონ ღვინოების სახელებიდანაც სჩანს: მალაგა, მადერა, ცუკო, სანტორინი, მარსალა, პორტო და სხვანი. რასაკვირველია, ამაზე დიდი გავლენა აქვს თვითონ ყურძნის ჯიშს, ნიადაგის თვისებას და ადგილის მდებარეობას. ესევე დამოკიდებულია იმაზედაც, შეუძლიან თუ არა თვითონ ყურძნის ჯიშს შემოდგომის პირველი სიცივე და ყინვა აიტანოს და მაშასადამე ვაზზე დარჩეს დიდ ხანს. ამ მდგომარეობაში ყურძენი ვაზზევე ქქნება, შრება, წყალს ბევრსა ჰკარგავს, თითქმის ჩამიჩდება და ამასთან ერთგვარ გემოსა და სუნნელოვანებას ითვისებს, რასაც დიდად აფასებენ. — ლიქორიანი ღვინისთვის უფრო ისეთი ყურძენი არის გამოსადეგი, რომელსაც ბევრი შაქარი აქვს და ცოტა სიმყავე და აზოტური ნივთიერებანი. ამ გვარი თვისება მუსკატის ყურძენსა აქვს, თუმცა კი ყოველგვარი ყურძნიდანაც შეიძლება ლიქორიანი ღვინის მომზადება. სიმყავის სიმცირეს ის მნიშვნელობა აქვს, რომ ყურძნის დაქნობის შემდეგ ანუ ტკბილის შესქელების შემდეგ მყავე ღვინო არ დადგეს; აზოტური ნივთიერებათა ნაკლიც იმით არის კარგი, რომ დუღილის დედას კარგი საზრდო არა ჰქონდეს, რომ კარგად არ იმუშაოს

და მთლად არ გაანაწილოს შაქარი, და ღვინო ტკბილი დარჩეს. მუსკატის ყურძენს, შაქარს გარდა, შესანიშნავი სუნენლოვანება და გემო აქვს, რომელსაც, რასაკვირველია, ღვინოსაც გადასცემს.

განთქმული ლიქორიანი, ტოკაიური ღვინის ვაზი საბერძნეთიდან არის გადმოშენებული უნგრიაში და იმის უმთავრესი სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ იმის ყურძენი ადვილად და კარგად იტანს სიცივეს და ყინვას, რისგამოც იმას დიდ ხანს უშვებენ ვაზზე, მანამ სრულებით დაქენება და ბლომა წყალს დაჰკარგავს; ამგვარად ამ ყურძნის წვენი სქელდება და ტკბება. — აგრედვე შესანიშნავია ის ღვინოებიც, რომელთა ვაზიც ვოლკანიურ ნიადაგზეა გაშენებული, ცეცხლ-მქშინავი მთების ფერდობებზე, როგორც განთქმული ღვინოები: პორტუგალიისა ვერდელი (Verdelho) და იტალიური ლაკრიმა-ქრისტა (Lacryma-Cristi — ქრისტეს ცრემლები). თუ ყურძენს არ შეუძლიან სიცივის ატანა და ვაზზე გაშვებით დაქენობა, მაშინ ამას ხელოვნურად, ძალად დააქენობენ, გააშრობენ და ამ გვარად მომზადებული ყურძნიდან დააყენებენ ლიქორიან ღვინოს. შეიძლება საზოგადოდ ვთქვათ, რომ ლიქორიანი ღვინო ან ბუნებითი და ან ძალად დამქენარი ყურძნიდან მზადდება. პირველი კატეგორიის ღვინოებისთვის, რომლებიც მზადდებიან ცხელი ქვეყნების ყურძნიდან, იმისთანა ყურძნიდან, რომელიც ჩვეულებრივ ძლიერ შაქრიანია, ამ ყურძენს უფრო ატკობენ ან იმით, რომ დამწიფების შემდეგ მტევანს კუნწს უგრებენ, რომ ვაზიდან წყალი აღარ მოვიდეს და მზის ზედ-მოქმედებით ცოტაოდენი თავისი წვენის წყალიც დაკარგოს და დაქენეს და ან ვაზიდან ყურძენს მოსჭრიან, რამდენიმე დღით მზეზე გააშრობენ იქვე ვაზის ძირში. თუ ყურძენი კარგად მომწიფეულია და ბლომად შაქრიანია, მაშინ საკმარისია, რომ იმან დაჰკარგოს მხოლოდ $\frac{1}{8}$ თავის წვენის წყალი, ესე იგი ერთ მესამედად გაშრეს. ბევრ შემთხვევაში ამისთვის საკმარისია ხუთი ან ექვსი დღე. ამას შემდეგ ყურძენს წაიღებენ საწნახელში, სადაც კარგად გადაარჩევენ და გაჰყოფენ ორ ნაწილად: ცალკე დააწყობენ იმ მტე-

ნებს, რომლებიც უფრო დამკვნარნი არიან და იმათაც ცალკე, რომლებიც ცოტად არიან დამკვნარნი. ორივეს ცალ-ცალკე დასკყლეტავენ და შემდეგ ორივეს ისევ ერთად აურევენ და საქაჩავის შემწეობით ტკბილს გამოსწურავენ. ცალკე დასკყლეტას იმისთვის ეურჩევენ, რომ ყურძნის მარცვალი კარგად გაისრისოს; რომელი ყურძენიც უფრო დამკვნარია, ის უფრო ძნელი დასაქყლეტია და წინააღმდეგ ცოტად დამკვნარი ადვილად დაისრისება. ამისათვის გადურჩევლად მათი დასკყლეტა ერთმანეთს დაუშლის. გამოსწურულ ტკბილს ჩაახამენ პატარ-პატარა ქოცოვებში და ბოჩკებში; როცა ტკბილში რამდენიმე ნახშირის-სიმყავის ბუშტები გაჩნდება და ქაფს მოიკიდებს, მაშინ ამ ქაფს მოხდიან, ტკბილს გადაიღებენ და საცერში გაატარებენ შერეული ქაქის ნამცეცების მოსაშორებლად. ქაფის მოხდას რამდენჯერმე გაიმეორებენ, რომ ბოლოს დარჩეს ისეთი ტკბილი, რომელსაც ცოტა დუღილის დედა და აზოტური ნივთიერება აქვს და ძნელად დუღდება. ეხლა ეს ტკბილი ბევრად მიემსგავსება ტოკაის ტკბილს და კარგი მასალა არის ლიქორიანი ღვინის დასაყენებლად.

ხშირად მოხდება, რომ ნიადაგის თვისება და ან ამინდის გარემოება ნებას არ აძლევს ყურძენი ან ვაზზე დიდ ხანს გაუშვან და ან მოკრილი მიწაზე დააწყონ გასაშრობად. ამ შემთხვევაში ყურძენს გააშრობენ ლასტებზე, თუ მზე არის და ან დახურულ გამთბარ ადგილს. ხუთი-ექვსი დღის განმავლობაში და ხშირად უფრო მალეც ყურძენი იმ ხარისხამდე გაშროება და დაქცნება, რომ იმის დაწურვა შეიძლება. ამ შემთხვევაში ყურძენს დასკყლეტავენ დაუმარცვლავად, შემდეგ კლერტს ამოაცლიან და დასრესილ მარცვლებს ჩაჰყრიან ტილოს პარკებში, რომლებსაც საქაჩავში ჩააწყობენ და გამოსწურავენ. ორივე შემოდ ნაჩვენებ გარემოებაში კარგი ლიქორიანი ღვინო დადგება, ბუნებითი ლიქორიანი ღვინო, თუ, რასაკვირველია, მასალად კარგი ყურძნის ჯიშია.

მეორე კატეგორიის ლიქორიანი ღვინო, ძალად დამკვნარი ანუ ჩაღის ღვინო (vin de paille) უფრო დიდის სიფრთხი-

ლით და ყურადღებით უნდა მომზადდეს. ყურძენი შეძლების დაგვარად დარჩება ვაზზე შემოდგომის პირველ სიცივემდინ; თბილ და მზიან დღეში მოჰკრეფენ და დაწყობენ საწნახელის ახლო დაგებულ ჩაღაზე (აქედან წარმოსდგება ამ ღვინის სახელი—ჩაღის ღვინო); ყურძენი აქ დარჩება კარგა ხანს, მანამ დაჰქნება. ამისათვის ყოველგვარი ყურძენი არ გამოდგება, უფრო გაფარჩხული და სქელ-კანიანი ყურძენია კარგი, რომ დაულობელად დაჰქნეს. როცა ყურძენი კარგად დაჰქნება და წყალს ბლომად დაიშრობს, მაშინ ამ ყურძენს დამარცვლიან და დაუტყუეტავად თბილ ოთახში შეინახავენ ორ-სამ დღეს და ხან მეტსაც. ყურძენს ამგვარად ამზადებენ იტალიაში (Caluso), ალზასში (Alsace) და რეინის ნაპირებზე. ამგვარი მარცვლის შენახვით მისი კანი დარბილდება და ადვილი გამოსაწერი იქნება. მარცვალს საქანჩაუში ჩაჰყრიან და ოთხჯერ გამოსწურავენ. ტკბილს ჩაახამენ პატარ-პატარა სადუღებელ ქურჭელში და დაადუღებენ თბილ ადგილას, ე. ი. გამთბარ ოთახში. ზოგიერთი ვენახის პატრონები მოჭრილ ყურძენს ინახავენ დაუწურავად მარტამდინ, როდესაც კარგად გადაარჩევენ, დამარცვლიან და პატარ-პატარა ქურჭელში ჩაჰყრიან; რვა დღის შემდეგ დასტყუეტავენ და გამოსწურავენ. ტკბილს ჩაახამენ პატარ-პატარა სადუღებლებში, რომლებსაც მთლად არ გაავესებენ. დეკემბერში, ე. ი. რთვლიდან 15 თვის შემდეგ, ამ ღვინოს გადმოიღებენ პატარ-პატარა ბოჩკებში ან ქოცოებში, სადაც ერთი ან ორი წელიწადი დარჩება დასამთავრებლად.

რასაკვირველია, გასაშრობად ჩაღაზე დაწყობილ ყურძენს დიდი ყურადღება უნდა, თითქმის ყოველ დღე, და ან საქაროების დაგვარად ყურძენი უნდა გადაირჩეს, დამპალი მარცვლები ამოეცალოს; უამისოდ მთელი ყურძენი მალე დაღუპება და საღვინოდ აღარ ევარგება.

თუ ყურძენი თხელ-კანიანია და ან ჩაღაზე გაფენა მოსახერხებელი არ არის, მაშინ ამ ყურძენს ჯავნებად აკინწავენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აკიდოში მტევნები ცალ-ცალკე უნდა იყვნენ, ერთი-ერთმანეთს არ უნდა ეკარებოდნენ. ამასთან ის

უფრო კარგი იქნება, როცა მტეენები კუნწებით კი არ არიან აკინწულნი, არამედ მტეენების ბოლოებით; ამ შემთხვევაში მტევანი უფრო გაფარჩხული იქნება, კუფხლები ერთი-ერთმანეთს გაშორდებიან; ჰაერი კარგად გაუვლის მარცვლებს, მალე გააშრობს და ამის გამო ყურძენი კარგად შეინახება, არ ლბება. საკმაოდ დაჭკნობის შემდეგ, ამასაც ისევე დაარჩევენ, დასწურავენ და დაადუღებენ, როგორც ჩალაზე გამშრალ ყურძენს.

ჩვენ წინად ვთქვით, რომ დამარცვლილ ყურძენს საქაჯავით ოთხჯერ გამოსწურავენ: პირველი გამოწურული ტკბილიდან ღვინო უფრო შაქრიანია და სუნწელოვანი ღვება, უკანასკნელი ნაქაჯისა კი უფრო ალკოგოლიანი, მაგრამ ცოტაოდენად მწკლარტე. შეიძლება მათი ერთად არევა, თუმცა ცალ-ცალკე დადუღება უფრო სჯობია. რაც ჰაქას შეეხება, რომელშიაც, რასაკვირველია, ბევრი შაქარი რჩება, ამ ჰაქას დაახამენ ძველს, ერთი წლის თეთრ ღვინოს და რამდენიმე დღის შემდეგ კარგად გამოქაჯავენ; გამოწურულ ღვინოს ცალკე სადუღებელში ჩაახამენ და დადუღების შემდეგ, რასაკვირველია, უფრო მაგარი, ალკოგოლიანი ღვინო დადგება.

ამ ორი კატეგორიის ღვინოების დაყენება პრინციპით ერთგვარნი არიან, თუმცა კი სხვა-და-სხვა სახელები დაარქვეს; როგორც ვნახეთ, ჩალის ღვინის დაყენება მთლად მიემსგავსება ტოკაის ღვინის დაყენებას; აქ განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ უნგარიში (Zemplin-ის გორაკებზე) ყურძენი უფრო ადრე მწიფდება და ამასთან, რადგანაც იქ ჰაეა ძალიან მშრალია, შესაძლებელია დამწიფებული ყურძნის ვაზზე დიდ ხანს გაშვება და ვაზზევე დაჭკნობა. ჩალის ღვინოც ხშირად ძალიან კარგი ღვება და თავის ღირსებით არაფრით არ ჩამოუვარდება ტოკაის ღვინოს; ორივე შემთხვევაში, რრივე კატეგორიის ღვინოს დამჭკნარი ყურძნიდან აყენებენ.

აქამდინ თეთრი ყურძნის და მაშასადამე თეთრ ღვინოებზე ღვინოზე გვექონდა ლაპარაკი; რაც შეეხება ამავეგვარ წითელ ღვინოებს, იმათ მოსამზადებლად ძსივე მოიქცევიან, როგორც

თეთრი ღვინოებისთვის; განსხვავება იმაში იქნება, რომ ამ შემთხვევაში ტკბილი ჭაჭათ დადულდება. დაქყლეტილ ყურძენს ჩაპყრიან პატარა ფართო-პირიან ბოჩკაში და გიდრაკლიური საცობლით დაუცობენ; როცა აღელვებული დუღილი გათავდება და ღვინო კარგად შეიღებება, მაშინ გადმოასხამენ მეორე ბოჩკაში ანუ ქვევრში; ჭაჭას გამოსწურავენ და ნაწურ ღვინოსაც იქვე მიჟმატებენ ფერის და ძალის შესავსებლად. ამ ქურქელში დამთავრდება ნელი დუღილი, რომლის შემდეგაც ღვინოს სხვა ქურქელში გადაიღებენ, პირს კარგად დაუცვენ და შეინახავენ. საჭიროა ცოტაოდენი ამ ღვინისა ცალკე შეინახონ ბოჩკის შესავსებლად.

როგორც ვნახეთ, ლიქორიან ღვინოს ამზადებენ ან იმისთანა ყურძნიდან, რომლის დატკბობაც ვაზზევე შეიძლება მისი დაქნობით; ამგვარად ამზადებენ ისპანიის ღვინოებს, მადერას, იტალიის ღვინოებს, ლიბარის კუნძულებისას, კალაბრიისას, იონიის კუნძულებისას, ტოკაის ღვინოს, შატო-იკემს, მუსკატ-ლუნელას, ფროტინიანს და სხვ; ან იმისთანა ყურძნიდან, რომელიც ჩალაზეა გაფენილი მოკრეფის შემდეგ და აქ დაქვენება; ამ ღვინოებს ეკუთვნიან: კოლმარის ღვინო, ერმიტაჟისა, პონდეშატოსი და რენის ნაპირებისა. — ანას ორიოდ სიტყვას კიდევ დავუმატებთ, შესახებ იმისთანა ლიქორიანი ღვინოებისა, რომლებიც სხვაგვარი ყურძნიდან არიან მომზადებულნი. ბევრია იმისთანა ჯიშის ყურძენი, რომელიც ვერც ვაზზე გასძლებს დიდ ხანს და ვერც ჩალაზე შეინახება; ამ შემთხვევაში ან ჯაგნებად აკინწავენ და ისე დააქნობენ, როგორც წინადაც ვთქვით, და ან ამგვარი ყურძნის ტკბილს შეასქელებენ და შესქელებული ტკბილიდან დააყენებენ ლიქორიან ღვინოს. ტკბილის შესქელება იმავგვარად მოხდება, როგორც ჩვენ მოვიხსენიეთ, როცა ტკბილის კონცეტრაციაზე გვექონდა ლაპარაკი. შესაფერად შესქელებული ტკბილი უნდა დაიწმინდოს კვერცხის ცილით და დაწმენდის შემდეგ დადულდეს ისევე, როგორც ყოველი ლიქორიანი ღვინო. ამ გარემოებაშიაც არგი ლიქორიანი ღვინო დადგება. თუ ყურძენს, რომლის ტკბი-

ლიც შესქელებულია, ბუნებითი სუნენლოვანება აქვს, მაშინ ამ ტკბილიდან დაყენებულ ღვინოსაც ექნება ეს სუნენლოვანება და თუ ყურძენი ამას მოკლებულია, მაშინ ხელოვნურად მისცემენ ამ სუნენლოვანებას. ამას ასე ახერხებენ: ტილოს გძელ პარკებს გაავსებენ ზამბახის ძირით (iris de Florence) და დადუღებულ ღვინოში ჩაჰკიდებენ რამდენიმე ხნით. ამ შემთხვევაში ღვინოს მშვენიერი და სასიამოვნო იის სუნი მიეცემა; თუ უნდათ, რომ ღვინოს მუსკატის სუნენლოვანება ჰქონდეს, მაშინ პარკებში ჩაჰყრიან ან სალობის ფურცლებს და ან ანწლის ყვავილებს. ხან კიდევ ხმარობენ ცაცხვის ყვავილს და აკაკიისას, რომლებიც ღვინოს ვანილის სუნს მისცემენ. რასაკვირველია, ამგვარად ღვინის დასუნენლოვანება ყალბობა არის და ამისთვის ამ ღვინოებს სენლოვანურ ლიქორიან ღვინოებს ეძახიან. ხელოვნურად სუნენლოვანების მიცემას დიდი სიფთხილე უნდა, რადგანაც თუ სუნენლოვანებამ გადააჭარბა, მაშინ ღვინო დაჰკარგავს თავის სიკეთეს და ღირსებას, ღვინო გაფუჭდება.

ხშირად ზოგიერთ ბუნებრივ ლიქორიან ღვინოებსაც, როგორც წინადაც ვთქვით, ხელოვნურად ამზადებენ, მეტადრით იმისთანა ღვინოებს, რომლებშიაც ბევრი ალკოგოლი უნდა იყოს და ცოტოდენი შაქარიც, როგორც პორტო, ხერესი, მადერა, მარსალა და სხვანი; ხელოვნებით მომზადება იმაში მდგომარეობს, რომ ყურძნის დაჰკნობის მაგივრად მწიფე ყურძნის ტკბილიდან დადუღებულ ღვინოს ალკოგოლის უმატებენ, როცა ტკბილი დუღილში შევა ხშირად გასინჯავენ იმის მდგომარეობას, შეიტყობენ რამდენი ალკოგოლი არის გაჩენილი და რამდენი შაქარი დარჩენილა. თუ შაქრის რაოდენობა ისეთია, როგორც შეეფერება ღვინის თვისებას, მაშინ იმდენ ალკოგოლს მიუმატებენ, რომ იმის სიმაგრემ ანუ რაოდენობამ აიწიოს იმ ნორმამდინ, როგორიც საჭიროა. რადგანაც მიმატებული ალკოგოლი თავის საკუთარ ალკოგოლის გემოს ღვინოშიაც დიდ ხანს ინახავს, ამისათვის ხშირად იმისთანა საშუალებას ხმარობენ, რომ ღვინო მალე დაჰძველონ და დაამწიფონ, ერთი ამ საშუალებათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ ღვინით

სავსე ბოჩკებს მზის სხივებ ქვეშ გამოსდგამენ რამდენიმე ხნით, ხანდისხან რამდენიმე თვეობით. ამ შემთხვევაში მზის სხივების და სითბოს ზედმოქმედებით დღისით ღვინო თან-და-თან შრება და ღამის სიგრილით, როცა ღვინო იკუმშება და ტანს იკლებს ბოჩკებში ცარიელი ადგილი ჩნდება და შიგ ჰაერი ჩადის. ამგვარად ყოველ დღე ღვინოზე ჰაერის ჟანგ-მზადი მოქმედობს და ღვინოს მალე აძველებს, ამწიფებს; ალკოგოლი თავის საკუთარ გემოს ჰკარგავს და ღვინის გემოს უერთდება. ეს ჩვეულება გავრცელებულია ქვემო საფრანგეთში და ზოგჯერ იტალიაშიაც. ამ საშუალებით მხოლოდ ძალიან მაგარი ღვინის დამწიფება შეიძლება; ღვინოს 20⁰ ალკოგოლი უნდა ჰქონდეს.

2) ხმელი ყურძნის ღვინო

ხმელი ყურძნიდან ყოველგვარი ღვინის დაყენება შეიძლება, როგორც ნორმალური ღვინოებისა, ისე ლიქორიანი ღვინოებისაც, და სხვანი. თუ ჩვენ ამ ღვინოებს ცალკე ვარჩევთ, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ღვინის მასალას სხვაგვარი მომზადება უნდა. რადგანაც საფრანგეთში ფილოქსერის ავადმყოფობამ ვაზის მოსავალი დიდად შეამცირა და რადგანაც ამის მიუხედავად, იქიდან მაინც ბევრ ღვინოს თხოულობენ უცხო ქვეყნები, ამისათვის ფრანგები იძულებულნი არიან, თავიანთი ვაჭრობის დასაცველად, სხვა ქვეყნებიდან მოიტანონ ღვინის მასალა და თავიანთებურად დააყენონ და შეაკეთონ. იმათ ჩვენგანაც დაიწყეს წითელი ღვინოების გატანა საკუბაჟოდ, ესე იგი თავიანთ ღვინოებში შესარევად. თუ ჩვენ ჩვენის მეცადინეობით კარგი ღვინის მასალას დავუშზადებთ, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენ ღვინოებს დიდი ბაზარი გაუჩნდება. Portes და Ruysseu's მოწმობით, ყირიმულმა და განსაკუთრებით საქართველოს (Caucase) ღვინოებმა ბორდოულ ვაჭრობაში თავი გამოიჩინეს და ამასთან იმასაც უმატებენ, რომ **ახლა მხოლოდ იმათზეა არის დამოკიდებული საფრანგეთიდან გაპიონ ის**

ნუღაღ დაყენებული ბეგრ-აღკოგოლიანა ღვინოება, რამდენ-საც იტალია და ისპანია გვიგზავნიანო. დიად, ჩვენზეა დამოკიდებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ამას ყურს არ ვუვლდებთ!

ღვინოებს გარდა ფრანგები ყურძენსაც ყიდულობენ და რადგანაც ახალი და ნედლი ყურძენის გაუფუჭებლად გადატანა ადვილი მოსახერხებელი არ არის, ამისათვის დიდი ყურადღება არის მიქცეული ხმელ ყურძენზე და ამ ყურძენიდან ღვინის დაყენებაზე. პირველი შეხედულებით აქ თითქო სიყალბე იყოს, მაგრამ კარგად რომ გაესინჯოთ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ აქ სკინიდისის და გიგიენის მხრივ დაპაზკოლებელი არა არის-რა. ყურძენი გახმობის დროს თავის შემადგენარ ნაწილებთაგან მარტო წყალს ჰკარგავს და თუ ამ წყალს ისევ მიუმატებენ და გამოწურულ ტკბილს დაადუღებენ, აქ არაფერი სიყალბე არ არის. რადგანაც ამგვარი ღვინოების მზადება ეხლა დიდად გავრცელდა, ასე რომ მრავალ მილიონ გექტოლიტრამდინ ადის, ამისათვის აქ მოკლედ მაინც მოვიხსენიებთ: რაგვარ ყურძენსა ხმარობენ ამ ღვინოების დასაყენებლად და როგორ აყენებენ.

ხმელ ყურძენთა შორის უფრო დიდი გასავალი და ფასი აქვს კორინთის ხმელ ყურძენს. (სტაფია - საბერძნეთში ბევრ ადგილას მოდის: პელოპონეზაში, პატრასში, კორინთაში და სხვანი) ეს ყურძენი ადრე მწიფდება და ივლისის პირველ დღეებში საჭმელად ვარგა, მაგრამ რთველს მხოლოდ აგვისტოს დამლევს იწყებენ, როცა ის ყურძენი წითელ ფერს იცვლის, მუქდება, თითქმის იის ფერი ხდება. დაკრეფილი ყურძენი მიაქვთ კალოსავით კარგად დატკეპნილ ადგილას, ზედ გაჰფენენ გასაშრობად და გასახმობად. თუ რთველის დროს კარგი ამინდი არის და ყურძენიც ხშირ-ხშირად გაღებულ-გადმობრუნებულია, მაშინ რვა-ცხრა დღის განმავლობაში მზად იქნება, ჩამიჩად გადაიქცევა. ამას შემდეგ ყურძენს დამარცვლიან და შშრალ ადგილში შეინახავენ; 300 გირვანქა ნედლი ყურძენიდან 100 გირვანქა განხმარი, ხმელი ყურძენი გამოდის. ეს ყურძენი სულ ათ მილიონ კილოგრამამდინ (გამხმარი) მოდის და კარგი ფასიც აქვს.

ამას გარდა ცნობილია მცირე აზიიდან მოტანილი ხმელი ყურძენი, რომელიც ორ ფერია: თეთრი და შავი; თეთრს ეკუთვნიან: სულთანიე, ელემე, მუსკატი და ბეგლერჯე.

სულთანიე წვრილ მარცვლიანი უკურკო ყურძენია (ქიშ-მიში) და ყველაზე კარგი ყურძენი ყარაბურნუს მთების კალთებზე მოდის, სმირნის კუთხეში. ამავე ჯიშის ყურძენს ეკუთვნიან: ქემზე და გულ-ბახჩა.

ელემე და ბეგლერჯე დიდ-მარცვლიანი ყურძენია და მარა ცვაღში ხან ერთი კურკა აქვს და ხან ორი. მუსკატი სამოსის კუნძულიდან მოდის; ფერთ და მარცვლის სიდიდით მიემსგავსება ყარაბურნუს; ამ ყურძენს საფრანგეთში ხშირად ვერმუტის დასაყენებლად ხმარობენ.

შავ ყურძენებს ეკუთვნიან: დიდ-მარცვლიანი შავი ყარაბურნუ და ქემზე; აგრედვე წვრილ-მარცვლიანი და თითო კურკიანი თირა (Thyra), რომელსაც საბერძნეთში სხვა-და-სხვა სახელი ჰქვია: იარლი, ბანდირ, დემირჯი, ყარაბუნარ და სხვანი.

აქვე მოვიყვან ქიმიურ, ანალიზს სხვა-და-სხვაგვარი ხმელი ყურძნისას.

| ყურძნის სახელი | წყლი | შაქარი | სიმკვლე | კრემობრ-ტარტარი | ტანინი | გლუკოზი | ნაქარი |
|---------------------|-------|--------|---------|-----------------|--------|---------|--------|
| კორინთი | 24,40 | 58,0 | 1,295 | 2,17 | 0,885 | 0,264 | 4,20 |
| ყარაბურნუ | 19,0 | 61,34 | 0,847 | 1,816 | 0,871 | 0,645 | 2,30 |
| ელემე | 17,80 | 54,80 | 0,399 | 0,578 | 0,443 | 0,900 | 2,20 |
| ქემზე | 18,13 | 58,15 | 0,675 | 1,088 | 0,414 | 0,840 | 1,90 |
| ბეგლერჯე | 17,40 | 48,85 | 0,818 | 1,420 | 0,443 | 1,020 | 3,00 |
| ერიყარა | 17,40 | 57,08 | 0,781 | 1,388 | 0,443 | 0,46 | 2,20 |
| სულთანიე | 20,0 | 49,23 | 0,58 | 1,338 | 0,407 | 1,02 | 2,60 |
| თირა | 17,80 | 45,0 | 1,245 | 2,00 | 0,457 | 0,899 | 5,00 |

საზოგადოდ ხმელი ყურძნიდან ღვინის დაყენება ისეთი-ვეა, როგორც ახალი ნედლი ყურძნიდან, ამის გამო ამას აღარ გავიმეორებთ. მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ

იმ განსაკუთრებით სიფრთხილეზე, რომელიც ამ შემთხვევაში მიუცილებლად საჭიროა. პირველ ყურადღებას თხოულობს ხმელი ყურძნის გადარჩევა: ამ ყურძენს უნდა მოეცილოს არა მხოლოდ შერეული უცხო სხეულები, არამედ დაობებული, დამპალი და ბუზის ან ფრინველის ნაქაში მარცვლებიც, რომლებიც დაყენებული ღვინის სუნნელოვანებაზე, გემოზე და შედგენილებაზე ცუდად იმოქმედებენ; თუ ყურძენი შეკუმშულია ან შეწებებული, აქაც საჭიროა, რომ მარცვლები ერთმანეთს გასცილდნენ. თუ ყურძენი ქუქყიანია და ან გატალახიანებული, მაშინ სჯობს ცოტაოდენ ციფწყალში გაირეცხოს. აგრედვე ყურადღება უნდა მიექცეს იმ წყალსაც, რომელსაც ყურძნისთვის მისამატებლად ხმარობენ: წყლის ცოტაოდენი უწმინდურება ძალიან აწყენს დაყენებულ ღვინოს; წყალი წმინდა და კარგი სასმელი უნდა იყოს, ბევრი მარილოვანი სხეული არ უნდა ჰქონდეს გახსნილი, განსაკუთრებით კირიანი გოგირდის-სიმეავე (CaOS^4), რომელსაც შეუძლიან დიდად შეაფერხოს დუღილი; ამასთან ამგვარი წყლის ხმარებით მისალოდნლია გალაცებული კვერცხის სუნის გაჩენა ღვინოში (დუღილის დედის და ორგანულ ნივთიერებათა ზედმოქმედებით ზემოდ ნახსენებ მარილზე). ყველაზე კარგი სახმარია ანკარა წყაროს წყალი და ხან წვიმის წყლის ხმარებაც შეიძლება.

როგორც წინაღ ვთქვით, ხმელ ყურძენს უნდა მიემატოს ის წყალი, რომელიც იმან დაჰკარგა განმობის დროს; უამისოდ იმის დაწურვა და დადუღება შეუძლებელია; ყურძენი ჯერ კარგად უნდა გაიჟინთოს წყლით; ამისთვის ხშირად თბილ წყალს ხმარობენ, ხან 30° , ხან 50° და ხან 70° . ას კილო ხმელ ყურძენს მიუმატებენ ას ლიტრ წყალს. სამი-ოთხი და ხან ხუთი დღის განმავლობაში (ეს დამოკიდებულია წყლის ტემპერატურაზე) ყურძნის მარცვალი გაიჟინდება. ეხლა ამ ყურძენს გასრესავენ ან დასჰყლეტავენ ერთგვარ საჰყლეტ მანქანაში, რომელიც შესდგება ორი ცილინდრისაგან, რომელთა შუაგ ყურძენს გაატარებენ. აქ ყურადღება იმაზედ უნდა იყოს მიქცეული, რომ ყველა მარცვალნი კარგად გაბრისოს, უამისოდ

მთლად დარჩენილი მარცვლის წვენი არ მიიღებს მონაწილეობას დუღილში და მაშასადამე ტყუილ-უბრალოდ დაიკარგება. ამას შემდეგ წყალს კიდევ მიუმატებენ შაქრის რაოდენობის და დასაყენებელი ღვინის თვისების დაგვარად. წარმოვიდგინოთ, რომ ხმელ ყურძენში 55% შაქარია; აქედან 29%—30% ალკოგოლი გაჩნდება; მაშასადამე, ერთი ლიტრ ალკოგოლის გასაჩენად საჭირო იქნება 3,8 კილო ხმელი ყურძენი. აქედან ცხადია, რომ თუ ამ რიცხვით (3,8 კილო) გავამრავლებთ ალკოგოლის რაოდენობას დასაყენებელ ღვინოში, მაშინ ჩვენ შევიტყობთ, რამდენი ყურძენიც უნდა მიემატოს ას ლიტრ წყალს. თუ ჩვენ გვინდა, რომ დაყენებულ ღვინოში ალკოგოლი 8° იყოს, მაშინ 100 ლიტრ წყალს მიემატება 26,8 კილო ყურძ.

| | | | | | | | | |
|-----|---|---|-----|---|---|---|------|---|
| 9° | — | — | 100 | — | — | — | 30 | — |
| 10° | — | + | 100 | — | — | — | 33,8 | — |
| 11° | — | — | 100 | — | — | — | 36,8 | — |
| 12° | — | — | 100 | — | — | — | 39,8 | — |
| 15° | — | — | 100 | — | — | — | 49,8 | — |

ზოგორც ვხედავთ, გამოანგარიშება აქ ძნელი არ არის. იმ შემთხვევაში, როცა ხმელ ყურძენში 55% უფრო ბევრი და ან ცოტა შაქარია, მაშინ ამ ფორმულით შეიძლება ვისარგებლოთ წყლისა ან ყურძნის რაოდენობის გამოსაანგარიშებლად:

$$\frac{55}{30} = \frac{q}{x} \quad \text{და} \quad \frac{y}{1} = \frac{100}{x}$$

(ამ ფორმულაში q —ყურძენში შაქრის რაოდენობას ნიშნავს; x —რამდენი ალკოგოლიც გამოვა ნაჩვენები შაქრის რაოდენობიდან; y —რამდენი კილო ყურძენი უნდა ავიღოთ ას ლიტრ წყალზე; 55.—ჩვენგან წარმოდგენილი შაქრის რაოდენობა ყურძენში; 30—ამ შაქრიდან გაჩენილი ალკოგოლის რაოდენობა.) ამგვარად გამოანგარიშებული ყურძნის რაოდენობას ამ 100 ლიტრ წყლიდან ერთი ნაწილი ყურძნის, გასაყენებლად მიემატება და დანარჩენი კი სადუღებელში.

ჩვენ წინადა ვუჩვენეთ, რომ თუ 26,5 კილო ხმელ ყურძენს ეს ლიტრი წყალს მიემატებო, მაშინ 80 ალკოგოლიანი ღვინო დადგება; თუ ამის მაგივრად ჩვენ გვინდა შევიტყოთ რამდენი წყალი უნდა მიემატოს 100 კილო ხმელ ყურძენს, რომ ისეთივე ღვინო გამოვიდეს, ჩვენ შეგვიძლიან ამ ჯორმულით გამოვიანგარიშოთ:

$$\frac{26,5}{100} = \frac{100}{x}; \text{ აქედან } x = \frac{100 \times 100}{26,5} = 377, \text{ მაშ } \text{ას კი-}$$

ლო ყურძენზე უნდა მიემატოს 377 ლიტრი წყალი; რადგანაც წინადა მოხსენებულ მაგალითში 100 ლიტრი წყალი უკვე მიემატებო 100 კილო ყურძენს გასაყენთად, ამისათვის სადღუღებელში მიემატება მხოლოდ დანარჩენი 277 ლიტრი წყალი.

თუ გვინდა, რომ ღვინო უფრო მაგარი დადგეს, ვთქვათ 120 ალკოგოლიანი, მაშინ 26,5 მაგივრად 39,6 ყურძენის რაოდენობაზე გამოვიანგარიშებო. ასე მომზადებული ხმელი ყურძენი, კარგად გაყენთილი, კარგად დასრესილი და საკმაო წყალში არეული შეადგენს იმ ტკბილს, რომელიც სადღუღებელში ჩაისხმება დასადღუღებლად. თუმცა ეს ტკბილი თავისთავადაც კარგა აღუღდება, მაგრამ სჯობს ამას სადღუღებელი დედა მიემატოს დუღილას მალე დასაწყებად. თუ რომელსამე სადღუღებელში უკვე დუღს ტკბილი, მაშინ დუღილის დედის მაგივრად ამ ტკბილს მიუმატებენ. ამას შემდეგ ამ ტკბილს ისეთივე მოვლა და თვალ-ყურის ჰერა უნდა, როგორც ნედლი ყურძენის ტკბილს. რასაკვირველია, ამას თქმა აღარ უნდა, რომ ხმელი ყურძენიდან ყოველგვარი ღვინის დაყენება შეიძლება, როგორც ჩვეულებრივი ნორმალური სასმელი ღვინის, ისე ლიქორიანის და შამპანურისაც. ვასაც როგორი ღვინო ჰსურს, ამ ყურძენის ტკბილს ისე მოამზადებს და ისე მოუვლის. ჩვენ ვისურვებთ, რომ ჩვენ საჭმობლოს არას დროს არ დასჭირდეს ხმელი ყურძენიდან ღვინის დაყენება. თუ სხვა ქვეყნებში ეს ღვინოები გავრცელებულია, ეს მხოლოდ ნება-უნებლიედ, ყურძენის სიცოცხლის გამო.

3) შამპანური ღვინო

რაც შეეხება შამპანურ ღვინოს, რომელიც ყოველთვის თეთრია, თუმცა კი ხშირად უფრო შავი ყურძნიდან მზადდება, ამ ღვინოს დაყენება უფრო ბევრად განირჩევა სხვაგვარ ღვინოების დაყენებისაგან. რთვლიდან დაწყებული ღვინოს შემთავრებამდნ ამ ღვინოს სულ სხვაგვარი მუშაობა და მოვლა უნდა. ამისათვის ამ ღვინოზე ცოტა უფრო ვრცლად მოვილაპარაკებთ, რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ადგილებში ამგვარი ღვინოს დაყენება ურიგო არ იქნება, მეტადრე ზემო-ქართლში და იმერეთში.

შამპანური ღვინო ნორმალური ღვინოდან განსაკუთრებით იმით განირჩევა, რომ ამ ღვინოში მომწყვედეული არის დრძეალო ნახშირის-სიმჟავე. ჯერ დაყენებენ ნორმალურ თეთრ ღვინოს და ბოთლებში ჩასხმის დროს მიუმატებენ შაქარს დუღილის დედით და ბოთლებს კარგად დაუცობენ. მიმატებული შაქრის განაწილება ბოთლებში აჩენს ნახშირის-სიმჟავეს, რომელიც შიგვე დარჩება ბოთლებში მომწყვედეული. ბოთლებში გაჩენილი ნახშირის-სიმჟავე პირველად თავის ნებით გაიხსნება ღვინოში, რადგანაც ყველა ღვინოს შეუძლიან თავის ტანში გახსნას რამოდენიმე ნახშირის-სიმჟავე. ამგვარად გახსნილი ნახშირის-სიმჟავის რაოდენობა დმოკიდებულია თვითონ ღვინოს თავისებაზე. როცა ღვინო მთლად შეზავდება, მთლად გაიყინება ნახშირის სიმჟავეთ, მაშინ ახლად გაჩენილი ნახშირის სიმჟავე იძულებული იქნება ღვინოდან ამოვიდეს, მაგრამ რადგანაც ბოთლი მაგრად დაცობილია, ის ჯერ საცობლის ქვეშ მოგროვდება ღვინის-პირა ჰაერით სავე ადვალში, ესე იგი ბოთლის ყელში. ამ ადგილს ლაზის სენაკს ეძახიან (Chambre). დაცობის შემდეგ ბოთლში ყოველთვის ჰაერი რჩება და ნახშირის-სიმჟავეც ამ ჰაერს მიემატება. ამის გამო ეს იძულებული იქნება ცოტად შეიკუმშოს და ბოთლში მყოფ ღვინოს და ლაზის სენაკის გვერდებს ზედ დააწვეს. ამ ზედ-დაწოლის გამო ღვინოში ახლად გაჩე-

ნილი ნახშირის-სიმყავე იძულებული იქნება შიგ ღვინოშივე დარჩეს, შიგ გაიხსნას, შიგ ჩაინთქას იმ დრომდინ, ვინემ ამის ზედ-დაწოლაც შეუსწორდება სენაკში მყოფ ლაზის ზედ-დაწოლას. ამას შემდეგ თუ კიდევ გაჩნდა ბოთლში ნახშირის-სიმყავე, ის კიდევ ამოვა სენაკში, უფრო შეიკუმშება და მაშასადამე უფრო იმატებს იმის ზედ-დაწოლის ძალა. ამგვარად დუღილის დაზოავრებამდინ ზედ-დაწოლის ძალა მატულობს როგორც სენაკში ისე ღვინოში. დუღილის გათავების შემდეგ ლაზის ზედ-დაწოლის ძალა მთელ ბოთლში ერთგვარი იქნება ერთი ძალისა და მაშასადამე მთელ ბოთლში როგორც სენაკში, ისე ღვინოში, ნახშირის-სიმყავე ერთ ხარისხზე იქნება შეკუმშული, ერთგვარი ზედ-დაწოლის ძალა ექნება. — წარმოვიდგინოთ, რომ ბოთლის დაცობის შემდეგ ლაზის სენაკში 15 კ. ს. ჰაერი დარჩა და დუღილის დამზავრების შემდეგ კი აქ მოგროვდა 75 კ. ს. ლაზი. რამდენად იმატა სენაკის ლაზმა? რასაკვირველია, ხუთჯერ, თუმცა კი იმას ესევე 15 კ. ს. ტანო შექს, ცხადია, რომ ეს ლაზი ამ სენაკში ხუთჯერ იქნება შეკუმშული და, მაშასადამე, ხუთი ათმოსფერის ზედ-დაწოლის ძალა ექნება¹⁾. რაღა თქმა უნდა, რომ ნახშირის-სიმყავე თვითონ ღვინოშიაც ხუთჯერ იქნება შეკუმშული და, მაშასადამე, ამასაც 5 ათმოსფერის ზედ-დაწოლის ძალა ექნება. თუ ესლა ამ ბოთლს პირს აეხდით, საცობელს ამოვადრობთ, მაშინ ამ ბოთლის ყელში შეკუმშვილთ ლაზი ერთბაშად გაგანიერდება, გაიშლება, თავის ნორმალურ ტანს მიიღებს, ესევე 75 კ. ს. გახდება. შეკუმშული ლაზის ამგვარი ერთბაშად და უეცრად გაგანიერება და გაშლა გამოიწვევს იპის აფეთქებას — ის შეარხვეს გარეშე ჰაერს და ეს არის ფეთქების მოვლენა. — რადგანაც ესლა ღვინოს ზედ აღარაფერი აწევს, სენაკში შეკუმშული ლაზის ზედ-დაწოლისაგან განთავისუფლებულია, ამისათვის ღვინოში გახსნილი, ღვინოში შეკუმშული ნახშირის-სიმყავეც გაგანიერდნება, ტანს იმატებს და ყველა მხრიდან, ღვინის ყვე-

¹⁾ ათმოსფერის, ზედ-დაწოლის ძალა უდრის 730 მ/მ (მილიმეტრი) ვერცხლის წყლის ზედ-დაწოლას ანუ 10,5 მეტრ (სიმაღლით) წყლის ზედ-დაწოლას (მეტრი თითქმის ერთ არშინ-ნახევარია).

ლა ნაწილიდან ამოვა, რადგანაც იქ ძალით იყო გახსნილი. ამონადენი ღაზი მრავალ და უთვალავ ბუშტებად იქცევა, ჩვეულებრივი ტკრციალით და ცქრიალით ამოვა ზედა პირზე და ღვინოს შეაქაფებს, ქაფი მოეკიდება. მაშასადამე, შამპანურ ღვინოს ქაფის ძალა, შექაფების თვისება ტანში აქვს გამჯღარი, ბოთლებშივე აქვს მოპოვებული. ამისათვის ფრანგებმა ამგვარ ღვინოს სახელად დაარქვეს *vin mousseux*—ღვინო, რომელიც აქაფდება; გერმანელები ამ ღვინოს ეძახიან ქაფოვან ღვინოს (*Schaumwein*), რაც სრულებით არ ხატავს ფრანგული სახელის აზრს; ამ აზრზე უფრო დაშორებულია რუსების „шипучее“ და ალბად ჩვენებური სახელიც „შუშუნა“ სამწუხაროდ აქედან არის გადმოღებული. ეს სახელი ნიშნავს მოძრაობის ხმას, შუშუნს, თუმცა კი ზოგიერთი ამ სიტყავს წარმოადგენენ სიტყვა დაშუშვიდან, როცა რამე სასმელი პირს შუშხავს, როგორც მაჭარი, ზელტცერის წყალი და სხვ. არც ერთი და არც მეორე მნიშვნელობა შესაფერი არ არის შამპანური ღვინოსათვის. შარტლა-და, სამწუხაროა, რომ ამისთანა ნაზს, ამისთანა ცხოველს, ამისთანა ცქრიალა და შესახებდავად სასიამოვნოდ მოტკრციალე ღვინოს ესეთი ტლანქი სახელი ერქვას, როგორც შუშუნა. თუ მაინც და მაინც ჩვენი სახელი გვინდა დავარქვათ, მაშინ სჯობს ისევე ცქრიალა ღვინო დაეუძახოთ—ეს უფრო დაახლოვებით გამოხატავს ამ ღვინოს დაუდგრომელ, მაგრამ ნაზს და ეუყუნა მოძრაობას. თუ რომ სხვა ვინმე კარგად ქართულის მცოდნე უყრო შესაფერი სახელს მოიფიქრებს, მაშინ ხომ ის უფრო კარგი და სასიამოვნო იქნება. ფრანგული სახელი არც ქაფიან და არც შუშუნა ღვინოს არა ნიშნავს, არამედ იმისთანას, რომელსაც მხოლოდ აქაფების ძალა და თვისება აქვს მოპოვებული.

ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რომ ნახშირის-სიმჟავე, ყოველგვარ ტკბილის დუღილში ჩნდება; ყოველი ტკბილი, ყოველგვარი ყურძნის წვენი და ან შაქარ-მიმატებული ღვინო წყაროა ამ ნახშირის-სიმჟავისა. აქედან ცხადია, რომ ყოველგვარ ღვინოს შეეძლება ქაფის ძალის მოპოვება, მაგრამ გამოცდი-

ლებამ გამოარკვია, რომ ყოველგვარ ღვინოს არ უხდება ქაფის ძალა, ყოველგვარი ტკბილიდან არ დადგება კარგი ქაფის მომგდები ღვინო. საზოგადოდ ცნობილია, რომ ქაფის ძალას არ ითვისებს არც ხმელი და არც ნედლი ღვინო. ამის წინააღმდეგ დაშაქრული ცოტად მყავე ღვინო, ცოტად მკვახე გემოს ღვინო უფრო შესაფერია, ამას უფრო უხდება ეს ძალა; ამგვარი ღვინო უფრო კარგად და სრულიად შეიძენს ყველა იმ სხვა და სხვა თვისებას, რომლითაც განთქმულნი არიან შამპანური ღვინოები. მაშასადამე. ამგვარი ღვინისთვის უფრო გამოსადეგი იქნება იმერული და ზემო ქართლის ღვინოები. ახლა მოკლედ ავწერთ ამ ღვინის დაყენებას. წინადაც ვთქვი და ეხლაც გავიმეორებ, რომ შამპანიაში ჯერ ჩვეულებრივ ნორმალურ თეთრ ღვინოს აყენებენ და შემდეგ, ბოთლებში ჩასხმის დროს, ამ ღვინოს შაქარს უმატებენ, რომლის დუღილიც ნახშირის-სიმყავეს გააჩენს და ეს ნახშირის-სიმყავე ბოთლშივე დარჩება.

შთგება. შამპანიაში გავრცელებულია სხვა-და-სხვა ჯიშის ყურძენი და განსაკუთრებით სხვა და სხვა ფერის Pinot (შავი, წითელი, თეთრი, ნაცრის ფერი და სხვ.). იქ ყურძენს რთველში დიდის დაკვირვებით ჰკრეფენ და დიდის სიფრთხილით გადააქვთ საწნახელში, რომ გზაში სრულებით არ დაისრისოს. ყურძენი ან ზურგიით, ან ცხენებით, ან ვირებით მიაქვთ. მატანილ ყურძენს საქაჯავში ჩააწყობენ და ან იმავე ღამეს გამოსწურავენ, თუ, რასაკვირველია, დღისით მოკრეფილი ყურძენი საკმარისია, და ან მეორე დღეს. შამპანიაში ჩვეულებრივ დიდრონ საქაჯავებს ხმარობენ, ასე რომ თითო 4,000 კილო (237,5 ფუთი) ყურძენი უნდება. საქაჯავის ვალია ფართო და განეგრია, რომ ყურძენი სქლად არ იყოს დაფენილი და მალე გამოიწუროს. ტკბილი და ქაჭა დიდ ხანს არ უნდა დარჩნენ ერთად—ტკბილი შეიღებება. პირველი გამოწურვით 2000 ლიტრი ტკბილი გამოდის და ამისგან დაყენებულ ღვინოს საუკეთესო ღვინოს (vin de choix) ეძახიან. ამ ტკბილს ცალკე შეინახავენ. რადგანაც პირველი გამოწურვის დროს ზოგიერთი მტევნები საქა-

ჯავს გამოეცლება, ამისათვის ეხლა ამ მტეენებს მოჰკრეფენ და მიუმატებენ საქაჯავის ქვეშ მყოფ ყურძენს და კიდევ გამოსწურავენ (le tailles). ამ ოპერაციას მეორედაც გამეორებენ და ამ ორივე გამოწურულ ტკბილს ერთად აურევენ და ცალკე შეინახავენ. საქაჯავში მყოფი ყურძენი ეხლა ძალიან შეკუმშული და შეტკეპნილია და ამიტომ ამ ყურძენს გადმოაბრუნებენ, გაჩეჩავენ (rebeche) და კიდევ გამოსწურავენ. ამ უკანასკნელ ტკბილსაც ცალკე შეინახავენ და სხვაგვარი ღვინის დასაყენებლად მოიხმარებენ — ეს მეოთხე ნაწერი შამპანური ღვინისთვის არ ვარგა, რადგანაც მწკლარტე და შეღებილია; მამპანური ღვინის დასაყენებლად მხოლოდ ორი ტკბილი იქნება, ერთის მხრივ პირველი გამოწურული და მეორეს მხრივ — მეორე და მესამე ერთად შერეული, ამათ ცალ-ცალკე დაადუღებენ.

შემსახავი ჭურჭლიდან ტკბილს სადუღებელში ჩაასხამენ (ჩანა, ბოჩკა, ქვეერი) ან სასრუტის შემწეობით და ან ჩაფებით. ამ სადუღებელში ტკბილი შეისვენებს 12 საათს (მეტი არა), რომ დაიწმინდოს; თუ ტალახი და ქვიშა ჰქონდა შერეული, გამოეცალოს და დაილეკოს (შამპანიაში მოკლე-რქიანი ვაზია გაშენებული და ამისთვის მტეენები ხშირად მიწას ხვდებიან). ამ 12 საათის განმავლობაში ტკბილი ქაფს მოიკიდებს; ქაჭიდან და ყურძნის გულიდან შერეული ნამცეცები და აგრედვე აზოტიური და წებოვანი ნივთიერებანი ტკბილის ზედაპირზე მოიქცევიან (cotte); ამ ქაფს მოხდიან და ტკბილს სხვა ბოჩკებში გადაიღებენ (de pôtage, de bourbade); ეს ბოჩკები გოგირდით ნაბოლგები უნდა იყვნენ. თუ ტბილი ცოტაოდენად შეღებილი იყოს, გოგირდის ბოლი ფერს გამოაცლის და ამასთან ბოჩკის გასაწმენდადაც ხომ კარგია. ბოჩკების გოგირდით შებოლგებას; დიდი სიფრთხილე უნდა, რადგანაც თუ ნამეტანია, მაშინ დუღილის დედაც შეაწუხებს. ბოჩკებს, რასაკვირველია, მილად არ გაავსებენ. ამ დროს შაქრის რაოდენობა უნდა იყოს შეტკეპილი ტკბილში; თუ ამას შაქარი აკლია, ეს ნაკლი უნდა შეივ-

სოს, შაქარი მიემატოს¹⁾; შაქარს პირდაპირ არ მიუმატებენ, არამედ ღვინოში გახსნილს ანუ, როგორც ამას ეძახიან, ლიქორის რაოდენობა დამოკიდებულია შაქრის რაოდენობაზე თვითონ ტკბილში. შამპანიაში ტკბილს 10^0 სიმჭირხნე (სისქელე) აქვს და მაშასადამე დაყენებულ ღვინოსაც 10^0 ალკოგოლი ექნება. ამ შაქრის და ალკოგოლის რაოდენობით შამპანიაში დიდ ხანს კმაყოფილდებოდნენ; ლიქორს მხოლოდ მაშინ უმატებდნენ, როცა ტკბილში შაქარი ამაზე ცოტა იყუ. ახლა კი დრო გამოიცვალა და ამასთან მოთხოვნილებაც. ვაჭრებმა ეხლა უფრო ბევრ-ალკოგოლიანი ღვინო მოითხოვეს, მეტადრე თუ ღვინო სხვა ქვეყნებისაუვის მზადდება. ტკბილი ეხლა უფრო ბევრ-შაქრიანი უნდა იყოს იმ ვარაუდით, რომ დაყენებულ ღვინოში $11^0,5$ ან 12^0 ალკოგოლი იყოს. ამაზე მეტი შაქრიანი ტკბილი კარგად ვერ დადულდება, შაქრის განაწილება არ დასრულდება. გამოკვლეულია, რომ თუ შამპანიურ მარნებში ღვინოს 12^0 -ზე მეტი ალკოგოლი გაუჩნდა, მაშინ დუდილის დედა გაბრუვდება, ველარ იმუშავებს და დაილექება. მაშასადამე, საჭიროა ლიქორის მიმატებამდინ ტკბილში შაქრის რაოდენობა იყოს შეტყობილი და შაქარი იმ ვარაუდით მიემატოს, რომ დადულების შემდეგ იმ ღვინოში $11^0,5$ — 12^0 ალკოგოლზე მეტი არ იყოს. წარმოვიდგინოთ, რომ ტკბილში მყოფი შაქარი მარტო 10^0 ალკოგოლს მოგვცემს და ჩვენ კი გვჩნდა, რომ ღვინოში $11,0^0$ ალკოგოლი იყოს. მაშინ ამ ტკბილს იმდენი შაქარი უნდა მიემატოს, რომ იმისგან $1^0,5$ ალკოგოლი გაჩნდეს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ერთი გრამი შაქარი დადულებით $0,59$ კ. ს. ალკოგოლს იძლევა; აქედან ადვილად შევეძლიან გამოვიანგარიშოთ, რამდენი შაქარი უნდა მიემატოს ერთ ლიტრ ტკბილს 1^0 ალკოგოლის გასაჩენად ამ ფორმულით: $\frac{1}{59} \cdot 1000 = 17,$

¹⁾ ჩვეულებრივ შაქრის ნაკლის შესავსებლად კალონიურ შაქარს, სულის შაქარს ხმარობენ; ჭარხლის შაქარი არ არის კარგი, რადაცა უდგემოს აძლევს; თუ კალონიური შაქარი არ მოიპოვება, მაშინ ნება-უნებლიედ ჭარხლის შაქარსაც ხმარობენ, მაგრამ მაშინ ეს ძალიან წმინდა უნდა იყოს და მეტადრე ლილით არ იყოს შეღებილი.

მაშასადამე, ამ ტკბილს ერთი გრადუსი ალკოგოლის გასაჩენად ლიტრზე 17 გრამი შაქარი უნდება და რადგანაც ჩვენ გვინდა, რომ 1,5 ალკოგოლი გაჩნდეს, ამიტომ ამაზე უფრო მეტი მოუნდება: 17. 1,5 = 25,5 გრ. კიდევ გავიმეორებთ, რომ სადღეობელი ჭურჭელი ტკბილით სავსე არ უნდა იყოს, რომ დუღილის (bouillage) დროს ეს ტკბილი ტყუილ-უბრალოდ არ დაიღვაროს, ბოჩკიდან არ ამოვიდეს. ტკბილის ჩასხმის შემდეგ სადღეობელი ბოჩკის ანუ ქვევრის პირს ან ვაზის ფოთლებით და ან გიდრაველური საცობლით დახურავენ; ამგვარად ნახშირის-სიმეჩავე თავისუფლად ამოვა და რაჟე მავნებელი ფერმენტი კი ვერ ჩაატანს.

სადღეობელ მარანში ტემპერატურა 24⁰—25⁰ უნდა იყოს; ამ გარემოებაში აღელვებული დუღილი მალე გამოჩნდება და სამ-ოთხ დღეში გათავდება, ტკბილი დაწყნარდება და დუღილიც თანდათან დანელდება. დუღილის დაწყნარების დაგვარად სადღეობელ ჭურჭელს თანდათან შეავსებენ და ბოლოს, როცა დუღილი მთლად შესწყდება, როცა ნახშირის-სიმეჩავის ბუშტების ტკრციალი სრულიად აღარ ისმის, მაშინ ჭურჭელს მთლად გაავსებენ. თუ დუღილის დროს სადღეობლის პირიდან ღვინო ან ქაფი გადმოიღვარა, მაშინ ეს ჭურჭელი გარედან კარგად უნდა გაირეცხოს, რომ ობი არ მოეკიდოს. ამ დროს ღვინო ჯერ ისევ მღვრივეა; შიგ იმდენი დუღილის დედა არის, რომ ღვინოს თეთრი, რძის ფერი აქვს. ამ გარემოებაში ეს ღვინო ორი კვირა ან ერთი თვე უნდა დარჩეს და ჭურჭელიც ისევე უნდა იყოს დახურული, როგორ წინედ. თვის განმავლობაში ჩუმი დუღილიც დამთავრდება, ყველ გვარი მოძრაობა შესწყდება, და ღვინც თანდათან გაცივდება, გარეგან ტემპერატურას მიიღებს, მაშასადამე, ტანს იკლებს. ეხლაც შეავსებენ ბოჩკებს ან ქვევრებს. თუ რომელიმე ჭურჭელი ვაზის ფოთლით იყო დახურული, იმასაც გიდრაველიური საცობით დაუტოებენ და ამ გარემოებაში შეინახავენ. დეკემბერში ან იანვარში, როცა სიცივე დადგება, მარნის კარებს და ფანჯრებს გააღებენ, რომ ტემპერატურამ იქაც დაიწიოს და

ღვინოც გაცივდეს, სიცივის ზედმოქმედებით ღვინო კარგად დააწმინდება; იმას გამოეცლება მრავალი მარილოვანი დაორგანული სხეულები და დაილეკებიან; ახლა ღვინოს გადაიღებენ და თხლეს მოაცლიან. გადაღების დროს დაცარიელებული ქურქელი მაშინვე უნდა გაირეცხოს და გაიწმინდოს, რომ სრულყოფით მოშორდეს გვერდებზე მიკროული თხლე და დუდილის დედა. ამგვარად გაწმენდილ ქურქელში ჩაასხამენ გადმოღებულ ღვინოს და ყოველ ბოჩკას ცოტაოდენ წმინდა ალკოგოლისაჲ მიუმატებენ, რადგანაც გადმოღების დროს ღვინოს ცოტაოდენი ალკოგოლი აკლდება. ეხლაც ბოჩკებს კარგად შეავსებენ და გერმეტიულად დახურვენ. ეხლა ტკბილი ღვინოდ არის გადაქცეული, დაწმენდილია და გამკვირვალი, მაშ კარგი მასალაა შამპანური ღვინისთვის. დაყენებულ ღვინოს ეხლა კარგად გასინჯავენ მისი თვისების და ღირსების შესატყობად. ამას დიდი მოშხადება და ყურადღება უნდა: ჯერ ბოჩკებს დაათვალიერებენ, რიგზე ჩამოაწყობენ მათში შენახული ღვინის ჯიშის დავარად; შეიტყობენ, რამდენი და როგორი ღვინოა წინა წლიდან დარჩენილი, რამდენი ახალია და რომელი ვენახის და ვაზის ჯიშისა. ყველა ბოჩკას თავისი ნიშანი აქვს და ამ ნიშნით დავთარშია ჩაწერილი ღვინის თვისება, ღირსება და ნაკლულევაება. ახლა დაიწყებენ ახალი ღვინის შედგენას. მათი ერთმანეთში შერევით; ყველა ბოჩკების დავთრები ერთად მოგროვილია და გაშლილი. აქვეა სხვა-და-სხვა გვარი ღვინის სასინჯავი სტაქნები, სხვა-და-სხვა ამოწყული და ნიშნებით განაწილებული ქურქელი: პიპეტები, ბიურეტები, ლიტრები და სხვანი. ყველა ეს რიგზეა დაწყობილი ცალკე ოთახში. ეს ოთახი წმინდათა-წმინდაა ღვინის მსინჯველებისთვის. ისინი დილით ადრე შეიკრიბებიან, შესჯამენ თითო ვაშლს (pomme d'api—წითელი ვაშლი) და სიჩუმე ჩამოვარდება. ყველა ღვინო ნაგემებია (goutée) და მათი ღირსება დავთარშია ჩაწერილი: ესა და ეს ღვინო პირველ რიგში იქნება, ესა და ეს მეორეში ან მესამეში; ესა და ეს უნდა შეინახოს მომავალისთვის. გემოვნებას და სინჯვას ძველი ღვინოებიდან

დაიწყებენ, ცოტაოდენს ჩაასხამენ ამოწყულ სტაქანში, რომლის ტანიც ნიშნებით განაწილებულია, მიუმატებენ სხვა-დასხვა ჯიშის და ხარისხის ღვინოებს, — ამათაც აწყულებს; გამოიკვლევენ რამდენი რომელი ღვინისა უნდა მიემატოს, თუ გემოსთვის, თუ ბუკეტისათვის და თუ ღონესთვის. ერთი სიტყვით, ახლა აქ გადასწყდება მომავალი, შამპანური ღვინის შედგენილება და ამასთან, რასაკვირველია, იმის ღირსებაც. ყველაფერი გასინჯულია, აწონ-დაწონილია, გამოანგარიშებულია და ყველა ეს ციფრებით დაეთარში არის ჩაწერილი: ღვინო უნდა შესდგეს ამა და ამ ღვინოებისგან, ამდენი და ამდენი ბოჩკებით, — დანარჩენი კი შეინახება შემდეგ მოსახმარებლად. — შამპანური ღვინის შედგენაში სხვა-დასხვა ყურძნის ჯიშის ღვინოს და მათ სხვა-დასხვა რაოდენობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამისათვის ღვინოების მსინჯველნი დიდად დახელოვნებულნი უნდა იყვნენ ამ საქმეში.

ბოჩკების ერთად შეკრება (assemblage). ჩვენ წინადა ვუჩვენეთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინოების ჯიშის ამორჩევას და მათ რაოდენობას ერთგვარი მომავალი ღვინის შესადგენად. ამორჩეული ღვინოები აწყულები უნდა აირიოს ერთმანეთში ერთ ჭურჭელში. ეს, რასაკვირველია, ძნელი არ არის; როგორც გადაწყვეტილია ღვინოების მსინჯველებისგან, იმ ზომაზე აიღებენ ყოველგვარ ღვინოს. თუ არის რამე აქ საძნელო — ეს მხოლოდ ამორჩეული და აწყული ღვინოების ერთმანეთში კარგად შერევა, თუ, რასაკვირველია, მარანში ღვინოები ისე ბლომად არის, როგორც შამპანიაში ღვინის დამყენებელის მარანში. აქ ისეთი მარანი არ არის, რომ 12,000 ბოჩკა ღვინო არ იყოს (თითო ბოჩკაში 200 ლიტრი). ამოდენა ღვინოს ასად ანაწილებენ და, მაშასადამე, თითო ჭურჭელში 120 ბოჩკა უნდა ჩაისხას (24,000 ლიტრი) და ისე კარგად უნდა აირიოს, რომ ყოველ ჭურჭელში და შემდეგ ყოველ ბოთლში ერთგვარი, ერთი შედგენილების ღვინო იყოს. ამ მუშაობის გასაადვილებლად და შეცდომის ასაცილებლად ყველა ბოჩკებს ერთ ადგილს მოაგროვებენ; ბოჩკებს გადმოიტანენ ერთ ცარიელ და ფართო

მარანში, სხვა-და-სხვა ჯიშის და ღირსების ღვინოებს რიგზე ჯგუფ-ჯგუფად დააწყობენ; თითო ჯგუფში იმდენი ბოჩკა უნდა იყოს და იმ ღვინოების ჯიშისა, როგორც გადაწყვეტილია, ასე რომ თითო ჯგუფი შეადგენს ერთ ჭურჭელში ჩასასხმელ ღვინოს, ერთ თუდრში. ასე გარიგებული ბოჩკები მზად არიან ღვინის შესადგენად ანუ ერთ ჭურჭელში შესარევად, მაგრამ ამ შერევაშემდეგ ღვინოს ტანინი უნდა მიემატოს.

ღვინისთვის ტანინის მიმატება (Tanage de vin). ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყურძენი მოკრეფის უმალვე იყო გამოწურული და ტკბილიც უქაჭოდ იყო დაღუღებული; მაშასადამე, ამ ღვინოში ტანინი არ უნდა იყოს. თუმცა შამპანური ღვინო თეთრია, მაგრამ იმის დაყენება უტანინოდ არ ვარგა; ტანინის ნაკლს განსაკუთრებითი ვნება შეუძლიან მოუტანოს შამპანურს ღვინოს და ამისათვის უეჭველად საჭიროა ტანინის მიმატება. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ღვინოში რჩება ზოგიერთი იმისთანა ორგანული ელემენტის და ალბუმინის დაგვარი ნივთიერება, რომელიც თუ დიდ ხანს დარჩა ღვინოში, ღვინოს დაასნეულებს ერთგვარი სენით, რისგამოც ღვინო გასქელდება, როგორც ამბობენ, გასუქდება (la graisse). ღვინის ამგვარ ავადმყოფობაზე ჩვენ შემდეგ გვექნება საუბარი, როცა საზოგადოდ სხვა-და-სხვა ღვინის ავადმყოფობას გავარჩევთ, ეხლა კი ამას ვიტყვი, რომ ტანინი იმდენი უნდა მიემატოს, რომ ღვინოს გამოაცალოს ეს აზოტური ნივთიერებანი. ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რომ ტანინი ადვილად უერთდება ამ სხეულებს და ამ შეერთებისგან გაჩენილი სხეული ღვინოში აღარ იხსნება. მაშასადამე, ტანინიც და აზოტური ნივთიერებანიც ერთად გამოეცლებიან ღვინოს და ღვინის ავადმყოფობის შიში აღარ იქნება. ამას გარდა ტანინი იმ ანგარიშით უნდა მიემატოს, რომ შემდეგ შეიძლებოდეს ამ ღვინის წებოთი დაწმენდაც. რა მნიშვნელობაცა აქვს წებოს და რავგარადაც ის ტანინს უერთდება, ამაზე ხომ ჩვენ უკვე გვექონდა ლაპარაკი, როცა საზოგადოდ ღვინის დაწმენდაზე გვექონდა ლაპარაკი. რასაკვირველია, ტანინის გადამეტებაც არ ვვარგე-

ბა, რადგანაც, როგორც ვიცით, ტანინს მწკლარტე და მწარე გემო აქვს, ამას ღვინოსაც გადასცემს და იმის ნაზ გემოს აწყენს და წაახდენს. ამასთან ესეც კი უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ წებოთი დაწმენდის შემდეგ ღვინოში ცოტადენი ტანინი კიდევ დარჩეს; ეს ნამეტი, ცოტად ნამეტი შემდეგ ძალიან უშველის ღვინის დაწმენდას ბოთლებში, თხლე ფხვიერი და ადვილად მოსაცილებელი იქნება. შამპანიაში ერთ ზოჩკას, ე. ი. 200 ლიტრ ღვინოს ხუთი გრამიდან ათ გრამამდე ტანინს უმატებენ, ასე რომ თითო ლიტრში 0,025 გრამიდან 0,05 გრამამდე ტანინი იქნება. სამწუხაროდ, ეს ზომა არავითარ გამოკვლევაზე არ არის დაფუძნებული და ამისათვის ძნელია გადაწყვეტით ითქვას, საკმარისია, თუ ან მეტი და ან ნაკლები. ტანინი, რასაკვირველია, ძალიან სუფთა და წმინდა უნდა იყოს და ყველას ემჯობინება ყურძნის კურკებიდან ამოღებული ტანინი.

კუზაჟი ანუ ღვინოების შერევა და დაწმენდა. ტანინის მიმატების შემდეგ ბოჩკებს კარგად დაუცობენ და აიტანენ ერთ დიდი ფულრის პირას, რომელშიაც ჩადგმულია დიდი ძაბრი; ამ ფულრში, როგორც ვთქვით, ეტევა 120 ბოჩკა ანუ 24,000 ლიტრი ღვინო, ეს ფულრი ფიცრებით დახარაჩოებულია, ასე რომ ხუთი-ექვსი ბოჩკის ერთად ატანა და ჩასხმა ადვილი მოსახერხებელია ერთსა და იმავე დროს.—შიგ ფულრში ჩაკეთებულია ღვინის სარევი (agitateur), რომლის შემწეობითაც შიგ ჩასხმული ღვინო კარგად აირევა. უფრო უმჯობესი იქნება, თუ ღვინოებს ფულრში სასრუტის შემწეობით გადაიღებენ, მაშინ ხარაჩოს გაკეთება საჭირო აღარ იქნება. კარგად არევის შემდეგ კუზაჟი გათავებულია, უხლა ერთგვარი ღვინო იქნება ფულრში. ახლაც გასინჯავენ ღვინოში ალკოგოლის რაოდენობას და თუ აკლია, მიუმატებენ, რომ 11,0⁵—12⁰ ალკოგოლი იყოს ღვინოში. ამას შემდეგ ფულრიდან ღვინოს ისევ იმავე ბოჩკებში გადაასხამენ და თევზის წებოს აქ მიუმატებენ. ამ ღვინის დაწმენდაზე ჩვენ ხომ უკვე გვქონდა ლაპარაკი და მასადავმე გამეორება საჭირო აღარ არის. ეს კი უნდა ვთქვათ,

რომ შამპანური ღვინის დასაწმენდად მხოლოდ მარტო თევზის წებოს ხმარობენ. სხვა დამწმენდავი მასალა არ იხმარება, არც კვერცხის ცილა, არც ჟელატინი და არც სხვანი. აიღებენ 200 გრ. წებოს (თითქმის ნახევარი გირვანქა), ცოტ-ცოტაობით მიუმატებენ 20 ლიტრ ღვინოს და კარგად შენჯღრევენ ანუ გასათქვეფამენ წმინდა ცოცხით, ან სხვანაირად როგორმე. სამი-ოთხი ღლის განმავლობაში წებო კარგად გაიჟინთება და ღვინოში გაიხსნება. ამ ხსნილს ცხავში გაატარებენ და კიდევ მიუმატებენ 80 ღვინოს. ახლა ნახევარი ბოჩკა წებოს ხსნილია და ეს საკმარისი იქნება 50 ბოჩკის დასაწმენდად, ესე იგი ორი ლიტრი ამ ხსნილისა 200 ლიტრ ღვინოს მიეცემა; წებოს მიმატების შემდეგ ღვინოს კარგად აურევენ, შენჯღრევენ. ამ ღვინოში გახსნილ წებოს ზოგნი სამზარეულო მარილს და ხან კრემორტარტარს უმატებენ. მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს კარგი არ არის. თუ საჭიროა, სჯობს თეთრი თიხა (კაოლინი) მიემატოს, მაშინ უფრო მალე დაიწმინდება. რალა თქმა უნდა, რომ რადგანაც ღვინის დაწმენდა ტანინის და წებოს ქიმიურ შეერთებაზე არის დამოკიდებული, ამისათვის საჭიროა ეს წებო ღვინოს ყველგან მოხვდეს და მაშასადამე, ტანინსაც, რომელიც ამ ღვინოშია გახსნილი. მაშასადამე, ღვინო და წებო კარგად უნდა აირიოს, ასე ვთქვათ, შეიდღვიბოს. თუ ღვინოში წებო დარჩა და ტანინის შებწეობით მთლად არ გამოეცალა, ეს წებო შემდეგში ძალიან აწყენს ღვინის სიწმინდეს. ამისათვის წებო-მიმატებულ ღვინოებს ისევ ფულდრში ჩაახხამენ, კარგად აურევენ სარევით და ამას შემდეგ ისევ იმავე ბოჩკებში გადაიღებენ და კარგად შეევისებენ. ბოჩკების პირს კარგად დაუცობენ და სარდაფში ჩაიტანენ. პირველი რიგი ბოჩკებისა ერთ ადგილას იქნება დაწყობილი და ყველა ბოჩკას ეხლა ერთგვარი ნიშნები ექნება დასხმული. შამპანიაში ამ პირველ რიგ ბოჩკებს ნიშნავენ ასოთი A. ახლა სხვა ბოჩკების შერევას შეუდგებიან, ტანინს და წებოს მიუმატებენ და ამათაც სარდაფში გადაიტანენ; ბოჩკების ამ რიგს სხვა ნიშანს, სხვა ასოს—B დაასმენ და ეგრედ შემდეგ შიაც სხვა რიგებს დანიშნავენ სხვა ასოებით C, D და სხვ.

შაქრის მიმატება და ბოთლებში ჩასხმა (Tirage). როგორც ვიცით, გაზაფხულზე მთელი ბუნება ცხოველდება; ღვინოზედაც მოქმედებს გაზაფხული; ის არსებანი, რომელთა შემწეობითაც ღვინო დადულდა, დუღილის დედა გამოდის თავისი გაბრუნებული მდგომარეობიდან, იღვიძებს და თუ შაქარი მიეცა, ისევ დაიწყებს ცხოვრებას და მოქმედებას. ეს დრო არის ამორჩეული შამპანური ღვინოების ბოთლებში ჩასახმელოდ.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ სარდაფში ეხლა სხვა-და-სხვა რიგი ბოჩკებია და ყველა რიგში ერგვარად შედგენილი ღვინო არის და ამასთან თითო რიგი თითო ასოთი არის დანიშნული A, B, C, D და სხვანი. ყველა ამ რიგებიდან აიღებენ ერთ რიცხვ ბოჩკებს და დიდ ფუდრში ჩაასხამენ; ეხლა ბოჩკებს სხვა-და-სხვა რიგიდან იმიტომ იღებენ და ერთ ფუდრში ასხამენ, რომ ღვინო კიდევ კარგად აირიოს და ერთგვარი გახდეს, თუ ვინიცობაა წინანდელმა შერევამ რამე ნაკლებე-ვანება შეიტანა. რადგანაც ეხლა ყველა ფუდრში უეჭველად ერთგვარი ღვინო იქნება, ამისათვის ბოთლებში ჩასხმული ღვინოც, რასაკვირველია, ერთგვარი უნდა იყოს.

აქამდინ ხომ ღვინო სარდაფში იყო, მაშ სიგრილის გამო კარგად იქნება დაწმენდილი. მთელი თხლე ჭურჭლების ძირში იქნება მოქცეული. ახლა ღვინოს გადაღება უნდა ამ თხლის გასაშორებლად. ამ თხლეში, რასაკვირველია, დუღილის დედაც არის გარეული და მოელის შაქარს მოქმედების დასაწყობად; დუღილის დედა ჯერ კიდევ საჭირო არის, ამან უნდა გააჩინოს შამპანურ ღვინოში ჭაფის ძალა (mousse) იმ შაქრის განაწილებით, რომელსაც ეხლა მიუმატებენ. საჭიროა, რომ დუღილის დედა ღვინოშიც იყოს და ეს ხომ ძნელი მოსახერხებელი იქნება ღვინის აუმღვრეველად. მაშ საჭიროა, რომ ან ღვინო მთლად დაწმენდილი არ იყოს გადმოღებულის, რომ მთელი დუღილის დედა თხლეში არ დარჩეს და ან გადაღების დროს ღვინო ცოტად უნდა შეიმღვრეს. უამისოდ ღვინო მოკლებული იქნება სადუღებელ დედას. ხშირად ბევრი კარგი ღვინო გაფუჭებულია, თუ ძალიან დაწმენდილი გადაუღიათ.

მაგრამ ამასთან ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ რამდენადაც ცოტა იქნება ღვინოში სიმღვრივე, იმდენად ცოტა ლექი გაჩნდება ბოთლებში; ამისთვის, რასაკვირველია, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ბოთლებში ჩასხმის დროს ღვინო სრულებით მღვრივე არ იყოს — მაშინ ღვინო უფრო კარგად შეინახებოდა. ერთი სიტყვით, არც სიმღვრივე არის კარგი და არც უდედობა; თუ ბოთლებში ჩასხმული ღვინო მღვრივეა, ის მალე გაფუჭდება და თუ დაწმენდილია, იმას დუღილის დედა არ ექნება და მაშინ მშვიდობით შეამზანურო! შექარი არ დადუღდება, არ განაწილდება და ღვინოს აქაფების ძალა არ ექნება და მაშასადამე ეს მაშინ ხომ თეთრი ტკბილი ანუ ნედლი ღვინო იქნება და არა შამპანური. შეცდომის ასაცილებლად ბოთლებში ჩასხმის წინედ ღვინო მიკროსკოპით უნდა გაინიშგოს და თუ დედა აკლია, მაშინ ნება-უნებლიედ ღვინო ცოტაოდენად უნდა აიმღვრეს, მაგრამ უფრო კარგი იქნება ამღვრევის მაგივრად ღვინო ისევ დაწმენდილი იყოს გადაღებული და ამორჩეული დედა ჰქონდეს მიცემული. ამისათვის ასე მოიქცევიან: ყველა ბოჩკებს, ერთის გარდა, ფუდრში წმინდად გადაიღებენ, რომ არ აიმღვრეს, დანარჩენ ბოჩკას ცალკე სუფთა ბოჩკაში გადაიღებენ, შექარს მიუმატებენ და არჩეულ დუღილის დედას მისცემენ. როცა ამ ბოჩკაში დუღილი გაძლიერდება, მაშინ ამ ღვინოს მიუმატებენ ფუდრში მყოფ ღვინოს საჭირო შექარის მიმატების შემდეგ.

ახლა, როცა ღვინოში დუღილას დედა საქარისია, საჭიროა ცოტაოდენი ჰაერიც მიეცეს, რომ დუღილის დედა გაახლდეს და აღორძინდეს; თუ დუღილის დედამ ცოტაოდენი ჟანგ-მზადი არ ჩაისუნთქა, ის კარგად არ გამრავლდება და კარგად არ იმუშავებს. ეს ჰაერი ღვინოში ჩადის სხვა და სხვა ოპერაციის დროს — ღვინის გადაღების დროს, არევის დროს, ბოთლებში ჩასხმის დროს და სხვანი, ამისათვის ცალკე ჰაერის ჩაბერვა საჭირო არ იქნება.

ხშირად დაწმენდილ ღვინოს პირდაპირ ფუდრში არ გადაიღებენ, არამედ ჯერედ ისევ ბოჩკებში, რომლებსაც კარგად

გაავსებენ და სარდაფშივე ცოტა ხნით შეასვენებენ. ერთი კვირის შემდეგ სარდაფიდან მარანში ამოიტანენ და ჩაახსამენ დიდ ფუღრში, რომელშიაც მიემატებენ იმ შაქრის რაოდენობას, რომელიც საჭიროა აქაფების ძალის მოსაპოვებლად.

რამდენი შაქარი უნდა მიემატოს ღვინოს? შაქრის მიმატებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ცოტა ძნელიც არის, რადგანაც ამ შაქრის ზომაზეა დამოკიდებული ღვინის ღირსება. თუ შაქარი ცოტა მიემატა, მაშინ ღვინოს აქაფების ძალა სუსტი ექნება და გასაყიდად ფასი არ ექნება; თუ შაქარი ბევრია მიმატებული, მაშინ გადამეტებული ნახშირის-სიმჟავე გაჩნდება ბოთლებში, იმის ზედ-დაწოლას ბოთლი ვერ აიტანს და გასკდება. მაშასადამე, შაქრის მიმატებას დიდი სიფრთხილე და დაკვირვება სჭირს. ახლა გავსინჯოთ, რა საფუძველზეა დაფუძნებული მისამატებელი შაქრის ზომა:

ღვინოს რომ არ შესძლებოდა თავის ტანში ნახშირის-სიმჟავის გახსნა, ამ ღაზით გაჟენთა, მაშინ ძალიან ცოტა ნახშირის-სიმჟავე ეყოფოდა ბოთლის საცობლის ასაფეთქებლად; ამისთვის საკმარისი იქნებოდა მხოლოდ რამდენიმე კუბიკური სანტიმეტრი შეკუმშულიყო ღაზის სენაკში. ღვინოში რომ ბოთლების ჩახსმის დროს 2⁰/₀ შაქარი ყოფილიყო გახსნილი, მაშინ დუღილის გათავების შემდეგ გაჩნდებოდა 300 ატმოსფერის ზედ-დაწოლის ძალა. რაღა თქმა უნდა, რომ ვერავითარი ბოთლი ამ ძალას ვერ გაუძლებდა და სულ ნამცეცებად დაიმსხვრეოდა. ამის წინააღმდეგ, ღვინოს რომ შესძლებოდა დიდძალი ნახშირის-სიმჟავის გახსნა, უთვალავი და უზომო რაოდენობისა, მაშინ რაც უნდა ბევრი შაქარი ყოფილიყო ბოთლში, იმაში არავითარი ზედ-დაწოლის ძალა არ გაჩნდებოდა და ამისგამო, რასაკვირველია, ღვინოსაც არავითარი ქაფის ძალა არ ექნებოდა. ღვინის შესახებ არც ერთი ითქმის და არც მეორე; ღვინოს თუმცა შეუძლიან თავის ტანში ნახშირის-სიმჟავის გახსნა, ხანდახან კარგა ბლომდაც, ღვინის თვისების და სხვა-და-სხვა გარემოების დაგვარად, მაგრამ ამ მხრივ ეს ძალა უსახდგრო არ არის; უზომო ნახშირის-სიმჟავის

ჩანთქმა და შეწბა ღვინოს არ შეუძლიან. სხვა-და-სხვა ღვინო ნახშირის-სიმჟავის სხვა-და-სხვა რაოდენობას გახსნის, რაც დამოკიდებულია მის საკუთარ თვისებაზე და შედგენილებაზე. სალერონის (Salleron) გამოკვლევიდან ვიცით, რომ შამპანურ ღვინოთა შორის არიან იმისთანანი, რომლებიც ერთი ლიტრი თავის ტანში ხსნის 750 კ. ს. ნახშირის-სიმჟავეს, (ერთი ატმოსფერის ზედ-დაწოლით) და არიან იმისთანანიც, რომლებიც უფრო ბევრს ხსნიან, სახელდობრ 1080 კ. ს. ეს რიცხვები ის მიჯნებია, ის მინიმუმი და მაქსიმუმი, რომელთა შორისაც სხვა-და-სხვა ღვინოებისთვის ყოველგვარი რაოდენობა შესაძლებელია, რასაკვირველია, ღვინის თვისებებს დაგვარად. რომელ ღვინოსაც რომელი რაოდენობის ჩანთქმა შეუძლიან, ეს რაოდენობა იმ ღვინის ჩასანთქავი კოეფიციენტი იქნება (Coefficient d'absorbtion). თუ რომელიმე ღვინო ნახშირის-სიმჟავის რომელიმე რაოდენობით გაყენთილია, მაშინ ამ ღვინოს იმავე გარემოებაში, ესე იგი ერთი ატმოსფერის ზედწოლით იმაზე მეტი ღაზის ჩანთქმა აღარ შეეძლება. თუ გარემოება გამოიცვალა, ან სითბო და ან ზედ-დაწოლა, მაშინ ამ კოეფიციენტის რაოდენობაც შეიცვლება, ან მეტი და ან ნაკლები იქნება. მაშასადამე, თეორიულად ძნელია გადასწყდეს, რა ჩასანთქამი ძალა ექნება რომელსამე ღვინოს, ამას მარტო იმისი შედგენილება ვერ აგვიხსნის.

როგორც ვხედავთ, სხვა მიზეზიც ბევრია, რომელიც სცვლის ამ კოეფიციენტის რაოდენობას და ამისგამო უფრო დააბნევს იმ გამომანგარიშებას, თუ რამდენი შაქარი უნდა მიემატოს ღვინოს ბოთლში ჩასხმის დროს. ერთი ამ მიზეზთაგანაც, როგორც ზემოდაც ვთქვით, ტემპერატურა არის; ღვინის ტემპერატურა ძალიან სცვლის ღვინის ჩასანთქამ ძალას, ჩასანთქამ კოეფიციენტს. რამდენადაც ღვინო ცივია, იმდენად ის ბევრ ნახშირის-სიმჟავეს გახსნის თავის ტანში და წინააღმდეგ რამდენადაც ის თბილია, იმდენად ცოტას. სალერონის გამოკვლევიდან სჩანს, რომ იმისთანა ღვინოს, რომელსაც 10^9 ჩასანთქამი კოეფიცი-

ენტი ლიტრში 820 კ. ს. აქვს, ტემპერატურის ზედმოკბედებით იმის კოეფიციენტი ამგვარად შეიცვლება:

| | | |
|-------------------------|------------------------|-----------|
| 0° = 1,275 კ. ს. იქნება | 10° = 820 კ. ს. იქნება | 20° = 505 |
| 1° = 1,215 | 11° = 785 | 21° = 480 |
| 2° = 1,155 | 12° = 750 | 22° = 460 |
| 3° = 1,105 | 13° = 715 | 23° = 440 |
| 4° = 1,060 | 14° = 680 | 24° = 420 |
| 5° = 1,015 | 15° = 645 | 25° = 400 |
| 6° = 975 | 16° = 615 | 26° = 380 |
| 7° = 935 | 17° = 585 | 27° = 365 |
| 8° = 895 | 18° = 555 | 28° = 350 |
| 9° = 855 | 19° = 530 | 29° = 335 |

და სხვანი...

რაც შეეხება ზედ-დაწოლის ზედმოკმედებას ჩასანთქამ კოეფიციენტზე, ამ მხრივ ცნობილია, რომ თითო ატმოსფერის ზედ-დაწოლის მიმატება აორკეცებს ჩასანთქამ კოეფიციენტის რაოდენობას, ასე რომ თუ ღვინის ჩასანთქამი ძალა რომელსაზე ტემპერატურაზე და ერთი ატმოსფერის ზედ-დაწოლით შეადგენს მაგ. 1,000 კ. ს., მაშინ იმავე ტემპერატურაზე და ორი ატმოსფერის ზედ-დაწოლით იმის რაოდენობა იქნება 2,000 კ. ს.; თუ გვინდა, რომ ამ ღვინოს ხუთი ატმოსფერის ზედ-დაწოლის ძალა ჰქონდეს, მაშინ ამ ღვინის ერთ ლიტრში ხუთი ლიტრი ნახშირის-სიმკვავე უნდა მოვამწყვდიოთ. ეს მხოლოდ მაშინ არის მოსახერხებელი, თუ ბოთლი დაცობილი იქნება და იმის გვერდებს ამ ზედ-დაწოლის ატანა შეუძლიან. როგორც ვთქვით, ყოველ ღვინოს თავისი ჩასანთქამი კოეფიციენტი აქვს და ამისგანყო ყოველ ღვინოს იმის კოეფიციენტის შესაფერი შაქარი უნდა მიემატოს, რომ კარგი აქაფების ძალა გაუჩნდეს.

წარმოვიდგინოთ, რომ გამოკვლევით ჩვენ შევიტყუეთ რომელიმე ღვინის ჩასანთქამი კოეფიციენტი და ვთქვათ, რომ ის უდრის 820 კ. ს., ესე იგი ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ ღვინის ერთ ლიტრში 10^ლ-ზე ერთი ატმოსფერის ზედ-დაწოლით 820 კ. ს.

ნახშირის-სიმჟავე იხსნება. თუ ერთ ლიტრ ღვინისთვის იმდენი შაქარი არის მიმატებული, რომლისგანაც ხუთი ლიტრი ნახშირის-სიმჟავე გაჩნდება, მაშინ ბოთლში შემდეგი ატმოსფერული ზედ-დაწოლა იქნება:

$$\frac{5}{0,820} = 6,099 \text{ მაშასადამე, ექვსზე ცოტა მეტი; თუ მე-}$$

ორე ღვინის ჩასანთქამი კოეფიციენტი ამაზე უფრო მეტია, ვთქვათ 1,050 კ. ს. და ამ ღვინოსაც იმოდენივე შაქარი აქვს მიცემული, მაშინ ბოთლში $\frac{5}{1,050} = 4,76$ ატმოსფერის ზედ-დაწოლა იქნება.

აქედან ცხადია, რომ როცა სხვა-და-სხვა ღვინოში ერთდ და იგივე შაქრის რაოდენობა არის გახსნილი, მაშინ დუღილის შემდეგ ბოთლში სხვა-და-სხვა ზედ-დაწოლა იქნება, ჩასანთქამი კოეფიციენტის დაგვარად.—ამის გამო ძნელია გამოუკვლევებლად ითქვას, რამდენი შაქარიც უნდა მიემატოს ღვინოს. მაშასადამე, მანამ შაქარს მიუმატებდეთ ბოთლებში ჩასასხმელ ღვინოს, საჭიროა უპირველესად შევიტყოთ მისი ჩასანთქამი კოეფიციენტი და ამასთან იმ შაქრის რაოდენობაც, რომელიც ღვინოს შერჩენილი აქვს და უკანასკნელის ტემპერატურაც, რომელიც იმ ადგილს (სარდაფს) ექნება, სადაც ეს ბოთლები ეწყობა.

თუ ჩვენ ეს ყველაფერი შეტყობილი გვაქვს, მაშინ ძნელი აღარ იქნება იმ შაქრის რაოდენობის გამოანგარიშება, რომელიც ღვინოს უნდა მიემატოს.

წინა წერილებიდან ჩვენ ვიცით, რომ ერთი გრამი შაქარი დადუღებით აჩენს 247 კ. ს. ნახშირის-სიმჟავეს; აქედან შეგვიძლიან გამოვიანგარიშოთ, რამდენი შაქარი იქნება საჭირო ერთი ლიტრი ნახშირის-სიმჟავეს გასაჩენად; თუ 247 კ. ს. ლაზი ჩნდება ერთი გრამი შაქრიდან, უეჭველია რომ 1,000 კ. ს. ლაზის გასაჩენად უფრო ბევრი შაქარი იქნება საჭირო. სახელდობრ

$$\frac{1,000}{247} = 4,048 \text{ გრ., ესე იგი ოთხ გრამზე ცოტა მეტი. თუ თი-}$$

ფონ ღვინოში ცოტა რამ შაქარი არის დარჩენილი, ისიც მხე-

დელობაში უნდა ვიქონიოთ შაქრის მიმატების დროს. მაშ ჯერ გამოვიანგარიშოთ მისამატებელი შაქრის რაოდენობა, როცა ლვინოში შაქარი სრულებით არ არის დარჩენილი. ვთქვათ ამ ლვინის ჩასანთქამი კოეფიციენტი არის 800 კ. ს. და გვინდა, რომ იმან მოიპოვოს 5 ატმოსფერის ზედ-დაწოლა¹⁾. ამ ძალის გასაჩენად ლვინოში უნდა მოიმწყვდეს $800 \times 5 = 4,000$ კ. ს., მაშასადამე, 4 ლიტრი ღაზი. თუ ამ 4,000 კ. ს. გავყოფთ 247 კ. ს.-ით, ამით ჩვენ შაქრის რაოდენობას ვიპოვიან:

$$\frac{4,000}{247} = 16,19 \text{ გრ. შაქარი, ესე იგი თითო ლიტრ ლვინოზე}$$

16 გრამზე ცოტა მეტი შაქარი უნდა მიემატოს. თუ ლვინოში შაქარი არის დარჩენილი, ვთქვათ ლიტრში 2,5 გრამი, მაშინ ეს უნდა გამოირიცხოს პირველი რიცხვიდან და ნაშთი საჭირო შაქრის ნამდვილი რაოდენობა იქნება: $16,19 - 2,5 = 13,67$ გრ. აქედან ცხადია, თუ რა სასარგებლოა წინადაცე შევიტყუოთ. როგორც ლვინის ჩასანთქამი კოეფიციენტი, ისე დარჩენილი შაქრის რაოდენობა.

შაქრის რაოდენობას თითო ფუდრის ლვინოზე გამოიანგარიშებენ და იმავე ლვინოში ცალკე გახსნიან და ხსნილს მიუმატებენ ფუდრში; კარგად აურევენ და არევის შემდეგ იმ ლვინოსაც მიუმატებენ რომელსაც დუღილის დედა აქვს მიცემული, კიდევ კარგად გადაურევენ და მხოლოდ ამას შემდეგ ბოთლებში ჩაასხამენ, რადგანაც ახლა ლვინომზად არის ამ ოპერაციისთვის. ახლა ხომ მისამატებელი შაქარი გამოიანგარიშებულია და მიმატებული. შიგ ფუდრში; სადუღებელი დედაცა აქვს. ამ ფუდრიდან ლვინოს ბოთლებში ჩაასხამენ, კარგად დაუცობენ და შეინახავენ იმ დრომდინ, ვიდრე შექაფების ძალა გაჩნდება და ის ზედ-დაწოლა, რაც მიმატებულ შაქარს და მის-



ხურ. 47.

¹⁾ შამპანიში შაქარს იმ ვარაუდით აძლევენ, რომ ბოთლში გაჩნდეს ხუთი ატმოსფერის ზედ-დაწოლა; თუ ცოტა მეტია, არა უშავს-რა, მაგრამ ნაკლები კი არ უნდა იყოს.


გან გაჩენილ ნახშირის-სიმჟავეს შეეფერება; ბოთლების დახეთქის შიში აღარ არის, მაგრამ მაინც გულის-დასამწვიდებლად ზოგიერთ ბოთლში უნდა ჩავდვათ იქ გაჩენილი ზედ-დაწოლის საზომავი მანქანა—მანომეტრი (სურ. 47).

ეს მანომეტრი მოკაცული შუშის მილია, რომლის ერთი ბოლო კარგად გძელია და თავი შექერწილი აქვს; მეორე ბოლო მოკლეა, ცოტად გაბერილი და თავის პირი ღია აქვს. ამ მოხრილ მილში ჩასხმულია წმინდა ვერცხლის წყალი ისე, რომ ორივე მხარეში ერთ სიმაღლეზე იყოს; ამგვარად გძელ მხარეში ჰაერი დარჩება მომწყვდეული. როცა ბოთლში ნახშირის-სიმჟავე გაჩნდება, ის, როგორც ვიცით, იძულებულია შეიკუმშოს, რადგანაც ბოთლიდან ამოსვლა არ შეუძლიან. ამ შეკუმშვით ჩნდება იმის ზედ-დაწოლის ძალა და ეს ძალა ვერცხლის წყალსაც გადაეცემა და ესეც თავის მხრით მანომეტრის გძელ მხარეში შემწყვდეულ ჰაერზე იმოქმედებს; ჰაერი შეიკუმშება და ამის გამო ვერცხლის წყალი ამ მხარეში მალლა აიწევს. ამ სახით, შესაძლებელია დიდის სინამდვილით შევიტყოთ, რა ზედ-დაწოლის ძალაც გაჩნდა ბოთლში. რამდენადაც მანომეტრის გძელი მხარეში ჰაერი შეკუმშული იქნება, იმდენად ზედ-დაწოლის ძალა ძლიერი იქნება და ამით ჩვენ შეგვიძლიან ვისარგებლოთ ამ ზედ-დაწოლის ძალის შესატყობად. ამისათვის მანომეტრის გძელი მხარი ისეა განაწილებული ნიშნებით, რომ ყოველ მდგომარეობაში უჩვენებს ჰაერის ნამდვილ ტანს და ამით ბოთლში ზედ-დაწოლის ძალასაც. —იმ ბოთლებს, რომელშიაც ამგვარი მანომეტრია ჩატანებული, ხშირად გასინჯვენ და ამით შეიტყობენ ბოთლებში დუღილის ნამდვილს მდგომარეობას. —რადგანაც ყველა ბოთლებში ერთგვარი შედგენილების ღვინო არის, ამისათვის რაღა თქმა უნდა, რომ დუღილიც ერთგვარად უნდა მიდიოდეს.

ბოთლებს მთლად არ გაავსებენ, ცოტაოდენი ცარიელი ადგილი უნდა დარჩეს; ბოთლები დამწკრივებულია ერთ ადგილას, საიდანაც ბოთლის დამცობი თითო-თითოდ აიღებს და საცობელს დაუცობს. საცობელს დიდი მნიშვნელობა აქვს შამპანური ღვინის დაყენებაში. როგორც Portes და Ruysseu-

ამბობენ: „საცობელი გამდელია ღვინისა, სასტიკი და შეუწყნარებელი დარაჯია ამ ცელქი ყმაწვილისა, რომლის თავისუფლებაც ამ საცობელმა უნდა შეგაჭკოს; საცობელი შეურყვევლი ბურჯია შამპანური ღვინის გაათრებულ თეთრი ქაფის ცხოველი ტალღებისა (flots vivants de la blonde écume)“. ამისათვის საცობელი კარგი ხარისხისა უნდა იყოს, კარგად ამორჩეული, კარგად გაწმენდილი, კარგად დარბილებული თბილი წყლითა და გაყენილი ღვინის ლიქორით. სხვა-და-სხვა მანქანებია მოგონილი ბოთლების პირის დასაცობლად, მაგრამ აქ იმათ აღწერას აღარ შევეუდგები; ეს კი უნდა ეთქვა, რომ ის მანქანა უფრო ემჯობინება, რომელიც უფრო ძლიერ შეკუმშავს საცობელს, რომ თავისუფლად ჩაერკოს ბოთლის ყელში. ჩვეულებრივი ბოთლების ყელის დიამეტრი არის $16-18 \frac{\text{მმ}}{\text{მ}}$ (მილიმეტრი) და საცობლისაკი $30-34 \frac{\text{მმ}}{\text{მ}}$, აქედან ცხადად სჩანს, რა დიდი შეკუმშვა სჭირია საცობელს, რომ ბოთლის ყელში თავისუფლად ჩავიდეს. ბოთლში ჩასმულ საცობელს კარგად დაამაგრებენ მაგარი ბაწრით, რომელიც წინად სელის ზეთში უნდა იყოს დასველებული; საცობლის შემაგრება რკინის მავთულით უფრო ემჯობინება და თუ მავთული მოკალუღია, ეს უფრო კარგი იქნება.

დაცობილ ბოთლებს მარანში გროვ-გროვად დააწყობენ; თითო გროვაში ჩვეულებრივ 10,000 ბოთლია და რადგანაც დუღილის დროს ყოველთვის სითბო ჩნდება, ამისათვის თითო ოთახში ბევრი გროვები არ უნდა იყოს. მარანში წყვილ-წყვილი ჩარჩოები არის დაგებული და ბოთლები ამ ჩარჩოებზე დაწოლილი ისე კი, რომ ბოთლები ერთი-ერთმანეთს არ ეკარებოდნენ და დაყრდნობილი იყვნენ მხოლოდ თავითა და ბოლოთი—შუაგული კი, ბოთლის მუცელი, არაფერზე არ უნდა იყოს დაყრდნობილი. სურათიდან (სურ. 48.) ცხადად სჩანს გროვაში ბოთლები როგორ უნდა იყვნენ დაწყობილნი.



სურათი 48.

ბოთლების საზღაფში გადატანა: როცა შეატყობენ, რომ ბოთლებში დუღილი კარგად მიდის და თითქმის ბოლოს მიხწეულია, როცა ნახშირის-სიმჟავის ზედ-დაწოლა 4 ატმოსფერას გადასცილდება, მაშინ მიუცილებლად საჭიროა ბოთლების ცივადგილას, სარდაფში გადატანა; სარდაფში ტემპერატურა 8⁰—10⁰ უნდა იყოს. ბოთლებს აქაც გროვებად დააწყობენ. კარგი იქნებოდა ლაზის ზედ-დაწოლის ძალა გასინჯულიყო ზოგიერთ იმ ბოთლებშიაც, რომლებშიაც მანომეტრი არ არის, — შეტყობილიყო, ისეთივეა თუ არა ლაზის ზედ-დაწოლა, როგორც მანომეტრიან ბოთლებში. ყოველი ბოთლის ამგვარად შემოწმება ეხლა ძალიან ადვილია ერთი მომენესაგან მოგონილი და სალერონისგან გადაკეთებული მანქანის შემწეობით, რომელსაც მომენემ აფრომეტრი (aphrometre) დაარქვა. (αφρός—ქაფი და μέτρον—ზომვა). სალერონისგან გადაკეთებული აფრომეტრი (49 სურათი) შესდგება ორი ნაწილიდან: ერთი ბურღია და მეორე მანომეტრი. ბურღი—გძელი ვიწრო მილია, (s) რომელიც ჩამაგრებული არის ონკანის მილში. ამ გძელი მილის მეორე ბოლოში თავისუფლად ჩადის პატარა წვეტის (ბ) ღერი, ისე თავისუფლად, რომ თუ ხელით არ არის შემაგრებული მილიდან თავისთავად გამოვარდება. აფრომეტრის მეორე ნაწილი, მანომეტრი, ონკანის მეორე მილშია ჩამაგრებული. აფრომეტრით რომელსამე ბოთლში ზედ-დაწოლის შესატყობად ასე მოიქცევიან: გრძელ მილში ჩაურჭობენ პატარა წვეტიან ღერს, ონკანს დახურავენ და მილს საცობელში გაატარებენ; როცა პატარა წვეტი საცობელს გაატანს, მაშინვე მილიდან გამოვარდება და ბოთლში ჩავარდება და ამგვარად გრძელი მილის ბოლო ახდილი იქნება. ახლა ონკანს გააღებენ; ამგვარად მანომეტრი შეერთებული იქნება ბოთლის ყელთან, სადაც შეკუმშული ნახშირის სიმჟავე არის; შეკუმშული ლაზი მანომეტრზე იმოქმედებს და ამისგამო მანომეტრის ისარი ბოთლში ზედ-დაწოლის ძალას უჩვენებს.

ბოთლები სარდაფში დიდ ხანს უნდა დარჩნენ, რომ დრო ჰქონდესთ როგორც ამ ნარევი ღვინოების ერთად შეზავების-

თვის, ისე შაქრის მზლად განაწილების და ერთერ-პუკეტის მოსაპოვებლად. ბოთლების გროვები ამ ხანში დიდ ყურადღებას



სურათი 49.

სურათი 49.

№ 2.


მრითხზვენ; გროვები ხშირად უნდა იყოს დათვალერებულორ და მათში მყოფი ღვინის მდგომარეობა გასინჯული. ნოემბერში ან დეკემბერში გროვებს ადგილს გამოუყვლიან; ამ ხანშივე საჭიროა ბოთლების ხშირად ცოტაოდენად შერხევა, რომ დაღე-ქილი თხლე გვერდებზე არ მიეწებოს, გვერდებზე არ მიეკრას. ბოთლების გროვების ადგილის გამოცვლის დროს ბოთლებს გვერდებსაც უყვლიან; ბოთლის რომელი გვერდიც წინად ქვეით იყო, ახლა ზემოდ უნდა მოუქცეს; ამას გარდა წყობის რიგსაც

გამოსცვლიან; ის ბოთლები, რომლებიც წინად გროვის ძირს იყვნენ, ახლა ზევით უნდა მოექცნენ და ზევითები ქვეით.

ბოთლების ეინაზე დაყენება (mise sur pointe). ერთი ან ორი წლის სარდაფში ჰყოფობის შემდეგ, ღვინო შემთავარებულთა, ქაფის ძალა მოპოვებული აქვს; რაც ბოთლში ზედაწოლის ძალა უნდა გაჩენილიყო—გაჩენილია და ღვინოც დაწმენდილია. ესა ბოთლების ლექი შესდგება გაბრუებული ღუჭილის დედიდან, რომელშიაც ურევია ღვინის აზოტური ნივთიერებანი, ტანინთან შეერთებული წებო და ცოტაოდენი საფერავი, კრემორტარტარი და სხვანი. თუ ტანინი და წებო რეგინი ზომით ჰქონდა მიცემული, მაშინ ლექი, როგორც იტყვიან, მშრალი და ფხვიერი იქნება, ის ბოთლების გვერდებს არ მიეკვრება; ბოთლის შენჯღრევის დროს მთელი ლექი ღვინოში აირევა და ისევ მალე დაილექამს და ღვინო დაწმენდილი და გამჭვირვალი დარჩება. ზოგიერთ შემთხვევაში კი ეს ლექი წებოვანია, და დალექის დროს ბოთლის გვერდებს ცილასავით მიეკვრება; ხან ლექი ისე სუბუქია, რომ ღვინოში ტივტივებს თოვლის ფიფქსავით და ძირს არ ილექება. ზემოდ ნახსენები უკანასკნელი ორივეგვარი ლექი კარგი არ არის, რადგანაც იმის ღვინიდან გამოცლა ძნელი მოსახერხებელია და ამის გამო კარგად დაწმენდილი და გამჭვირვალე არ იქნება. ამგვარი ლექის მიზეზი, რასაკვირველია, უეჭველად რამე შეცდომა იქნება ტანინის და წებოს მიმატების დროს; ხშირად ტანინის ნაკლის შედეგია; თუ დაწმენდის დროს ღვინოს ცოტაოდენი წებო შეტეხა, მაშინ ლექი წებოვანი იქნება. ტანინის ნაკლის გამოცაბით დარჩენილი წებო უერთდება ღვინის საფერავს და ან კარგად არ დაილექება და ან თუ დაილექა, ბოთლის გვერდებს მიეკვრება. ამ გარემოებაში ძნელი-ლა არის ღვინის დამუშავება; ერთად ერთი საშუალება ტანინის მიმატება იქნება—ბოთლები უნდა აიხადოს და ეს ხომ დიდ ჯათას და ხარჯს მოითხოვს.


თუ ღვინოს საკმარისი ტანინი ჰქონდა მიმატებული წებოს გამოსაცლელად, მაშინ ლექი წებოვანი არ იქნება, გვერ-

დებზე არ მიეკვრება და ამის გამო იმის მოშორებაც ადვილი მოსახერხებელია. ამისათვის ასე მოიქცევიან: ბოთლებს რამდენიმე ხნით ყირამალა დააყენებენ, რომ მთელი ლექი ბოთლის საცობლის პირას მოგროვდეს. რადგანაც ბოთლი თავისთავად ყირამალა ვერ გაჩერდება, ამისათვის საჭიროა ისეთი მოწყობილება, რომ ამის მოხერხება შეიძლებოდეს. ამისათვის სარდაფის ერთ განყოფილებაში ჩამომწკრივებულია ფიცრებისაგან გაკეთებული ტახტრევენები; ეს ტახტრევენი, როგორც სურათიდან სჩანს, ასე არის გაკეთებული: წარმოვიდგინოთ ორთ კიბე რომლებიც ერთი-ერთმანეთზე გეზად არიან მიყუდებულინი (სურათი 50) და ზედა თავებით ერთმანეთზე გაღაბმულნი, ერთი სიტყვით, წარმოვიდგინოთ დამდგარი ორკეცი კიბე, რომლის საფეხურებიც გარეგანი მხრით დაფიცრულია. ეს ფიცრები რიგ-რიგად დახვრეტილია ფართო ნახვრეტებად; ნახვრეტების რიგი კიბის ყოველ საფეხურის ქვეშ არის. აი ამ ნახვრეტებში ჩააყუდებენ ბოთლებს და სოლების შემწეობით იმ მდგომარეობას მისცემენ, რომ ბოთლები თითქმის ყირამალა იდგნენ. რადგანაც ამ ტახტრევენებს დიდი ადგილი უჭირავთ, ამისათვის ძნელია ყველა ბოთლებისთვის საკმარისად იქონიონ; ამისათვის დიდი ხნით ბოთლების ყირამალა გაშვება მუშაობას შეაფერხებს და უამისოდ ლექი კარგად არ მოგროვდება ბოთლის ყელში. ამის ასაცილებლად ბოთლებს გროვებშივე ამზადებენ ამ ოპერაციისთვის. როცა ბოთლების ყირამალა დაყენების დრო მოახლოვდება, მაშინ ამ



სურათი 50.

ბოთლებს გროვანშივე ძირს აუწევენ და ფითალს შეუდგმენ, როგორც სურათიდან სჩანს (სურათი 51); ბოთლების ამგვარი დაყირავებით თხლე საცობლისკენ წავა და აქ ყელში მოიკრიბება. ამას შემდეგ მხოლოდ რამდენიმე დღით ჩასდგამენ ტახტრევანში, რომ მთელი ლექი და თხლე საცობელზე მოიკრიბოს. თუ ლექი ცოტად წებო-



სურათი 51.

ვანია და ბოთლების გვერდებს ძნელად შორდება, მაშინ ბოთლები ხშირ-ხშირად უნდა შეანჯღრიონ და თუ ეს არა ჰშველის, მაშინ ამ ლექის თვისება უნდა შეიცვალოს ერთგვარი მოხერხებით; ამ ხერხს ლექის დაელექტრონობას ეძახიან და ამას მოახდენენ ერთგვარი მანქანით; ეს მანქანა პატარა ყუთია, რომელშიაც ღერძია გატარებული და ამ ღერძის ტარი ყუთის გარედ არის; ამ ღერძზე მიმაგრებულია რამდენიმე პატარა ჩაქუჩები. ამ ყუთში ჩააწყობენ ორ-სამ ბოთლს (ბოთლები უნდა დაწვენილნი იყვნენ), ტარის დატრიალებით, რასაკვირველია, ღერძიც დატრიალდება და ჩაქუჩებსაც დაატრიალებს. ამ ღერძის ტრიალის დროს ჩაქუჩები ბოთლებს ხვდებიან; ამავე დროს და ამავე ტარის შემწეობით ბოთლებიც ტრიალობენ, ასე რომ ეს ჩაქუჩები ბოთლებს დროგამოშვებით ყველა გვერდებზე ხვდებიან. ამგვარი ჩაქუჩების ცემა ბოთლის გვერდებს და მათზე მიკრულ თხლეს ისე შეარხევს, რომ ლექი მოშორდება, ღვინოში გაერევა, დაილექავს და შემდეგ ბოთლების ყირაპალა დაყენების დროს საცობელზე მოგროვდება. ამ გარემოებაში, ესე იგი ჩაქუჩების ცემის დროს ხანდისხან ბოთლები იმტვრევა და ამიტომაც ამ ოპერაციას დახურულ ყუთში ახდენენ; უამისოდ ბოთლის ნამსხვრევები მუშებს დააშავებენ.

თუ ლექი ამ შემთხვევაშიც არ მოაძალა ბოთლების გვერდებს, მაშინ, ნება-უნებლიედ, ბოთლებს საცობლებს ახდიან და ახალ ღვინოში ვადურევენ, შაქარს მიუმატებენ და ხელ-ახლად

ჩაასხამენ ბოთლებში დასადულეზღად. ამგვარად თუ წებოთი ღვინის დაწმენდის დროს ცოტა რამ შეცდომა მოხდა, წებო დაემეტა, ეს შეცდომა ღვინის დამყენებელს დიდ ზარალს მისცემს, მთელი ჯაფა, ხარჯი და დრო ტყუილ-უბრალოდ დაეკარგება; მაშ უეჭველად საჭიროა ღვინოს ტანინი არ აკლდეს.

ბოთლების ყელის გაწმენდა (degorgement). როცა ყიბ რაზე დაყენებულ ბოთლებში მთელი ლექი ბოთლების ყელში საცობლებზე მოგროვდება, მაშინ ეს ღვინო უნდა გაწმინდოს, თხლე გამოსცილდეს, რომ ღვინო წმინდა და გამჭვირვალნი დარჩეს, შემდეგისათვის კარგად შენახულ იქმნას. ბოთლებიდან ამ ლექის ამოცლას, რასაკვირველია, დიდი მოხერხება და გაფრთხილება უნდა. მიუცილებლად საჭიროა, რომ ბოთლში აღარავითარი ლექი არ დარჩეს, სრულიად გამოიწმინდოს და ამასთან თვითონ ღვინომ აქაფების ძალა არ დაჰკარგოს და ღვინოც ბევრი არ დაიღვაროს. თუ მუშა გამოცდილია, ყველა ეს ძნელი მოსახერხებელი არ არის. რადგანაც სარდაფში ტემპერატურა დაბალია და ამის გამო ღვინო კარგად არის გაცივებული, ამისთვის ბოთლების პირის ახდის დროს ბევრი ღვინო არ დაიკარგება. ამ ოპერაციას აი როგორ ახდენენ: ყირამალა დაყენებულ ბოთლს ამავე მდგომარეობაში გადასცემენ საცობლის ამხდელ მუშას; იმას მარცხენა ხელით და ნიდაყვით ბოთლი დამაგრებული აქვს და მარჯვენა ხელით კი ბაწრებს ახსნის; საცობელი თვითონ დაიძვრება ბოთლში მყოფი ზედ-დაწოლის ძალით; ეხლა მუშას საცობელი ხელში უჭირავს და ცდილობს, რომ ერთბაშად არ ამოვარდეს. როცა საცობელი თიქმის ამოსულია, მაშინ მუშა ერთბაშად ახდის და ერთბაშადვე ბოთლს ზეზე წამოაყენებს. ბოთლის ახდის უმაღლვე ბოთლიდან გადმოისხმება¹⁾ ცოტაოდენი ღვინო, როგორც ფრანგები ამბობენ, ბოთლი ამოაფურთხებს (cruche) და ამას

¹⁾ ბოთლიდან ამოსხმული ღვინო გროვდება მუშის წინ დამდგარ ჩანახში; ამ ღვინოს ცალკე ჰყიდიან დაბალ ფასად ძმრის დასაყენებლად და ან არყის გამოსახდელად.

თან გამოჰყვება მთელი ღვეჩი და თხლე, რომელიც საცობელზე და ბოთლის ყელში იყო მოგრავილი. თუ მუშამ შეატყო, რომ ბოთლის ყელში რამე უწმინდურება დარჩა, მაშინ ის თითოთ ამოსწმენდს ბოთლის ყელს და გადასცემს მეორე მუშას, რომელმაც ეს ბოთლი ლიქორით უნდა შეავსოს და ისევ საცობლით დახტოს. შევსების წინედ ბოთლებში ღვინოს შეთანასწორება უნდა (egalisაგე), რადგანაც საცობლის ამოღების დროს უეჭველია ყველა ბოთლიდან ერთი ზომის ღვინო არამოიღვრება, ერთიდან უფრო ბევრი და მეორიდან სულ ცოტა. ღვინის ღირსებისათვის და ერთგვარობისათვის კი საჭიროა ბოთლების ნაკლი შეთანასწორდეს. რადგანაც მისამატებელ ლიქორს შაქარი აქვს, თუ ერთი ზომისა არ მიემატა. ყველა ბოთლებს, მაშინ ღვინო ზოგში ტკბალი იქნება და ზოგში არა. მაშასადამე, საჭიროა ბოთლებს ერთგვარი და ერთი ზომის ნაკლი ჰქონდესთ, რომ ყველა ბოთლს ლიქორის ერთგვარი რაოდენობა (dosაგე) მიემატოს. შეთანასწორება იმაში მდგომარეობს, რომ თუ რომელიმე ბოთლიდან ცოტა ღვინო გადმოიხსნა, ამ ნაშეცს ამოიღებენ.

ბოთლების შესავსებლად ლიქორს ასე ამზადებენ: აიღებენ კარგ თეთრს და ძველ ღვინოს და თითო ლიტრაში გახსნიან 750 გრ. წმინდა შაქარს (სულის შაქარი) და კონიაკს მიუმატებენ (ღვინიდან გამოხდილ მაგარ არაყს.) ამ კონიაკის რაოდენობა დამოკიდებულია მსმელების და დამყენებლების გემოზე და ან რომელი ქვეყნისთვის ამზადებენ ამ ღვინოს²⁾; ჩვეულებრივ ბოთლს უნდა აკლდეს 50 კ. ს. ან 100 კ. ს. ეს დამოკიდებულია ღვინის დამყენებლის განკარგულებაზე. ლიქორს ფრთხილად მიუმატებენ, რომ ღვინო არ შეინჯღრეს. მუშას ბოთლი მარცხენა ხელით უჭირავს და მარჯვენათი კი, თუ საჭიროა, ამო-

²⁾ თუ შამპანური ღვინო ჩნგლისში გასაზავანია, მაშინ ლიქორი ბევრ-ალკოვოლიანი და უშაქრო უნდა იყოს (ანუ ცოტა-შაქრიანი); რუსეთისთვის უფრო შაქრიანი და მსუბუქი, ფრანგებისთვის ლიქორს სუნ-ნელოვანი და ცოტად მწკლარტე ღვინიდან ამზადებენ, ცოტა-ალკოვო-ლიანი და ცოტად დაშაქრული.

აღლის მეტ ღვინოს; შემდეგ ბოთლს თავს-მოუხრის და ამოწყული სტაქნიდან ლიქორს მიუმატებს; ლიქორის ჩასხმის დროს ბოთლს წყნარად ატრიალებს ხელში, ასე რომ ჩასხმული ლიქორი ბოთლის ყელს ასველებს და წყნარად წადის.—ამ დროს ბოთლის შენჯღრევა ძალიან საშიშოა, რადგანაც ნახშირის სიმეავე ერთბაშად ამოვა და ღვინო დაიდრება. ამას შემდეგ ბოთლს სხვა მუშას გადასცემენ, რომელიც საცობელს დაუცობს და სხვა-ნიც მავთულით დაამაგრებენ ამ საცობელს.

ბოთლების პირის დაცმა და საცობლის დამაგრება მხოლოდ გამეორება იქნება წინანდელი ბოთლების დაცმისა: მხოლოდ ეხლა უფრო დიდი ყურადღება უნდა საცობლის ამორჩევას. როცა ბოთლები საცობლით დაცმულია, მაშინ ბოთლს ცოტად შენჯღრევენ, რომ ლიქორი კარგად გაერიოს. ამას შემდეგ ბოთლს სხვა მუშას გადასცემენ, რომელიც მავთულით დაამაგრებს; პირველი მავთულით დამაგრების შემდეგ მეორე მავთულითაც დაამაგრებენ, რომ ვინიცობა ერთი დაქანგდა, მეორემ შეინახოს საცობელი დამაგრებული. ამას შემდეგ ბოთლებს გადაიტანენ სარდაფში, გროვა-გროვად დააწყობენ რამდენიმე ავით, რომ ღვინო დამთავრდეს, ლიქორი შეითვისოს და ბუკეტი მოიპოვოს.

ვერმუტი (vermouths)

ლიქორიან ღვინოებს შეიძლება მიუტოლოთ ერთგვარი ტკბილ-მწარე ალკოგოლიანი ღვინო, რომელსაც ვერმუტი ჰქვია. ეს მადის გამხსნელი და სტომაქის მარგებელი ღვინოა ალკოგლ-მიმატებული და დამწარებული სხვა-და-სხვა გვარი ბალბულახით, რომლებსაც კარგი მოქმედება აქვთ ადამიანის სტომაქზე. ვერმუტის ღირსება თვითონ თეთრი ღვინის ღირსებაზეა დამოკიდებული, ამის გამო ამ ვერმუტის მოსამზადებლად კარგი თეთრი ღვინო უნდა იყოს არჩეული და სხვა-და-სხვა მცენარეების მიმატებით იმისთანა სუნწელოვანება და ბუკეტი უნდა მიეცეს, რომელიც თეთრ ღვინოს ვერმუტად გადააქცევს.

ვერმუტის მომზადება უფრო გავრცელებულია ქვემო საფრანგეთში და ზოგჯერ ისპანიაშიაც. ხშირად ორგვარი ღვინის ნარევიდან კეთდება—ჩვეულებრივ ხმელ-თეთრ ღვინოს უმატებენ ლიქორიან და ტკბილ ღვინოს—ამით ღვინოს კარგი და ტკბილი გემო ეძლევა, სასმელად სასიამოვნოა და ამასთან ჯანიანიც. თუ სავერმუტო ღვინოში ალკოგოლი ცოტა არის, მაშინ იმას ალკოგოლს მიუმატებენ იმ ვარაუდით, რომ იმის სიმაგრემ 15⁰, 16⁰ და ხან 18⁰-დინ აიწიოს. მიმატებული ალკოგოლი, რაჟაკვირველია, ღვინიდან გამოხდრილი ალკოგოლი უნდა იყოს; კარგად გაწმენდილი პურის ალკოგოლის ხმარებაც შეიძლება. თვითონ თეთრი ღვინო კარგად დაწმენდილი უნდა იყოს თევზის წებოთი და დაწმენდის შემდეგ გაღებულ სუფთა ჭურჭელში. ახლა ამ ღვინოს მიუმატებენ არა მარტო მცენარეების ნარევის. არამატყული და სტომაქისათვის მარგებელი მცენარეები ბევრი არიან და განსაკუთრებით უფრო ხმარობენ: ქინაქინის ქერქს, პატარა ასისთავს, აზინდას, ძირ-მწარას, თავეცხლას, გვირილას, ანწლის ყვავილს, მწარე ფორთახალის (თურინჯი) ქერქს და სხვანი. ამ ბალახეულობას და ხილეულობას გამშრალს და სხვა-და-სხვა რაოდენობით ჩააღებენ კარგ თეთრ ღვინოში რამდენიმე დღით, ვიდრე ღვინო შეითვისებს მათ გემოს და სუნენლოვანებას.—ამ ბალახების რაოდენობა და მათი ურთიერთი შეზავება დამოკიდებულია მათ ბუნებაზე და თვისებაზე. ამ მცენარეთა გამოღობის შემდეგ ღვინოს გადაიღებენ, ბალახებს გამოსწურავენ და ამ ნაწურსაც ღვინოს მიუმატებენ. ღვინო შემდეგ წებოთი უნდა დაიწინდოს და ხან საწურავშიც გაიწუროს და დაწმენდილი შენახულ იქმნას რამდენიმე ხნით შემთავრებამდინ.

ამგვარ ღვინოებში იტალიური ვერმუტი უფრო გათქმულია და ამისათვის ორიოდ სიტყვით მოვიხსენებთ, თუ როგორ ამზადებენ იტალიელები ამ ღვინოს:

აიღებენ ას ლიტრ კარგ თეთრ ღვინოს, ჩაასხამენ რამე ჭურჭელში (ბოჩკა ან ქვევრი), რომელიც კარგად გაწმენდილი და სუფთა უნდა იყოს. საჭირო სუნენლოვან ბალახებს

გძელწმინდა ტილოს პარკებში ჩაჰყრიან და ამ პარკებს ღვინოში ჩაჰკიდებენ. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ პარკებს ამოიღებენ და ხელის მოკერით გამოსწურავენ ქვევრის პირზე. ამას შემდეგ პარკებს ისევ ქვევრში ჩაჰკიდებენ და ოთხი-ხუთი დღის შემდეგ კიდევ ამოიღებენ. ამნაირად მოაქცევიან მთელი ერთი თვის განმავლობაში და შემდეგ პარკებს სრულიად ამოიღებენ, საქაჯავში გამოსწურავენ და ნაწურ ღვინოს ქვევრშივე მიუმატებენ. ამგვარად დაყენებულ ღვინოს ეხლა გემოთი გასინჯავენ და თუ სუნნელოვანება აკლია, მაშინ ერთს ან ორ პარკს ახალი ბალახებით კიდევ ჩაჰკიდებენ ღვინოში, ვიდრე მისი სუნნელოვანება შესრულდება; თუ ამის წინააღმდეგ სუნნელოვანება და სიმწარე გადამეტებულია, მაშინ იმდენ ღვინოს მიუმატებენ, რომ გემო და სუნი სასურველი გამოვიდეს. — ამ ღვინოს ეხლა საწურავში გაატარებენ დასაწმენდად. ახალ მომზადებულ ვერმუტს ბალახ-ბუღახის გემო აქვს და ამ გემოს მხოლოდ ხანში შესვლით ჰკარგავს, ამის გამო ვერმუტი კარგა ხნით მარანში უნდა შეინახონ და სასმელად მხოლოდ მაშინ ევარგება, როცა ბალახის გემოს დაჰკარგავს.

აქმოვიყვან რამდენსამე რეცეპტს ვერმეტის მოსამზადებლად:

| | | | |
|------------------------|----------|------------------------|------|
| კარგი თეთრი ღვინო | 100 ლიტ. | საღობის ყვავილი და ფო- | გრ. |
| პატარა აბზინდის ფო- | გრ. | თლები | 30 — |
| ჩები (მთების აბზინდი) | 180 — | პატარა ასისტავი (Cen- | |
| ქარელას ფოჩებე (ger- | | taurée) | 40 — |
| mandrée) | 80 — | ზაფრანა | 2 — |
| უსოპის ფოჩები (hysope) | 76 — | კალინჯრის ძირი (gra- | |
| ლოლოშმაგა (ernule) | 50 — | langa) | 40 — |
| არომატრული ღერწაში | | ღარბინი | 40 — |
| (roseau aromatique) | 80 — | ჯადვარი (Zedoire) | 60 — |
| ასისტავის ძირი (Gen- | | ბიხაკი | 20 — |
| tiane) | 40 — | ქინძის თესლი (graine | |
| გუნდრუკ (benjoin) | 80 — | de coriaudre) | 90 — |
| ჩინური ყვითელი კალი- | | ანისულის თესლი (anis | |
| ზაია (Calisaya ქინა- | | étoilé) | 16 — |
| ქინის ხის დაგვარი). | 50 — | თეთრი სოკო აგარიკი | |
| ძირ-მწარა (quassier) | 50 — | (ფინთილა-agaric blanc) | 40 — |
| | | თურინჯის ქერქი | 50 — |

| | | | |
|----------------------|---------|--------------------------|-----------|
| ქინძი | 100 გრ. | ჯავზი | 6 გრ. |
| ლოლოშმაგა | 50 — | პილპილი (poivre de giro- | 6 — |
| ასისთავას ძირი | 50 — | fles) | 6 — |
| ჩინური ყვითელი კალი- | | ღამის ანუ ანგელოზას ძი- | |
| ზაია | 30 — | რი (angelique) | 6 — |
| ძირ-შწარა | 12 — | მიხაკის ტოტები | 2 — |
| თურინჯის ქერქი | 50 — | ილი | 12 — |
| არომატიული ლერწამი | 40 — | პატარა ასისთავი | 12 — |
| ღარიჩინი | 15 — | თეთრი კარგი ღვინო | 100 ლიტრი |

3.

| | | | |
|--------------------|---------|-------------------------|-----------|
| ვარეული სალბი | 100 გრ. | პატარა ასისთავი | 60 გრ. |
| ქარელა | 100 — | არომატიული ლერწამი | 50 — |
| ანწლის ყვავილი | 100 — | თურინჯის ქერქი | 60 — |
| ასისთავას ძირი | 100 — | დიდი აბზინდა | 60 — |
| ჩინური კალიზაია | 500 — | ზარცბანუკა (achillée | |
| ლოლოშმაგა | 500 — | noble) | 25 — |
| კალიჯრის ძირი | 100 — | ჯავზი | 25 — |
| ნარცეცხლა (Chardon | | დაუნის ხის კენკრა (Fève | |
| sacré) | 50 — | de Tonku | 25 — |
| | | ქინძი | 25 — |
| | | კარგი თეთრი ღვინო | 100 ლიტრი |

4.

| | | | |
|------------------------|---------|------------------------|----------|
| დიდი აბზინდის ფოჩები | 200 გრ. | ზამბახის ძირი (iris de | |
| ალერდის ფოჩები (ma- | | Florence) | 60 გრ. |
| ryolaine) | 60 — | სუნნელოვანი ლერწმის | |
| ბარაშბოს ფოჩები (me- | | ძირი | 86 — |
| lisse) | 50 — | ღამის (ანგელოზას) ძირი | 44 — |
| შავი ანწლის ყვავილი | 90 — | ანისულის თესლი | 16 — |
| სალბის ყვავილი და | | ქინძის თესლი | 76 — |
| ფოთლები | 60 — | ჯადვარი | 50 — |
| ერჯევარის ფოთლები | | მიხაკი | 36 — |
| (dictame de Crète) | 70 — | თეთრი ღვინო | 100 ლიტ. |
| ზაფრანა | 10 — | | |
| ბალქვისძირი(imperiale) | 76 — | | |
| ლოლოშმაგას ძირი | 80 — | | |

5.

| | | | |
|------------------------------------|---------|------------------------|-----------|
| დიდი აბზინდის ფოჩები | 180 გრ. | ლიმის ძირი | 36 გრ. |
| თავშავას ფოჩები (Origane Vulgaire) | 84 — | ქინძის თესლი | 96 — |
| ისოპის ფოჩები | 100 — | ურცის თესლი (ან ზირა) | 60 — |
| სვიის ყვავილი (ახალი) | 70 — | მიხაკი | 20 — |
| სალბის ყვავილი ჭ ფოთლები | 66 — | ქინაქინა (China-China) | 80 — |
| ზაფრანა | 2 — | ჯავზი | 70 — |
| სუნენლოვანი ლერწმის ძირი | 96 — | თეთრი ღვინო | 100 ლიტრი |

6.

| | | | |
|--------------------------|---------|-----------------|-----------|
| ქინძი | 500 გრ. | კულმუხოს ძირი | |
| თურინჯის ქერქი | 500 — | (aunée) | 125 გრ. |
| ზამბახის ძირი | 250 — | პატარა ასისთავი | 125 — |
| ანწლის ყვავილი | 200 — | ქარელა | 125 — |
| ქინაქინის ქერქი (წითელი) | 150 — | დარიჩინი | 100 — |
| კოთხუჯი (acore vrai) | 150 — | ლიმის ძირი | 60 — |
| დიდი აბზინდა | 125 — | ჯავზი | 50 — |
| თავცეცხლა | 125 — | კალინჯანი | 50 — |
| შავი მოცხარი (Cassis) | 30 — | მიხაკი | 50 — |
| | | თეთრი ღვინო | 100 ლიტრი |

კიდევ ბევრია ვერმუტის დასაყენებელი რეცეპტი, მაგრამ მგონია ესეც საკმაო იყოს.

ვერმუტს ისეთივე მოვლა უნდა, როგორც ლიქორიან ღვინოს; დასაწმენდად ხმარობენ ან გაწურვას და ან თევზის წებოს; ხანდისხან ვათბობაც არგებს მალე დასახნიანებლად და შერეულ ნივთიერებათა შესაერთებლად.

ღვინისთვის ყველა მისაცემი ბალახ-ბუთახი მშრალი და დაფშენილი უნდა იყოს. თუ ღვინოს გადამეტებული სუნენლოვანება და სიმწარე დაეტყო დაყენების შემდეგ, მაშინ ვერმუტს ცუდი გემო ექნება. ამის გასასწორებლად ან შესაქლებულ ტკბილს მიუმატებენ ან შაქრის სიროპს და ან ვერმეტსავე, რომელსაც სიმწარე არა აქვს. თუ ვერმეტს ღია ფერი აქვს, მაშინ ამის დაფერვა შეიძლება დამწვარი შაქრით; თუ ვერმუტი ტკბალია, მაშინ ან ალკოგოლი უნდა მიემატოს და ან მწარე ვერმუტი. — თუ ვერმუტი მუქია, მაშინ ან ღია ფერის ვერმუტს მიუმატებენ და ან ხელმეორედ დასწმენდენ თევზის წებოთი.

გ. ჰეტრანაშვალა

(შემდეგი იქნება)

სალიტერატურო შანიშვნები

(აკაკი წერეთლის ორი სიტყვა ნ. ბარათაშვილის დასაფლავებასა და ყაზიბევის კუბოზე წარმოთქმული; მისივე „შავი ფიქრები“; ეკ. გაბაშვილის წერილი და სალიტერატურო ფონდი; ჩოხოსნის „ჭრელი ფიქრები“).

წარსულს წელს სამშობლო მიწამ „გული გადაიხსნა“ და მიიბარა „ძვალნი შეთნილნი“ ორმოც და რვა წლის განსვენებულის პოეტის ნ. ბარათაშვილისა. გავიდა რამდენიმე თვე და მიწას მივებარეთ სიცოცხლეშივე გარდაცვალებული ნიჭიერი მწერალი ა. ყაზბეგი. ამ ორმა გარემოებამ თავთავის დროზე მთელი საქართველო შესძრა და აალაპარაკა. საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდან ტფილისისაკენ მიისწრაფებოდნენ ბარათაშვილის ნაშთის დასაფლავებაზე და ყაზიბევის განსვენებაზე დასასწრებლად. აღმოჩნდა, რომ ამ ორის მწერლის სახელი საქართველოში ყოველგან მოფენილი, პატივცემული ყოფილა, საცა ქართულს სიტყვიერებას ცოტად თუ ბევრად ფენი მოუკიდნია. აღმოჩნდა, რომ ქართველთა თვით-ცნობიერებას ფესვი შედარებით მაგრა გაუღვამს, რომ ქართველი საზოგადოება თავის საუკეთესო წარმომადგენელთა ნამოქმედარს თვალ-ყურს ადევნებს. ამ ორმოც და ათიოდე წლის წინად ბარათაშვილის გარდაცვალება ნათესავთა და ნაცნობთა გარდათითქმის აჩრავის შეუტყვია და იქნება მისი საფლავიც დღემიწასთან სამუდამოდ გასწორებულიყო, დროზედ რომ არ გავხსენებოდა, რომ სამშობლოს საზღვარ გარედ ქართულის სიტყვიერების საუკეთესო წარმომადგენელი განისვენებს.

ასე გასინჯეთ, ბარათაშვილი რომ გარდაიცვალა, პოეტის ნაცნობები და ამხანაგები იმას კი არა ჰგლოვდნენ, რომ საქართველომ წარჩინებული პოეტი დაკარგაო, არამედ ნაცნობსა და მეგობარსა. ხოლო დრომ რამდენად ფერი იცვალა, იქიდანა სჩანს, რომ ა. ყაზიბეგის სახელი ვითარცა ნიჭიერის მწერალისა თხუთმეტობედ წლის განმავლობაში მოეფინა საქართველოს მთა და ბარს და საბრალო მწერალს ცოტა რამ რომ კიდევ დასცლოდა, თვითონვე მომკიდა თანაგრძნობას, პატივისცემას და სიყვარულს საზოგადოებისას.

როგორც ბარათაშვილის ნაშთის დასაფლავებაზე, ისე ყაზიბეგის გასვენებაზე რამდენიმე მოხდენილი, გარემოების შესაფერი სიტყვა იქმნა წარმოთქმული. ჩვენმა მწერლებმა მთელი თავისი მეტყველების ნიჭი მიიშველიეს და სცადეს იმის თქმა, რაც, მათის აზრით, მთელს ქართველობას გულს ედგა. მოხდენილი, ლამაზი, ცოცხალი სიტყვა წარმოსთქვა ჩვენმა უხუცესმა პოეტმა, ბ-ნმა აკაკიმ, რომელმაც ბარათაშვილის დასაფლავების გამო ცალკე წერილიც დაბეჭდა „კვალის“ მე-18-ტე ნომერში („შავი ფიქრები“). რასაკვირველია, მთელმა საქართველომ სული განაბა და ყურბ დაუგდო საუკეთესო, საყვარელის პოეტის სიტყვებს, ალბად იმიტომ რომ იმ კაცის სიტყვაში, რომელიც, ოც და ათ წელიწადზე მეტია, რაც მისდა სასახლოდ, სანუგეშოდ, მისდა სადიდებლად იღწვის, თვისის გულის ნადების პასუხი ეპოვა. ბარათაშვილის დასაფლავების დროს სხვებმაც დიდაც შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს და აქ თუ საკუთრივ ბ-ნ აკაკის ენისენიებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ პოეტი ორსავე შემთხვევას, ბარათაშვილის დასაფლავებას და ყაზიბეგის გასვენებასაც, დაესწრო და აქაც და იქაც სიტყვიერად ის უნდა გამოეხატა, რაც ჩვენს საზოგადოებას გულს შემოაწოლილი ჰქონდა.

მართლაც, ბ-ნმა აკაკიმ მოიწადინა თავისს სიტყვებში გამოეხატა ბარათაშვილის დასაფლავების მნიშვნელობა; ყაზიბეგის მწარე თავ-გადასავალი, მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწის მდგომარეობა; იმიტომ დიდაც საჭიროდ მიგვაჩნია გამო-

ვარკვიოთ, ზოგ რა ზიგად შეხედნ ბ-ნმა აკაკიმ იმ სამს საგანს, რომელსაც თავის სიტყვებში და საგაზეთო წერილში შეხბო. სწორედ რომ გრძნობით სავსე, პოეტური სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა აკაკიმ ბარათაშვილის დასაფლავების შესახებ. „უცხოს მხარეს მზესავით ჩავსვენა, რომ დღეს აქ უფრო მეტის ძლიერებით აღმობრწყინებულყო... ღღევანდელი ჩვენი მიგებება გლოვა და ზარი კი არ არის, ლიტანიობაა და მზე-შინა... არავის გვეგონოსთ აქ ეს ნამდვილი სამარე და კუბო ბარათაშვილისა, იმისი კუბოა ყველა ქართველის გული და ისე ხშირი, როგორც ხშირ მგონის მთელი საქართველოსადმი სიყვარულით ავსებული გულის ძგერა.— ეს ადგილი არის მხოლოდ ნიშანი, სადაც ამერიიდან უნდა დაესვენოს ჩვენი მნათობი, რომ მთელს საქართველოს სხივი ჰფინოს... ყოველი კუთხე საქართველოსი წმინდაა, მაგრამ ეს ადგილი, ეს დიდუბე წმინდაწმინდათაო“... აი, რაზედაა აგებული ბ-ნ აკაკის სიტყვა და სწორედ რომ მშვენიერად აგებულია. სწორედ რომ მშვენიერი სიტყვაა და კარგი იქნებოდა ბ-ნი აკაკი იმას დასჯერებულყო, რაც ბარათაშვილის დასაფლავებაზე სთქვა და დასაფლავების შესახებ კი რამ არა დაეწერა—რა ამიტომ კანდიერებად ნუ ჩამომართმევს, რომ სიტყვასა და იმ წერილს შორის („კვალი“ № 18) აზრთა თანხმობა ვერ ვიპოვეთ. თავის სიტყვაში იმას გვეუბნება, ბარათაშვილი უცხო მხარეს მზესავით იმიტომ ჩავსვენაო, რომ დღეს აქ უფრო მეტის ძლიერებით აღმობრწყინებულყო, რომ ჩვენი მიგებება გლოვა და ზარი კი არ არის, ლიტანიობაა და მზე-შინა, ბარათაშვილის კუბო ყველა ქართველის გულია და სხვ. ხოლო „მავს ფიქრებში“ ბარათაშვილის დასაფლავების გამო იგივე პოეტი გვეუბნება—ნაცვლად იმისა, რომ ხელი შევეწყუთ, წინ ველობებით, სიტყვით თუ საქმით ტალახსა და ქვას ვესვრით და როდესაც მოღვაწე შეუპოვარს ბრძოლაში სულს დაღვეს, მაშინ კი ყირამალას გადავდივართო და ასკი-კუკუს ვთამაშობთო. ამ დროს რომ კუბოდან წამოახედა მიცვალებულიო, რას იტყოდა? უეჭველია, გაუკვირდებოდა: „სიცოცხლეში მატირებენ—დღეს

მღერთან. მაშინ ლუკმა-პური მიჭირდა, ახლა ჩემის სახელით სხვებს ქელეს უმართავენ... არა, არა! ეს არის ფარისევლობა, მაგრამ უგნური ფარისევლობა: მათივე თავის დაცინება და ჩემი საშინელი შეურაცხყოფა, უფრო მწარე და საზიზღარი დაცინება, ვიდრე სიცოცხლეში“. უეჭველია, ამას იტყოდანო, ბრძანებს ბ-ნი აკაკი, და გადაბრუნდებოდა კუბოში, რომ ხელახლად მომკვდარიყო. არა, მკითხველო; ვგონებთ, რომ ამას არ იტყოდა არც ნ. ბარათაშვილი, არც ს. მესხი, არც ა. ყაზბეგი და არც ჩვენი წარჩინებული მოღვაწე და მწერალი; ამას არ იტყოდა ის კაცი, რომელმაც თავის თავზედა სთქვა:

მინდა მზე კიყო, რომ სსივი
ჩემსა გარემო მოვაკლო,
სადამოს მიტომ ჩავიდე,
რომ დილა უფრო ვაცხოვლო;

ღიად, არ იტყოდა ის დიდ-ბუნებოვანი ქართველი, რომელმაც თავის თავზედა სთქვა:

ცუდად სამ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება,
და გზა უგალი, შესგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დაჩხება.

ღიად, იმ სიტყვებს არ იტყოდა არც ერთი წარჩინებული, თავ-გამოდებული მოღვაწე, რომელსაც აზრად მხოლოდ ეს-ლა უნდა ჰქონდეს: „ოლონდ ეს ჩემი ტვირთი დაულალავად ვზიდო, ოლონდ ერთგულად ვემსახურო და ყველაფერს შევწირავ განწირულის სულის კვეთებამდე“. პირიქით, იმას იტყოდა, რომ ეგ გლოვა და ხარი კი არა, ლიტანიობაა და მზე-შინა, ჩემი ერი სულით და გულით ამალღებულა და მასთან ერთად მეც ცოცხალვარო. ღიად, ამას იტყოდა და თვალთავან სიხარულის ცრემლი დაედინებოდა, რომ ცუდად არ ჩაუვლია მის განწირულის სულის კვეთებას. ეს საყვედური არც

ერთს დიდბუნებოვან კაცს არ წასცდება, მისმა სამშობლო ქვეყანამ კიდევაც რომ ეკლით სჩველიტოს და სიკვდილით აწამოს; იმიტომ არ წასცდება, რომ ადამიანი, რომელსაც მტკიცე, შეურყეველი რწმენა ამოქმედებს, თანაც სულ-გრძელია და სულ-გრძელობა ხომ საძირკველია დიდბუნებოვანობისა. როცა იოანე გუსი საქვეყნოდ დასაწვავად გაამზადეს და როცა ერთმა დედაბერმა ცეცხლს მუგუზალი შეუკეთა, იმ სულ-გრძელს ადამიანს საყვედურის მაგიერ მხოლოდ ეს-ლა წამოსცდაო: *o sancta simplicitas*-ო და სული საღრმთო ლოცვა-გალობაში დალია. ძლიერი რწმენა, განუსაზღვრელი სულ-გრძელობა ადამიანს საყვედურს არ ათქმევინებს თუნდაც იმით შესახებ, ვინც ამის მოღვაწეობასა და ტანჯვას გულ-გრილად შესტკერის, და ისტორია საკმაო ბევრს გულ-საწვავ მაგალითს მოგვითხრობს საუკეთესო, თავ-გამოდებულ მოღვაწეთა სიმტკიცისას, სულ-გრძელობისას.

სამაგიეროდ, „შავი ფიქრები“ ბ-ნი აკაკისა უფრო ეთანხმება, თუმცა საესებით კი არა, იმ სიტყვას, რომელიც ა. ყაზბეგის გასვენებაზე წარმოსთქვა.

„ქართველებს ერთი ახირებული ჩვეულება გვქონდაო; ძილიოდნენ ცხედართან და მოთქმით ტიროდნენ, ქებას შეასხმიდნენ არა მარტო თავისიანი, მოყვრები და მახლობელნი, ისინიც კი, ვისაც სიკვდილამდე მიცვალებულის სიკოცხლეში იმაზე ძრახვისა და აუგის მეტი არა სდებიათ-რა. ეს ჩვეულება ჩვენში დღეს თანდათან ვარდება... მაგრამ მაგიერად ეს ახირებული ჩვეულება შემოვიდა იმ მოწინავე დასშა, რომელსაც ინტელიგენციას ვეძახითო“ („მოამბე“ № 1).

ასე და ამგვარად ბ-ნი აკაკი ინტელიგენციას ფარისევლობას სწამებს, ხოლო, მისივე აზრით, ხალხი ბრბოა, „ის დედი ნაწილი ერისა, რომელსაც თვისი გრძნობა-გონება სხვის თვალსა და ყურში აქვს“... ინტელიგენცია თუ ფარისევლობს და ხალხს თუ გრძნობა-გონება სხვის თვალსა და ყურში აქვს,

მაშველის სახელით ბრძანებს პატივცემული პოეტი იმ ლექსში, რომლითაც ეს სიტყვა დაუსრულებია:

ამ საიდუმლო სასდგარის წინაშე
წამდგარკართ დღეს ჩვენ თვალ-ცრემლიანსა
და თაყვანისა გრემით, ვინც ღირსეულად
განგლო ამ ქვეყნის ვის კვლიანსი.

მაშ თაყვანს ვინა ვცემთ, თუ ინტელიგენცია ფარისევ-ლია და თუ ხალხი საკუთარს გრძნობა-გონებას მოკლებულია.

ეს სიტყვა მიფ უფრო ეთანხმება „შავს ფიქრებს“ პოე-ტისას, რომ აქაც და იქაც ავტორი ეხება არა სანატრელ მდგო-მარეობას ჩვენის მწერლებისას, საზოგადო მოღვაწეებისას. რა-საკვირველია, საჭირო და სავალდებულოა ვიცოდეთ, რა თვა-ლით უყურებს წარჩინებული პოეტი სამწერლო თუ საზოგა-დო სარბიელზე მოღვაწეთა მდგომარეობას და რას ავალებს საზოგადოებას. „შავს ფიქრებში“ აკაკი ბრძანებდა, რომ სა-ზოგადო მოღვაწეს წინ ელობებიან, ხელოვნებს უკრავენ, ტალა-ხსა და ქვას ესვრიან, ხოლო შეუპოვარს ბრძოლაში რომ სულს დაღვესო, მაშინ კი ყირამალას გადადიან და ასკი-კუ-კუს თამაშობენო. თითქმის იმასვე ბრძანებს ყაზიბეგის კუბო-ზე წარმოთქმულს სიტყვაში. „რასაც დღეს იმას (ყაზიბეგს) თანაგრძნობას ვუტახადებთ, მისი მეთადი და მეთადიცი რომ სიცოცხლეშივე გამოგვეცხადებინა მისთვის და მეთი ჭირისუფ-ღება გაგვეწია, ეგებ ის დღეს ჩვენში ყოფილიყო ჩვენის ქვე-ყნის სასარგებლო მუშაკად. მე აქ ქონებრივს შეძლებაზე და პურზე კი არ ვლაპარაკობო: არა მარტო პურითა ცოცხალ არს კაციო, არა, ჩვენში ჯერ შიმშილით არავინ მომკვდარა და არც მოკვდება; მე ვამბობ სულიერ საზრდოზე... თანაგრ-ძნობაზე, რომელიც პურზე უფრო მალა სდგას და უფრო სანატრელია“. თუმცა „შავს ფიქრებში“ ბ-ნი აკაკი მიცვალე-ბულ მოღვაწეთა და მწერალთა სახელით ამბობდა—მაშინ (ესე იგი სიცოცხლეში) ლუკმა პური მიჭარდა და ეხლა ჩემის სა-ხელით სხვებს ქელესს უმართავენო, ხოლო სიტყვაში ბრძანებს:

ქონებრივს შეძლებას და პურს არ ვგულისხმობ, არამედ სულიერს საზრდოსა და თანაგრძნობასა, შიმშილით ჩვენში არავინ მომკვდარა და არც მოკვდება, ჩვენ ამისთანებს სათვალავში არ ჩავადებთ და არც გამოვეკიდებით. ხოლო იმას ვიტყვით, რომ საზოგადო მოღვაწისათვის პურიც საჭიროა და სულიერი საზრდოც, თანაგრძნობაც. ის კი უნდა გამოვარკვიოთ — რა მიაჩნია ბ-ნს აკაკის სულიერ საზრდოდ, თანაგრძნობად, რას ავალებს საზოგადოებას.

რა თქმა უნდა, რომ არამც თუ ჩვენში, არამედ სხვაგანაც საზოგადო მოღვაწისა თუ მწერლის გზა და სარბიელი იწვარდით მოფენილი არაა, მეტადრე იმისთანა მოღვაწისა, რომელიც ქვეყნისთვის თავ-გამოდებულთა და პირადს სარგებლობას არ დაეძებს. აი, სწორედ ამისთანა მოღვაწეებს გამოსარჩლებია ბ-ნი აკაკი, მაგრამ ამისათვის საჭირო არ იყო მიცვალებულები კუბოდან წამოეყენებინა და მგლოვიარე საზოგადოებისათვის თავზე ლაფი გადაესხმევინა. საჭირო იმიტომ არ იყო, რომ ეს საშუალება რომ არ ეხმარა, უიმისოდაც შესაძლო იყო ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა არა-სანატრელი მდგომარეობა ნათლად გამოეხატა საზოგადოებისათვის. პური რომ საჭიროა და უიმისობა რომ ყოვლად შეუძლებელია, ამაზე რაღა საჭიროა სიტყვის გაგრძელება, თუმცა ბ-ნი აკაკი ბრძანებს, რომ ჩვენში ჯერ შიმშილით არავინ მომკვდარა და არც მოკვდება. რაც შეეხება სულიერს საზრდოს, თანაგრძნობას, გულ-ახლილი უნდა ვთქვათ, ვერ მივმხდარვართ — რა უნდა ვთქვა ბ-ნ აკაკის. რასაც დღეს ყაზიბეგს თანაგრძნობას ვუცხადებთო, მისი მეთელი და მესელიც რომ სიცოცხლეშივე გამოვეცხადებინა მისთვის და მეტი ჭირისუფლება გავგეწია, ეგებ დღეს ის ისევ ჩვენში ყოფილიყო ჩვენის ქვეყნის სასარგებლო მუშაკად. ხელ-ახლავ უნდა ვიკითხოთ, რა თანაგრძნობა უნდა გამოვეცხადებინა საზოგადოებას და რავარი ჭირისუფლება უნდა გავგეწია ყაზიბეგისათვის? შედგა თუ არა ფეხი სამწერლო სარბიელზე, ყაზიბეგმა საზოგადოების ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა და იმ დღიდან მოკიდებული,

ვიდრე უკურნებელმა სენმა ხელიდან კალამი არ გამოხსლიტა, ჩვენს ბელეტრისტთა შორის ტოლი არა ჰყავდა. ქართულს გაზეთსა თუ ჟურნალში მკითხველი ყაზიბეგის ნაწერს დაეძებდა და იმისი კალმის ნაწარმოებით სტკებოდა. იმ დღიდან მოკიდებული, რაც ხელში კალამი აიღო, ყაზიბეგი დილაღე გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ სულითა და ზნეობით იმდენად ფაქიზი იყო, მწერლობისათვის იმდენად თავდადებული, რომ, თუმცა იმ დროს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს არავითარი საშუალება არა ჰქონდათ სასყიდელი გაეღოთ, ყაზიბეგს არსად და არას დროს მწერლობისა და საზოგადოების მიმართ საყვედური არ წასცდენია; იმდენად ფაქიზი იყო, რომ „მჩხვლეტენ, ხელ-ფეხს მიკრავან, სიტყვით თუ საქმით ტალახსა და ქვას მესვრიანო“ არასოდეს ირ იტყოდა და არც უთქვამს. სხვათა შორის იმიტომაც არ იტყოდა, რომ საზოგადოების სიყვარულს დიდად აფასებდა და ეს სურვილი ასულდგმულებდა და აღფრთოვანებდა. პური უჭირდა, მაგრამ იმდენად თავდაჭერილი და სხვისა და თავისი ესოდენი პატივისცემა ჰქონდა, რომ გამვლელ-გამომვლელს ხელს ვერ გაუწვდიდა და ვერ დაავალებდა: რაკი ქართულის სიტყვიერების დამამშვენებელი მწერალი ვარ, ქართველობის სასახელო, თითით საჩვენებელი წარმომადგენელი და რაკი მე მშთან და მწყურთან, ხოლო თქვენ კი განცხრომასა და ფუფუნებაში ატარებთ ცხოვრებასაო, პური და ფული მომაწვდინეთ, თორემ თქვენს უგუნურებას, გულქვაობას, ფარისევლობას დაამტკიცებთო.

იქნება მკითხველმა გულში ის აზრი გაიტაროს, რომ ასეთი სიფაქიზე სულისა და ზნეობისა თვით ყაზიბეგის დამამშვენებელი თვისებააო, ხოლო ჩვენ მაინც ვალდებული ვიყავით მისთვის სულიერი საზრდო მიგვეწვდინა, თანაგრძნობა გამოგვეცხადებინა. დილაღე მართალია; ერთიკა და მეორეც ფრიად საჭირო იყო, ხოლო ეს საზრდო და თანაგრძნობა იმ სიყვარულსა და პატივისცემაში გამოჰხატა საზოგადოებამ, ინტელიგენციამ თუ არა-ინტელიგენციამ, რომლითაც ყაზიბეგის ნაწერებს ეკიდებოდა. განა სხვა რომელიმე საშუალება ხელთ ჰქონ-

და? მწერალი საცა ფეხს წასდგამდა, ვაშა-ვაშას ძახილით ხომ ვერ მივეგებებოდით, გუნდრუკს ხომ ვერ ვუკმევდით, გზას ხომ ია-ვარდით ვერ მოვუფენდით? ანა-და ლუკმა პური რა გზით უნდა მიგვეწვდინა, როცა თვითონ მწერალი თავისს გაჭირვებას არ ამჟღავნებდა და ხელში არავის შესცქეროდა? რა თქმა უნდა, ყაზიბეგსაც და სხვა მწერლებს თუ მოღვაწეებს მრავალი პირადი უსიამოვნება, უბედურებაც შემთხვევია, მაგრამ ეს იმის საბუთი არ არის, რომ მთელი საზოგადოება ლანძღვა თრევითა და საყვედურით შეამკონ. განა სადა ყოფილა, რომ საზოგადო მოღვაწეს თუ მწერალს, თუნდაც ჩვენზე უფრო დაწინაურებულის ერისას, ყოველივე უსიამოვნება, გაჭირვება თავიდან აეციდინოს? „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“. მართალი რომ ეთქვათ, არც ჩვენი საზოგადოებაა ისე გულქვა, ისე გრძნობადაკარგული, რომ მწერალს თუ საზოგადო მოღვაწეს პატივისცემა მოაკლოს, თუ რომ იმის მოღვაწეობის მნიშვნელობა შეიგნო, და ისეთს გულქვაობას არასოდეს არ ჩაიდენს, რომ ქვით ჩაჭქოლოს. ჩვენიცა და ბ-ნი აკაკიც ვუწყით იმის მაგალითს, რომ ჩვენმა საზოგადოებამ, რაკი სცნა—ესა და ეს მწერალი ჩემდა სასახლოდ მოღვაწეობს და თავი ქვეყნისთვის აქვს გადადებულო, მიეშველა და შესაწევარი მიაწვდინა და მზად არის სიკვდილდე არ მოაკლოს.

მაინცა და მაინცა მდგომარეობა ქართველის მწერლისა, საზოგადო მოღვაწისა არა-სანატრელია, გაჭირვებულია, მაგრამ ვინ არის ამის მიზეზი, ბ-ნი აკაკის ნაწერიდან თუ ნათქვამიდან ნამდვილს ვერა ვტყობულობთ. „შავს ფიქრებში ბარათაშვილის დასაფლავების გამო“ გადაჭრილს ბრძანებს: „ჩვენი ხალხი ნამდვილ საზოგადო მოღვაწეს ისე უყურებს, როგორც ბატონი მონას... სწორედ ამ მდგომარეობაში არიან ჩვენი მოღვაწენი ჩვენი ხალხის ხელშიო“. სიტყვაში ყაზიბეგის კუბოზე კი თავის თავს ეკითხება—„ვისი ბრალიაო“ და თერთონვე გადაჭრილსავე პასუხს იძლევა: „არა ხალხისა... არაო... მხოლოდ... ინტელიგენციის და მათი მეფაურებისა, რომელთაც აღარ სცალიანთ და პირადობას უნდებიან“. მაშ ვისი ბრალია,

რომელს გადაჭრილს პასუხს ვერწმუნოთ? ვისი ბრალია—ხალხისა, რომელსაც „თვისი გრძნობა-გონება სხვის თვალსა და ყურში აქვს“, თუ ინტელიგენციისა და მისის მეთაურებისა, „რომელთაც არა სცალიანთ და პირადობას უნდებია“ და რომელთაც ბ-ნი აკაკი ფარისევლობას და გულქვაობას სწამებს? ამ-ორს გადაჭრილს პასუხში ვისაც რომელი უნდა, იმას ვერწმუნოს, ხოლო ის კი ძნელად გამოსარკვევია, ბ-ნი აკაკის აზრით რომელი უფრო სარწმუნო და სამართლიანია.

რაც უნდა იყოს, ბ-ნი აკაკი „შავს ფიქრებში“ ერთს საყურადღებო საგანს შევხვებით; წერილის დასასრულში ის აზრი აქვს გატარებული, რომ საჭიროა სალიტერატურო ფონდი ექონიოთ უმწვეო ქართველ მწერალთა დასახმარებლად. დიად, ამ აზრის წარმოთქმისათვის დიდის მადლობის ღირსია, მაგრამ იმის სათქმელად, როგორც ზემოდა ვთქვი, არც კუბოდან მიცვალებულთა წამოყენება იყო საჭირო და არც საზოგადოებისათვის თავზე ლაფის გადასხმა. ბარათაშვილის ნაშთის დიდუბეში დასაფლავება და ყაზბეგის გასვენება—ორივე ისეთი შემთხვევა იყო, საცა მწერალს თუ ორატორს მეტი ზომიერება, მეტი წინდახედულობა ჰმართებდა, და თუ ბ-ნი აკაკის ცოტად თუ ბევრად ერთმაც უმტყუნა და მეორემაც, ამას თავისი მიზეზი აქვს, ხოლო „ძნელად სათქმელი, გამოსაგები ენითა“ იქნება ჩვენის მწერლების და საზოგადო მოღვაწეთა გაჭირვებულმა მდგომარეობამ გული აუჩუყა და ზომიერება დააკარგვინა, ანა-და ისიც შესაძლოა, რომ ინტელიგენციის მეთაურთა სიძულვილს თავი გაატაცებინა და იმათ ბანაკში ყუმბარა გადაატყორცნინა. ამის კვლევას ჩვენ არ შეეუდგებით და, მართალი რომ ვთქვათ, არც სასიამოვნოა.

რაკი სალიტერატურო ფონდი ვახსენეთ, არ შეგვიძლია ქ-ნ ეკ. გაბაშვილის წერილს გზა ავუხვიოთ. ამ მწერალმა ქალმა სალიტერატურო ფონდის შესახებ ჩამოაგდო ლაპარაკი და, მართალი უნდა მოგახსენოთ, მარჯვე დროც შეურჩია. ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ თვალზე ცრემლი არ მოეწმინდა უდროოდ მიცვალებულის, მრავალ-ტანჯულის ყაზიბეგის კუ-

ბოზე დანადინარი, და ქ-ნ ეკ. გაბაშვილისამ გრძნობით სავსე წერილი დაბეჭდა „ივერიაში“ (№ 274), საცა საკმაოდ ნათლად აქვს გამოარკვეული მწერლობის მნიშვნელობა და ქართველ მწერალთა გაჭირვებული მდგომარეობა. ავტორი მეტის ზომიერებით, მეტის მართებულობით მოეკიდა საზოგადოებას; არც მიცვალებულთა გვამი შეურყევია კუბოში და არც საზოგადოებისათვის უთქვამს ისეთი რამ, რაც შემთხვევას და საგანს არ შეეფერებოდა. ამ მხრით წერილი ეკ. გაბაშვილისა სწორედ ღირს-შესანიშნავი და საგულისხმოა და სახელი და დიდება, რომ მიცვალებულთაც პატივისცემით მოეკიდა და საზოგადოებასაც. ხოლო სხვათრივ კი არც ეს წერილია უნაკლული; ზომიერებაჲ, ცოტად თუ ბევრად, აქა-იქ ამ ავტორსაც უმტყუნა. ის თუ ძნელი გამოსაცნობია—ბ-ნ აკაკის ზომიერება რამ დააკარგინა, მართებულობა რომ დაარღვევნა, სამაგიეროდ ეკ. გაბაშვილის შესახებ კი იგივე მიზეზი აშკარა და ნათელია. პატივცემულ მანდილოსან-ბელეტრისტს სწორედ რომ ჩვენის მწერლების გაჭირვებულმა მდგომარეობამ გული აუჩუყა და ისეთი რამ ათქმევინა, რაზედაც ახლა, ვგონებთ, თვითონაც თანახმა არ იქნება ხელი მოაწეროს. „ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ გულ-მხურვალეობა იმ ყმაწვილ-მწერალთა შესახებ, რომელნიც დღეს ლუკმა-პურის მოპოვებას ანდომებენ თავისს პრწყინვალე ნიჭს... ჩვენ უნდა შევკრიბოთ ასეთიანი მწერალნი, ხელი გაუწოდოთ, ვანუგეშოთ და ჩვენის თანაგრძნობით გაუფლევოთ ზეგანდმო მინიჭებული ღვთიური ნაბერწყალი შემოქმედებისა... დავამტკიცოთ, რომ ჩვენც შეგვიძლიან დაფასება იმათი, ვინც ძანაღია ქვეყნისა, ვინც ამშვენებს მოშობელს ქვეყანას, ვინც დიდი ნიჭი, გულთა მხილება და ერის გულის შესახის გამოთქმა უხვად მინიჭებია სიყვით, ვინც დიდებას და ნუგეში ჩვენის ერისა!“ ვეკვ, რომ ქ-ნმა ეკ. გაბაშვილისამ დღეს ეს სიტყვები თავისს ნათქვამად აღიაროს, რადგანაც ღვთიური ნაბერწყალი შემოქმედებისა, დიდი ნიჭი, გულთამხილება და ერის გულისსახის გამოთქმა ზეცით ცოტას აქვს მინიჭებული, არამედ უფროსერთი მწერალი, დაუშრომელად

მოდვანე, უჩინარია და დიდს ნიქს მოკლებული; ხოლო ყოველგან და ყოველთვის ესენი შეადგენენ მკვიდრს საძირკველს მწერლობისას; ამ საძირკველზე ღვთაებრივის ნაპერწყალის გულში მატარებელი მწერალი, რომელსაც

«იქცა ჭნიშნავს და საფსი ჭზრდის
მიწიეაი ზეცაქსა»

ჩინებულს შენობას აღმართავს ხოლმე და მითსაუკუნოდ ხელუქმნელს ძეგლს აიგებს. დიად, ამისთანა „ზეციერი“ მწერალი ცოტაა და თუ ვინცობაა ვინმემ გულში ის აზრი გაიტარა, რომ საკუთრივ იმათ შესაწევრად უნდა გაიმართოს სალიტერატურო ფონდიო, დიდი უსამარაულობა იქნება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, როგორც ზემოდა ვაქვით, ეკ. გაბაშვილისამ მეტის-მეტს გრძნობიერებას, მეტის-მეტს სიბრალულს მწერლობისადმი თავი გაატაცებინა და ამიტომ ავტორმა ვერ შესძლო „ქმნა მართლისა სამართლისა“. ისიც გვწამს, რომ, თუ ღმერთმა ინება და სალიტერატურო ფონდს შევესწარით, არც ეკ. გაბაშვილისა დაუბრუნდება თავისს აზრს და არც ეს აზრი იქნება შეწყნარებული იმათგან, ვინც სალიტერატურო ფონდის გამართვას იკისრებს. რასაკვირველია, ეკ. გაბაშვილისას ამ აზრს დანაშაულობად არ ჩამოვართმევთ და იმის შესახებ ლაპარაკი თუ ჩამოვადგდეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მწერალს, როცა ნიშანში რომელიმე საგულისხმო საგანი აქვს ამოდებული, მეტის-მეტი თავდაჭერა მართებს, მეტის-მეტი ზომიერება და საპართლიანობა. ასეთი საგანი, სხვათა შორის, სალიტერატურო ფონდშიცაა, რომლის გამართვა დღეს უცილობელს სანქტიონებს შეადგენს, დღეს მაინც, როცა სამწერლო სარბიელზე მრავალი მხნე და უმწეო ახალგაზდა გამოდის; თავის-თავის გონებასა და კალამზე დაიმედებული, რომელთათვის მწერლობა არა მარტო სულის ჩამდგმელი და ზნეობის განმამტკიცებელი სტიქიონია, არამედ ლუკმა-პურის ერთად-ერთი წყაროცაა, ჯერ-ჯერობით სალიტერატურო ფონდი ერთ-ერთი ფორმაა, რომელშიაც უნდა გამოიხატოს საზოგადოების პატივისცემა და

თანაგრძობა მწერლობისადმი. დიდს სამსახერს დასდებს ის, ვინც ამ ფონდის გამართვას ხელს შეუწყობს და სიტყვას საქმედა გარდაქმნის. დიად, დღეს, როცა საფლავს რამდენიმე ნიკიერი მწერალი მივამბარეთ, დროა სალიტერატურო ფონდზე ვიზრუნოთ.

ამ წერილს ვწერდით და ტფილისის საბანკო კრებამაც მოაწია, იმ კრებამ, რომლის მოლოდინში ქართველებს გული უფრო ხშირად უცემდა. სანამ კრება დაიწყებოდა, საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო; გაზეთებსაც ყურადღება იმისკენ ჰქონდათ მიქცეული და ყველა იმის საგონებელში ვიყავით, თუ რითი დასრულდება დიდის ხნის ბრძოლა საბანკო ორდასს შორის. ეს დრო იყო, როცა აკაკიმ ჯვარი გადასახა, გზა დაულოცა ვილაც ჩოხოსანს და სამწერლო სარბიელზე გამოიყვანა „კვალის“ მე-20-ე ნომერში. ამ წერილმა სამართლიანად მიიქცია გაზეთების ყურადღება; ბ-ნს ჩოხოსანს მოსარჩლეც აღმოუჩნდა და მოპირდაპირეც აღსტყდა ალიაქოთი. ამ წერილმა აკაკის ერთი მშვენიერი სიტყვა მოგვაგონა ამ თორმეტცამეტის წლის წინად თელავში წარმოთქმული. ბ-ნ ჩოხოსანს ეტყობა კარგად შეუთვისებია აკაკის ზოგი ნათქვამი, მაგალითად ისა, რომ ჰურ-ღვინოში, რომელსაც ჩვენა ვსვამთ და ვკამთ, ჩვენთა წინაპართა წმინდა ნაწილია შერთულიო, რომ ჩვენი ყანები, სახნავ-სათესი, ადგილები, ჩვენი მამა-პაპის სისხლით არიან მორწყული და მათი ძვლებით დაზოხიერებულიო. ახ სწორედ ამ აზრზე იყო აგებული ის მშვენიერი სიტყვა აკაკისა და ეს აზრი ჩოხოსანს ისე კარგად და ღრმად შეუთვისებია, როგორც თვით აკაკის, მაგრამ ბ-ნი ჩოხოსანი ამით არაკმაყოფილდება და ეტყობა აკაკის ნაწერებს თვალ-ყურს გულმოდგინედ ადევნებს, მაგალითად, ძლიერ კარგად შეუთვისებია ის სიძულვილი ჩვენის ინტელიგენციისადმი, რომელიც აკაკიმ, თორმეტცამეტი წელიწადი რომ გავიდა იმ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, ბარათაშვილის დასაფლავებასა და ყაზბეგის კუბოზე ამხილა ქვეყანას. თაფ-ფასიანი ფრაზებიც — „გარეგანი სიღარიბე ნიშანი არ არის შინაგანი სიღარიბისაო, თვით დიდ

დებულს მოძღვარს, მის მოციქულებს და მოწაფეთა ხამლები, ესე იგი ქლამნები ეცათო — ძლიერ კარგად აქვს გაზნობრებული და ამ აელა-დიდებით აღჭურვილი ჩოხოსანი საქვეყნოდ აცხადებს, რომ უფროსერთი წასწავლი ქართველი ბუნებით სულელი და ქარაფშუტაა, საკაქკაქოზე გადმოსკუბებულაო და სხვ. და სხ... ამაზე ბ-ნს ჩოხოსანს ჩვენ არ დავედავებით: დეე, ისე იფიქროს, როგორც ჩაგონებულნი აქვს. ხოლო სადავო ისა გვაქვს, რომ ბ-ნი აკაკი ჩოხოსანის ბაგეთი, თუ ჩოხოსანი აკაკის ბაგეთი, ერთს ისეთს რასმე გვიმოძღვრებს, რისიც შეწყნარება ყოვლად შეუძლებელია. ვინ არ იცის, რომ ჩვენი საზოგადოება, მწერლობა ეს რამდენიმე წელიწადია საარჩევნო ზნისა და ჩვეულების გარყვნასა და წაბილწვას სჩივის და დიალაც სამართლიანად ჰკიცხავს. ხოლო გამოჩნდა ბ-ნა ჩოხოსანი, აკაკის მიერ მირონცხებული, რომელიც იმ გარყვნა-წაბილწვას ხელს აფარებს და გვიმოძღვრებს — „დღეს ცხენი პატარა მიღეთად გადაიცვალაო; თუ საშუალება არ მექნება, რომ ის პატარა ბილეთი შევიძინო, რატომ არ უნდა მივიღე ჩემს მოძმესთან ჩემისთანა ჩოხიანი და არა ესთხოვო: არ მინდა, რომ საზოგადო საქმეს მოვსხლტე... სურვილი მაქვს, რომ დავესწრო მეც იქ, სადაც ჩემი ქვეყნის ბედი წყდება და ხელი გამიმართე დღეს, რომ მეორედ მეც გავიმართოო“. აი ხელის დაფარება და თვალის ახვევა სწორედ ამას ჰქვიან, და ეს თვალის ახვევა ყოვლად ვრ-შესაწყნარებელია; ავტორი იმ აზრით გატაცებული, რომ ცხენის სამაგირო დღეს პატარა ბილეთიაო, თანამედროე ბაწიერებძღ დასაფარად მზად არის ჩვენი ძველი, ჩვენი მამა-პაპა საფლავში გადააბრუნოს. „ვინც ძველად თავის საკუთარი ცხენით არ მივიდოდა მოპირდაპირეზე და ნათხოვარი ეყოლებოდა, მაშ გასაკიცხი ყოფილა თქვენის აზრიდო“? გვეკითხება კადნიერებით აღსავსე ჩოხოსანი. მაგრამ ამას თავი დავანებოთ: დეე, ვინც ხელს აფარებს ჩვენს უბედურებას, ჩვენს გაჭირვებას, მომავალს თვალი თვითონვე გაუხსნოს; ხოლო ამ ეჰმად სამწუხარო ისა გვაქვს, რომ ზოგიერთა მწერალი, ოღონდ თანა-

მოგონებები ათონის მონასტრის უფროსი... ცხოვრება... მონასტრის... მონასტრის... მონასტრის...

უცხოეთის მიმოხილვა

მონასტრის... მონასტრის... მონასტრის... მონასტრის... მონასტრის... მონასტრის... მონასტრის... მონასტრის... მონასტრის... მონასტრის...

ბ. შ. ლ. ზ. ა. რ. ი. ა.

აი, რა სახით მოაწყო, ომის შემდეგ, ბულგარიის მდგომარეობა ბერლინის კონგრესმა (13 ივლისს 1878). ნახევარზე მეტი ამ ქვეყნისა სამთავროდ გახადეს, მაგრამ თან კონგრესმა ისიც დასძინა, რომ ბულგარიის მთავარი ხონთქრის ხელკვეითი (васељани) იქნესო, და ხონთქრისგან მტკიცედობადეს ბულგარიის ტახტზეო. დანარჩენი ნაწილი ბულგარიისა ისევ ხონთქრის სამფლობელოში დასტოვეს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მისი მართვა ხონთქარს ყოველთვის მართლ-მადიდებელი გენერალ-გუბერნატორისთვის მიენდო, რომელიც ხუთ-ხუთი წლის ვადით დაინიშნებოდა ხონთქრისგან, ყველა დიდი სახელმწიფოების თანხმობით. გენერალ-გუბერნატორთან დაარსეს ადგილობრივი მცხოვრებლების წარმომადგენლებს კრებაც. მაგრამ უმთავრესი მოხელეები (ვიტომ-მინისტრები) ამ ახირებული მართველობისა ისევ ხონთქარს უნდა დაემტკიცებინა თანამდებობაზე, და კრების გადაწყვეტილება მარტო მაშინ შეიქნებოდა კანონიერი, თუ ხონთქარი დაამტკიცებდა. ამ ნაწილს ბულგარიისას თვით ბულგარიის სახელიც ახადა ბერლინის კონგრესმა, და აღმო-საჯღეთის რუშქელია დაარქვა. იმასაც ნუ დავიფიქვებთ, რომ როგორც სამთავრო, ისე საგენერალ-გუბერნატარო ბულგარიას ოსმალეთისთვის ხარკი უნდა ეძლია. აი ამგვარი სანახევრო-

*) «მოამბე» № 6

განთავისუფლება ელირსა, ომის შემდეგ, ბულგარიას, თუმცა რუსეთი ბევრს ეცადა და იდავა მისთვის უკეთესი ბედის საშოვნელად.

ამასთანავე ბერლინის კონგრესმა ისიც გადასწყვიტა, რომ რუსეთის ჯარმა და ამაღამ — რომელიც ისევ ბულგარიაში იდგა — ცხრა თვის განმავლობაში ერთიანად უნდა დაცალოს ეს ქვეყანა და მისი საქმეების მართვა იმ მართებლობას ჩააბაროს, რომელსაც ბულგარიაში ხალხი ამოირჩევს და აღმოსავლეთის რუმელიაში — ხონთქარი დანიშნავსო. ამ ცხრა თვის განმავლობაში რუსეთმა, კარგად თუ ავად, დაამარაგა ახალი სამთავროს ჯარი, მმართველობა, ბაჟის კრეფა და სხვ. მთელი ბულგარიის მმართველად, ამ ვადის განმავლობაში, იყო „რუსეთის იმპერატორის კომისარი“, თ. ალ. დონდუკოვი-კორსაკოვი, რომელიც შემდეგ ბარე ექვსი წელიწადი ჩვენშიაც მთავარ მართებლობდა. იმან თუ მისმა ხელქვეითებმა შეუდგინეს ახალ სამთავროს სრული წეს-წყობილება, რომელიც ჯერ პეტერბურგში გადასწორა უმაღლესმა კომისიამ, თ. ურუსოვის თავმჯდომარეობით, და მერე ბულგარების წარმომადგენლების კრებამ ტირნოვოში. თავიდან ბოლომდე გადასხვაფერა და გადააკეთა. ეს წეს-წყობილება კრებამ დაამტკიცა 17 თებერვალს 1879, და ისტორიაში ცნობილია „ტინოვოს კონსტიტუციას“ სახელით. მიჰსი ძალით თ. დონდუკოვმა-კორსაკოვმა იმავე ტირნოვოში ახალი, „დიდი კრება“ (Великое собрание) მოახდინა ამავე წლის აპრილში ბულგარიის მთავრის ამოსარჩევად. ამ დიდმა კრებამ რუს-ხელმწიფის სურვილისამებრ, თითქმის ერთხმად აირჩია მთავრად მაშინ ყველგან უცნობი ახალგაზნდა გერმანელი პრინცი ალექსანდრე ბატკენბერგი. ეს ყმაწვილი მკვიდრი ძმის წული იყო რუსეთის მაშინდელი დედოფლისა, და თანაც აგრედვე მკვიდრი დისწული — გამოჩენილი რევოლუციონერის დაუკისა *). ეს თვალსაჩინო სხვა-და-სხვაობა

*) დესნენის პრინცმა ალექსანდრემ (რუს-ხელმწიფის ცოლის ძმამ) მორგანატოული (საიდუმლო) ჯვარის-წერით შეირთო პოლონელი ქალი, გრაფინა დაუჟე, რომლის ძმამ თავი იხინა ჯერ პოლონიის აჯანყებაში და მერემ გარიბალდის ჯარში. ქორწილის შემდეგ გრაფინას სახელად ბატკენბერგი დაერქვა. ეს სახელი, წესისამებრ, მის შვილებსაც გადაეცა.

წინაპრებისა, რასაკვირველია, უგავლენოდ არ ჩაივლიდა მისი ხასიათისთვის: ბატენბერგი სულ მაქოსავით ტრიალებდა თვით-მპყრობელობიდან რევოლიუციისკენ და რევოლიუციიდან თვით-მპყრობელობისკენ. 9 ივლისს 1879 იმან კრების წინ შეჭვიცა მუდმივი ერთგულება ტირნოვოს კონსტიტუციას და ბულგარის მართებლობა ჩაიბარა. თ. დონდუკოვმა-კორსაკოვმა გადასცა მას საქმეები და ანგარიში, აგრედვე თოთხმეტი მილიონი ფრანკი ნალდი ფული, სათადარიგოდ გადადებული, და ახლად-შეგროვებული, და ძლივს-გაწრთენილი ბულგარელი ჯარი, სულ 25,000 მეომრისგან შედგენილი. ამ ახლად-შექმნილ ჯარს გამწვრთნელად მან ოთხასიოდე საუკეთესო რუსის აფიცერი და 2,700 სალდათი დაუტოვა. დანარჩენი რუსის ჯარი და ამა-ლა თ. დონდუკოვმა-კორსაკოვმა გემებში ჩასხა და რუსეთისკენ წაიყვანა. ალექსანდრე პარველი, ბოლგარიის მთავარი, მარტო დარჩა თავის სამთავროთი.

ტირნოვოს კონსტიტუცია ისეთ რიგად შედგენილია, რომ მთელი უფლება და გავლენა საერო კრებას (Собрание-ს) ეკუთვნის. მთავრის ძალა და უფლება მეტის-მეტად შევიწროებულია. მისი სამინისტრო და მინისტრები ყველაფერში პასუხის მგებლები არიან კრებას წინ, და უკრებოდ თითქმის ვერაფერს იქმენ, ერთი სიტყვით, ბულგარიის კონსტიტუცია თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოწერილია საუკეთესო ევროპული წეს-წყობილებიდან. მაშასადამე, ახალგაზდა მთავარს, ჩაიბარა იმან თუ არა სამთავრო, თავის მინისტრებად ისეთი პირები უნდა დაენიშნა, ვისაც კრების და ერის ნდობა დამსახურებული ჰქონდათ. ალექსანდრე მთავარმა კი მინისტრობა ისეთ კაცებს მიანდო, რომელთაც საერო კრებამ, მეორევე თავის სხდომაზე (ოქტომბერი 1879) სრული თავისი უნდობლობა გამოუცხადა. კონსტიტუციურ ქვეყნებში ყოველი ხელმწიფე ამისთანა მინისტრებს მაშინვე დაითხოვდა, და ახალ სამინისტროს კრების საამო მოღვაწეებისგან შეადგენდა. მით უფრო უნდა მოქცეულიყო ასე ალექსანდრე მთავარი, რომ ის ახლად მოსული იყო ბულგარიაში, ამ ქვეყანას სრული-

დაც არ იცნობდა, და თავაზიანობით არაუერს წაიხდენდა, ხალხის თვალში. ის კი სულ წინააღმდეგ გზას დაადგა. მან არც აცივა, არც აცხელა, იმ წამში ხელი წაავლო იმ მუხლს კონსტიტუციისას, რომელიც მთავარს ნებას აძლევს, ზოგიერთ მძიმე და იშვიათ შემთხვევაში, კრება დაშალოს და ახალი არჩევნები დანიშნოს, ახალი კრების შესაღვენად. ამ უფლებით მეთევები ათასში ერთხელ თუ სარგებლობენ, მეტად არა, და მარტო მაშინ, როცა დარწმუნებული არიან, რომ ერი სადავო საგანზე სულ სხვა შეხედულობისაა, ვიდრე კრება. შემდეგი წლის (1880) დამდევს კენჭის ყრა მოხდა მთელს ბულგარიაში ახალი კრების ამოსარჩევად. ერმა ყოველგან უწინდელი თავისი წარმომადგენლები აირჩია, და თუ სადმე ვინ გააშავა, მარტო ისეთი პირები გააშავა, რომელნიც მინისტრების მხარეზე იდგნენ. ახალგაზდა მთავრისთვის ეს საშინელი წიკპარტი კი არა, მუჯღლუგუნიც იყო ერისაგან. ალექსანდრე მთავარს, ალბად, ეგონა, რომ რაკი ბულგარიამ მე, უცნობი, ერთხმად ამომირჩია რუს-ხელმწიფის სურვილისამებრ, ერი სხვა ყველაფერშიაც ასე ყურ-მოჭრილ ყმასავით დამჯერებელი იქნებოა. ის მაშინვე რუს-ხელმწიფისკენ მიიქცა თხოვნით: მიშველე, რა ვქნაო. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ მაშინვე ურჩია, თუ უბრძანა, შენი სამინისტრო დაითხოვე და ახალი სამინისტროს შედგენა კრების სანდო პირს, ოპოზიციის მეთაურს, დრაგან ჩანკოვს, ჩააბარეო. იმ დროს ამ ცანკოვს მართლა დიდი ხმა და გავლენა ჰქონდა ერში და კრებაზე. თუმცა მას და ალექსანდრე მთავარს შუა ერთობ ცუდი განწყობილება იყო, და მთავარს ის მეტად სძულდა, რალა სახსარი ჰქონდა, რუსეთის რჩევა უნდა აესრულებინა.

ცანკოვი ცნობილი იყო როგორც ფრთხილი, გამოცდილი და მოხერხებული მოთავე. ამხანაგად და თანაშემწედ სამინისტროში იმან იგივე პირი აიყვანა, ვინც მისი ამხანაგი და თანაშემწე იყო ოპოზიციაში: ჰეტკო კარაგელოვა, რადიკალური პარტიის მოთავე. ცანკოვი მოხუცი იყო და კარაველოვი — ახალგაზდა. ეს სიფრთხილისა და გამბედაობის ერთად შე-

ზავება ბულგარიის პოლიტიკას მოუხდა, და უფრო მეტადაც ახერხებდა, ალექსანდრე მთავარს ცანკოვის დათხოვნის განსაკუთრებითი სურვილი რომ არა ჰქონოდა. ამასთანავე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ცანკოვი რუსეთის მომხრე იყო, მაშინ როდესაც კარაველოვი ეჭვით შეჰყურებდა რუსეთის გავლენას. იმ დროს კი ბულგარიას რუსეთთან ბევრი საერთო საქმეები ჰქონდა. ბულგარიის ჯარი ჯერ კიდევ რუსების აფიცრების ხელში იყო, და თვით სამინისტროშიაც სამხედრო მინისტრად რუსის გენერალი იჯდა. ამისთანა შეხამებული ხასიათი ცანკოვის სამინისტროსი მეტად სასარგებლო იყო-მეთქი ბულგარიისთვის. რუსეთი მიენდო. ცანკოვის სახელსა და ხასიათს. ბულგარიის პატრიოტები, და მათთან ევროპელები, კარაველოვის „დამოუკიდებლობით“ იყვნენ დაიმედებული. საქმე რიგიანადაც მიდიოდა. მაგრამ, საუბედუროდ, ყმაწვილ მთავარს ისეთი პირები შემოესივნენ და გაუმეგობრდნენ, ვისაც ერი არც იცნობდა, არც ენდობოდა, და ვისაც სხვა აზრი და განზრახვა არა ჰქონიათ-რა, გარდა იმისა, რომ კერძოდ თავიანთ ნათესავებისთვის ესარგელებინათ მათი მთავართან დაახლოვებით. ესენი იყვნენ მთავრის პირადი მეგობრები: ნაჩევაჩი, გრეკოვა და სკოპილოვა. ამათ ის აზრი გაუთქვიფეს მთავარს თავში, რომ კონსტიტუცია ხელ-ფეხს გიკრავსო, მისი შეცვლაა საქირო და სხვ. და სხვ. და ერთიანად აიყოლიეს საბრალო ყმაწვილი. ამ მიზნის მისაღწევად იმან ჯერ მარტო ცანკოვი დაითხოვა, მერე კარაველოვი რუსეთს შეაძულა...

ამასობაში თვით რუსეთში დიდი ცვლილება მოხდა. მარტის პირველს 1881 წ. გარდაიცვალა ალექსანდრე მეორე. როცა ბულგარიის მთავარი მის დასაფლავებას დაესწრო, პეტერბურგში, დარწმუნდა, რომ კარაველოვის დათხოვნის გულმისთვის იმას რუსეთში არავინ დაემდებოდა. ამასთანავე იმან პეტერბურგში სულ იმ საგანზე ილაპარაკა, რომ კონსტიტუციას გაძაგრული ვყავარო, ვერაფერს ვახერხებო, კრება არაფრის ნებას არ მაძლევსო, კრება მინისტრებად უფრო რუსეთის მოწინააღმდეგებს ნიშნავსო და სხვ. და სხვ. პეტერბურგში,

იმ დროს, რასდღეირველია, ზმ ლაპარაკს და დაბეზღებას
 ყური კი ათხოვეს, მაგრამ სრულის ნდობით არ მოექცნენ. რუსე-
 თის მთავრობამ საქმის ადგილობრივ ვაშლსაკვლევად ბულგა-
 რიაში დანიშნა ბ. სტრუგოვი, რომელიც ვითომ ცანსულად
 უგზავნებოდა. მთავარს ეს არ მოეწონა: მიან ბ. ხიტროვოს მო-
 სვლას როდილა მოუცადა. 27 აპრილს 1881 თავის სატახტო ქა-
 ლაქის ქუჩებზე მანიფესტი გააკვრევინა, რომელშიაც აცხადებდა,
 რომ კარაველოვის სამინისტროც დავითხოვეო, კრებაც ხელ-
 ხელად დამიშლია, და თვით ტირნოვოც კონსტიტუციის ძალაც
 ჩემი საკუთარი ნებით მომისპიაო. რუსეთის დასამშვიდებლად,
 და თან ბულგარების მოსატყუებლად, მთავარი აცხადებდა, რომ
 ახალი სამინისტროს შედგენა სამხედრო მინისტრისთვის, რუსის
 ჭენერალ უნსტრისთვის მიმინდვიაო.

ამ ოინით, სამწუხაროდ, რუსეთიც მოტყუვდა, და ბჭულ-
 გარიაც. რუსეთის მშინდელმა რუსულმა ვახეთებმა, რომლის
 ჟორესპონდენტებად ბულგარიაში ნაჩევიჩის და მთავრის ამა-
 ლა იყო, საქმე ისე მოაჩვენეს, თითქო უწი ბულგარიის ძაღბ
 და მმართველობა სულ რუსეთის ხელში იქნებოა. ნამდვილად
 კი საქმე ისე მიდიოდა, რემ რუსეთის ხელში ისიც აღად
 რჩებოდა, რაც უწინ მთელ ბულგარიას კსურდა, რომ რუსებს
 ჩაპბარებოდა. რუსეთის რეალურდ ინტერესი მარტო იმას
 თხოულობდა, რომ ბულგარიის ჯარი, ციხეები და საზო-
 გადოდ სამხედრო ძალა რუსეთის გავლენის ქვეშ დარჩენი-
 ლიყო. ამ განზრახვას რუსეთი მით უფრო ადვილად აისრუ-
 ლებდა, რაც უფრო ნაკლებად გაერეოდა თვითონ, ან თა-
 ვის აფიცრებს გარედა თუ გარევის ნებას მისცემდა ბულ-
 გარიის შინაგან საქმეებში და პარტიების ბრძოლაში. ბავა-
 რიაში, ვირტემბერგში, საქსონიაში, ბადენში და სხვა გერ-
 მანიის სახელმწიფოებში ჯარი და სამხედრო ძალა, როგორც
 მოგვხსენებათ, ერთიანად გერმანიის იმპერატორის, ან პრუსიის
 ხელშია. მაგრამ ამ სახელმწიფოებში არც ჯარი და არც ხალ-
 ხი წინააღმდეგი არაა ამგვარი დამოკიდებულებისა, მარტო იმ-
 ტომ, რემ არც გერმანია, არც პრუსია, არც გერმანელი

ჯარის უფროსები და აფიცრები თავიანთ ღლეში, არც აშკარად, არც ჩუმად არ ერევიან — ამ სახელმწიფოების საქმეებში და პოლიტიკაში. იქ ყველამ თავისი მოვალეობის და უფლების საზღვარა იცის. გენერალ ერნოტს არავითარი მონაწილეობა რომ არ მიეღო ბულგარიის მთავრის აშკარად-უკანონო მოქმედებაში, და მტკიცედ რომ გამოეცხადებინა მისთვის: „მე მარტო სამხედრო მინისტრი ვარ, და მარტო სამხედრო მინისტრად დავრჩები, რა ჩემი საქმეა პოლიტიკაში გარევა ან ბულგარიის შინაგან პოლიტიკაში რა-მეკითხება, რა გამეგებაო“, მაშინ საქმე ასე არ აირეოდა, ბულგარებს გული როდი დასწყყდებოდათ მაშინ რუსეთზე, და არც ეგონებოდათ, რომ მთავარმა ჩვენი კანონი და თავისი ფიცი რუსეთის ბრძანებით და დახმარებით დაარღვიო. ერმა აბა რა იცოდა, თუ საქმის გასარჩევად ვიღაც კონსული, ბ. ხიტროვო, იყო გამოგზავნილი პეტერბურგიდან! ძველი მინისტრების სადგომთან ჯარი დააყენეს, ზოგი (მაგალითად ცანკოვი) კიდევ დაატუსაღეს და დაკარგეს, და უფლება ისევ ბბ. ნაჩევიჩის, გრეკოვის და სტოილოვის ხელში გადავიდა. ხალხი მათ წინააღმდეგ გამწარ და ისეთაირად, ჩემ მათ მთელ ბულგარიაში ჯარის მეტი, ვითომ რუსისა ჯარის მეტი, თითქმის არავინ მომხრედ და მოსარჩლედ არ უჩნდებოდა. არც შესაძლებელი იყო, რომ არ გამწარებულყო, არ აშფოთებულყო ხალხი და ქვეყანა. მთავრის ამაღლას გარშემო მარტო სხვა-და-სხვა ვაჭარნი, კონცესიების და სხვაგვარი გამორჩენის მაძიებლები ეხვივნენ. წამის-წამ ეს დამშეული და გაუმაძლარი გროვა თხოულობდა და შოულობდა ახალ სამინისტროსაგან ზოგი — რკინის გზის კონცესიას, ზოგი — ბანკისას, ზოგი — ხადებხისას და სხვ. და სხვ. ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო ჯარისთვის, ციხეებისთვის და ქსენონებისთვის პანტასავით ჟრივებდნენ ნარდად გაუმაძლარ ვაჭრებს. და უმეტესი ნაწილი ამ დამშეულებისა. რუსების სახელს ირქმევდა, თუმც უფრო ურიებისგან კი შესდგებოდა. ამ დღეებში გამოვიდა პარიზში ბ. ჟორჟ ფილონის შესანიშნავი წიგნი „სლავებ შორის“ (Entre Slaves), რომელშიაც ავტორი, რუსეთის მომხრედ მეგობარი, მშვენიერად

ხატავს საქმის ამ მხარეს. ისიც იმ აზრისაა, რომ რუსეთს დიდი ზნეობრივი გავლენა ჰქონდა, ომის შემდეგ, ბულგარიის ერზე, დიდი და თითქმის უსაზღვრო საყვარული ჰქონდა დამსახურებული, და მის წარმომადგენელ აგენტებს რომ ეს გავლენა გონიერად მოეხმარათ, დღესაც ბულგარიაში რუსეთი ისეთი ძლიერი იქნებოდა, როგორც ავსტრია ბოსნიაში და ინგლისი — ეგვიპტეშიო...

„სანამ კონსტიტუცია გაუქმებული იყო. 1881—1883 წ.—სწერს ბ. ფილიონი—სამთავროს მართვა გენერლებს ჰქონდათ ჩაბარებული, სამინისტროში ისინი ისხდნენ. ბულგარიის შინაგანი პოლიტიკის უთავბოლო ტრიალი (vicissitudes) მათ ატყდებოდა თავზე, და თვით რუსეთის გავლენას ძირს უთხრიდა. ეს მინისტრები, ერთმანეთზე გადაკიდებულ ბულგარებ შორის, ხან ერთ პარტიას უდგებოდნენ, ხან მეორეს, ხან იქით იყვენ, ხან აქედ. იმის მაგიერ, რომ მიუდგომელი და უზენაესი წინამძღოლობით მოეხსათ განხეთქილება და მტრობა, ისინი უარესად ამრავლებდნენ შფოთს. აქედან დაიბადა, რუსებსა და ბულგარებს შუა, სამწუხარო ქიშობა და ბრძოლა, რომელშიაც თვით მართებლობის აგენტებიც კი გაერივნენ. ისინი ხშირად ვერც კი არჩევდნენ ერთმანეთში ზოგიერთი მათი მძლავრი თანამემამულეების კერძო და საეკვო ინტერესებს იმ, უფრო მაღალ, ინტერესებისგან, რომელიც მათ ებარათ. ამნაირად დიპლომატიური აგენტების და გენერლების ზურგს უკან „საქმის კაცების“ მთელი გროვა იდგა, რომელნიც სამთავროს დაარსების დღიდანვე მზად იყვნენ ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ორგანოებისთვის—ბანკებისთვის, რკინის გზებისთვის—ხელი წაეკლათ. აქ ეხლა იღვიძებდა და ახალ სარბიელს იმზადებდა სპეკულიაცია, რომელიც ისე აღვირ-აყრილად ვარჯიშობდა რუსეთში; 1887-ის ომის დროს“...

რუსის აგენტებმა ვერც ის გაიგნეს ხეირიანად, თუ რამოდნად საენები იყო რუსეთის ნამდვილ ინტერესებისთვის ის დახმარება, რომელსაც ისინი კანონისა და ფიცის დამრღვევ მთავარს აძლევდნენ. ყველა მამულისა და სიმართლის მოყვარე კაცის თვალში საქმე ისე მოჩანდა, რომ რუსეთი და რუსები გეიშვარებიან ამდენ უსამართლობას, თორემ მთავარი თავის-თავად ამდენს როგორ, ან ვისი იმედით გაბედავდაო? ბულგარიის პატიოტები უტყინო ხალხი რომ ყოფილიყვნენ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდებოდნენ და აჯანყებას მოახდენდნენ მთავ-

რის—ესე იგი ჯარის—წინააღმდეგ. უეჭველია; მთავარს და მის ამაღლასაც ამისი იმედი ჰქონდათ, რომ ერთბაშად უმთავრესი მოწინააღმდეგეები თავიდან მოეშორებინათ. პატრიოტები სულ სხვა გზას დაადგენენ.—„ინებეთ, იბატონეთ, ჰმართეთ, როგორც თქვენი სურვილი იყოსო. ვნახოთ, რას მოახერხებთ, როგორ მოუვლით ერს და როგორ მოიგებთ მის გულსაო!“ ესა სთქვეს, და ჩამოდგნენ, გაიფანტნენ, თითქო ერთიანად მიატოვეს პოლიტიკური ასპარეზი და მოქმედებო. მთავარს აღარავინ ხელს აღარ უშლიდა, და მის მინისტრებს სრული უფლება და საშუალება მიეცათ, რაც უნდოდათ, ის ექნათ. მაგრამ, თუმცა მთავარს და მის მინისტრებს არც კრება ედგა წინ, არც აკაპოზიცია, მაგრამ სამინისტროს კრიზისები თითქმის თვეში ერთხელ მაინც აუცილებლად ხდებოდა ბულგარიაში. ოც და რვა თვის განმავლობაში მთავარმა, რუსებთაგან, სამი სამხედრო მინისტრი გამოიცვალა (ერნოტი, სობოლევო, კაულობარსკი) და სამი—შინაგანი საქმეებისა! თუმცა ეს მინისტრები, პოლიტიკურ საქმეებში, აშკარად გამოუცდელი იყვნენ, მაგრამ იმათაც კი იგრძნეს ბოლოს, რომ ეს ჩვენი მთავარი რუსეთის სახელით თავისი ხალხისგან შეძულებული ამაღლის—ნაჩევიჩის, გრეკოვის და სტოილოვის—საქმეს გვარიგებინებს, და არა რუსეთისასაო. ხალხი თანდათან უფრო და უფრო განზე უდგებოდა მთავარს და მის მინისტრებს, და თვით ჯარშიაც უსიამოვნების ნიშნები აღმოჩნდა. სამინისტროს რუსის წევრები მიხვდნენ, რომ, ასე თუ ვიარეთ, ბულგარია ერთიანად შეგვიძულეს და დაგვეკარგებო. ამის გამო უწინდებურად ყურ-მოჭრილ ყმად აღარ ემსახურებოდნენ მთავარს და მის ამაღლას. მათ შორის უთანხმოება ატყდა და აღექსანდრე მთავარმა, მოსკოვში, კორონაციის დროს (მაისი 1883) თავის რუსის მინისტრებზე რუსეთის მართებლობასთან იჩივლა. ჩვენმა სამინისტრომ, როგორც 1881-ში, ახალი აგენტი გაგზავნა, საქმის ადგილობრივ გასაცნობლად და გასარჩევად. ეს იყო ბ. იონინი, რომელიც მანამდე, რუსეთის ელჩად იყო ბრაზილიაში (სამხრეთის ამერიკაში). აგრედვე როგორც 1881-ში, ბულგარიის მთავარმა ბ. იონინის მობრძანებას და გამო-

ძიებას როდი მოუყვდა. დაბრუნდა თუ არა მოსკოვიდან, მოიხმორ პატრიოტების წინამძღოლები და მათთან ბოდიში მოითხოვა: ტირნოვოს კონსტიტუციის დარღვევა ჩემი ბრალი როდი იყო, რუსეთმა მიბრძანაო, მაგრამ ამას იქით აღარა მსურს ბურთივით სათამაშო ვიყო მის ხელშიო, მინდა ისევ კანონიერ გზას დავუბრუნდეთ, კონსტიტუცია ხელახლად აღვადგინო, და სხვ. და სხვ. პატრიოტები, რასაკვირველია, ამაზე უარს როგორ იტყოდნენ? ჩამოართვა თუ არა იმათ მოთავეებს შერიგების სიტყვა, ალექსანდრე მთავარმა 7 სექტემბერს 1883 ახალი მანიფესტი გამოაცხადა, რომლითაც ტირნოვოს კონსტიტუცია ისევ ძალაში შეყვანა, და სამინისტროს შედგენა ხელახლად დრავან ცანკოვს მიანდო. ეს მანიფესტი მთავარმა ისე გამოსცა, რომ მის წინანდელ მინისტრებს არც კი სცოდნიათ ადრე თავიანთი დატხოვნა. ცანკოვის სამინისტრომ რუსეთის მთავრობასთან ჩინებული და ორივე მხარესთვის სასარგებლო კონვენცია შეადგინა რუსების მდგომარეობის და სამსახურის შესახებ ბულგარელ ჯარში. თვითონ რუსეთის მთავრობამ სასტიკად აღუქრძალა იმ რუსის აფიცრებს, რომელნიც ბულგარიის ჯარში მსახურობდნენ, მცირედენი მონაწილეობის ვიღება პოლიტიკურ საქმეებში და ბრძოლაში. რამდენიმე რუსის აფიცერი მეტად დაახლოვებოდნენ მთავარს და მის ამაღლაში გარეულოიყვნენ, რუსეთის მთავრობამ ესენი სწრაფად გამოიხმრა შინ ბულგარიიდან.

მთავრისა და პატრიოტების შერიგებამ და ტირნოვოს კონსტიტუციის ხელახლად ძალაში შემოღებამ — რაღა ფქმა უნდა — ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინეს თვით ბულგარიისაში და მთელ განათლებულ ევროპაში. ერის ძალა აწი ურთიერთ შორის ბრძოლაში კი აღარ დაიფანტებაო, ჰფიქრობდა ყველა, საერთო შრომას დაადგება ბულგარიის გასაძლიერებლად, სიმონ-მეფის სამძღვრებს შესაძენად, მისი ოცნების — ბოსფორის დაპყრობის — ასასრულებლად. მართლაც, შერიგების შემდეგ, რაკი ბულგარიის მართებლობა კანონიერ და პატოსან საქციელს დაადგა, საერო კრების თვალწინ, მთელ ბულგარიას აღტაცების ეჭუანტელმა დაუარა. ვახაფხულებე (მაი-

სი 1884) ახალი კენჭის ყრა უნდა მომხდარიყო კრების ამოსარჩევად. ამ კენჭის ყრის დროს ხალხმა განსაკუთრებით ახალგაზდა და მტკიცე აზრის პატრონი პატროტება ამოირჩია, ისეთები, ვინც 1881—1883 წწ. არეულობის და უკანონობის დროს, მარჯვე და რიგიან კაცებად იჩინეს თავი. ეს ახალი კრება გაიხსნა 27 ივნისს 1884. თავის თავმჯდომარედ იმან სტეფანე სტამბულაძე აირჩია. მთავარმა, გაიცნო თუ არა ახალი კრების მიმართულება, სამინისტროს შედგენა მისი უმრავლესობის წინამძღოლს, პეტკო კარაველოვს მიანდო.

ამ ახალი (კარაველოვის მეორე) სამინისტროს მიმართულება იმით იყო შესანიშნავი, რომ ის პირდაპირ დაადგა გარეშე პოლიტიკურ საქმეებში თავისებურ გზას, რუსეთის დიპლომატიისგან დამოუკიდებლად. რაკი ბულგარებს შინაურობაში სადავიდარაბო აღარა ჰქონდათ-რა, და მათი შინაური საქმეები, კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ, წესში ჩამდგარი ეგულებოდნენ, რაღა დაუშლიდა გარშემო მიეხედ-მოეხედნათ და გაძლიერებასა ცდლიოყენენ? მართლაც მიიხედ-მოიხედეს, და ნახეს პირველსავე გადათვლიერებაზე აი რა:

„აღმოსავლეთის რუმელიაში“ — რომელიც, როგორც ამ წერილის თავში მოხსენებულია, ბულგარიის ნაწილს შეადგენდა — სრული უწყესობა და უკმაყოფილება მეფობდა. იქ, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებისამებრ, ხონთქარმა გენერალ-გუბერნატორად ჯერ გაბერძნებული ბულგარი ალექსანდრე ბოგოროდი (ალეკოთაშა) დანიშნა, და ხუთი წლის შემდეგ, მის მაგიერ, გაბრეულ კრესტოვიჩი. ამ ქვეყანაში საქმე უფრო ცუდად მიდიოდა, ვიდრე ბულგარიის სამთავროში, რადგანაც მის მმართველს ნამდვილი ძალა და უფლება არაფერი ჰქონდა, და არც წარმომადგენლების კრებას შეეძლო რამე ხონთქრის დაუკითხავად. ხალხი შეწუხებული იყო ამ მდგომარეობით და ინტელიგენცია სულით და გულით ნატრობდა ბულგარიისთან შეერთებას. კიდევ აირჩიეს და გაგზავნეს ევროპის მართველობასთან დებუტაცია, ამ შეერთების სათხოვნელად, მაგრამ ის არავინ მიიღო და არც არაფერი მოუსმინა. მაშინ იქაურმა

პატრიოტებმა შეთქმულება მოახდინეს, რომლის მეთაურადაც იყვნენ მწერალი სტაქარა სტოიანოვი და მაიორი ნაკოლაევი. ამ შეთქმულების სურვილი და მიზანი საყოველთაეო იყო, და მისი წინააღმდეგი არავინ მოიძებნებოდა, არც ხალხში, არც მსახურებში. ამის გამო, თოფის უსროლველად, სისხლის-დაუღვრელად, ჩუმად, ს სექტემბერს 1885 მოხდა დიდი და ბულგარიის ცხოვრებაში დაუფიწყარი ცვლილება: მცხოვრებლებმა გენერალ-გუბერნატორი დაატუსაღეს და სტამბოლისკენ გაისტუმრეს, დროებითი მმართველობა დააარსეს, და თან საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ ჩვენი ნებითა და სურვილით ბულგარიის სამთავროს ვუერთდებით და მის მთავარს, ალექსანდრე პირველს, მთავრად აღვიარებთო. მოუფიქრა თუ არა ეს ამბავი ალექსანდრეს, იმან მაშინვე თანხმობა განაცხადა ამ შეერთებაზე და თავის ჯარს ბრძანება მისცა აღმოსავლეთის რუმელიაში შესულიყო და დაეჭირა რგი... ამ სახით, სრულიად უხიფათოდ, წარმოუდგენელი წესიერებით მოხდა ბულგარიის შეერთება და ბერლინის კონგრესის უმთავრესი გადაწყვეტილების დარღვევა.

როცა ეს ამბავი ქვეყანაზე გავრცელდა, ყველას ეგონა — საშინელი ალიაქოთი და სისხლის ღვრა ატყდება ეხლა ევროპაშიო. უმეტესი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ ეს სულ რუსეთის საქმეაო, ურუსეთოდ აბა ბულგარიის მთავარი — რუსეთისგან გამოძებნილი და დაყენებული — როგორ გაბედავდა ოსმალეთის ხელიდან რუმელიის გამოგლეჯასო! ის კი არავინ იცოდა, თუ ნამდვილად საქმე მით იყო მოხერხებული, რომ ინგლისს და ოსმალეთს ჩააგონეს — ბოლგარია გააძლიერეთ, და ის იქნება თქვენი უმჯობესი ფარა და ხმალი რუსეთის წინააღმდეგო! ეს არავინ იცოდა. რუსეთის მთავრობამ იმის დასამტკიცებლად, რომ ამ საქმეში მონაწილე არა ვარო, იმ წაშლივ ბრძანება გაუგზავნა ყველა რუსის აუაჯრებს, ბულგარიის ჯარში მოსამსახურეთ, ეხლავე შინ დაბრუნდითო. არც ინგლისმა, არც ოსმალეთმა, ყურბი კი არ გაპარტყუნეს. მარტო სერბიას მოუფიქრა გული, და მარტო იმან პროტესტი გამოაცხადა ხონთქრის უფლების დარღვევაზე. 1 ნოემბერს 1885 სერბიის მეფემ, მილანმა, ბულ-

გარიას ომიც გამოუცხადა, და 45,000 ჯარი შეიყვანა მის საზღვრებში. ალექსანდრე მთავარი სერბიის ჯარს წინ დაუხვდა თავისი ომში გამოუცდელი მაგრამ რუსებისგან ჩინებულად გაწვრთნილი ჯარით. სლიენიციის ახლო-მახლო 5,6 და 7 ნოემბერს მოხდა სიშინელი ომი, რომელშიაც სერბიის ჯარი დამარცხებული და უკუქცეული შეიქნა. გაქცეულს და სანახევროდ დაფანტულ სერბიის ჯარს ბულგარელი ჯარი გამოუდგა და სერბიის საზღვრებში შეჰყვა. სერბიულ ქალაქს პიროტთან ხელ-ახლავ მოხდა ბრძოლა, რომელშიაც სერბები საბოლოოდ დამარცხდნენ. მაშინ ალექსანდრე, თავისი გამარჯვებით დამთვრალი ჯარით ბელგრადისკენ მიემართა, მაგრამ გზაზე (16 ნოემბერს), აესტრი-უნგრეთის ულტიმატუმში დახვდა: თუ წინ-წახვედი, ჩვენს ჯართან და ძალასთან გექნება საქმეო...

რამდენიმე კვირის შემდეგ (19 იანვარს 1886) ბულგარიას და ოსმალეთს შუა მორიგების პირობა დაიწერა, რომლის ძალით ოსმალეთმა ბულგარიის მთავარი ალექსანდრე აღმოსავლეთის რუმელიის გენერალ გუბერნატორად დაამტკიცა. 24 მარტს იმავე წლისას ეს მორიგება დამტკიცებულ იქნა ყველა იმ სახელმწიფოებისგან, რომელნიც ბერლინის კონგრესში ერივნენ.

ალექსანდრე მთავარი, ამას შემდეგ, მეტად სახელ-განათქმული შეიქნა ბულგარიაში და ევროპაშიც, როგორც ძლიერ-ვა-მოსილი სპასალარი და მოხერხებული დიპლომატი. გამარჯვების შემდეგ იმან რუსეთის იმპერატორს დეპეშა გაუგზავნა: ეს ჩემი არმიის გამარჯვება ერთიანად თქვენი აფიცრების შრომას და გავლენას მიეწერებაო, იმათ შთანერგეს ჯარში დისციპლინა და ცოდნაო, იმათ გამიკაფეს დიდების გზაო! ეს დიდება, ყველას აზრით, მართლაც დამკვიდრებული იყო მთავარზე, და მისი სამთავრო სრულ მყუდროებაში ძალას იმარაგებდა ახალ, მომავალ ბრძოლისა და გამარჯვებისათვის, როცა, უეცრად, 9 ავგისტოს 1886 რამდენიმე აფიცრს ალექსანდრე მთავარი დაეტყვევებინათ და ჩუმად დუნაიას ორთქლის გემით რუსეთში გაეგზავნათ: სანამ ის რუსეთიდან აესტრიაში დაბრუ-

ნდებოდა, ამ ამბავმა მთელი ბულგარია შესძრა. გამოჩნდა, რომ ყოველი შეთქმულობა ერთნაირი როდი ყოფილა, არც ერთნაირად თავდება თურმე, თუნდ თავდაპირველად კიდევ ერთნაირად ხელი წარემართოს ყველას. გადაყენებულ მთავარს მოსარჩლეები გამოუჩნდნენ, ათასობით და ათი-ათასობით. გამარჯვებული შეთქმულების მეთაურები ხალხმა კინადამ ამოკლეს. სწრაფად შესდგა ახალი მმართველობა, რომლის უფროსად სტამბულოვი იცნო ხალხმა, და ამ მმართველობის მოწვევით გადაყენებული მთავარი, თავის დატუსაღების ცხრა დღის შემდეგ, გამარჯვებულსავით თავის სამთავროში დაბრუნდა.

შედგა იმან თუ არა ფეხი ბულგარიის მიწაზე, მაშინვე რუს-ხელმწიფეს დეპეშა გაუგზავნა: გვირგვინი მე რუსეთმა დამადგა, და მის საწინააღმდეგოდ მე იმას არ შევირჩინო. თუ თქვენ ჩემი ყოფნა არ გსურთ ბულგარიის ტახტზე, მიბრძანეთ და იმავ წამს თავს დავანებებო, ღმერთმა ქნას რუსეთისთვის ჩემზე უფრო ერთგული ვინმე მენახოს. მაზელო. ამ დეპეშის პასუხად მოუვიდა — თქვენი ბულგარიაში დაბრუნება არ გვსურსო. მაშინ მთავარმა (27 აგვისტოს 1886) მანიჟესტი გამოსცა, რომ, რაკი მე ვყოფილვარ მიზეზი ბულგარიას და რუსეთს შუა განხეთქილებისა, ხელი ამიღია ბულგარიის ტახტზეო. ეს გამოაცხადა, და წავიდა, ყველასგან გამოტირებული...

რაკი ბულგარია უმთავროდ დარჩა, შიგ რეგენტობა დაარსდა. რეგენტებად გახდნენ კარაველოვი, სტამბულოვი და მუტაკუროვი. რეგენტებმა 30 აგვისტოს, რუსეთის ხელმწიფის სახელწოდების დღე იღვესასწაულეს მეტის-მეტი პატივით, და საერო კრებამ ერთხმად გადასწყვიტა რუს-ხელმწიფეს დეპეშით ეუწყოს მთელი ბულგარელი ერის სიყვარული და მადლობა. ეთხოვოს აგრედვე ბულგარიის დანაშაულები დავიწყებას მისცეს და მისი ერი ხელ-ახლავ, უწინდებურად თავის მფარველობას ქვეშ მიიღოსო, უწინდებურად დაიკვას მისი ერთობა, თვით-მყოფელობა და დამოუკიდებლობაო. ამის პასუხად რუსეთის სამინისტრომ მოსწერა, რომ წინანდელი კეთილი გნაწყობილების აღსადგენად ბულგარიაში იგზავნება

ლიბლომატიურ აგენტად გენერალი ბარონი კაულბარსი, ყოფილის სამხედრო მინისტრის ძმაო. ის მოვიდა 13 სექტემბერს, და მოვიდა თუ არა, სამი პირობა დაუდო რეგენტებს: 1) ორი თვით გადადევით კენჭის ყრა დიდი საერო კრების ასარჩევად, რომელიც დაგინიშნავთ ახალი მთავრის დასასახელებლად; 2) სამხედრო წესი რომ დაგიარსებიათ (осадно положение), ეხლავე მოსპეთო და 3) ეხლავე გაანთავისუფლეთ ყველანი, ვინც კი დატუსაღებული გყავთ მთავრის დაჭერისა და გადაყენებისათვისო. რეგენტები მაშინვე დაეთანხმნენ ბ. კაულბარს ამ ორს უკანასკნელს პირობებზე, რომლის ასრულება მათ უფლებაში იყო. რაც შეეხება კი პირველს, უპასუხეს, რომ კონსტიტუციას ჩვენთვის დაუწესებია გადაუდებლად ვადები, რომელშიაც უნდა დანიშნულ იქნეს კენჭის-ყრა დიდი და პატარა კრებების ასარჩევად, და ამ ვადების დარღვევა ან შეცვლა არც ჩვენს ნებაზე ჰკიდია, არც მთავარს შეუძლიაო. ეს კონსტიტუციის დარღვევა იქნება, ესე იგი უადრესი დანაშაულობა, ღალატითო. კაულბარსმა ეს საბუთიანად არ სცნო: მაინცა და მაინც გადადევითო. ამის შემდეგ იმან დაიარა ყველა ქალაქები და სოფლები ბულგარიისა, ყოველგან ხალხი შეჰყარა, რუს-ხელმწიფის სახელით მისი ნების გამოსაცხადებლად. საუბედუროდ, იმან არც ბულგარული ენა იცოდა, არც ის თუ ხალხთან როგორ უნდა ბასი. „რუს ხელმწიფეს თქვენთვის სიკეთე უნდაო, ამბობდა, მას დაუჯერეთ და მიენდეთო.“ ბულგარებმა კი ყველამ იცოდა, რომ ხელმწიფეს მათთვის კეთილი ჰსურს, ყველა მოწადინებული იყო მისი სიტყვა დაეჯერებინათ, მას მიწოდებოდნენ, მაგრამ ბ. კაულბარსი ვერ უხსნიდა მათ, რითი უნდა დამტკიცებულიყო კენჭის-ყრის დროს ეს მინდობა და დაჯერება? არჩევნების დროს პოლიტიკური მოღვაწე ცარიელი სიტყვებით კი არ უნდა მოქმედებდეს, ხალხს პირდაპირ უნდა უჩვენებდეს: აი ეს კაცი ამოირჩიეთ, ეს წაიყვანს თქვენს საერო საქმეს ისე, როგორც რუს-ხელმწიფეს ჰსურს და როგორც თქვენს ქვეყანას მოუხდებაო. და რასაკვირველია, ისეთი პირები უნდა ერჩვენებინა ბ. კაულბარსს ყოველგან ხალხის-

თვის, ვინც ამ ხალხის თვალში ცოტაოდნად მაინც სანდო და პატივსაცემი იყო. ბ. კაულბარსს არც ამისთანა კანდიდატები ჰყვანდა, არც სულ არავინ წარუდგენია ხალხისა და ამრჩევლებისთვის. ის ყოველგან მარტო თავის გაზეპირებულ სიტყვებს — „რეჩს“ ლაპარაკობდა, რომელიც, ვიმეორებ, ხალხს არ ესმოდა. ბოლოს აღარც კი ვინ ესწრობოდა მის კრებას, ანა-და ღიმილით ისმენდა ყველა მის „ცარიელ სიტყვას“. ამასობაში კენჭის-ყრა დაიწმინდა. ბ. კაულბარსმა გამოაცხადა, რომ მე მაგ კენჭის-ყრას, და მაგისგან არჩეულ კრებას კანონიერად არ ვცნობო. კრება მაინც შეიყარა 9 ოქტომბერს 1886. აგრედვე თითქმის ერთხმად ამ დიდმა კრებამ ბულგარიის მთავრად აირჩია რუს-ხელმწიფის მკვიდრი ცოლის ძმა, დანიის პრინცი ვოლდეჰარდი. მაგრამ, რადგანაც ამემად გამოცხადებული იყო, რომ რუსეთს ბულგარიის ტახტისთვის კანდიდატად თ. ნ. მინგრელსკი ჰყავსო, პრინცმა ვოლდეჰარმა, რუსეთის ხათრით უარი სთქვა ამ არჩევანზე. მაშინ ბულგარიამ ცალკე დეპუტაცია გაგზავნა ევროპას სახელმწიფოებთან, შუამავლობის სათხოვნელად რუსეთთან. ყველამ უარი გამოუცხადა და ურჩია—პირდაპირ შეთანხმდით და მორიგდითო. ამ მდგომარეობაში იყო საქმე, როცა იმ დეპუტაციის ყოფნის დროს ვენაში მას ურჩიეს—მოდით, მთავრად კობურგის პრინცი ფერდინანდი აირჩიეთო...

იქნება ბულგარიის მმართველებს არაფერი ყურადღება არ მიექციათ ამ რჩევისთვის, მოცდისა და თმენის საშუალება რომ ჰქონოდათ. საუბედუროდ, ფევთ ბულგარიაში სხვა-და-სხვა ადგილებში—რუშუკში, ბურგასში, სილესტრიაში და სხვ.—ჯარმა არეულობა მოახდინა. რაკი აღმოსავლეთის რუმელიაში ისე ადვილად მოხერხდა მთავრობის შეცვლა შეთქმულებით, ჩვენც შეთქმულება მოვახდინოთ და ბულგარიის მართვა ხელში ჩავიგდოთო, რფექრეს აქა-იქ გამბედავმა აფიცრებმა. ამასთანავე ბულგარიაში შედგა გვარიანად ძალუმი პარტია, მთავრობის წინააღმდეგი, რომელიც ჰქადაგებდა—ნუ ვაჯავრებთ რუსეთს, ყოველ მის მოთხოვნილებას დავემორჩილოთო, რუსეთს იქით ჩვენს ქვეყანას შეველა არა აქვსო. რეგენტებმა ადვილად დააწყნარეს სამხედრო

აჯანყება, და მათი უმთავრესი მეთაურები უმოწყალოდ დახვრიტეს. უეჭვო იყო, რომ არც ეს დახვერტა უშველიდა საქმეს, ხანგრძლივად მაინც, თუ ტახტი ისევ ცარიელი დარჩებოდა. ამ მიზეზით ბულგარიის მმართველებმა ნება-უნებურად ამოირჩიეს მთავრად პირველი პრინცი, რომელიც კი გზაზე შეხვდათ და თანახმა იყო მათი უბედური გვირგვინი დაედგა თავზე.

კობურგის პრინცი ფერდინანდი წინაღუდნად უნგრეთის ჯარში მსახურებდა უბრალო აფიცრად. ის შორეულ ნათესავად ერგებოდა—კობურგის ოჯახს გარდა—ინგლისის სამეფო სახლს და ორლენების დინასტიას. მისი თანხმობა მიიღეს თუ არა რეგენტებმა, მაშინვე დაიბარეს დიდი კრება, რომელმაც (ივლისი 1889) პრინცი ფერდინანდი ბულგარიის მთავრად აირჩია. რადგანაც რუსეთი არც ამ არჩევანს, არც თვითონ მის ამჩიეველ დიდ-კრებას კანონიერად არ სცნობდა, არც ხონაქარმა დაამტკიცა ფერდინანდი მთავრად, და არც სხვა დიდმა სახელმწიფოებმა იცვნეს ის ამ ღირსებაში. ეს, რასაკვირველია, ოფიციალური მხარეა საქმისა, თორემ ნამდვილად კი ფერდინანდი აგერ შუად წელიწადზე მეტია, რაც ბულგარიის მართავს და ყველა სახელმწიფოებთან ჩინებულ განწყობილებაშია შინაურად, რუსეთს გარდა. შინაგან საქმეებში ბულგარიის მართვა მის ხელში სრული წესით მიდიოდა და ორი შემთხვევის გარდა ამ შვიდი წლის განმავლობაში შიგ ისეთი არა მომხდარა-რა, რაც ყოველ ჩინებულად გაწყობილ ქვეყნებშიაც არა ხდებოდა. 1890-ში კობურგის მოსაკლავად გაიმართა შეთქმულება, რომლის მოთავედ მიიჩნეოდა ზანაფა იყო. ამ პანიკამ თავი ისახელა რუმელის შეერთების დროს და, განსაკუთრებით, სერბიასთან ომში. ერთ ხანს ის სტამბულოვის თანაშემწეც იყო. მისი პროცესის დროს მთავრობამ ყოველი მეცადინეობა იხმარა დამტკიცებინა, რომ პანიკა რუსეთის სასარგებლოდ და რუსების აგენტების დარიგებით მოქმედებდა. სამხედრო სამსჯავროში წაიკითხეს და მერმე გაზეთებში დაბეჭდეს ბევრი წერილები და დოკუმენტები, საკა ბბ. ხიტროვოს და ზინოვიევის სახელი ხშირად იხსენიებოდა. რუსე-

ხის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ყველა ეს საბუთები ყალბიაო. პანიკასთან ერთად დაჭერილი იყო რუსის ქვეშევრდომი კოლობკოვი, რომელსაც, ხალხთა-შორის კანონის ძალით, ბულგარია ვერ დასჯიდა. მაგრამ სასმჯავრომ პანიკა დამნაშავედ და დახვერტის ღირსად იცნო. ის დახვერტეს ივნისში 1890 წ. მეორე ამნაირივე შემთხვევა შემდეგ მარტში მოხდა. ორი მინისტრი, სტამბულოვი და ბელჩევი, ერთად მომუსაიდობდნენ ქუჩაზე, როცა მათ თოფის სროლა დაუწყოვილაც შეთქმულმა. ბელჩევს სამი ტყვია მოხვდა, სტამბულოვი კი გადარჩა. ბულგარიის მართებლობამ ამის თაობაზე ფიცხელი გამოძიება მოახდინა, აქაო-და, ეს დიდი 'შეთქმულობის საქმეაო, და ვინც კი ბულგარიაში თავის წინააღმდეგად მიაჩნდა, ყველა მოხვეტა და დაატუსაღა. ასე გასინჯეთ, კარაველოვიც კი მას შემდეგ — დღემდინაც — საპატიმროში ზის... ამ სისწრაფისა და სიფიცხის წყალობით, უფრო მეტი, რასაკვირველია, გონიერი და სამართლიანი მართვით, კობურგის მინისტრებმა საქმე იქამდინ მიიყვანეს, რომ ბულგარიის შინაგანი წესი ევროპის დიპლომატიის თვალში მათი სიმატლის უმჯობესს საფუძვლად ითვლებოდა. ინგლისი, ავსტრი-უნგრეთი, იტალია, ოსმალეთი პირდაპირ და აშკარად აცხადებდნენ, დიდი დავალება ევროპისთვის, კობურგის და სტამბულოვის მხრივ, რომ ბულგარიაში ასეთი წესიერება და მშვიდობიანობა დააარსესო...

ამ საფუძვლით იყო, თუ სხვა, უფრო რეალურით, ყოველ შემთხვევაში აშკარა კი ისაა, რომ ბულგარიის მართებლობამ დიდი და შესამჩნევი გამარჯვება დაიმსახურა საკუთრევ გარეშე საქმეებში. იმ მორიგების ძალით, რომელიც რუსეთსა და ავსტრი-უნგრეთს შუა მოხდა ოსმალეთთან უკანასკნელი ომის წინ და შემდეგ, 1876-ში და 1878-ში, და რომელიც დღემდინაც ძალაშია ევროპის თვალში, ბალკანის ნახევრად-კუნძულზე დასახელებული სლავები და სლავური სახელმწიფოები შუაზეა გაყოფილი. დასავლეთის ნაწილი (სერბია, ბოსნია, ჰერცეგოვინა) ავსტრი-უნგრეთის გატლენის ქვეშ არის დატოვებული, და აღმოსავლეთის კი (ბულგარია) რუსეთს აქვს მიწაბრებული. მაშასადამე, ბულ-

გარდა; ევროპის თვალში; ხალხთა-შორის უფლებების ძალით, როგორც რუსეთის მხედრად და წილად ცნობილი, არც ერთ ევროპის სახელმწიფოსგან არ უნდა ელოდეს შემწეობას და დახმარებას. და მართლაც პირდაპირ, ან ნივთიერად, არც ერთი არ ეხმარება. ამ მდგომარეობაში ბულგარიისთვის მეტის-მეტად ძნელი იყო—ყველა დამეთანხმება—საკუთარი გავლენის შექმნა და სხვისი გავლენისაგან თავის დახსნა. სტამბულოვის და ბულგარიის გარეშე პოლიტიკის საფუძველი ის იყო, რომ ოსმალეთსა და ევროპის სახელმწიფოებს ეუბნებოდნენ: გვაცალეთ, ხელს ნუ შეგვიშლით. თქვენს დახმარებას როდი ვთხოვლობთ, არც თქვენი ძალა გვჭირია. თქვენ ოღონდ თქვენს პირობაზე მტკიცედ იყავით რუსეთთან, და ჩვენს საქმეებში ნუ გავრევიით. ჩვენ ვიცით, და რუსეთმა იქონიოს იმან ჩვენზე თავისი გავლენა, რამდენიც შეუძლია. ჩვენთვის საშიში მარტო ის არის, რომ ჩვენი ციხეები არ დაიკავოს, და ეს ხომ ძნელიც არის მისთვის, და აღკრძალულიც მისი თქვენთან ხელ-შეკრულობით. დანარჩენში, ოღონდ ხელს ნუ შეგვიშლით, და ჩვენი იმედით იყავითო. აი, რამდენიმე სიტყვით, იმის ახსნა, თუ რით გაუმაგრდა ამდენი ხნის განმავლობაში ბულგარია რუსეთის დიპლომატიას. საკუთრივ მისთვის ეს მდგომარეობა მეტის-მეტად სასარგებლოა: შინ ის თავის საქმის პატრონია: ვერც ინგლისი, ვერც ოსმალეთი, ვერც ავსტრი-უნგრეთი ვერაფერს მოსთხოვს მას, და ვერც იბატონებს მასში (როგორც ავსტრი-უნგრეთი სერბიაში ბატონობს): ბულგარია მაშინვე ფარად რუსეთთან მორიგებას ხმარობს. ამ კონცესიას, ამ უფლებას ვერ მოგართმევთ, რადგან თქვენის მხრივ ეს რუსეთთან შეკრულ პირობის დარღვევა იქნება, რუსეთის საქმეებში გარევაო... და რუსეთს კი, ამასობაში, არაფერზე აღებინებენ ხელს, რადგანც რკინის გზებსაც, ბანკებსაც და ყველაგვარ იმისთანა დაწესებულებას, რომელნიც თქვენის სასიცოცხლო ორგანოს,“ მის ძარღვს და მაჯას შეადგენს, თვითონ ბულგარიის მთავრობა თავის ხარჯით და თავის სახელობაზე მართავს...

უკანასკნელ წლებში ბ. სტამბულოვმა თავის სიტყვებში, საერო კრებას წინ, და თავის გაზეთებში მთელი სისტემა შეადგინა ბულგარიის შინაგანი და გარეშე პოლიტიკისა, ისეთი სისტემა, რომელსაც ღრმა და შეურყეველი საფუძველი უდევს: რასაკვირველია, ამ სისტემის თავი და ბოლო იმ რწმუნებაში იპოვება, რომ თვითონ ბულგარიის ერი საკმაოდ მდიდარი და ღონიერი, საკმაო სისწრაფით იზრდება და ძალას მატულობს; და მით ადვილად მოახერხებს საკუთარ კზას დაადგეს, საკუთარი, შესაფერი ალაგი დაიმკვიდროს იმ სახელმწიფოებ შორის, რომელნიც ბოსფორის დაპყრობის გულისთვის იბრძვიან. არც სტამბულოვი და აღარც ბულგარია როდღა ჰპალავენ თავიანთ მოსახრებას და მიზანს. დღემდინ ოსმალეთს ევროპა იმიტომ ენდობოდა, იმიტომ სტავენდა ბოსფორის მფლობელად, რომ საკმაო ძალუმაღ მიაჩნდა ის ამ ბოსფორის ეგუდასკან დასაცველად. სანამ ოსმალეთს რამე ღონე და შეძლება ექნება ამ დანიშნულების ასრულებისა, ბულგარია მას უნდა ეხმარებოდეს და იცავდეს; და როცა ოსმალეთი დაუძღურდება, დაბერდება, ბულგარიამ მისი ალაგი უნდა დაიჭიროს, მისი მემკვიდრეობა უნდა ჩაიბართოსო, **ბოსფორის მკუფობა** უნდა დააფუძნოსო. ამეებს თვით სტამბოლშიაც ამბობენ და ბეჭვდითაც ჰქადაგობენ ბულგარიის წარმოადგენლები. ოსმალეებს ისინი პირდაპირ, ეუბნებიან: თქვენ მამახართ, ჩვენ — შვილიო. სანამ ვარგიხართ, გიშველით, როცა კვდებოდეთ, მემკვიდრედ დაგვჯოვეთო. მცირე-აზიაში პატივით და დიდებით დაგასაფლავებთ, მოგივლით, მოგასვენებთო. რასაკვირველია, რაც უფრო მეტ წესიერებას და ღონეს იჩენს, შინაურობაში თვითონ ბულგარია, რაც მარჯვედ და გონიერად მოქმედებს მისი მართებლობა, მით თან და თან უფრო და უფრო ღრმა ფესვებს იდგამს ევროპის გონებაში ის აზრი, რომ სტამბოლში მყოფს „ავად-მყოფ ადამიანს“, ოსმალეთს, მოწიფული და ღონიერი მემკვიდრე ეხრდებაო. ეს ისეთი მარტივი და ცხადი პროგრამაა, რომ ვინც უნდა იჯდეს ბულგარიის ტახტზე, ვინც უნდა მართვიდეს ბულგარიის სამინისტროს, ამ გზას უნდა ადგეს, ამ საგანისკენ უნდა მიიმართოდეს...

ერთ თავის სიტყვაში სტამბულოვი ამბობდა ამას წინად, რომ ბულგარია და რუსეთი მარტო ორმოც აღათოდე წლის შემდეგ უნდა დაუახლოვდნენ ერთმანეთსო, მანამდინ კი მათი ერთობა შეუძლებელიაო. ეს აზრი მარტო იმ მხრით არის საფუძვლიანი, რომ თვითონ რუსეთი ჯერ-ჯერობით გამოუცდელია პაწია სახელმწიფოებთან და პაწია. ხალხებთან ანგარიშების გაწევას. აქამდინ იმას უფრო ხშირად დიდრონ-დიდრონ სახელმწიფოებთან ჰქონდა საქმე თუ ბრძოლა და მათთან განწყობილებაშია მარტო გამოცდილი და დახელოვებული. მეტად სამწუხაროა ის გარემოება, რომ ამ საუკუნეში ევროპასთან მას სიკეთეც კი არ გაუდის. თავისი სისხლით, ხარჯით და იარაღით გაანთავისუფლა იმან მოლდავია, ვალახია, სერბია, საბერძნეთი, ბულგარია და ყველა ეს სახელმწიფოები, მისი წყალობით მკვდრეთით აღდგენილნი, განთავისუფლების შემდეგ მის სისხლის-მსმელ მტრებად გადიქცნენ! უეჭვოა, ამაში უმთავრესი ადგილი ადამიანის თვისებას უკავია: უმადურობას. ხალხი, როგორც კაციც, იმ სიკეთეს კი არ აფასებს, რომელიც მიუღია, სულ იმას შესჩერება, რომელსაც ელის. მაგრამ ვინ არ იცის, რომ მიღებულ სიკეთეს გარდა, ბევრი მოსალოდნელიც აქვთ ამ სახელმწიფოებს რუსეთისგან! ვიმეორებ, ჯერ-ჯერობით ეს ქვეყანა თვითონ დამზადებული არ არის იმ ჩინებული და სახელოვანი როლისთვის, რომელიც მას ისტორიამ და გეოგრაფიულმა მდგომარეობამ მიუჩინა, თვითონ ხეირიანად ვერ იშენებს ამ როლს, რადგანაც არც საკმაო მცოდნე მსახურები ჰყავს, მისი კეთილი სურვილის განსახორციელებლად, და შინაური მისი ჩვეულებებიც ხშირად მოუხდენელ ფერს სცევენ მის გარეგან საქციელს...

ერთი სიტყვით, ბულგარია თავის თავს საკმაოდ ძალუმაღლედ ჰგრძნობს, რომ სხვისთვის კი არა, თავისთვის ისარგებლოს იმ ჩინებულ სტრატეგიული მდებარეობით, რომელიც მას ბუნებამ მხვედრად არგო და იმ დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური ქიშპობით, რომელიც ამ ორი უკანასკნელი საუკუნის დროს ბოსფორის და სტამბულის გულისაფვისაა ატეხი-

ლი. რადგანაც დიდ სახელმწიფოებს შუა ქიშპობა მათ ურთიერთ ძალას ასწორებს და აქარწყლებს, ბულგარიას იმედი აქვს, რომ წვრილ ერებს და სამეფოებს შუა ის ყველაზე უფრო ძლიერი იქნება აღაპის დღეს... როგორც გამოცდილი მელია, ის შესჩერებია ლომებისა და ვეფხების ბრძოლას განწირულ ირმის ლეშზე, იმ იმედით, რომ ირემი მის მეტს არავის ერგება.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მოქმედება ბულგარიის მართებლობისა სულ იმაზე იყო მიქცეული, რომ კობურგი ევროპასა და რუსეთს ბულგარიის კანონიერ მთავრად ეცნო. ამ საგანზე ბევრი მოლაპარაკება ჰქონდათ ოსმალეთთან და დიდი ნაბიჯიც წასდგა წინ ბულგარიამ: ხონთქარმა სტამბულოვი მიიღო და ბულგარიასთან დიპლომატიური მისვლამოსვლა აღადგინა. თვით მაკედონიაში, რომლის წართმევას უპირობს ოსმალეთს ბულგარია, ხონთქარმა, როგორც წინა წერილში ვთქვით, ბულგარელ მღვდელ-მთავრებს ჩააბარა იქაური სამღვდელოება და საეკლესიო საქმეები. ყველა დანარჩენ წვრილმან გარემოებაში ბულგარიის სურვილი ყოველთვის შესრულებია ოსმალეთს და დიდი ან თვალსაჩინო კი არაფერი მომხდარა ისეთი, რომ ხსენების ღირსი იყოს. რუსეთის შეურყეველი უთანხმოება რომ არ ყოფილიყო, ამდენ ხანს ხონთქარი ათასჯერაც კი დაამტკიცებდა კობურგის პრინცს და მთელი ევროპა ამაზე თანახმა იქნებოდა, საფრანგეთს გარდა, რასაკვირველია. მაგრამ, რადგანაც ბულგარია რუსეთის გაელენასა აქვს მინაბრებული, ურუსეთოდ მისი საქმე ოფიციალურად არ გადაწყდება.

ამ მდგომარეობაში იყო საქმე, როცა წელს გარემოება შეიცვალა. გარდაიცვალა კობურგის ოჯახის თავი, ღერცოვი ერნსტი. ნათესაობით, მისი ტახტი და ადვილი ინგლისის დედოფლის უმცროს შვილს, ალფრედ-ედიმუნდს ერგო, როპელიც ჩვენი ხელმწიფის მკვიდრ დაზეა ჯვარ-დაწერილი. ამას გარდა ამ გაზფხულზე ინგლისის დედოფლის შვილის-შვილი, პრინცესა ალიქსა, ჩვენი ტახტის მემკვიდრემ დანიშნა კობურგ-შივე. ამ გარემოებებს არ შეეძლო დიდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა ბულგარიის მთავარზე, რომელიც ან თავის ოჯახის

უფროსს წინააღმდეგ უნდა წასულიყო, ანა-და რუსეთს უნდა დაახლოვებოდა.. ყოველ შემთხვევაში კობურგში რუსეთისა და ინგლისის მემკვიდრეების შეხვედრას არ შეეძლო ფერდინანდისთვის იმედი არ მიეცა რუსეთთან შერიგებისა. ალბად ამ იმედის ასასრულებლად პრინცმა ფერდინანდმა გამოიმეტა თავისი ერთგული და ყოვლის-შემძლე პრემიერი, სტამბულოვი. რუსეთის გაზეთებში ხომ სულ ამ სტამბულოვს აბრალებენ ბულგარიის წინააღმდეგობას, როგორც სტამბულოვამდინ, სულ კარაველოვის ბრალი იყო ყოველი ურჩობა, და კარაველოვამდინ — ცანკოვისა! ეხლაც გამოდის, რომ სტამბულოვი გვიშლიდა, თორემ ყოველთვის ჩინებული განწყობილება, მისვლა-მოსვლა და თანხმობა გვექნებოდა ყველაფერშიო. დმერთმანც იწებოს! კობურგის პრინცმა სტამბულოვი გადააყენა, და მის მაგიერ სამინისტრო ჩვენს ძველ ნაცნობებს, ბბ. სტოილოვს და ნაჩევიჩს, ჩააბარა. ახალ მინისტრებს დიდი არაფერი გავლენა აქვს ბულგარიაში, და ყოვლად უეჭვოა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ საერო კრება მათ სამსახურიდან დაიხზვს, ანა-და ისევ სტამბულოვის პოლიტიკას მიაღებინებს. ამასობაში, რასაკვირველია, ფერდინანდი თავის ტანტზე დამტკიცდება და რუსეთის აგენტები, ზოგი — გამოცდილების წყალობით, ზოგი — მთავრის ნათესაობის მორჩილებით როდღა შეიყვანენ შეცდომაში თავის მთავრობას, როგორც აქამდინ ემართებოდათ ხოლმე... ხანდისხან.

ნ. სიკელაძე

მაისური და ივნისური რედაქციის მიერ გამოცემული წიგნები:

- მატარა კარგი — რამე-რუმე, გამოცემული კარიკატურებით, ტფილისი 1894 წ. ფასი 20 კ.
- სამა არაკი — იაფი საყმაწვილო ბიბლიოთეკა, კ. თავართქილაძის გამოცემა № 33, ოზურგეთი 1894 წ. 1—31 გვ. ფასი 3 „
- სოინაბი — ლექსები, შეკრებილი კ. ოცხანელის მიერ, კ. თავართქილაძის გამოცემა ყმაწვილთათვის. ოზურგეთი 1894 წ. 1—65 გვ. ფასი 10 „
- გვარგვინი — ქართული ძველი სასულიერო მწერლობა — გამოცემული მლ. კ. გრ. კარბელოვისა, თავი მე-V, 257—348 გვ. ტფილისი 1894 წ., ფასი 15 „

რედაქტორი
ალექსანდრე ჭეონია

გამომცემელი
ალექსანდრე ჯანადარა

სტამბა

წიგნების გამოცემელ

ქართულთა ამხანაგობისა

ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი № 13.

სტამბაჲი მიიღება დასაბეჭდად

უძველგვარი სასტამბო საქმეები:

წიგნები, გასეთები, აფიშები, ბლანკები და
სხვა და სხვა წვრილმანი საქმეები.

უკუღს საქმეს სტამბა ასრულებს სუფთად და
თავის დროსედ.

აგრედვე კისრულობს წიგნების კორექტუ-
რასაც, უკეთუ ავტორი ისურვებს.

„ქართულთა ამხანაგობის“

წიგნის მატარებელი

ისყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

| | |
|---|-------|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სუ- რათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი | მ.—კ. |
| ცალკე: | 1—20 |
| იგივე მშვენიერ ქალაღზე და მშვენიერისავე ყღით, თი- თო ტომი ცალკე. | 2—50 |
| ოთხი ტომი ერთად | 9— |
| სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიული საჭ- მეღებისა. | 1—20 |
| იგივე ყღით. | 1—40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | „—80 |
| იგივე მშვენიერის ყღით | 1—25 |
| დაბღება და აღზრღა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენღა— პოემა ბაჩანასი | „—15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი | „—30 |
| იგივე ყღით | „—75 |
| ბნეღო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევღონიმი) | „—40 |
| იგივე მშვენიერის ყღით | „—90 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსი- მილეთი, ტომი I | 1—20 |
| იგივე კარგს ქალღღზე, მშვენიერის ყღით | 2—50 |
| ტომი II | 1— |
| იგივე კარგს ქალღღზე მშვენიერის ყღით | 2—50 |
| ტომი III | 1— |
| იგივე კარგს ქალღღზეღ მშვენიერის ყღით | 2— |
| ტომი IV, იზა, ორი წიგნი | 1—60 |
| იგივე კარგს ქალღღზე მშვენიერის ყღით | 3— |
| ჩანგი | 1— |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩანელისა | „—20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I | 1— |
| იგივე კარგს ქალღღზე მშვენიერის ყღით | 2—50 |
| თხზულებანი მისივე ტომი II | 1— |
| იგივე კარგს ქალღღზე მშვენიერის ყღით | 2—50 |
| არაყები, საბა ორბელიანისა, ბავშვეღისტვის | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე | „—75 |
| იგივე კარგს ქალღღზე | 1—50 |

1894

„მ რ ბ მ გ მ“

თვეიური ქურონალი

წელიწადი პირველი

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

7—10 თაბახი (224—320 გვ.)

ფასი შურონალისა გაზჯანვით:

1 წლით 6 თვით 3 თვით

| | | | |
|--------------------------------|---------|--------|--------|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| სახლდვარ-გარედ | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანონ: 1 იანვრამდე—4 მან., 1 მაისამდე—3 მან., და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში; რომელიც იმყოფება ლარის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერმა ადრესის გამოცვლისათვის ათი შაური უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція Моамбе.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შეზოკლებულ და ან შესწორებულ იქმნება. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში, — მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

ხელ-ნაწერები, რომლებზედაც არავითარი პირობა არ იქმნება აღნიშნული, რედაქციისაგან მიღებულ იქმნებიან როგორც უფასოანი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მათ ორ-ოლი ეგზემპლიარი უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდინ ნაშუადღევს.

რედაქცია უმოკრჩილესად სთხოვს ყველა ხელის მოწერით, რომელთაც კი ამას შემდეგ ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ენ ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავს გაეგზავნება.

რედაქტორი
ადექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ადექსანდრე ჭაბაძე